საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

რევაზ ნათაძე

წარმოსახვის განმაწყობელი მოქმედება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი — 1958

შესავალი

1

1. „არის ერთი გარემოება, რომელიც იმთავითვე უმდარეს ხუროთმოძღვარს საუკეთესო ფუტკარზე მაღლა აყენებს: ეს არის, რომ ადამიანი, ვიდრე ფიქის უჯრედს გააკეთებდეს, ჯერ თავის თავში გააკეთებს მას. შრომის პროცესი ისეთი შედეგით თავდება, რომელიც მის დაწყებისას მუშის წარმოდგენაში, ე. ი. იდეურად უკვე არსებობს[1].“.

კ. მ ა რ ქ ს ი ს ეს უკვდავი სიტყვები ადამიანის ერთ-ერთ უღრმეს ფსიქოლოგიურ სპეციფიკურობას ავლენს. მოქმედების მიზნის და მომავალი სიტუაციის წარმოსახვისა და ამ წარმოსახულის მიხედვით მოქმედების უნარი ადამიანის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას, ადამიანის ცხოველისაგან ერთ-ერთ ძირითად განმასხვავებელ ნიშანს შეადგენს. ცხოველი ჩართულია თავისი ქცევის პროცესში, მას მიზანდასახული მოქმედება და საზოგადოდ მომავალი სიტუაციის წარმოსახვა და მის მიხედვით მოქმედება არ ძალუძს.

მოქმედების ადამიანისათვის სპეციფიკური სახე—ნებისმიერი მოქმედება—პროსპექტული ხასიათისაა; იგი აუცილებლად გულისხმობს იმ სიტუაციის წარმოსახვას ან გააზრებას, რომელიც ჯერ არ არის მოცემული, რომელიც ჯერ არ არსებობს, მაგრამ რომლის წინასწარი გათვალისწინების საფუძველზე უნდა გაიშალოს ადამიანის მოქმედება; პაპანაქება სიცხეში ადამიანი ზამთრის ყინვებისათვის ემზადება; მაძღარი საკვების მოყვანაზე და მომარაგებაზე ზრუნავს.. (მაგრამ წარმოსახული სიტუაცია და საზოგადოდ წარმოსახული შინაარსი განსაზღვრავს ადამიანის არა მხოლოდ ნებისმიერ მოქმედებას, არამედ ხშირად უნებლიე ქცევასაც და, გარკვეულ პირო-

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 139.

ბებში. განზრახვისა და გადაწყვეტილების საწინააღმდეგო ქცევასაც კი. მაგალითად, ცდუნების სიტუაციის ნათელი წარმოდგენა სათანადოდ განაწყობს ადამიანს და უბიძგებს მას სათანადო ქცევისაკენ, რომელიც ეწინააღმდეგება სუბიექტის შეგნებულ მიზნებს და განზრახვებს[1].

იმპულსური მოქმედების შემთხვევაში წარმოდგენა ნებისყოფის აქტის პირობას კი არ შეადგენს, ნებისყოფის აქტის მეშვეობით კი არ აპირობებს მოქმედებას, არამედ უშუალოდ განაწყობს სუბიექტს სათანადო მოქმედებისადმი; ასე ვთქვათ, უშუალოდ უბიძგებს სუბიექტს შესატყვისი მიმართულებით სამოქმედოდ.

წარმოსახვის ადამიანის აქტივობის მსტიმულირებელ მოქმედებას, როგორც ცნობილია, ხაზს უსვამდა ვ. ლ ე ნ ი ნ ი. იგი ახასიათებდა ოცნების მნიშვნელობას ჩ ერ ნ ი შ ე ვ ს კ ი ს სიტყვებით; „მას (ოცნებას რ. ნ.) შეუძლია გაამაგროს და გააძლიეროს კიდეც მშრომელი ადამიანის ენერგია... ასეთ ოცნებაში ისეთი არაფერია, რასაც შეუძლია შერყვნას ან მოადუნოს სამუშაო ძალა: სრულიად პირიქით, ადამიანი, რომ სავსებით მოკლებული იყოს ამგვარი ოცნების უნარს, მას, რომ არ შეეძლოს ხანდახან წინ გაუსწროს და გონებით წარმოიდგინოს მთლიან და დასრულებულ სურათებში სწორედ ის ქმნილება, რომელიც ეს ესაა ისახება მის ხელში, მაშინ მე სრულებით არ ძალმიძს წარმოვიდგინო რა აღმძვრელი მიზეზი აიძულებდა ადამიანს დაეწყო და. დაესრულებინა უდიდესი და დამქანცველი სამუშაოები ხელოვნებისა, მეცნიერებისა და პრაქტიკული ცხოვრების სფეროში...“[2].

ეს, ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს მიერ მოყვანილი სიტყვები, ეხება ოცნების იმ სახეს, რომელიც, ასე ვთქვათ, მოქმედების წინა სტადიას წარმოადგენს, რომელიც სამოქმედოდ განაწყობს ადამიანს. მაგრამ ასეთი ქმედითი ხასიათის ოცნებისაგან, როგორც ცნობილია, ასხვავებენ ოცნების ისეთ პასიურ სახეს, (რუსულად მას ჩვეულებრივ грёзы-ს უწოდებენ), რომელიც არა თუ არ განაწყობს სუბიექტს სამოქმედოდ, არამედ პირიქით, ასუსტებს, ადუნებს წარმოსახული შინაარსებით დაკმაყოფილებული ადამიანის ნებისყოფას: სუბიექტი ნატვრის დაკმაყოფილებას თვით ოცნებაში ნახულობს და ამიტომ ფანტაზიის ამ სახის მოქმედება ძირს უთხრის სუბიექტის რეალურ აქტივობას, არ განაწყობს მას სამოქმედოთ, აშორებს მას სინამ-

---

[1] მაგალითები იხ. რ. ნ ა თ ა ძ ე, ნებისყოფის ფაქტორი ბრძოლის ველზე, 1942, გვ. 19—20.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 5. 1947, სახელგამი, გვ. 649—650.

ლვილეს. ადამიანი კმაყოფილდება სანატრელის წარმოსახვაში განცდით და აღარ მიისწრაფვის მის რეალურ განხორციელებისაკენ.

2. ბუნებრივად დგება საკითხი წარმოსახვის ადამიანის აქტივობის მსტიმულირებელი მოქმედების ფსიქოლოგიური მექანიზმის შესახებ. უპირველეს ყოვლისა შესამოწმებელია თეორიულად დაშვებული წარმოდგენის გ ა ნ მ ა წ ყ ო ბ ე ლ ი მოქმედება, ე. ი. დასადგენია წარმოდგენისათვის დამახასიათებელი ადამიანის აქტივობის მსტიმულირებელი მოქმედება მართლაც თუ სათანადო განწყობის შექმნაში მდგომარეობს, როგორც ამას განწყობის თეორია გულისხმობს. უფრო კონკრეტულად: ექსპერიმენტულად ზუსტად უნდა დადგინდეს წარმოსახვის საფუძველზე განწყობის აღმოცენების შესაძლებლობა. ხოლო რადგანაც განწყობის აღმოცენების უტყუარ საბუთს ექსპერიმენტულად ადვილად დასადგენი ფ ი ქ ს ი რ ე ბ უ ლ ი გ ა ნ წ ყ ო ბ ი ს შ ე მ ო წ მ ე ვ ა წარმოადგენს, ჩ ვ ე ნ ი პ ი რ ვ ე ლ ი ა მ ო ც ა ნ ა ც წ ა რ მ ო ს ა ხ ვ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე ფ ი ქ ს ი რ ე ბ უ ლ ი გ ა ნ წ ყ ო ბ ი ს ა ღ მ ო ც ე ნ ე ბ ი ს ფ ა ქ ტ ი ს ე ქ ს პ ე რ ი მ ე ნ ტ უ ლ დ ა დ გ ე ნ ა შ ი ჩ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ს[1].

3. ამას გარდა, რაკი წარმოსახვის წარმოდგენა მხოლოდ ზოგ შემთხვევაში უბიძგებს ადამიანს მოქმედებისათვის, ზოგჯერ კი პირიქით, სუბიექტის უმოქმედობას, უკიდურეს პასიურობას განსაზღვრავს, ბუნებრივად დგება საკითხი წარმოდგენის გ ა ნ მ ა წ ყ ო ბ ე ლ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ფ ა ქ ტ ო რ თ ა შ ე ს ა ხ ებ — რა ფაქტორებზეა დამოკიდებული, რომ გარკვეულ შემთხვევებში წარმოდგენა აქტივობის მსტიმულირებელია — მოქმედებისაკენ უბიძგებს სუბიექტს, მეორე შემთხვევაში პირიქით, აქტივობის მოდუნებას იწვევს; კერძოდ, რამდენად მართებულია საკმაოდ ფართოდ გავრცელებული შეხედულება თითქოს ადამიანის აქტივობის მსტიმულირებელი მოქმედება უმთავრესად წარმოსახვის წარმოდგენის თვალსაჩინოებაზე, მის სინათლეზეა დამოკიდებული?

2

1. ტრადიციულ ფსიქოლოგიაში საკითხი წარმოდგენის განმაწყობელი მოქმედების შესახებ, რასაკვირველია, არც იდგა. რამ-

---

[1] პირველად ასეთი ექსპერიმენტი ჩატარებული გვქონდა 1939 წ. იხ. რ. ნ ა თ ა ძ ე, წარმოდგენით გამოწვეული ფიქსიორებული განწყობის საკითხისათვის, ფსიქოლოგია, ტ. I, 1942.

დენადაც ვიცით, წარმოდგენის საფუძველზე ფიქსირებული განწყობის აღმოცენების სისტემატური კვლევა პირველად 1939 წ. დაიწყო ზემოდასახელებული ექსპერიმენტული გამოკვლევის სახით. (მაგრამ (წარმოდგენის რეალური ქმედითი გამოვლინებების საკითხი ტრადიციულ ფსიქოლოგიასაც აინტერესებდა უმთავრესად ე. წ. ი დ ე ო მ ო ტ ო რ უ ლ ი აქტების სახით, ხოლო უკანასკნელი ოციოდე წლის მანძილზე, წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე რ ი გ ი ო რ გ ა ნ უ ლ ი პ რ ო ც ე ს ე ბ ი ს ს ტ ი მ უ ლ ა ც ი ს ს ა ხ ი თ, ხშირად შეადგენდა ექსპერიმენტული კვლევის საგანსაც. გარდა ამისა, შ თ ა გ ო ნ ებ ი ს მოვლენაც, რომელიც შეისწავლებოდა ექსპერიმენტულადაც, გარკვეული ასპექტით შეიძლება ჩაითვალოს წარმოსაბვის განმაწყობელი მოქმედების გამოვლინებად, რამდენადაც ამ შემთხვევაშიც სხვისი სიტყვების გავლენით წარმოსახულის შესატყვისად იცვლება ქცევა და ფსიქიკურ პროცესთა რიგი: ადგილი აქვს ილუზურ აღქმას, შემცდარ მოგონებას და ა. შ..)

2. რაც შეეხება ე. წ. ი დ ე ო მ ო ტ ო რ უ ლ აქტებს, ამ ცნების პირველი მნიშვნელობა, როგორც ცნობილია, გულისხმობს შემდეგ მოვლენას: მოძრაობის წარმოდგენა ან იდეა იწვევს ამ მოძრაობის შესრულებას ან მისი შესრულების ტენდენციას.

ამ მოვლენას პირველად მიაქციეს ყურადღება შ ე ვ რ ო ლ მ ა და ფ ა რ ა დ ე ი მ გასული საუკუნის 50-იან წლებში. შემდეგ მე-19 საუკუნის ბოლოს ეს მოვლენა ექსპერიმენტულადაც იყო შესწავლილი და კიდევ უფრო გვიან წამოყენებული იყო ამ მოვლენის ასახსნელი თეორიებიც, რომელნიც უპირისპირდებოდნენ იმ ფსიქოლოგების (რიბო და სხვ.) აზრს ვინც უარყოფდა იდეის ასეთ მამოძრავებელ ძალას[1]. ეს იყო უმთავრესად ასოციაციონისტური თეორია, რომლის თანახმად მოვლენის არსი მდგომარეობს მოძრაობის წარმოდგენისა და მოძრაობას შორის ასოციაციური კავშირის დამყარებაში, და განსაკუთრებით ცნობილი ჯ ე მ ს ი ს იდეალისტური თეორია, რომელიც იდეომოტორულ აქტში ნებისმიერი მოქმედების არსს, მის უკანასკნელ საფუძველს ხედავდა და ამდენად ელემენტარულ ვოლუტატურ პროცესად თვლიდა მას. ეს თეორია მიაწერდა იდეას (წარმოდგენას) მოტორული მოქმედების დამოუკიდებელი გამოწვევის უნარს[2].

---

[1] რიბო იდეის მამოძრავებელი ძალის აღიარებას სასწაულის აღიარებას უფარდებდა. იხ. Рибо, Воля в ее нормальном и болезненном состояниях, 1814, 83. 12.

[2] Джемс, Психология.

ორივე ეს თეორია მოძველებულია. თვით მოვლენაც, როგორც გარკვეული მოძრაობის წარმოდგენის განხორციელება სათანადო მოძრაობის სახით, გაცილებით უფრო ვიწროა, ვიდრე ჩვენთვის საინტერესო მოვლენა, რომელიც არა მხოლოდ მოტორული წარმოდგენით სათანადო მოძრაობის სტიმულაციას გულისხმობს, არაჩვეულებრივ წარმოსახვის საზოგადოდ მოქმედებისა და ფსიქიკური პროცესების (მაგალითად, აღქმის) განმპირობებელ, მსტიმულირებელ მოქმედებას.

3. ჩვენს საკითხთან გაცილებით უფრო ახლო დგას იმ გამოკვლევათა სერია, რომელნიც ადასტურებენ წარმოსახული მოქმედების ფიზიოლოგიურ გავლენას ვეგეტატურ პროცესებზე. რაც იდეომოტორული რეაქციის ცნების ფართო გაგებაში იგულისხმება: სისხლის მიმოქცევის ცვლილებები გარკვეული მუშაობის შესრულების მხოლოდ წარმოსახვის შედეგად (ე. ვებერი), თვალის ბაიას რეფლექტორული შევიწროვება სიბნელის წარმოდგენის გამო (კრავკოვი): მუშტის მოკუმშვის წარმოდგენის შედეგად „მოქმედების დენის" («токи действия») აღმოცენება სათანადო კუნთებში და ასე შემდეგ[1].

განსაკუთრებით საგულისხმოა ვ. ეფიმოვის გამოკვლევები[2], სადაც ნაჩვენებია მოქმედების წარმოსახვით გამოწვეულ ვეგეტატურ ცვლილებათა მთელი რიგი: რეალურად უძრავი ადამიანის ბიერ წარმოსახული მუშაობა იწვევს სისხლის წნევის მომატებას, პულსის და სუნთქვის აჩქარებას, სუნთქვის პროცესში გაზთა გაცვლის ინტენსივობის მომატებას, სინათლისადმი ოპტიკური მგრძნობიარობის მომატებას და ასე შემდეგ.

4. ჩვენს საკითხს კიდევ უფრო უახლოვდება გამოკვლევები, რომელნიც არა მხოლოდ ადასტურებენ ორგანულ ცვლილებებს წარმოსახვის საფუძველზე, არამედ არკვევენ წარმოსახული მოძრაობების შედეგად სათანადო გავარჯიშებას შესატყვის მოძრაობებში—ასეთ ვარჯიშს „იდეატორულ ტრენირებას" უწოდებენ.

---

[1] Васильев и Бедицкий. О типах протекания идеомоторн. реакции. Бюл. эксп. биологии и медиц., т. XVII, в. 1, стр. 26 и след. რიგი მონაცემების მოძრაობის წარმოდგენის ფსიქოლოგიური ეფექტის შესახებ მოყვანილია Кресниковн-ის წიგნში: «Очерки физиологии физич. упражнений», 1951.

[2] В. В. Ефимов. Действие воображаемой физической работы на газообмен и сердечно-сосудистую систему человека. Бюллет. эксп. биол. и мед., т. II, в. 1, стр. 55 и след.; აგრეთვე. Ефимов и Жучкова, Уменьшение моторн. хронаксии и т. д., тот же журнал, т. IV, в. 2, стр. 116 и след.

(ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა პუნის გამოკვლევათა რიგი, სადაც დასტურდება გარკვეულ მოძრაობათა და მათ შორის ფიზკულტურულ მოძრაობათა იმდენად მნიშვნელოვანი რეალური გავარჯიშება ამ მოძრაობათა წარმოსახვის პროცესში, რომ ამ გავარჯიშებას პედაგოგიური მნიშვნელობაც ეძლევა ფიზკულტურულ მოძრაობათა სწავლების პროცესში და გარკვეული მნიშვნელობა ეძლევა სამკურნალო ფიზკულტურაში დარღვეულ მოძრაობათა აღდგენის მიმართულებით.)

(პუნის მონაცემების თანახმად იდეატორულ რეაქციებში ხდება „ნებისმიერი მოქმედების შინაგანი განვითარება", რომელიც მთავრდება ნებისმიერი მოქმედების დასრულებისათვის „ფსიქოფიზიკური მზაობის მდგომარეობით"[1]—«Состояние психофизической готовности к завершению волевого акта».

პუნის მონაცემების თანახმად „იდეატორული" ვარჯიში ისე, როგორც ნამდვილი სპორტული ვარჯიში ხასიათდება სუბიექტის ისეთივე აქტიური დამოკიდებულებით,—ისეთივე სწრაფვით მოძრაობის გაუმჯობესებისადმი, მისი სრულქმნისადმი, როგორც რეალური სპორტული ვარჯიში (ტრენირება).

ყველა ეს მონაცემი, როგორც წარმოსახულის შესატყვისი ვეგეტატური ცვლილებების შესახებ, ისე, განსაკუთრებით, სუბიექტის „იდეატორული გავარჯიშების" შესახებ მოძრაობათა წარმოსახვის პროცესში, უეჭველად ადასტურებს მოსაზრებას წარმოსახვის ადამიანის აქტივობის მსტიმულირებელი მოქმედების განწყობისეული ბუნების შესახებ—წარმოსახულის საფუძველზე სათანადო განწყობის აღმოცენების შესახებ, და მით უფრო გადაუდებელს ხდის ამ საკითხის სპეციალურ ექსპერიმენტულ გაშუქებას.

5. ფანტაზიის წარმოდგენების ადამიანის აქტივობის მსტიმულირებული მოქმედების, როგორც ამ წარმოდგენათა განწყობილი მოქმედების გაგებას არ ეწინააღმდეგება ის ექსპერიმენტული ფაქტებიც, რომელიც დადგენილია შთაგონების ისეთ, შეიძლება ითქვას, კლასიკურ გამოკვლევებში, როგორიცაა ბინეს ცნობილი მონოგრაფია[2] და ვ. შტერნის გამოკვლევები[3].

---

[1] А. Н. Пуни. Об активной роли представлений в процессе овладения двигательными навыками, журн. «Теория и практика физич. культуры», т. X, в. 9. 1947. А. Н. Пуни. Роль представлений в формировании двигательных навыков л. 1957, стр. 11 и сл.

[2] Binet La suggestibilité, 190°.

[3] იხ ბიბლიოთად W. Stern. Erinnerung, Aussage und Lüge in der Erster Kindheit, 1931.

პირველში დადგენილი და შესწავლილია ექსპერიმენტატორის სიტყვების ზეგავლენით ილუზური აღქმის გამოწვევის ფაქტები—არ არსებული წერტილის დანახვა, არ არსებული სუნის შეგრძნება და ა. შ. ხოლო ვ. შ ტ ე რ ნ ი ს გამოკვლევებში . ექსპერიმენტატორის შეკითხვის ზეგავლენით მოგონების დამახინჯების ფაქტები: სუბიექტი არასწორად, „ილუზურად" იგონებს ნანახს.

თუ ამგვარი გამოკვლევების მთავარ ზოგად შედეგად მივიჩნევთ შთაგონების ვ. შტერნის მიერ ხაზგასმულ არსებით ნიშანს, რომლითაც იგი შთაგონებას სწავლისა და აღზრდის მოვლენებისაგან ასხვავებს, სახელდობრ თუ შთაგონების მთავარ დამახასიათებელ მომენტად ჩავთვლით შთამგონებელის ზეგავლენით მთლიან პიროვნული შინაგანი „პოზიციის დაჭერას" (Stellungnahme) შთაგონებულის მიერ[1], მაშინ ცხადია, შთაგონების აღნიშნული კვლევის შედეგებიც შთაგონების პროცესში ფანტაზიის წარმოდგენათა განმაწყობელი მოქმედების განსაკუთრებული როლის სასარგებლო ფაქტობრივ არგუმენტად უნდა ჩაითვალოს. შთაგონების კვლევის ეს შედეგიც კიდევ უფრო აქტუალურს ხდის წარმოსახვის განმაწყობელი მოქმედების ექსპერიმენტული კვლევის ამოცანას.

---

[1]. W. S t e r n, Allgemeine Psychologie auf personalistischer Grundlage, 1950, გვ. 625 და შემდ.

თავი პირველი

ფაქტის დადგენა

1. საკითხი

თავდაპირველად ჩვენს წინ დადგა მარტივი, მაგრამ შემდეგი კვლევა-ძიებისათვის აუცილებელი ამოცანა: სახელდობრ, ექსპერიმენტულად უნდა დაგვედგინა წარმოსახვის საფუძველზე ფიქსირებული განწყობის შემუშავების ფაქტი: წარმოდგენის საფუძველზე ფიქსირებული განწყობის აღმოცენების შესაძლებლობა, რომელიც მანამდე თეორიულად იყო დაშვებული, უნდა დადგენილიყო ექსპერიმენტულად.

უფრო კონკრეტულად: ჩვენს წინ დადგა საკითხი—თუ შეუშავდება სათანადო ფიქსირებული განწყობა იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტი საგანწყობო ცდებში რამდენიმეჯერ ზედიზედ შეადარებს არა აღქმულ., არამედ მხოლოდ წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი (წარმოსახული) ობიექტების განსხვავებულ სიდიდეებს ან სიმძიმეებს?

თუ ფიქსირებული განწყობა ამ შემთხვევაშიც აღმოცენდება, ეს უნდა გამოვლინდეს საკონტროლო ცდებში მიწოდებული ტოლი ობიექტების არატოლად (ილუზურად) აღქმის სახით.

2. მეთოდი

საკითხის გამოსაკვლევად შემდეგ მეთოდს მივმართეთ:

1. ფიქსირებული განწყობის კვლევის ძირითადი ცდების შედეგებთან ზუსტი შედარების შესაძლებლობა რომ გვქონოდა, ცდის პირს ვავალებდით ისეთ ობიექტთა წარმოდგენას და წარმოდგენაში შედარებას, რომელიც დ. უზნაძის ძირითად ცდებში გამოიყენებოდა.

ცდები ორ სერიას შეიცავდა: პირველ სერიაში (ჰაპტური ილუზია) ვთხოვდით თვალდახუჭულ ცდის პირს წარმოედგინა ორივე გაწვდილ ხელში ხის ბურთები—ერთში დიდი, მეორეში ძალიან პატარა ბურთი, და ამ წარმოდგენის 15 გამეორების შემდეგ, როგორც დ. უზნაძის ძირითად ცდებში, ვაძლევდით ისევ თვალდახუჭულ ცდის პირს ორივე ხელში ტოლ ბურთებს. ცდის პირს უნდა შეეფასებინა ამ ბურთების შედარებითი სიდიდე.

2. ცდის მეორე სერიაში (ოპტიკური სფერო) ცდის პირს ღიესვამდით ეკრანის წინ და ვთხოვდით წარმოედგინა ამ ეკრანზე ჩვენ მიერ ნაჩვენებ ადგილებზე დიდი და პატარა წრე. ამ წარმოდგენის 15 გამეორების შემდეგ ეკრანის დანიშნულ ადგილას ეპიდიასკოპურად ვახდენდით ტოლი წრეების (ე. ი. კრიტიკული წრეების) ექსპოზიციას. ცდის პირს უნდა შეეფასებინა ამ ორი წრის შედარებითი სიდიდე.

3. ცდების თითოეული სერია ცდის ორ ვარიანტს შეიცავდა: ცდის პირების ნაწილს მოეთხოვებოდა ორივე სერიაში წარმოსადგენი საგანწყობო ობიექტის მხოლოდ წარმოდგენა, მისი აღქმის გარეშე, ე. ი. თითონ წარმოსადგენ ობიექტს ცდების ამ ვარიანტში ცდის პირი არ აღიქვამდა. ეს არის ცდის A ვარიანტი.

მეორე ვარიანტში საგანწყობო ობიექტები—დიდი და პატარა ბურთი ხელში ან დიდი და პატარა წრე ეკრანზე—ცდის პირს წინასწარ ერთხელ ეძლეოდა აღსაქმელად და მხოლოდ ამის შემდეგ მოეთხოვებოდა ამ საგანწყობო ობიექტების წარმოდგენა (15-ჯერ).

ცდის მეორე ვარიანტზე ე. ი. B ვარიანტზე, გადავედით მხოლოდ მას შემდეგ, რაც დავრწმუნდით, რომ ჩვენს ცდის პირებს (თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტებს) ხშირად უჭირთ საგანწყობო ობიექტების საკმაო ცოცხალი წარმოდგენა, თუ მას არ უსწრებდა წინ სათანადო საგნების აღქმა, და ამ გზით შექმნილი განწყობა ჩვეულებრივ მეტად სუსტი იყო.

ცდების დაყენებას წინ უსწრებდა ხოლმე კრიტიკული ობიექტების აღქმის ადეკვატობის შემოწმება: ცდის პირს შესაფასებლად ეძლეოდა უპირველეს ყოვლისა კრიტიკული ობიექტები (ტოლი ბურთები ან ტოლი წრეები). იმ შემთხვევაში, როდესაც

ცდის პირი ვერ აღიქვამდა ამ ტოლ ობიექტებს ადეკვატურად, ე. ი. როდესაც გამოიჩენდა ერთ-ერთი მიმართულებით გადაფასების ტენდენციას, ჩვენ ამას უწევდით ანგარიშს შემდეგ საგანწყობო ცდებში და ამ გზით ამოვრიცხავდით შესაძლო შეცდომას, ე. ი. ამოვრიცხავდით გადაფასების იმთავითვე მოცემული ტენდენციის გამოვლენის აღრევას ფიქსირებული განწყობის გამოვლენასთან. ცდის მეორე ვარიანტში ეს შემოწმება ხდებოდა ხოლმე ცდის ჩატარების შემდეგ, სახელდობრ რამდენიმე კვირის შემდეგ.

4. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ცდის მიმდინარეობაში მალე გამოირკვა მიცემული ინსტრუქციის ფორმულირების დიდი მნიშვნელობა: როგორც წესი შედეგი უარყოფითი იყო, ე. ი. განწყობისეული ილუზიაარ იჩენდა თავს მაშინ, როდესაც ინსტრუქციაში ცდის პირებს ევალებოდათ აღწერილ საგანთა მ ხ ო ლ ო დ წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა. ეს მდგომარეობა იცვლებოდა როდესაც ინსტრუქციაში ხაზგასმით აღინიშნებოდა, რომ ცდის პირმა წარმოდგენილი ობიექტები და მათი განსხვავება უნდა „გ ა ნ ი ც ა დ ო ს“: „განიცადეთ რაც შეიძლება ცხადათ, თითქოს მართლაც გიჭირავთ ხელში...“, ანდა შემდეგ ცდებში, სადაც ც. პ-ს მოეთხოვებოდა სიმძიმეების შედარება „მოატყუილეთ თავი თითქოს ეს უფრო მძიმეა, ვიდრე ეს“, „განიცადეთ თითქოს ეს უფრო მძიმეა და თითქოს ამ ხელით მართლა სწევთ მძიმე საგანს, ამით კი სულ მსუბუქს“.

ასეთი ინსტრუქციის მიწოდების შემდეგ ცდის პირების უკვე დიდმა პროცენტმა კრიტიკულ ცდაში გამოავლინა ფიქსირებული განწყობა; განწყობისეული ეფექტის მიღება შედარებით ადვილად ხდებოდა.

ეს პირველი ცდები ჩატარებული იყო 1939 წ. თბილისის პუშკინის სახელობის ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტებზე. ცდის პირველი სერია (ჰაპტური სფერო) ჩატარებული იყო 59 ცდის პირზე, ხოლო მეორე სერია (ოპტიკური სფერო) 49 ცდის პირზე.

3. ცდების ზოგადი შედეგები

1. პირველი და მთავარი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ ექსპერიმენტულად დამტკიცდა ფაქტი ფიქსირებული განწყობის შემუშავებისა საგანწყობო ობიექტების წარმოდგენის საფუძველზე. ც დ ე ბ ი ს ო რ ი ვ ე ს ე რ ი ა ში დ ა თ ი თ ო ე უ ლ ი ს ე რ ი ი ს ო რ ი ვ ე ვ ა რ ი ა ნ ტ ში ა ღ ქ მ ი ს გ ა ნ წ ყ ო ბ ი ს ე უ ლ ი

• ლ უ ზ ი ა გ ა მ ო ვ ლ ი ნ დ ა წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი თ შ ე ქ მ ნ ი ლ ი ფ ი ქ ს ი რ ე ბ უ ლ ი გ ა ნ წ ყ ო ბ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე.

მართალია, ამ პირველ ცდებში წარმოდგენით ფიქსირებული განწყობის შემუშავება დადასტურდა არა ყველა ცდის პირთან—შეიძლება ითქვას ცდის პირების შედარებით მცირე ნაწილთან (ცდების პირველი სერიის პირველ ვარიანტში—35,3%, მეორე ვარიანტში—71,4%; მეორე სერიაში შესატყვისად—23,5% და 42,2%), მაგრამ ეს გარემოება რა თქმა უნდა თვით ფაქტს საღავოდ არ ხდის.

სანამ შევეხებოდეთ ბუნებრივად წამოჭრილ საკითხს—რატომ ყველა ცდის პირს არ შეუმუშავდათ ფიქსირებული განწყობა წარმოდგენის საფუძველზე, თუ კი ამ გზით განწყობის შემუშავება ადამიანთა საერთო სპეციფიკას შეადგენს (ამის შესახებ იხ. ქვემოთ, თავი მეშვიდე), განვიხილოთ ჯერ სულ მოკლედ ამ პირველი ექსპერიმენტული გამოკვლევის ძირითადი მონაცემები.

2. დიდი აღმოჩნდა განსხვავება ცდის ორი ვარიანტის შედეგებს შორის. სახელდობრ, A ვარიანტის შემთხვევაში 17 ცდის პირიდან კრიტიკულ ცდებში ილუზია დადასტურდა მხოლოდ 6 ცდის პირზე, ე. ი. 35,3%-ის შემთხვევაში, ხოლო უმრავლესობაზე სახელდობრ 11 ცდის პირთან (64,7%) ილუზია არ დადასტურდა.

სულ სხვა სურათს იძლევა ცდების B ვარიანტი: 42 ცდის პირიდან კრიტიკულ ცდებში ილუზია დადგინდა 30 ცდის პირზე. ე. ი. ცდის პირების 71,4%-ის შემთხვევაში; დანარჩენ 12 ცდის პირზე, რაც 28,6%-ს შეადგენს, ილუზია არ დადასტურდა.

ასეთია ცდის პირველი სერიის შედეგები, სადაც ცდის პირებს მოეთხოვებოდა ბურთების ჰ ა პ ტ უ რ ი აღქმის წარმოდგენა.

დაახლოებით ასეთივეა მიმართება ცდის პირველ და მეორე ვარიანტს შორის მეორე სერიაშიც, სადაც ცდის პირებს მოეთხოვებოდათ საგანწყობო წრეების ო პ ტ ი კ უ რ ი წარმოდგენა. 49 ცდის პირიდან, რომელზედაც იყო დაყენებული ცდების ეს სერია 17 ცდის პირზე ცდა დაყენებული იყო პირველი ვარიანტით (A), ხოლო 32 ცდის პირზე მეორე (B) ვარიანტით. პირველ ვარიანტში 17 ცდის პირიდან კრიტიკულ ცდებში ილუზია დადასტურდა მხოლოდ 4 ცდის პირზე, ე. ი. ცდის პირების 23,5%, დანარჩენ 13 ცდის პირზე, რაც 76,5%-ს შეადგენს, ილუზია სულ არ დადასტურდა.

ცდების B ვარიანტში 38 ცდის პირიდან ილუზია დადასტურდა 16 ცდის პირზე, ე. ი. 42,2%-თან, დანარჩენ 22 ცდის პირზე, ე. ი. ცდის პირების 57,8%-ზე, ილუზია არ დადასტურდა.

ამრიგად, თუმცა საზოგადოდ ოპტიკურ სფეროში, ე. ი. ცდის მეორე სერიაში ილუზიის პროცენტი ნაკლებია, ვიდრე ჰაპტურ სფეროში (პირველ სერიაში), მაგრამ აქაც ცდების B ვარიანტში ილუზია გაცილებით უფრო გავრცელებულია, ვიდრე A ვარიანტში, ე. ი. საგანწყობო ობიექტის ერთგზის აღქმის შემდეგ მისი განმეორებითი წარმოდგენის გამოწვევა გაცილებით უფრო ადვილად ხდება, ვიდრე იმ შემთხვევაში როდესაც ამ ობიექტის წარმოდგენას წინ არ უსწრებს მისი აღქმა.

3. ამრიგად, ცხადია, რომ ჩვენი ახალგაზრდა ცდის პირების დიდ ნაწილს გაუჭირდა განწყობის შემუშავება წარმოსახვის გზით იმ შემთხვევაში, როდესაც საგანწყობო ობიექტის წარმოსახვას არ უსწრებდა წინ ამ ობიექტთა აქტუალური აღქმა, ე. ი. ცდების ორივე სერიის A ვარიანტებში; ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ცდის პირებმა ერთხელ მაინც აღიქვეს საგანწყობო ობიექტები და ამით გაიადვილეს საგანწყობო ობიექტების თვალსაჩინო და ნათელი წარმოდგენა, ფიქსირებული განწყობის შემუშავებაც წარმოსახვის საფუძველზე შედარებით ფართოდ გავრცელდა — 71% და 42% (საწინააღმდეგო შედეგების შესახებ ზოგიერთ პირთან, იხ. თავი IV).

ცდის პირთა გამოკითხვიდან გამოირკვა, რომ უმრავლესობას ძალიან უჭირდა სათანადო ობიექტების ცხოველი, თვალსაჩინო წარმოდგენა, განსაკუთრებით გაუჭირდათ ხელებში სათანადო ბურთების დაჭერის თვალსაჩინო წარმოდგენა. ამოცანა მნიშვნელოვნად გაადვილდა როდესაც ცდის პირებმა აღიქვეს სათანადო საგნები მანამდის, სანამ წარმოიდგენდნენ მათ. სწორედ ამ გარემოებამ გვაიძულა ცდაში მეორე ვარიანტიც შეგვეტანა.

შესაძლებელია ვინმემ იგულისხმოს, რომ B ვარიანტში განწყობას იწვევს საგანწყობო ობიექტის ერთგზის ა ღ ქ მ ა და არა ის 15 წარმოდგენა, რომელსაც ამის შემდეგ აქვს ადგილი, მით უმეტეს, რომ ჩვენი უნივერსიტეტის ლაბორატორიის ცდებში დადასტურებული იყო შემთხვევები ილუზიის გამოწვევისა საგანწყობო მასალის ერთგზის აღქმის შემდეგ, მაგრამ ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება საქმის ნამდვილი ვითარება: ერთგზის აღქმით ილუზიის გამოწვევა იშვიათი მოვლენაა, ჩვენს ცდებში კი ჰაპტურ სფეროში იგი 71%-ს აღწევს. გარდა ამისა, იმ იშვიათ შემთხვევაში, როდესაც ილუზია ერთხელობრივი აღქმის შემდეგ დასტურდება, იგი თავს

ჩენს უშუალოდ საგანწყობო ობიექტის აღქმის შემდეგ, ოლო ჩვენს ცდებში საგანწყობო აღქმა და კრიტიკული აღქმა ილუზია) დაშორებულია შვიდიოდე წუთის ინტერვალით, რომ-ლის მანძილზე 15-ჯერ ვიწვევთ ცდის პირში საგანწყობო საგნ-ის წარმოდგენას.

ამას გარდა იმ ცდის პირებზე, რომელზედაც ჩვენი ცდებით ძლი-ერი ილუზია დასტურდება ცდების B ვარიანტში, ჩვენ ვცადეთ სხვა დროს ილუზიის გამოწვევა ერთხელობრივი აღქმით და სრუ-ლიად არაეითარი ილუზია არ მივიღეთ.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი მოსაზრება უნდა უკუგდებულ იქნეს: ცდის ორივე ვარიანტში განწყობა გამოწვეულია წარმოდ-გენით და არა აღქმით. მაგრამ განსხვავება ის არის, რომ პირ-ველ ვარიანტში ცდის პირების წარმოდგენები უფრო წარმოსახვი-თი ბუნებისაა, ვიდრე რეპროდუქციულის, ყოველ შემთხვევაში უშუალოდ მათ არ უსწრებს წინ იმ ობიექტის აღქმა, რომლის წარმოდგენის. საფუძველზე უნდა შეიქმნას განწყობა. მეორე ვა-რიანტში კი პირიქით, წარმოდგენა, რომელიც ქმნის განწყობას ძი-რითადში საგნის აქტუალური აღქმის რეპროდუქციის გზით აიგება.

თუმცა უნდა ითქვას, რომ როგორც ეს ცდის პირთა გამო-კითხვიდან გამოირკვა, ხშირად საგანწყობო ცდებში წარ-მოდგენილი ობიექტები სულაც არ წარმოადგე-ნენ პირველი აღქმის რეპროდუქციას. პირიქით, ხშირად, ცდის პირი ცდილობს დიდი ობიექტი ბევრად უფრო დი-დად წარმოიდგინოს, ვიდრე იგი იყო აღქმული, და პატარა ბევრად უფრო პატარად. მაგრამ საგანთა ერთხელობრივი აღქმა, ცდის პირთა ჩვენებების თანახმად, მაინც აადვილებს ამ დიდი და პატარა ობიექტის ცხოველ და თვალსაჩინო წარმოსახვას. იგი აძლევს ამ წარმოდგენას რაღაცა უფრო „ნამდვილ“ ხასიათს. ყოველ შემ-თხვევაში, უდავოა, რომ საჭირო ობიექტთა და მათი საშუალებით მანიპულაციის თვალსაჩინო წარმოდგენას ცდის პირთა უმრავლე-სობას უადვილებს სათანადო საგანთა წინასწარი აქტუალური აღქ-მა. შესაძლებელია ასეთი აღქმის შემდეგ ცდის პირებს ეადვილე-ბოდეს წარმოსახულის როგორც რეალურად არსებულ-ის გულისხმობა (იხ. ქვემოთ, თავი მეოთხე).

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფაქტი, ე. ი. ცდის პირთა უმრავლესობის მიერ აქტუალური აღქმის შემდეგ სათანადო ობიექტთა უფრო ადვილი თვალსაჩინო წარმოდგენა, ჯერ არ გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ ცდების B ვარიანტში განწყობის გამოწვევის გაერცელება საგანწყობო ობიექტთა უფრო

თვალსაჩინო წარმოდგენით აიხსნებოდეს და რომ, მაშასადამე, თითოეულ საგანწყობო წარმოდგენის თვალსაჩინოების ხარისხი განსაზღვრავდეს ამ წარმოდგენის საფუძველზე ფიქსირებული განწყობის გამოწვევას. ასეთი დასკვნა ჯერ ნაადრევი და დაუსაბუთებელი იქნებოდა: ჯერ ერთი, ამ ცდაში პირდაპირ დადასტურდა მხოლოდ ის ფაქტი, რომ საგანწყობო საგნის წინასწარი აქტუალური აღქმის შემთხვევაში მისი წარმოდგენის საფუძველზე სათანადო განწყობა უფრო ადვილად აღმოცენდება, მაგრამ რა მომენტი იცვლება ამ წარმოდგენაში ობიექტის წინასწარი აღქმის გამო, ეს აღწერილ ცდაში ჯერ არ არის გამორკვეული. შესაძლებელია წარმოდგენის თვალსაჩინოების გარდა სხვა მომენტებიც იცვლებოდეს, კერძოდ, ადვილი შესაძლებელია, რომ საგანწყობო ობიექტთა პირველად აქტუალური აღქმა აპირობებს ამ ობიექტთა შემდგომი წარმოდგენის დროს წარმოდგენილის რეალური მოცემულობის გულისხმობას, რაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, წარმოდგენის საფუძველზე განწყობის შემუშავების ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს.

ყოველ შემთხვევაში ეს საკითხი სპეციალურ კვლევას მოითხოვს. ასეთი კვლევის შედეგებს ჩვენ ქვემოთ შევეხებით მეოთხე თავში.

4. ყურადღებამისაქცევია ამ პირველი ცდების შედეგებში შემდეგი ფაქტიც.

მოყვანილი მასალის ზოგადი განხილვიდან აშკარა განსხვავება ჩანს განწყობის შემუშავების გავრცელებაში ჰაპტურ და ოპტიკურ სფეროებს შორის. სახელდობრ, როგორც ზემოთ დავინახეთ ჰაპტურ სფეროში წარმოდგენით გამოწვეული განწყობის საფუძველზე ილუზია გაცილებით უფრო დიდი პროცენტით იჩენს თავს, ვიდრე ოპტიკურ სფეროში: A ვარიანტში 35,3% და 23,5%, ხოლო B ვარიანტში 71,4% და 42,2%.

როგორც ჩანს ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ბრავალგზის დადასტურდება კანონზომიერების გამოვლენასთან: როგორც ცნობილია, ჰაპტურ სფეროში ა ქ ტ უ ა ლ უ რ ი ა ღ ქ მ ი თ გამოწვეული განწყობა უფრო გავრცელებულია, ვიდრე ოპტიკურ სფეროში: ჰაპტურ სფეროში, იგი, როგორც წესი, ყველა ცდის პირზე დასტურდება, ხოლო ოპტიკურ სფეროში ზოგიერთი გამოკვლევის თანახმად 80%-მდე ჩამოდის. მაგრამ, ცხადია, რომ ეს განსხვავება ჩვენს შემთხვევაში, ე. ი. წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი თ გამოწვეული განწყო-

ის შემთხვევაში მეტია, ვიდრე აქტუალური აღქმით გამოწვეული განწყობის შემთხვევაში.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ ორ სფეროში წარმოდგენით გამოწვეული განწყობა აშკარად განსხვავდება თავის სიმტკიცითაც.

4. წარმოდგენით გამოწვეული განწყობის ძირითადი თავისებურებები

ამ პირველი ცდების შედეგებიდან აღსანიშნავია წარმოდგენით გამოწვეული ფიქსირებული განწყობის შემდეგ თვისებათა დადგენა.

განწყობის სიმტკიცე. წარმოდგენით გამოწვეულ ფიქსირებულ განწყობას ახასიათებს სუსტი სიმტკიცე.

სახელდობრ, მიღებული რიცხობრივი მონაცემებიდან[1] წარმოდგენით გამოწვეული განწყობის სიმტკიცე შემდეგი სახით გვეხატება.

საზოგადოდ, წარმოდგენის ნიადაგზე აღძრული განწყობა შედარებით სუსტია. ამ გზით შემუშავებული განწყობა ზემოაღწერილ ცდებში დიდ სიმტკიცეს აღწევს მხოლოდ ჰაპტურ სფეროში საგანწყობო ობიექტის აღქმის შემდეგ წარმოდგენის გზით გამოწვევის შემთხვევაში (ცდის B ვარიანტი). ამ პირობებში განწყობის გამოწვევის ყველა შემთხვევიდან ცდის პირთა მეოთხედთან ილუზია დაუსრულებელ ხასიათს ღებულობს (8 ცდის პირი—26%), უსუსტესი ილუზია (ილუზია, რომელიც მხოლოდ ერთეულ ექსპოზიციაზე ვრცელდება), მხოლოდ 13%-ით იჩენს თავს, სუსტი და უსუსტესი ერთად (1—8 ექსპოზიცია) ცდის პირების ნახევარსაც არ ახასიათებს (43.3%).

რაც შეეხება უაღქმოდ გამოწვეულ განწყობასა და ოპტიკურ სფეროში ცდის ორივე ვარიანტში გამოწვეულ განწყობას, იგი უკიდურესად სუსტია: ჰაპტურ სფეროში აღქმის გარეშე გამოწვეული განწყობის შემთხვევაში 6 ცდის პირიდან მხოლოდ ორთან დადასტურდა ძლიერი ილუზია, და ერთთან სუსტი, დანარჩენებთან (50%) მხოლოდ უსუსტესი ილუზია გამოვლინდა.

ოპტიკურ სფეროში ცდის B ვარიანტში (წარმოდგენა აღქმის შემდეგ) ერთი ცდის პირის გარდა ყველასთან (93,8%) სუსტი ილუზია დადასტურდა, ხოლო ცდის პირების ორ მესამედთან (68,8%) უსუსტესი ილუზია დადგინდა. მარტო ერთადერთ ცდის პირზე

---

[1] დეტალურად იხ. — რ. ნათაძე, წარმოდგენით გამოწვეული ფიქსირებული განწყობის საკითხისათვის, ფსიქოლოგია, ტ. I, გვ. 5.

(16-დან) დადასტურდა საკმაოდ ხანგრძლივი ილუზია. დაუსრულებელი და საშუალო სიძლიერის ილუზიის არც ერთი შემთხვევა ამ ჩვენს ცდებში არ ყოფილა.

ოპტიკური სფეროს ცდის A ვარიანტში, ე. ი. საგანწყობო ობიექტის აღქმის გარეშე დაყენებულ ცდებში, 4 ცდის პირიდან 3-ს ილუზია უსუსტესი აღმოაჩნდა, ე. ი. მხოლოდ ერთეულ ექსპოზიციებზე გავრცელდა. ძლიერმა ილუზიამ მხოლოდ ერთ ცდის პირთან იჩინა თავი.

ამრიგად, წარმოდგენით გამოწვეულ ფიქსირებულ განწყობას, როგორც წესი, რომელიც იგუებს გამონაკლისს, შედარებით უფრო სუსტი, ნაკლებ მტკიცე ხასიათი აქვს, ვიდრე აქტუალური აღქმით გამოწვეულ ფიქსირებულ განწყობას. თუმცა უფრო გვიანდელ ცდებში მიღწეული იყო წარმოსახვით ფიქსირებული განწყობის შექმნის 100%-იანი გავრცელება და ხშირად მტკიცე ხასიათის ილუზიებიც (იხ. ქვემოთ, თავი IV და VII), მაგრამ დებულება საზოგადოდ ამ გზით შემუშავებული ფიქსირებული განწყობის უფრო სუსტი ხასიათის შესახებ აქტუალური აღქმით გამოწვეულ ფიქსირებულ განწყობასთან შედარებით, ძალაში რჩება.

შემდეგი უკანელი შედეგი, რომელიც მიღებული რიცხვებიდან გამომდინარეობს, ეხება ცდების A და B ვარიანტებს შორის სხვაობას. როგორც დავინახეთ, ცდების ორივე სერიაში აღქმის გარეშე წარმოდგენით გამოწვეული განწყობა უფრო სუსტ ფორმაში ვლინდება, ვიდრე აღქმის შემდეგ წარმოდგენით გამოწვეული განწყობა, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ ჰაპტურ სფეროში იჩენს თავს.

როგორც მოსალოდნელიც იყო განწყობის სიმტკიცე განსხვავებული აღმოჩნდა ჰაპტურ და ოპტიკურ სფეროშიც.

	ცდების B ვარიანტები	
	ოპტიკური სფერო	ჰაპტური სფერო
უსუსტესი ილუზია	68,8%	13%
დაუსრულებელი ილუზია	0	26%

გარდა იმ საზოგადო კანონზომიერებისა, რომლის გამოც აქტუალური აღქმით გამოწვეული ფიქსირებული განწყობაც ჰაპტურ სფეროში, უფრო მტკიცეა ვიდრე ოპტიკურში, ჩვენს ცდებში, როგორც ჩანს, გარკვეულ როლს თამაშობს კიდევ სხვა ფაქტორიც, ვინაიდან ეს განსხვავება ჰაპტურ და ოპტიკურ სფეროებს შორის ჩვენს ცდებში მეტად დიდია. შესაძლებელია ერთ-ერთი ასეთი ფაქტორის როლს ის გარემოება ასრულებს, რომ ცდის

პირების უმრავლესობა დიდი და პატარა ბურთის ჰაპტური წარმოდგენის დროს შესატყვის მოძრაობას ასრულებს—შესაფერ მდგომარეობაში აყენებს ხელის თითებს—თითქოს ერთ ხელში დიდი ბურთი უჭირავს, მეორეში კი პატარა: ერთი ხელის თითები უფრო მოკუმშულია, ვიდრე მეორისა. ასეთი მოძრაობების შესრულების ფაქტორზე ქვემოთ დეტალურად შევჩერდებით. თითების ეს მოძრაობა განსაკუთრებით ენერგიულია მაშინ, როდესაც ცდის პირს უჭირს ბურთების ნათლად წარმოდგენა და ცდილობს მიაღწიოს ამას წარმოსადგენი მოქმედების „გათამაშებით“.

გ ა ნ წ ყ ო ბ ი ს ა გ ზ ნ ე ბ ა დ ო ბ ა. რამდენად ადვილად ალიძვრის განწყობა წარმოდგენის საფუძველზე?

ამ საკითხის გამოსარკვევად ჩვენ ვცადეთ ამ პირველ ცდებში განწყობის გამოწვევა საგანწყობო წარმოდგენის 5 გამეორებით, ე. ი. საგანწყობო საგნის წარმოდგენის 5-ჯერ გამოწვევით. ცდა იყო დაყენებული მხოლოდ ჰაპტურ სფეროში და მხოლოდ იმ 13 ცდის პირზე, რომელზედაც ძირითად ცდებში ფიქსირებული განწყობის შემუშავება წარმოდგენის საფუძველზე სრულიად მკაფიო და გარკვეული სახით დადასტურდა.

ამ საგანგებოდ შერჩეულ 13 ცდის პირიდან 5 საგანწყობო წარმოდგენის შემდეგ ილუზია მხოლოდ 3 ცდის პირთან დადასტურდა, რაც ამ ცდის პირების 23%-ს შეადგენს. როგორც ცნობილია უნივერსიტეტის ფსიქოლოგიური ლაბორატორიის ძირითადი ცდებიდან, ილუზიის გამოწვევა აქტუალური აღქმით ჰაპტურ სფეროში ერთეული ექსპოზიციებით ხერხდება.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი ცდის შედეგად სამივე შემთხვევაში აღძრული განწყობა უსუსტესი აღმოჩნდა. სახელდობრ, ერთი ცდის პირის შემთხვევაში ილუზია გავრცელდა 3 კრიტიკულ ექსპოზიციაზე, მეორე ცდის პირის შემთხვევაში—2 ექსპოზიციაზე და მესამე შემთხვევაში ერთ ექსპოზიციაზე.

ამრიგად, წარმოდგენით გამოწვეული ფიქსირებული განწყობის ერთ-ერთ თავისებურებას მის სისუსტესთან ერთად მისი დაბალი აგზნებადობა, მისი გამოწვევის სიძნელე, წარმოადგენს.

უნდა ითქვას, რომ წარმოსახვით განწყობის შემუშავების ცვლევისას შემდეგში ჩვენ ისეთი ცდის პირებიც შეგვხვდა, რომელნიც ფიქსირებულ განწყობას იმუშავებენ 1—2 წარმოდგენის შედეგად, მაგრამ ეს იშვიათი გამონაკლისები საერთო წესზომიერებას ვერ ცვლიან.

 განწყობის სტაბილობა. რამდენად სტაბილურია, რამდენად გამძლეა დროში წარმოდგენით გამოწვეული განწყობა?

15 საგანწყობო წარმოდგენით (საგნის ერთხელობრივი აღქმის შემდეგ) შექმნილი განწყობის დროში გავრცელების შესაწყვეტად კრიტიკულ ობიექტებს ცდის პირს ვაძლევდით 5—15 წუთიანი პაუზის შემდეგ.

ცდა დაყენებული იყო ისევ მხოლოდ ჰაპტურ სფეროში და ისევ იმ 13 ცდის პირზე, რომლებზედაც ძირითად ცდაში მკაფიო ილუზია დადასტურდა.

ამ საგანგებოდ შერჩეული 13 ცდის პირიდან 5—15 წუთიანი პაუზის შემდეგ ილუზია მხოლოდ 5 ცდის პირზე დადასტურდა, ე. ი. ცდის პირთა 38,4%-თან და ისიც, ერთი შემთხვევის გარდა, უსუსტესი ილუზიის სახით: ორ ცდის პირთან ორ-ორი ილუზია დადასტურდა, ორ ცდის პირზე თითო-თითო ილუზია, მხოლოდ ერთ ცდის პირთან იგი დაუსრულებელი ილუზიის სახით გამოვლინდა.

შემდეგში წარმოებული კვლევის პროცესში ჩვენ შეგვხვდა ცალკე პირები, რომელსაც წარმოდგენის საფუძველზე შექმნილი ფიქსირებული განწყობა დღეებისა და კვირეების შემდეგაც ვლინდება (იხ. თავი მეოთხე), მაგრამ ასეთი სუბიექტები, როგორც ჩანს გამონაკლისს წარმოადგენენ, საერთოდ კი უნდა ვიგულისხმოთ, რომ წარმოდგენით გამოწვეული განწყობის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება—მისი ლაბილობაა: იგი გაცილებით ნაკლებ სტაბილურია, ნაკლებ გამძლეა დროში, ვიდრე აქტუალური აღქმის საფუძველზე აღძრული განწყობა.

განწყობის ირადიაცია. როგორც ქვემოთ დავინახავთ (თავი მეექვსე) წარმოსახვით შექმნილ ფიქსირებულ განწყობას დიდი ირადიაცია ახასიათებს: წარმოსახვით შექმნილი ფიქსირებული განწყობა თითქმის 100%-ის შემთხვევაში ჰაპტურ სფეროზედაც ვრცელდება.

განწყობის ჩაქრობის პროცესი. განწყობის ჩაქრობის პროცესი მეტად მცირე-მასალაზე გვქონდა ნარკვევი და ისიც უმთავრესად ჰაპტურ სფეროში: ნახევარზე ცოტა მეტ შემთხვევაში იგი ტლანქ-დინამიკურ ხასიათს ატარებს: პირველი ფაზიდან უკანასკნელზე, ე. ი. ადეკვატურ აღქმაზე გადადის. უფრო იშვიათია პლასტიკურ-დინამიკური ხასიათის მიმდინარეობა.

ხაზგასასმელია, რომ წარმოსახვით შემუშავებულ ფიქსირებულ განწყობას ძალიან ხშირად საგანწყობო ილუზიის ასიმილაციური სახით ვლინდება, რაც განსაკუთრებით მაშინ იჩენს

თავს, როდესაც საგანწყობო ცდებში ცდის პირი საგანწყობო ობიექტის თვალსაჩინო წარმოდგენას მხოლოდ უკიდურესი დაძაბულობით აღწევს (იხ. თავი მეორე).

არ შეიძლება არ აღინიშნოს ხაზგასმით, რომ წარმოდგენით ფიქსირებული განწყობის შემუშავების ის მცირე პროცენტი, რომელიც ეს-ეს არის განხილულ ცდებში დადასტურდა, არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოდ დამახასიათებლად ამ გზით განწყობის შემუშავებისათვის. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ცდის პირების ზოგიერთ კატეგორიასთან წარმოსახვით ფიქსირებული განწყობის შემუშავება გაცილებით მეტ გავრცელებას აღწევს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ცდის პირებს საგანწყობო ობიექტები წინასწარ აღსაქმელად არ ეძლეოდათ (ამ მონაცემთა შესახებ იხ. მეოთხე თავში).

ამას გარდა, ჩვენი ინსტრუქციის შესრულებაში სპეციალური ვარჯიშის შედეგად (იხ. ქვემოთ, უკანასკნელი თავი) ყველა ცდის პირმა საბოლოოდ 100%-ით მიაღწია წარმოსახვის საფუძველზე ფიქსირებული განწყობის შემუშავებას.

ამ საკითხს—თუ რატომ ვერ აღწევს პირველ ცდებში ყველა ცდის პირი ფიქსირებული განწყობის შემუშავებას და კერძოდ, რა როლს თამაშობს ამ შემთხვევაში ვარჯიში, ქვემოთ სპეციალურად შევჩერდებით მას შემდეგ. რაც გავარკვევთ საკითხს წარმოსახვით განწყობის შემუშავების ფაქტორთა შესახებ (იხ. თავი მეოთხე და მეშვიდე).

5. მოლოდინის განმაწყობელი მოქმედება

ჩვენს ცდებში კრიტიკულ ობიექტთა აღქმა ხდება მას შემდეგ, რაც ც. პ. წარმოსახვაში ნებისმიერად შექმნის საგანწყობო ობიექტთა წარმოდგენას.

მაგრამ ცხოვრებაში წარმოსახვის განმაწყობელი მოქმედება უფრო ხშირად სხვაგვარად ვლინდება, სახელდობრ იგი ვლინდება მ ო ლ ო დ ი ნ ი ს პროცესში, ასე ვთქვათ გარკვეული სიტუაციის აღქმის ანტიციპაციის პროცესში.

წარმოსახვის განმაწყობელი მოქმედების ამგვარ გამოვლინებათა ექსპერიმენტული დადგენის მიზნით, ჩვენ ჩავატარეთ შთაგონების კვლევის ცდების (ა. ბინე და სხვ.) ანალოგიური ექსპერიმენტი. მოსალოდნელია, რომ გარკვეული სიტუაციის აღქმის მოლოდინში, სუბიექტს შეექმნება სათანადო განწყობა და ამ მოლოდინის განხორციელებისას ამ განწყობის ფიქსაცია მოხდება.

მ ე თ ო დ ი. თვალდახუჭულ ც. პ-ს გადმობრუნებული ხელები წინ აქვს გაწეული. ც. ხ. აფრთხილებს, რომ მას ჩაუდებენ ორივე ხელში ერთდროულად ხის ბურთებს—ერთში (მაგალითად, მარჯვენაში) დიდს და მეორეში (მაგალითად, მარცხენაში) სულ პატარას. ბურთებს ელვის სისწრაფით ჩაუდებენ და უმალვე წაართმევენ, ისე რომ ც. პ-ის ამოცანაა მოასწროს ორივე ხელით ბურთების ფოფერა, რათა ზუსტად შეიგრძნოს ამ, ობიექტურად დიდი და პატარა ბურთის მოცულობა. ბურთებს ჩაუდებენ ანგარიშით „სამი". თვალდახუჭული ც. პ. დაძაბულად მოელის ბურთებს, ამ მოლოდინის მდგომარეობას ვაგრძელებთ ვითომდა სამზადისით—ბურთების მოძებნით და ა. შ.: ვხმაურობთ ბურთებით—ველაპარაკებით ც. პ-ს: „ახლავე"—„მზად იყავით"—„მოდის... ერთი... ორი... სამი". ჩაუდებთ ხელში ბურთებს, ც. პ. უცბად მოუჭერს მათ ხელებს და გაუშვებს. ეს კრიტიკული ცდა ჩვეულებრივ ორჯერ, სამჯერ მეორდება, მაგრამ თუ ილუზია არ ჩაქრა კრიტიკულ ექსპოზიციას ვაგრძელებთ.

შ ე დ ე გ ე ბ ი. რიცხობრივი შედეგები თავმოყრილია პირველ ცხრილში.

1. ამრიგად მოლოდინის შედეგად განწყობისეული ილუზია ფაქტია, თუმცა მისი გავრცელება არ არის დიდი: ც. პ-თა მხოლოდ ორ მესამედთან დასტურდება (65,7%).

ცხრილი 1

	ადეკვატური ილუზია		ბუნებრივი ასიმილატორი		ასიმილატორ-კონტრასტორ ილუზია		სულ ც. პ.
ცდის პირების რაოდენობა	8		4		10	13	35
პროცენტებში:	22,8%		11,4%		28,6%	37,1%	
ცდის პირების რაოდენობა	12 ც. პ.				23 ც. პ.		
პროცენტებში:	34,3%				65,7%		

2. ამ ცდებში განწყობისეული ილუზია მეტად ხანმოკლე (არამტკიცე) აღმოჩნდა: იგი ვრცელდება ჩვეულებრივ ერთ ან ორ ექსპოზიციაზე და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში—4-5 ექსპოზიციაზე.

3. ამ სახის განწყობის გამოვლენის ძირითად სპეციფიკურობას ა ს ი მ ი ლ ა ც ი ურ ილუზიათა დიდი პროცენტი შეადგენს: ყველა ზემოთ განხილული ცდის საწინააღმდეგოდ, ასიმილაციური ილუზიის გავრცელება ამ ცდაში სულ ცოტათი ჩამორჩება კონტრასტულის გავრცელებას (28,6% და 37,1%).

როგორც ცნობილია დ. უზნაძის კონცეფციის თანახმად ასიმილაციური ილუზია ფიქსირებული გაწყობის შედარებით უფრო სუსტი გამოვლენის შედეგია, ვიდრე კონტრასტული.

გარკვეული შინაარსის მოლოდინის შედეგად ასიმილაციური აღქმა ხომ ჩვეულებრივი „შთაგონების“ მოვლენას წარმოადგენს. ამ მხრივ ჩვენი უკანასკნელი ცდა უნდა მიეკუთვნოს „შთაგონების“ ცდების იმავე კატეგორიას, რაც კლასიკური ცდები სუნის აღქმის ან ქაღალდზე შავი წერტილის აღქმის შთაგონებისა— იქაც არსებითად მოლოდინის განწყობის ასიმილაციურ მოქმედებას აქვს ადგილი.

თავი მეორე

აქტუალური აღქმის საწინააღმდეგო შინაარსის წარმოდგენის განმაწყობელი მოქმედება

ზემოთ განხილულ ცდებში დადასტურდა წარმოსახვის საფუძველზე ფიქსირებული განწყობის შემუშავების ფაქტი, როდესაც წარმოსახვას თან ახლდა იმის ცოდნა, რომ წარმოსახული შინაარსი არაა რეალურად მოცემული.

დგება საკითხი, ხომ არ შეიძლება წარმოსახვით ფიქსირებული განწყობის შემუშავება როდესაც წარმოსახულ შინაარსს თან ახლავს არა მხოლოდ ცოდნა იმისა, რომ წარმოსახული არ შეეფერება სინამდვილეს, არამედ აქტუალური აღქმაც, რომლის შინაარსი ეწინააღმდეგება წარმოსახულს? სხვაგვარად, რომ ვთქვათ, თუ არის შესაძლებელი წარმოსახვით განწყობის შემუშავება, როდესაც წარმოისახება შინაარსი, რომელიც ეწინააღმდეგება აქტუალურად აღქმულ შინაარსს?

ამ საკითხის გამოსარკვევად ჩვენ დაყენებული გვქონდა ექსპერიმენტების სპეციალური სერია, როგორც სტუდენტებზე, ისე საშუალო კვალიფიკაციის მოსამსახურეებზე, ფსიქოლოგ-მეცნიერ მეშაკებსა და მსახიობებზე.

1. განსხვავებული სიმძიმეების წარმოდგენა ტოლი სიდიდის საგნების ოპტიკური აღქმის პროცესში

ცდის პირს ევალება უყუროს მის წინ დადებულ ორ ტოლ, ტარიან ხის ბურთს, არ მოაშოროს მათ თვალი და თანაც წარმოიდგინოს—რაც შეიძლება ნათლად განიცადოს, თითქოს ერთი ამ ბურთებიდან მძიმეა (ტყვიით სავსეა), მეორე კი სულ მჩატე (შიგნით ცარიელია) და თითქოს ცდის პირი ერთდროულად ტარებით სწევს ზევით ამ ორ ბურთს—მძიმეს და მჩატეს—ერთს ერთი ხე-

ლით, მეორეს მეორე ხელით. ამ პროცედურის წარმოდგენაში ოხუთმეტიოდე შესრულების შემდეგ თვალდახუჭულ ცდის პირებს კრიტიკულ ცდაში ნამდვილად ეძლევათ ასაწევად ტოლი სიმძიმის ტარიანი ორი ბურთი.

როგორც გამოირკვა, განსაკუთრებით ფსიქოლოგი ცდის პირების დაკვირვების მონაცემებიდან, ტოლი ობიექტების ოპტიკური აღქმა მეტად ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს იმავე ბურთების განსხვავებულ სიმძიმისად გულისხმობისათვის და ამ განსხვავებული სიმძიმის აწევის წარმოდგენისათვის. ცდის პირების დიდი უმრავლესობა ცდილობს დახუჭოს თვალი, ან მოარიდოს თვალი მაინც მათ წინ დადებულ ტოლ ბურთებს. რამდენიმე ცდის პირმა, მათ შორის ერთმა ფსიქოლოგმა (ერ. ვ.), განსხვავებული სიმძიმის თვალსაჩინო განცდა მოახერხა მხოლოდ თვალდახუჭულად: ტოლი ბურთების ოპტიკური აღქმისას განსხვავებული სიმძიმეების აწევის თვალსაჩინო კინესთეტიკური წარმოდგენა ამ ცდის პირებისათვის შეუძლებელი აღმოჩნდა.

ფსიქოლოგების უმრავლესობა პირდაპირ აღნიშნავს, რომ ტოლი ბურთების აღქმა მათ უშლის დავალების შესრულებას. რამდენიმე მათგანისათვის განსხვავებულ სიმძიმეთა თვალსაჩინოდ კინესთეტიკურად წარმოსადგენად აუცილებელი აღმოჩნდა სათანადო რეალურ, კონკრეტულ, ნაცნობ საგანთა წარმოდგენა. მაგალითად, ერთ-ერთი ცდის პირი (ნ. ვ.)—ფსიქოლოგიის პროფესორი—აღნიშნავს, რომ ამ ცდის დროს წარმოიდგენს თავის ჩემოდნის და პორთფელის აწევას. როგორც ჩანს იდენტური საგნების ოპტიკური აღქმა ხელს უშლის ამ საგნების განსხვავებული სიმძიმის გულისხმობას. მეორე ფსიქოლოგი ც. პ.— ნ. ად. პირდაპირ აღნიშნავს—„მოცულობის ოპტიკური აღქმა ძალიან ნიშლის".

ამრიგად, ცდის აღწერილ ვარიანტში ფიქსირებული განწყობა უნდა აღმოცენდეს ისეთი შინაარსის კინესთეტიკური წარმოდგენის საფუძველზე, რომელიც ეწინააღმდეგება აქტუალურ ოპტიკურ აღქმას.

ცდებში, რომელიც 50 ც. პ-ზე იყო დაყენებული, ცდის პირების უმრავლესობა, სახელდობრ 68,3% ამას ახერხებს (იხ. ცხრილი 19, მეექვსე თავში). ეს მაღალი პროცენტი აიხსნება იმით, რომ ც. პ-ბს შორის დიდ ნაწილს სასცენო გარდასახვის უნარის მქონე ც. პ-ბი შეადგენდნენ (იხ. მეექვსე თავი).

2. შარპანტიეს ილუზიის დარღვევა წარმოსახვით გამოწვეული ფიქსირებული განწყობის საფუძველზე

შესაძლებელია ადამიანმა იფიქროს, რომ ტოლი სიდიდის საგნების ოპტიკური აღქმა არ წარმოადგენს მნიშვნელოვან დაბრკოლებას ამ საგანთა განსხვავებული სიმძიმისად გულისხმობისათვის, ე. ი. შესაძლებელია იფიქრონ, რომ საგანთა ტოლი სიდიდის ოპტიკური აღქმა არ განაწყობს სუბიექტს სიმძიმის ტოლობისაკენ, და, მაშასადამე, ჩვენი უკანასკნელი ცდა არსებითად არ განსხვავდება ზემოთ აღწერილი პირველი ცდებისაგან: აქტუალური აღქმა მეორე ცდაშიც არ ეწინააღმდეგება საგანწყობო წარმოდგენას.

ფსიქოლოგიური მეცნიერება იცნობს ექსპერიმენტს, რომელშიაც მოცულობის ოპტიკური აღქმის საფუძველზე გამოიწვევა ილუზია კინესთეტიკურ არეში (სიმძიმის აღქმის ილუზია). ჩვენ მხედველობაში გვაქვს მოვლენა, რომელიც შ ა რ პ ა ნ ტ ი ე ს ი ლ უ ზ ი ი ს სახელით არის ცნობილი.

შარპანტიეს ცდაში, როგორც ცნობილია, განსხვავებული მოცულობის საგანთა ო პ ტ ი კ უ რ ი აღქმის საფუძველზე ამ საგანთა ობიექტურად ტოლი სიმძიმე კინესთეტიკურად აღიქმება განსხვავებულად: შარპანტიეს განსხვავებული სიდიდის (ტოლი სიმძიმის) ცილინდრების ოპტიკური აღქმა იმდენად განაწყობს სუბიექტს ამ საგნების განსხვავების მიმართ, რომ მათი ერთდროული აწევა როგორც წესი, სიმძიმის კონტრასტულ ილუზიას იძლევა: ამ საგანთა სიმძიმე მათი სიდიდის მიმართების საწინააღმდეგოდ აღიქმება—დიდი საგანი სუბიექტს მსუბუქად ეჩვენება და პატარა კი—მძიმედ.

მაშასადამე, შარპანტიეს ცდის სიტუაციის ძლიერი განმაწყობელი გავლენა ცდის საგანთა ს ი მ ძ ი მ ი ს აღქმაზე უდავო ფაქტს წარმოადგენს.

დგება საკითხი, დაირღვევა თუ არა ამ საგანთა აქტუალური ოპტიკური აღქმის განმაწყობელი გავლენა ამავე საგნების განსხვავებული სიმძიმის წარმოდგენის საფუძველზე?

ე ქ ს პ ე რ ი მ ე ნ ტ ი: ცდის პირს ევალება არ მოაშოროს თვალი შარპანტიეს ცილინდრებს, მაგრამ ეცადოს წარმოიდგინოს თითქოს პატარა ცილინდრი ბევრად უფრო მძიმეა—თითქოს მასში ასხია ტყვია, დიდი კი შიგნით ცარიელია და ბევრად უფრო მსუბუქია, ვიდრე პატარა. ცდის პირს ევალება რაც შეუძლია ნათლად განიცადოს რომ ზონარების საშუალებით სწევს ამ ორ ცილინდრს—

პატარას, ძალიან მძიმეს, ერთი ხელით და დიდს, სულ მჩატეს,— მეორე ხელით. ხელის შეხება ზონარებისათვის აკრძალულია. ამ დავალების 15-ჯერ შესრულების (წარმოდგენის) შემდეგ, ცდის პირს ეძლევა ხელში ზონარები შარპანტიეს ცილინდრების ასაწევად და მათი სიმძიმის შესადარებლად.

ამგვარად, ცდაში დაპირისპირებულია შარპანტიეს ცილინდრების განსხვავებული სიდიდის აღქმის განმაწყობელი გავლენა და მათი სიდიდის საწინააღმდეგო სიმძიმეების წარმოსახვის განმაწყობელი გავლენა.

შ ე დ ე გ ი: დადასტურდა ცდის პირთა დიდი ნაწილის მიერ, სახელდობრ 61,5%-ის მიერ, შარპანტიეს ილუზიის დარღვევა, ე. ი. კრიტიკულ ცდაში ილუზური აღქმა დადასტურდა არა საგანთა სიდიდის ოპტიკური აღქმის საფუძველზე აღმოცენებული განწყობის შედეგად (როგორც ეს შარპანტიეს ცდაში ხდება), არამედ საწინააღმდეგო სიმძიმეთა აწევის წარმოსახვით გამოწვეული ფიქსირებული განწყობის საფუძველზე. შარპანტიეს ილუზია დარღვა სიმძიმეთა მიმართების წარმოსახვის საფუძველზე წამოჭრილი განწყობის შედეგად 52 ცდის პირიდან 32 ც. პ-თან, ე. ი. 61,5%.

მიღებული რიცხობრივი შედეგები თავმოყრილია ნაშრომის მეექვსე თავში მოთავსებულ მე-20 ცხრილში.

3. აქტუალური აღქმის საწინააღმდეგო შინაარსის იმავე მოდალობის წარმოდგენის განმაწყობელი მოქმედება

ზემოთ განხილულ ცდებში აქტუალური აღქმა, რომელიც აბრკოლებს მისგან განსხვავებული წარმოდგენის განმაწყობელ მოქმედებას, ს ხ ვ ა მ ო დ ა ლ ო ბ ი ს ა ა, ვიდრე საგანწყობო წარმოდგენა: ტოლი მოცულობის საგანთა ოპტიკური აღქმის განმაწყობელ გავლენას უპირისპირდება ამ საგანთა განსხვავებული სიმძიმის (კინესთეტიკური შინაარსის) წარმოდგენა, ან (შარპანტიეს ილუზიის დარღვევის ცდაში) ისევ მოცულობის მიმართებათა ო პ ტ ი კ უ რ აღქმას უპირისპირდება სიმძიმის სხვაგვარ მიმართებათა კ ი ნ ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი წარმოდგენა. როგორც დავინახეთ, ამ შემთხვევაში შესაძლებელი ყოფილა აქტუალური აღქმის განმაწყობელი გავლენის დაძლევა და მისგან განსხვავებული შინაარსის წარმოდგენით ფიქსირებული განწყობის გამოწვევა.

თუ არის შესაძლებელი ფიქსირებული განწყობის გამოწვევა წარმოდგენით, რომელიც ეწინააღმდეგება იმავე მოდალობის აქტუალური აღქმის შინაარსს?

ა) ტოლ სიმძიმეთა აქტუალური აღქმის დროს განსხვავებულ სიმძიმეთა წარმოსახვის განმაწყობელი მოქმედება

1. ექსპერიმენტი: ცდის პირი ჰკიდებს ხელებს ორი ტოლი მოცულობის და ტოლი სიმძიმის ხის ბურთების ტარებს—ერთ ხელს ერთის ტარს, მეორეს—მეორის ტარს და ასწევს ერთდროულად ორივე ბურთს; როდესაც ც. პ. დარწმუნდება, რომ ბურთები ერთი წონისაა, მიიღებს ინსტრუქციას—ისე ასწიოს ბურთები, რომ რაც შეიძლება ნათლად განიცადოს თითქოს ერთი ბურთი ბევრად მძიმეა მეორეზე, თითქოს პირველი ტყვიითაა სავსე, მეორე კი სულ ცარიელია. ამგვარად, საგანწყობო ცდებში ტოლი სიმძიმის ხის ბურთების აწევისას ცდის პირმა ნათლად უნდა წარმოიდგინოს („განიცადოს", „მოიტყუილოს თავი"), თითქოს ერთი მათგანი ბევრად უფრო მძიმეა, ვიდრე მეორე. როდესაც ცდის პირები მოახერხებენ ამ ოპერაციის შესრულებას, ვამეორებინებთ ამას 12—15-ჯერ, რის შემდეგადაც გადავდივართ კრიტიკულ ცდებზე: თვალდახუჭულ ცდის პირებს ხელებში ეძლევათ ობიექტურად ტოლი სიმძიმის ცილინდრების ზონარები და ევალებათ სიმძიმის შესადარებლად ორივე ცილინდრის ერთდროული აწევა მათზე მიბმული ზონარების საშუალებით.

შედეგები თავმოყრილია 21-ე ცხრილში, რომელიც მოთავსებულია ნაშრომის მეექვსე თავში.

ჩვენთვის ამ შემთხვევაში მთავარია, რომ ცდის პირთა საკმაოდ დიდი პროცენტი—სახელდობრ 59 ც. პ-დან 42, ე.ი. 71,2%, ამ ცდებში იმუშავებს ფიქსირებულ განწყობას წარმოსახვის საფუძველზე, თუმცა წარმოსახვის შინაარსს ეწინააღმდეგება იმავე მოდალობის აქტუალური აღქმა (ილუზიის შემუშავების ეს მაღალი პროცენტი აიხსნება იმით, რომ ცდის პირთა შორის ბევრია სასცენო გარდასახვის უნარის მქონე პირები).

2. აღსანიშნავია, რომ ცდის პირთა მთელი რიგი დავალების შესრულებას ვერ ახერხებს, ვერ ახერხებს განსხვავებულ სიმძიმეთა აწევის თვალსაჩინო წარმოდგენას, როდესაც სინამდვილეში სავსებით ერთნაირ სიმძიმეებს სწევს. მაშასადამე აქტუალური აღქმის წინააღმდეგობა მეტად უშლის ხელს ამ ცდის პირებს აღქმისაგან განსხვავებული შინაარსის წარმოსახვას.

ცდის პირთა დიდი უმრავლესობისათვის ეს ამოცანა ბევრად უფრო ძნელი აღმოჩნდა პირველ თავში აღწერილი ცდების ამოცანებთან შედარებით: განსხვავებული სიმძიმეების აწევის წარმოდ-

გენა რეალურად ტოლი სიმძიმეების აწევის პროცესში მათთვის ბევრად უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე განსხვავებული სიმძიმეების აწევის წარმოსახვა, როდესაც მას არ ეწინააღმდეგება ტოლი სიმძიმეების რეალური აქტუალური აღქმა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ იმ ცდის პირების უმრავლესობაც, ვინც ამოცანას წყვეტს, ე. ი. თვალსაჩინოდ წარმოიდგენს და განიცდის განსხვავებულ სიმძიმეთა აწევას, ამ უკანასკნელ ცდებშიც ახერხებს ამას არა მესამე-მეექვსე წამოწყებაზე (მესამე-მეექვსე აწევაზე), როგორც წინა ცდებში, სადაც წარმოსახვას არ ეწინააღმდეგება აქტუალური აღქმა, არამედ მხოლოდ მეათე-მეოცე აწევიდან და ისიც ხშირად „ჰკარგავს“ ხოლმე უკვე მიღებულ თვალსაჩინო განცდას.

უკანასკნელი ამოცანის სიძნელეს მოწმობს ის გარემოებაც, რომ ცდის პირების ნაწილი, როგორც ეს განსაკუთრებით ფსიქოლოგების თვითდაკვირვების მონაცემებიდან ირკვევა, რეალურად მოცემული საგნების აღქმული სიმძიმისაგან განსხვავებული სიმძიმის წარმოდგენას, ხშირად მხოლოდ მაშინ აღწევს, როდესაც ისეთი კონკრეტული ნაცნობი საგნების აწევას წარმოიდგენს, რომლის სიმძიმე მას კარგად ახსოვს: ჩემოდნების, გირების და სხვ. ასე მაგალითად, ცდის პირმა ნ. ვ., რომელიც აღნიშნავდა სიმძიმის წარმოდგენის დაკარგვას ცდის მიმდინარეობაში, ბოლოს მოახერხა განსხვავებული სიმძიმეების თვალსაჩინო წარმოდგენა მხოლოდ მაშინ, როდესაც მიმართა, როგორც წინა ცდაში, მძიმე ჩემოდნისა და მჩატე პორტფელის აწევის წარმოდგენას, რითაც ჩვენი ექსპერიმენტის პირობა ნაწილობრივ დაარღვია.

3. ხაზგასასმელია, რომ ცდის პირების საგრძნობი ნაწილისათვის უკანასკნელი ცდის ამოცანა უფრო ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე პირველი ცდების ამოცანები. საფიქრებელია, რომ ამ სიადვილეს ქმნის რეალურად შესრულებული აწევის მოძრაობა—ასე ვთქვათ თ ა მ ა შ ი, რომელსაც ეს ცდა მოითხოვს. საინტერესოა ამ მხრივ ერთ-ერთი ფსიქოლოგის ჩვენება, რომელიც წინა ცდაში ვერ აღწევდა სიმძიმის საკმაოდ თვალსაჩინო წარმოდგენას. უკანასკნელ ცდაში იგი აცხადებს: „ასე (ე. ი. ხელების აწევით—რ. ნ.) თითქოს უფრო წარმოვიდგენ“. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ ცდაშიც ამ ცდის პირმა ფიქსირებული განწყობა ვერ შეიმუშავა.

როგორც ჩანს არის ადამიანების ტიპი, რომელსაც „თამაშისა“, ე. ი. შესატყვისი ქცევის შესრულების საფუძველზე, იმდენად უფრო ეადვილება ობიექტის თვალსაჩინო წარმოდგენა, ვიდრე მოძრაობების გარეშე მისი წარმოდგენა, რომ იგი რეალური აღქმის წინააღმდეგობასაც უფრო ადვილად დასძლევს „თამაშის“ პროცესში.

4. არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი მოვლენა, რომელმაც პირველად რამდენიმე შემთხვევის სახით თავი იჩინა ეს-ეს არის აღწერილ ცდაში და შემდეგ ცდებშიც დადასტურდა: როდესაც ზოგიერთი ცდის პირი დააპირებს ერთი ბურთის მძიმედ განცდას და მეორის—მსუბუქად და მოჰკიდებს ამ განზრახვით ხელს ბურთებს, მოულოდნელად საწინააღმდეგო ეფექტს ღებულობს: სწორედ ის ბურთი ეჩვენება მას მძიმედ, რომელიც მსუბუქად უნდა განცდილიყო, და მსუბუქად ეჩვენება ის, რომელიც მძიმედ უნდა განცდილიყო. ცხადია, რომ ეს, შარპანტიეს ილუზიის ანალოგიური ილუზია, შეიძლება იყოს გაპირობებული მხოლოდ იმ „საგანწყობო წარმოდგენით“ გამოწვეული განწყობით, რომელიც ცდის საგნების აღქმამდე შეუმუშავდა ცდის პირს და რომლითაც ი გ ი შ ე უ დ გ ა ბ უ რ თ ე ბ ი ს ა წ ე ვ ა ს. მაგრამ, მეორე მხრივ, ისიც ცხადია, რომ ცდის პირმა ექსპერიმენტატორის დავალება ვერ შეასრულა, რომ მან ვერ შესძლო წარმოდგენის საფუძველზე აქტუალური აღქმის შინაარსის ნ ე ბ ი ს მ ი ე რ ა დ შეცვლა. მაშასადამე, ერთი მხრივ, აღქმის გარეშე წარმოდგენის საფუძველზე ცდის პირს იმდენად ძლიერი ფიქსირებული განწყობა უმუშავდება, რომ მისი გავლენით საგანი კონტრასტული ილუზიის სახით აღიქმება, მაგრამ მეორე მხრივ, ა ქ ტ უ ა ლ უ რ ი ა ღ ქ მ ი ს პ რ ო ც ე ს შ ი ამ აღქმის საწინააღმდეგო შინაარსის წარმოდგენით ფიქსირებული განწყობის გამოწვევა ცდის პირს ამ მომენტში არ ძალუძს.

5. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ ცდაში განსხვავებულ სიმძიმეთა წარმოსახვა ცდის პირთა უმრავლესობისათვის ბევრად უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ძირითად ცდებში, სადაც განსხვავებულ სიმძიმეთა აწევის წარმოსახვას აქტუალური აღქმა არ ეწინააღმდეგება, მაგრამ ფიქსირებული განწყობის გავრცელება ამ ცდაში იგივეა, რაც წინა ცდაში, ე. ი. ცდის პირების იგივე რაოდენობა იმუშავებს ამ ცდაში ფიქსირებულ განწყობას წარმოსახვის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ წარმოსახულ შინაარსს ეწინააღმდეგება ტოლი სიმძიმის აქტუალური აღ-

ქმა. როგორც ჩანს ამ შემთხვევაში დიდ როლს განწყობის შემუშავებაში თამაშობს აწევის მ ო ძ რ ა ო ბ ა თ ა შ ე ს რ უ ლ ე ბ ა (თაბაში), რასაც არა აქვს ადგილი ძირითად ცდაში, სადაც ცდის პირები იძულებული არიან ხელები გაუნძრეველად გააჩერონ ისეთ მდგომარეობაში, რომელიც ეწინააღმდეგება აწევის მოძრაობას.

ბ) განსხვავებული სიმძიმის საგანთა აღქმის პროცესში მოცემულ სიმძიმეთა საწინააღმდეგო მიმართების წარმოსახვის განმაწყობელი მოქმედება

1. როგორც დავინახეთ, წარმოდგენის საფუძველზე აქტუალური აღქმის განმაწყობელი გავლენის დაძლევის უნარი არა ნაკლებ არის გავრცელებული ჩვენს ცდის პირებს შორის, ვიდრე აქტუალური აღქმის გარეშე წარმოდგენით განწყობის გამოწვევის უნარი. მაგრამ ამ შემთხვევაში ტოლობის განწყობა იჩრდილება სხვაობის განწყობით. ტოლობის განწყობა კი, როგორც ეს ექსპერიმენტულად დადასტურდა[1] საზოგადოდ უფრო სუსტია, ვიდრე სხვაობის განწყობა. შესაძლებელია ეს ფაქტორი თამაშობდეს როლს ზემოაღნიშნულ ცდებშიც, სახელდობრ შესაძლებელია ტოლობის განწყობის შედარებითი სისუსტე უწყობდეს ხელს ტ ო ლ ობიექტთა აქტუალური აღქმის განმაწყობელი გავლენის დაძლევას გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ობიექტთა წარმოდგენის საფუძველზე. ტ ო ლ ი ობიექტების აღქმის განმაწყობელი გავლენის დაძლევა შედარებით ადვილია.

დგება საკითხი: თუ შეიძლება თვალსაჩინოდ გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ობიექტთა აქტუალური აღქმის განმაწყობელი გავლენის დაძლევა ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ს ხ ვ ა ო ბ ი ს წარმოდგენის საფუძველზე; თუ შეიძლება, მაგალითად, თვალსაჩინოდ განსხვავებული სიმძიმის ობიექტთა აქტუალური აღქმის პროცესში სიმძიმის ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო მ ი მ ა რ თ ე ბ ი ს წარმოდგენით ფიქსირებული განწყობის გამოწვევა?

2. წინა ცდისაგან განსხვავებით ცდის პირებს ეძლევათ ასაწევად განსხვავებული წონის, თუმცა ისევ ტოლი სიდიდის, ორი ცილინდრი. უფრო მძიმე 41%-თაა მძიმე უფრო მსუბუქზე (182 და 186 გრ).

სიმძიმის ეს განსხვავება იმდენად თვალსაჩინოა, რომ ყველა ცდის პირი ცილინდრების ზონარებით აწევისას ამჩნევს და სწო-

---

[1] რ. ნ ა თ ა ძ ე, ტოლობის განწყობის შემუშავებისათვის, უნივერსიტეტის შრომები, ტ. XVII. 1941.

რად ადასტურებს ამ სხვაობას. მას შემდეგ რაც ცდის პირი დარწმუნდება, სიმძიმეების ამ განსხვავებაში, მას ევალება ცილინდრების აწევა ზონარებით ისე, რომ მან თვალსაჩინოდ, რაც შეიძლება ნელად განიცადოს სიმძიმეთა საწინააღმდეგო მიმართება, ე. ნამდვილად მჩატე ცილინდრი განიცადოს ბევრად მძიმედ (თითქოს მასში ტყვიაა), ხოლო მძიმე კი პირიქით, სრულიად მსუბუქად, როგორც შიგნით ცარიელი განიცადოს. ამ ცდის 15 გამეორების შემდეგ ტარდება ჩვეულებრივი კრიტიკული ცდები ობიექტურად ტოლი სიმძიმის ტარიანი ბურთების აწევით (თვალდახუჭულად).

ამ ცდის შედეგები თავმოყრილია 22-ე ცხრილში, რომელიც მეექვსე თავში გვაქვს მოთავსებული.

აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, ძირითად შედეგებს. განწყობისეული ილუზია ამ ცდაში 60,3% დადასტურდა. ე. ი. ცდის პირთა 60,3%-მა (59 ც.პ-დან 37-მა) შესძლო განწყობის გამოწვევა განსხვავებულ სიმძიმეთა აღქმული მიმართების საწინააღმდეგო მიმართების წარმოსახვის საფუძველზე.

3. ცდის ხელმძღვანელის დავალების შესრულება, ე. ი. სიმძიმის ობიექტურად მოცემული მიმართების საწინააღმდეგო მიმართების თვალსაჩინო წარმოდგენა მეტად ძნელი აღმოჩნდა, გაცილებით უფრო ძნელი, ვიდრე წინა ცდის ამოცანა.

თეატრის გარეშე პირთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა (დაახლოებით მესამედმა), ხანგრძლივი ამაო ცდების შედეგად, პირდაპირ განაცხადა, რომ ამის შესრულება არ შეუძლია, რომ ინსტრუქციაში ნაგულისხმევი სიმძიმეების განცდას ვერ ახერხებს. საფიქრებელია, რომ ცდის პირების კიდევ ერთი ნაწილი ამას ვერ ახერხებს, თუმცა არ აცხადებს ამის შესახებ.

თეატრის გარეშე ცდის პირებიდან ვინც კი ახერხებს ამას და ფიქსირებულ განწყობას იმუშავებს, აღწევს ამას მეტად დიდი შინაგანი დაძაბვით და ცდის შედეგად ჩვეულებრივ სერიოზულად იღლება.

ასე მაგალითად, ერთ-ერთმა ფსიქოლოგმა ც.პ-მა—ა. მ. ცდის დამთავრებისას ამოიოხრა და განაცხადა: „დღეს აღარ ვარგივარ სამუშაოდ—მაგარი დასვენება მჭირდება“. საზოგადოდ ფსიქოლოგი ცდის პირები ყველა ერთხმად უჩივის ამ ცდის დიდ დამღალველობას და მიუთითებს ძლიერ შინაგან დაძაბულობას, რომლის ხარჯზე ხერხდება ინსტრუქციაში მითითებული სიმძიმეების ივალსაჩინო წარმოდგენა: „ყველა ძ ა ლ ე ბ ს ვკრეფ“, „არაჩვეულებრივი დაძაბულობაა, „ვაჰ! ეს რა საშინელება ყოფილა“, „ხომ იცით, ძალიან დავიღალე,“ „უჰ! დავიქანცე პირდაპირ“, პირდა-

პირ გული დამეღალა“ და სხვ. ზემოაღნიშნული ც.ბ—ა. მ. ცდის დროს შესამჩნევად გაფითრდა.

აღსანიშნავია, რომ ვინც ახერხებს -ამ ამოცანის გადაწყვეტას (თუ არ ჩავთვლით ცდის პირების განსაკუთრებულ კატეგორიას, რომელსაც მსახიობები წარმოადგენენ) აღწევს ამას მხოლოდ 15—26 აწევის ცდის შემდეგ.

მიუხედავად ამ სიძნელისა, აღწერილ ცდაში, როგორც დავინახეთ, უდავოდ დადასტურდა განსხვავებულ სიმძიმეთა აქტუალური აღქმის პროცესში საწინააღმდეგო სიმძიმეთა წარმოსახვით ფიქსირებული განწყობის გამოწვევის ფაქტი: განსხვავებულ ობიექტთა აღქმის განმაწყობელი გავლენა დაიფარა საწინააღმდეგო განსხვავების წარმოსახვის საფუძველზე!

4. ცდის შედეგებიდან ყურადღებას იქცევს ასიმილატური ილუზიის დიდი პროცენტი—უფრო მეტი. ვიდრე წინა ცდაშიც, სადაც ილუზიის ამ ფორმამ პირველად იჩინა თავი დიდი რაოდენობით. სახელდობრ, თეატრის გარეშე მდგომ პირებთან ილუზიის ყველა შემთხვევის ნახევარი ასიმილატურ ილუზიას წარმოადგენს. ახალგაზრდა მსახიობებთან ილუზიის საერთო შემთხვევათა 2/3 ასიმილატურია, საშუალო ნიჭის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებთან 4/5. დამსახურებულ მსახიობებთან 2/5 და თეატრ. ინსტ-ის ნიჭიერ სტუდენტებთან 1/3.

ამრიგად, ყველა აქამდის განხილული ცდიდან მხოლოდ ორ უკანასკნელ ცდაში (და, როგორც დავინახავთ შემდეგ, მე-7 ცდაშიც) იჩინა თავი დიდი რაოდენობით ასიმილატურმა ილუზიამ.

რით უნდა აიხსნას ეს გარემოება? ასიმილატური ილუზია დ. უზნაძის გამოკვლევების მიხედვით ფიქსირებული განწყობის უფრო სუსტ გამოვლინებად ითვლება, ვიდრე კონსტრასტული ილუზია. ბუნებრივად უნდა ვიგულისხმოთ, რომ ორ უკანასკნელ ცდაში, სადაც წარმოდგენის საფუძველზე განწყობის ვამოწვევა განსაკუთრებით ძნელია, ფიქსირებული განწყობა უფრო სუსტ ფორმაში ვლინდება და ამიტომ ხშირად თავს იჩენს ასიმილატური ილუზია.

მაგრამ საფიქრებელია, რომ უკანასკნელ ორ ექსპერიმენტში განწყობის სისუსტის გარდა სხვა სპეციფიკურმა ფაქტორმაც ითამაშა როლი. საქმე ის არის, რომ წინა ცდებშიაც ცდის პირები ხშირად ძლივს იმუშავებდნენ ფიქსირებულ განწყობას და მხოლოდ მინიმალური სიმტკიცის ფიქსირებულ განწყობას აღწევდნენ (ილუ-

ზია მხოლოდ ერთ კრიტიკულ ექსპოზიციაზე ვრცელდება). განწყობის შემუშავების გავრცელებულობა უკანასკნელ ცდებში, როგორც დავინახეთ, ცდის პირების ზოგიერთ კატეგორიაში მეტიც არის, ვიდრე წინა ცდებში. მაგრამ წინა ცდებში ასიმილაციურმა ილუზიამ სულ არ იჩინა თავი, თუ არ ჩავთვლით თითო-ოროლა შემთხვევას ჩაქსოვილს კონტრასტულ ილუზიათა შორის. შეიძლება ვიფიქროთ, რომ უკანასკნელი ცდების ამოცანას რაღაცა სპეციფიკურობა გააჩნია, რომელიც ასიმილაციური ილუზიის ხშირ გამოვლინებას განსაზღვრავს. რა შეიძლება იყოს ეს?

ვფიქრობთ, რომ ამ საკითხის გასაღებს ერთ-ერთი ფსიქოლოგი ცდის პირის—წ. ად-ს თვითდაკვირვების ჩვენება გვაძლევს. ეს ცდის პირი აღნიშნავს შემდეგ სიძნელეს ცდის კრიტიკულ პერიოდში: „პირველ მომენტში ვერ უბრუნდები შედარებას—სხვაგან ვარ თითქოს—კრიტიკულ საგნებს ვერ ვაფასებ, ამ ბურთებში დაკარგული ვარ... ძალიან ვაგვიანებ შედარებას“.

მართლაც, ამ უკანასკნელ ცდებში ხომ სუბიექტის მთელი აქტივობა მიმართულია აქტუალური აღქმის შინაარსის გარკვეული მიმართულებით გარდაქმნაზე—მისი საწინააღმდეგო თვალსაჩინო შთაბეჭდილების მიღებაზე. ამის მიღწევა კი, როგორც დავინახეთ, ჩვეულებრივ სუბიექტის ძალების მეტად დიდ დაძაბვას მოითხოვს. ამიტომ გასაგებია, რომ ამ ოპერაციის შესრულება იწვევს სუბიექტში აღქმის გარდაქმნის განწყობას, რომელიც ფიქსირდება საგანწყობო ცდების გამეორების პროცესში. როდესაც ამის შემდეგ გადავიტანთ კრიტიკულ ცდაზე, ცდის პირმა უცბად უნდა შეცვალოს საგანთა აღქმის გარდაქმნის განწყობა ნათი ობიექტური თვისებების შეფასების განწყობით, ე. ი. სუბიექტმა უნდა გადაინაცვლოს ობიექტის ასე ვთქვათ, „სუბიექტური“ გარდაქმნის განწყობიდან კრიტიკულ განწყობაზე. ეს არც ისე ადვილია და ალბათ მით უფრო ძნელია, რაც მეტ აქტივობას მოითხოვს ცდის პირისაგან პირველი განწყობის შექმნა. ამიტომ ის ცდის პირები, ვისაც უჭირს განწყობის ასეთი გადანაცვლება ასიმილაციურ ილუზიას იძლევიან, ე. ი. ფაქტიურად კრიტიკულ ცდაში ვერ გადაინაცვლებიან კრიტიკული შეფასების განწყობაზე და ობიექტის „სუბიექტური“ გარდაქმნის განწ-

ყობა ინერციით განაგრძობს კრიტიკულ ობიექ-ტთა შეცვლას იმავე მიმართულებით. საინტერესოა ც. პ. ნ. ვ-ს, ფსიქოლოგიის პროფესორის —ჩვენება: «Видимо вначале действует инерция активного создавания этой иллюзии».

ამ ინტერპრეტაციის სასარგებლოდ შემდეგი გარემოებაც ლაპარაკობს: არის შემთხვევები, როდესაც პირველად ასიმილაციური ილუზია მალე გადადის კონტრასტულზე და ასეთი რჩება საგანთა ადეკვატურ აღქმამდის.

5. უკანასკნელ ცდაში გამოვლინდა კონტრასტული ილუზიის შემდეგი თავისებურება: ცდის პირების უმრავლესობა აღნიშნავს კონტრასტული ილუზიის გაძლიერებას პირველი კრიტიკული ექსპოზიციის შემდეგ, ე. ი. თუ პირველ კრიტიკულ ექსპოზიციებში კრიტიკული საგნები სუბიექტს ტოლად ან ოდნავ განსხვავებულად ეჩვენება, ყოველი შემდეგი აღქმისას ეს საგნები სულ უფრო და უფრო დიდად განსხვავებულად აღიქმებიან. სანამ არ დაიწყება ილუზიის შესუსტება ან სანამ ცდის პირი პირდაპირ გადავა ადეკვატურ აღქმაზე.

საფიქრებელია, რომ უკანასკნელი ცდის ეს სპეციფიკურობა ისევ საგანწყობო ცდებში შემუშავებული განწყობის. სახელდობრ აღქმის გარდაქმნის განწყობის შედეგია. ხოლო თვით წარმოდგენის შინაარსით გამოწვეული ფიქსირებული განწყობის საფუძველზე აღმოცენებული კონტრასტული ილუზია თავს იჩენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღქმის გარდაქმნის განწყობა ჩაქრობას დაიწყებს.

ბ) განსხვავებული მოცულობის ჰაპტური წარმოსახვის განმაწყობელი მოქმედება ტოლობის ჰაპტურივე აღქმის პროცესში

1. უკანასკნელად განხილულ ცდებში სიმძიმის თვალსაჩინო წარმოდგენას ხელს უწყობს „თამაშის“ შესაძლებლობა, ე. ი. საგანთა აწევის პროცესში ხელის კუნთების ნებისმიერი დაძაბვით წარმოდგენის შესატყვისი აქტუალური კინესთეტიკური შთაბეჭდილების შექმნის შესაძლებლობა. ცდის პირები ხშირად დიდი დაძაბვით სწევენ იმ ხელს, რომელშიაც უნდა იგულისხმონ მძიმე საგანი. ამიტომ სწორედ სიმძიმის თვალსაჩინო წარმოდგენა შედარებით ადვილია.

თუ არის შესაძლებელი ფიქსირებული განწყობის შექმნა ჰაპტური აღქმის საწინააღმდეგო შინაარსის ჰაპტურიევ წარმოდგენით?

ცდის პირებს ეძლევათ ერთდროულად ორივე ხელში ორი ტოლი მოცულობის და ტოლი სიმძიმის ხის ბურთი. მას შემდეგ, რაც ცდის პირი დარწმუნდება მათი მოცულობის ტოლობაში, მას ევალება თვალდახუჭულად ორივე ბურთისათვის ხელის მოჭერის დროს წარმოიდგინოს თითქოს ერთი ბურთი გაცილებით უფრო დიდია მეორეზე: თითების გაშლა აკრძალულია—ცდის პროცესში თითები უნდა იყოს მაგრად მოჭერილი ბურთებისათვის. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ცდის პირი ამ პირობებში თვალსაჩინო წარმოდგენას ვერ აღწევს, მას ეძლევა უფლება აამოძრაოს თითები, სახელდობრ, ერთ-ერთი ბურთის ირგვლივ დროგამოშვებით ცოტათი გაშალოს თითები და მერე ისევ მოუჭიროს ბურთს. ერთი სიტყვით, რეალური ბურთების ტოლი სიდიდის ჰაპტური აღქმის პროცესში ცდის პირმა, რაც შეიძლება ცოცხლად, უნდა წარმოიდგინოს ხელებში განსხვავებული სიდიდის ბურთები. როდესაც ცდის პირი ამას მოახერხებს ზედიზედ 15-ჯერ, გადავდივართ კრიტიკულ ცდებზე: თვალდახუჭულ ცდის პირს ერთდროულად ეძლევა ორივე ხელში სიდიდის შესადარებლად ორი ტოლი ბურთი.

2. ცდის რიცხობრივი შედეგები თავმოყრილია 23-ე ცხრილში, მეექვსე თავში.

ამ ცდის ამოცანა გაცილებით უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე წინა ცდის ამოცანა. ტოლი მოცულობის ბურთების აქტუალური ჰაპტური აღქმის პროცესში განსხვავებული მოცულობის ბურთების თვალსაჩინო წარმოდგენა გაცილებით უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე აღქმული სიმძიმეების საწინააღმდეგო სიმძიმეების წარმოდგენა. მოცულობის ჰაპტური წარმოდგენის ცდებში ცდის პირები კიდევ მეტ დაძაბულობას ამჟღავნებენ.

ცდის პირების დიდმა ნაწილმა ვერც მოახერხა დავალების ზუსტი შესრულება, ე. ი. განსხვავებული სიდიდეების ხელში დაჭერის თვალსაჩინო წარმოდგენა ვერ მოახერხა მანამდე, სანამ მათ არ მიეცათ ნება თითების განძრევისა და ცალი ხელის თითების პერიოდული გაშლისა ბურთის გარშემო ისე, რომ ცხრილში მოტანილი რიცხვები თეატრის გარეშე მდგომი პირების რუბრიკაში, უფრო ხშირად, თითების ამოძრავების დახმარებით გამოწვეული განწყობის შედეგად მიღებულ ილუზიებს გამოხატავენ.

3. ზოგიერთი ფსიქოლოგი ცდის პირის თვითდაკვირვების მონაცემებიდან ნათლად ჩანს აქტუალურ აღქმასთან „ბრძოლა“: ცდის

პირი ნ. ად., რომელიც დიდხანს ვერ ახერხებს საჭირო წარმოდგენის გამოწვევას, ცდის ერთ-ერთ პერიოდში ამბობს: „რეალური ბირთვი დარჩა ისევ პატარა, მხოლოდ მის გარშემო რაღაცა ფხვიერი მოემატა დიდი მოცულობისა—თითქოს არა რეალურია“... მხოლოდ, როდესაც ცდის ხელმძღვანელის რჩევით ცდის პირი მოახდენს „ბირთვისაგან“ ნეგატიურ აბსტრაქციას, ეს „არარეალური რაღაც“ მთლიან ბურთად გადაიქცევა: „გავასხეულე“, ამბობს ცდის პირი იმ ფხვიერი, არარეალური ნაწილის შესახებ, რომელიც ბირთვის გარშემო განიცდებოდა—„და ამით ბირთვს ამშავი გაქრა“. ცდის პირი თვალსაჩინოდ წარმოიდგენს ამ დიდ ბურთს, თუმცა ხელში ისევ პატარა ბურთი უჭირავს.

მთავარ სიძნელეს, როგორც ჩანს, ბურთების ხელში ჰაპტურად წარმოდგენა შეადგენს. ცდის პირებს ჩვეულებრივ არ ეძნელებათ განსხვავებული ბურთების ოპტიკური წარმოდგენა, მაგრამ თითონაც გრძნობენ, რომ ეს ის არ არის, რაც მათ მოეთხოვებათ, ხოლო ბურთების ხელში დაჭერის კინესთეტიკურ-ტაქტილური წარმოდგენა უჭირთ. ყველაზე მკაფიოდ ეს გარემოება აგვიწერა ცდის პირმა ფსიქოლოგმა დ. რ. «Вооображаю очень хорошо—зрительно,—всё время зрительное впечатление—а в руке не ощущаю бо́льшего, чем держу на самом деле,—чуть чуть покажется как будто этот меньше, но сейчас же исчезает».

საფიქრებელია, რომ უკანასკნელ ცდის პირობებში ჰაპტური წარმოდგენის სიძნელის განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის, პირველ რიგში, თვითონ ჰაპტური აღქმის მოდალობა დგას: ჰაპტური აღქმა პიროვნებისათვის განსაკუთრებით თვალსაჩინო, „ხელშესახებ“ ხასიათს ატარებს და ჰაპტური აღქმის საგანი უფრო „რეალურად“ და უფრო ობიექტივირებულად განიცდება, ვიდრე სიმძიმე, მას მეტი „ობიექტური“ რეალობა აქვს. სიმძიმის კინესთეტიკური შთაბეჭდილება შედარებით უფრო ატარებს სუბიექტური პროცესის ელფერს; იგი პროპრიოცეპტული ბუნებისაა, იგი ნაკლებ მტკიცეა. ამიტომ გარკვეული მოცულობის ჰაპტური აღქმის დაჩრდილვა სხვა მოცულობის წარმოდგენით უფრო ძნელია, ვიდრე სიმძიმის აღქმის დაჩრდილვა განსხვავებული სიმძიმის წარმოდგენით.

4. ცდებში უდავოდ დადასტურდა ფაქტი ჰაპტურ სფეროშიც წარმოსახვის საფუძველზე ფიქსირებული განწყობის შემუშავებისა, როდესაც ამ წარმოდგენას ეწინააღმდეგება აქტუალური აღქმა, თუმცა ეს უნარი აღქმის საწინააღმდეგო წარმოსახვის საფუძველზე ფიქსირებული განწყობის შემუშავებისა ჰაპტურ სფეროში

ნაკლებად იჩენს თავს, ვიდრე სიმძიმის აღქმის კინესთეტიკურ არეში. ამ ცდის რიცხობრივი შედეგები მოყვანილი გვაქვს 23-ე ცხრილში (მეექვსე თავში). აღსანიშნავია, რომ 58 ცდის პირიდან ფიქსირებული განწყობა შეუმუშავდა სულ 30 ც.პ-ს. ე. ი. ც.პ-ბ-ს 51.8%. თუმცა უკანასკნელ ცდის პირობებში ფიქსირებული განწყობის გამოწვევა ცდის პირების ყველა კატეგორიაში ნაკლებად არის გავრცელებული, ვიდრე წინათ აღწერილ ცდებში, მაგრამ ეს განსხვავება განწყობის გამოწვევის გავრცელებულობაში გაცილებით უფრო მცირეა, ვიდრე განსხვავება იმ სიძნელეში, იმ ძალისხმევაში, რომლითაც ხდება აღქმისაგან განსხვავებული თვალსაჩინო წარმოდგენის გამოწვევა. ამ მხრივ უკანასკნელი ცდის ამოცანა გაცილებით უფრო ძნელი აღმოჩნდა ცდის პირებისათვის — განსაკუთრებით კი თეატრის გარეშე მდგომ პირებისათვის, ხოლო ფიქსირებული განწყობის გამოწვევის გავრცელებულობის პროცენტში განსხვავება შედარებით მცირეა (38,4%, 61,3% და 51,8%)[1]. ამრიგად, კიდევ ერთხელ დადასტურდა წინა ცდებში გამოვლინებული გარემოება: აღქმის წინაალმდეგობის ფაქტი დიდად ზრდის წარმოდგენის გამოწვევის სიძნელეს და იწვევს სერიოზულ შინაგან დაძაბვას, მაგრამ იმ სუბიექტთა უმრავლესობისათვის, ვინც იწვევს წარმოდგენით ფიქსირებულ განწყობას, საბოლოოდ მაინც მისაწვდომი რჩება ამის გამოწვევა აქტუალური აღქმის წინაალმდეგობის შემთხვევაშიც.

5. ფიქსირებული განწყობის გამოვლენის მეორე მხარე, რომელმაც თვალსაჩინოდ დაიკლო უკანასკნელ ცდაში, არის მისი ნოქმედების ს ი მ ტ კ ი ც ე; სახელდობრ, უკანასკნელ ცდაში ძლიერი სიმტკიცის ილუზია იშვიათად იჩენს თავს.

6. ა ს ი მ ი ლ ა ტ უ რ მ ა ილუზიამ თავი იჩინა უკანასკნელ ცდაშიც, ოღონდ ნაკლები პროცენტით, ვიდრე წინა ორ ცდაში.

7. უკანასკნელი ექსპერიმენტის კრიტიკულ ცდებში თავი იჩინა ილუზიის თანდათანობითი გაძლიერების მოვლენამაც, რომელიც პირველად როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წინა ცდაში გამოვლინდა. სახელდობრ, საკმაოდ ხშირი აღმოჩნდა შემთხვევები, როდესაც პირველი კრიტიკული ექსპოზიციების დროს ილუზია მეტად სუსტია—ცდის პირი ეპვობს სიდიდეების შეფასებაში—ხოლო შემდეგ, ახალ ექსპოზიციებთან ერთად, ილუზია თანდათან ძლიერდება,

---

[1] ეს რიცხვი მიღებულია უმთავრესად სასცენო გარდასახვის უნარის მქონე ცდის პირების ხარჯზე (იხ. მეექვსე თავი. ცხრილი 23).

სიდიდეების განსხვავება თანდათან მატულობს, სანამ არ დაიწყება ილუზიის აღკვეთის პერიოდი.

მაგრამ უკანასკნელ ცდაში ეს მოვლენა უფრო იშვიათადაც დასტურდებოდა და უფრო მკრთალ ფორმაშიც გამოვლინდა: ილუზიის გაძლიერების პერიოდი უფრო ხანმოკლე იყო და გაძლიერების ხარისხი ნაკლები.

ამრიგად, უკანასკნელ სამ ცდაში, სადაც ცდის პირს მოეთხოვებოდა აქტუალური აღქმის განმაწყობელი გავლენის დაძლევა ნებისმიერად გამოწვეული წარმოდგენის საფუძველზე, დადგინდა შემდეგი:

1) დადასტურდა ფაქტი ფიქსირებული განწყობის აღმოცენებისა აქტუალური აღქმის საწინააღმდეგო შინაარსის იმავე მოდალობის წარმოდგენის ნებისმიერი გამოწვევის საფუძველზე.

2) აქტუალური აღქმის საწინააღმდეგო წარმოდგენისა და მასთან ფიქსირებული განწყობის გამოწვევა მიიღწევა მხოლოდ დიდი შინაგანი დაძაბვით.

3) აქტუალური აღქმის საწინააღმდეგო წარმოდგენით გამოწვეული ფიქსირებული განწყობის გამოვლენა განსხვავდება აღქმის წინააღმდეგობის გარეშე წარმოდგენით გამოწვეული განწყობის გამოვლენისაგან, უმთავრესად შემდეგი თავისებურებით:

ა) ფიქსირებული განწყობის ასიმილაციური გამოვლენის (ასიმილატური ილუზიის) შედარებითი სიხშირით და

ბ) კრიტიკულ აღქმათა პირველ პერიოდში ფიქსირებული განწყობის გამოვლენის თანდათანობითი ზრდის, ე. ი. საგანწყობო ილუზიის გაძლიერების ხშირი შემთხვევებით.

4. წარმოდგენით გამოწვეული ფიქსირებული განწყობის გამოვლინების სიძლიერე

1. რამდენად ძლიერია წარმოდგენით აღმოცენებული ფიქსირებული განწყობის ვარდამქმნელი გავლენა აღქმაზე?

ყველა ზემოგანხილულ ცდებში წარმოდგენის საფუძველზე განწყობის შემუშავების უნარის მაჩვენებლად აღებულია, ერთი მხრივ, ამ განწყობის აღმოცენების გავრცელებულობა და, მეორე მხრივ, შემუშავებული ფიქსირებული განწყობის სიმტკიცე, ე. ი. კრიტიკულ ცდაში ილუზურ აღქმათა რაოდენობა. მაგრამ როგორია წარმოდგენით შექმნილი ფიქსირებული განწყობის გამოვლინების, ასე ვთქვათ, სიძლიერე? რამდენად, რა ხარისხით სცვლის ფიქსირებული განწყობა კრიტიკულ ობიექტს?

ჩვენი მეთოდის კონტექსტში ეს საკითხი შემდეგ ფორმას ღებულობს: საგანწყობო ობიექტისაგან რა ზომამდე განსხვავებული კრიტიკული ობიექტის ილუზურ აღქმას განსაზღვრავს წარმოდგენით გამოწვეული ფიქსირებული განწყობა, ე. ი. რამდენად უნდა განსხვავდებოდეს კრიტიკულ ობიექტებს შორის სხვაობა საგანწყობო ობიექტებს შორის სხვაობისაგან, რომ დაირღვეს ფიქსირებული განწყობის განმსაზღვრელი გავლენა აღქმაზე—რომ კრიტიკული ობიექტები ადეკვატურად იქნეს აღქმული? სისტემატურად ეს საკითხი არ გვიკვლევია, დაყენებული გვქონდა მხოლოდ ერთი ექსპერიმენტი 58 ც. პირზე, რომელშიაც კრიტიკული ობიექტები მნიშვნელოვნად განსხვავებული იყო.

ცდა: ც.პ-ის წინ, მაგიდაზე, დევს ხის ორი ცილინდრი (შარპანტიეს დიდი ცილინდრის მაგვარი). ცილინდრების ზედა მხარეზე მიმაგრებულია ზონარი. ორივე ცილინდრი ზუსტად ერთი ზომისაა, მაგრამ განსხვავებული სიმძიმისაა, სახელდობრ, მძიმე ცილინდრი 54 გრამით (მსუბუქი ცილინდრის წონის 41%-ით) მეტია: პირველი იწონის 132 გრ, მეორე—186 გრ. წონის ეს განსხვავება, როგორც წინასწარ ცდებში გამოირკვა, ცილინდრების პირველივე აწევისას თვალსაჩინოდ აღიქმება ხოლმე.

ც.პ-ს ევალება წარმოიდგინოს, თითქოს იგი ორივე ხელით ერთდროულად ასწევს ზონარებით ორივე ცილინდრს და, რომ ერთი მათგანი (186 გრამიანი) ბევრად უფრო მძიმეა, ვიდრე მეორე, თითქოს ეს ცილინდრი ტყვიითაა სავსე, მეორე კი შიგნით ცარიელია. როდესაც ც. პ. მოახერხებს ინსტრუქციის თანახმად სიმძიმეების აწევის თვალსაჩინო განცდას, მას ევალება ამ წარმოდგენის თხუთმეტჯერ გამეორება. კრიტიკულ ცდაში თვალდახუჭული ც. პ. რეალურად ასწევს ზემოთ აღწერილ ცილინდრებს მათი სიმძიმის შესადარებლად. 186 გრამიანი ცილინდრი ეძლევა იმავე მხარეს, სადაც ც. პ. მძიმე ცილინდრს გულისხმობდა.

შ ე დ ე გ ე ბ ი. ცდის შედეგები თავმოყრილია 24-ე ცხრილში, მეექვსე თავში. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ ძირითად შედეგს.

1) პირველ რიგში აღსანიშნავია თვითონ ფაქტი განწყობისეული ილუზიის დადასტურებისა (კონტრასტული ილუზია 44,8%-ს უდრის), მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკული ობიექტების სიმძიმეთა სხვაობა ნორმალურ პირობებში ადვილი შესამჩნევია. წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი თ გ ა მ ო წ ვ ე უ ლ ი ფ ი ქ ს ი რ ე ბ უ ლ ი გ ა ნ წ ყ ო ბ ი ს მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ძ ა ლ ა ი მ დ ე ნ ა დ დ ი დ ი ა ღ მ ო ჩ ნ დ ა, რ ო მ დ ა ჩ რ დ ი ლ ა ნ ო რ მ ა ლ უ რ პ ი-

ობებში თვალსაჩინოდ აღქმადი სხვაობა ორ სიმძიმეს შორის, სახელდობრ, 41%-ით უფრო მძიმე საგანი, უფრო მსუბუქად მოეჩვენა, სუბიექტს: სიმძიმის მიმართება, როგელიც თითქმის უდრის 2:3-თან, შებრუნებულად აღიქმებოდა.

2) როგორც მოსალოდნელიც იყო, ილუზიის შემთხვევები ამ ცდაში, ე. ი. დიდად განსხვავებულ კრიტიკულ ობიექტთა მიმართ, ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე ტოლ ობიექტთა მიმართ. სახელდობრ, 58 ც. პ-დან იგი 26 პირთან (44,6%) დადასტურდა. აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ ეს განსხვავება სხვა ცდების მონაცემებისაგან ეხება უმთავრესად თეატრის გარეშე პირებს. მსახიობებისა და თეატრალური ინსტიტუტის ნიჭიერ სტუდენტთა მიმართ ეს განსხვავება უმნიშვნელოა (იხ. ცხრ. 21).

+

თავი მეხამე

წარმოდგენის თვალსაჩინოება. როგორც განმაწყობელი ფაქტორი

1. საკითხი

1. წარმოსახვის საფუძველზე ფიქსირებული განწყობის შემუშავების ექსპერიმენტული კვლევის დაწყებიდანვე (1939 წ.), როგორც დავინახეთ, ნათელი გახდა მეტად დიდი ინტერინდივიდუალური სხვაობანი ამ მიმართულებით, ე. ი. ნათელი გახდა, რომ წარმოსახვის საფუძველზე ფიქსირებული განწყობის შემუშავების უნარი, ექსპერიმენტულ სიტუაციაში მაინც, ინტერინდივიდუალურად დიდად განსხვავებულია. საკითხის შემდეგი (იხ. თავი მეორე) კვლევის შედეგად ამ „უნარის" დიდი ინტერინდივიდუალური სხვაობები კიდევ უფრო უდავო გახდა და კიდევ უფრო ღრმა აღმოჩნდა.

სხვადასხვა მეთოდებით ჩატარებულ ყველა ცდაში აღმოჩნდა, ერთი მხრივ, ისეთი ცდის პირების კატეგორია, რომელნიც ცდის პირობებში სულ ვერ ახერხებენ წარმოსახვის საფუძველზე ფიქსირებული განწყობის შემუშავებას და, მეორე მხრივ, ისეთი ცდის პირების კატეგორია (მეორე უკიდურესობა), რომელნიც საოცარი სიადვილით, ყოველგვარი დაძაბვის გარეშე, იმუშავებენ წარმოსახვის საფუძველზე მტკიცე ფიქსირებულ განწყობას. დანარჩენი ც. პ-ების ეს უნარი მრავალი გრადაციის სახით ამ ორ უკიდურესობას შორის თავსდება.

გარდა ამისა, განწყობის შემუშავების სიადვილის დიდი ინტრაინდივიდუალური გრადაციებიც დადგინდა; გამოირკვა, რომ ერთი და იგივე პირები სხვადასხვა დროს წარმოდგენის საფუძველზე ფიქსირებულ განწყობას არსებითად განსხვავებული წარმატებით იმუშავებენ: ხან უჭირთ ამის მიღწევა, ხან შედარებით ადვილად იმუშავებენ, ხან კი სულ ვერ ახერხებენ ამას; ზოგ-

ჯერ საკმაოდ მტკიცე განწყობას იმუშავებენ, ხან კი, პირიქით, წარმოდგენის საფუძველზე უსუსტესი განწყობა უმუშავდებათ.

ბუნებრივად დგება საკითხი წარმოსახვის საფუძველზე განწყობის შემუშავების ფ ა ქ ტ ო რ თ ა შესახებ: რა ფაქტორები განსაზღვრავენ წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი სიტუაციის განმაწყობელ მოქმედებას? რით აიხსნება, რომ ზოგიერთ ც.პ-თან ექსპერიმენტულ პირობებში საგანწყობო ობიექტების წარმოდგენა სწრაფად და ადვილად იწვევს მის შესატყვის მტკიცე განწყობას, ზოგ ც.პ-თან ასეთი განწყობა იმავე ობიექტთა წარმოდგენის შემთხვევაში ძნელად ჩნდება და ზოგი კი იმავე ობიექტთა წარმოდგენით სულაც ვერ ახერხებს სათანადო განწყობის შემუშავებას და მის ფიქსაციას? რით აიხსნება, რომ ერთი და იგივე პირები სხვადასხვა დროს არსებითად განსხვავებულ ეფექტს იძლევიან ამ მხრივ?

2. პირველ რიგში ბუნებრივად ისმის კითხვა თვით ამ, ასე ვთქვათ, საგანწყობო წარმოდგენათა თვისებებისა და განსაკუთრებით მათი ს ი ნ ა თ ლ ი ს ა და თ ვ ა ლ ს ა ჩ ი ნ ო ე ბ ი ს შესახებ: ღანარჩენ პირობათა ერთგვაროვნის შემთხვევაში, კერძოდ. ერთი და იმავე ექსპერიმენტული დავალების მიღებისა და, მაშასადამე, სათანადო მოქმედების მოთხოვნილების მოცემულობის პირობებში ხომ არ წარმოადგენს განმაწყობელ ფაქტორს თვით იმ წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ს თ ვ ა ლ ს ა ჩ ი ნ ო ე ბ ა, რომლის საფუძველზე უნდა აღმოცენდეს ფიქსირებული განწყობა, ე. ი. ხომ არა აქვს ადგილი შემდეგ მდგომარეობას: ვისაც აქვს საგანწყობო ობიექტების (მაგ. დიდი და პატარა ბურთების) ნათელი, თვალსაჩინო და ცხოველი წარმოდგენის უნარი, მას სათანადო განწყობა ადვილად აღმოუცენდება და ეს განწყობა მტკიცე იქნება, ხოლო ვინც საგანწყობო ო ბ ი ე ქ ტ ე ბ ს საკმაოდ ნათლად და თვალსაჩინოდ ვერ წარმოიდგენს, მას სათანადო განწყობაც ვერ აღმოუცენდება?

ეს მოსაზრება შესამოწმებელია მით უმეტეს, რომ, როგორც უკვე გვქონდა ნათქვამი, ფანტაზიის შესახებ ლიტერატურაში აქა-იქ გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს ფანტაზიის ზემოქმედება პიროვნებაზე მით უფრო ძლიერია, რაც უფრო თვალსაჩინო და ცხოველია მისი ხატები (წარმოდგენები)[1]. დ. უზნაძეც ასე ფიქრობდა: იგი გულისხმობდა, რომ რაც უფრო კონკრე-

---

[1] იხ. მაგ. W. S t e r n. Allgemeine Psychologie auf personalistisher Grundlage. თავი XVIII, 1950.

ტული და თვალსაჩინოა წარმოსახული ხატი, მით უფრო ადვილად უნდა აღმოცენდეს და მოქმედებდეს მის საფუძველზე სათანადო ფიქსირებული განწყობა; კერძოდ, დ. უზნაძე ჩვენი ცდების შედეგებსაც ასეთ ინტერპრეტაციას აძლევდა[1].

მაშ როგორია წარმოდგენის თვალსაჩინოების განმაწყობელი მოქმედება? უფრო ზუსტად: რამდენად არის დამოკიდებული წარმოსახვის განმაწყობელი მოქმედება წარმოდგენის თვალსაჩინოებაზე, მის ცხოველობასა, მის სინათლესა და კონკრეტობაზე?

II. აღქმის სინათლე და გამოკვეთილობა როგორც განმაწყობელი ფაქტორი

1. საკითხი

1. წარმოდგენის თვალსაჩინოების ხარისხის გაზომვა შეუძლებელია. შეუძლებელია წარმოდგენების სანდო ინტერინდივიდუალური შედარებაც მათი თვალსაჩინოების ხარისხის მხრივ.

ამიტომ საგანწყობო ობიექტთა თვალსაჩინოების, როგორც განმაწყობელი ფაქტორის შედარებითი იზოლაციის მიზნით, ჩვენ საკითხის კვლევას ვიწყებთ არა წარმოდგენის, არამედ აქტუალური ა ღ ქ მ ი ს სინათლის (მისი გამოკვეთილობის) განმაწყობელი მოქმედების გამორკვევით: თუ განმაწყობელი წარმოდგენის თვალსაჩინოება მნიშვნელოვანი განმაწყობელი ფაქტორია, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ აღქმის თვალსაჩინოების ხარისხიც უნდა წარმოადგენდეს მნიშვნელოვან განმაწყობელ ფაქტორს, ე. ი. ე რ თ ი დ ა ი მ ა ვ ე განმაწყობელი ობიექტის გამოკვეთილი, ნათელი აღქმა უნდა მოქმედებდეს უფრო ძლიერად განწყობის შემუშავების მიმართულებით, ვიდრე მისივე გამოუკვეთელი ბუნდოვანი აღქმა[2]. ერთი სიტყვით, თუ კი ცნობიერების შინაარსის განმაწყობელი მოქმედება, ს ხ ვ ა პ ი რ ო ბ ა თ ა ე რ თ გ ვ ა რ ო ბ ი ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი, განსხვავებულია ამ შინაარსის თვალსაჩინოების ხარისხის, მიხედვით მაშინ, კერძოდ, აღქმის შემთხვევაშიც უნდა იჩინოს თავი ამავე ფაქტორმა—აღქმის სინათლემ, მისმა გამოკვეთილობამ.

---

[1] დ. უ ზ ნ ა ძ ე. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, ფსიქოლოგია, ტ. VI, 1949, გვ. 127 — 130.

[2] ცხადია, ფიქსირებული პირობები განწყობის შემუშავებისა და, პირველ რიგში, სათანადო ინთენსივობილების აღძვრა სუბიექტში უცვლელად იგულისხმებოდა.

საგანწყობო ცდებში ც. პ-ს ეპიდიასკოპურად ეძლევა შესადარებლად ორი დიდად განსხვავებული წრე. ერთ შემთხვევაში, ამ წრეების ექსპოზიცია სავსებით გამოკვეთილია: ფოკუსი დაყენებულია ნორმალურად. მეორე შემთხვევაში ფოკუსი მაქსიმალურად ვადანაცვლებულია, ისე რომ საგანწყობო წრეების გამოხატულება იმდენად ბუნდოვანია და გამოუკვეთელი, რომ ც. პ-ს მცირე დაძაბვა სჭირდება წრეების აღსაქმელად. საკონტროლო ცდაში ორივე შემთხვევაში ც. პ-ს ეძლევა გამოკვეთილი ტოლი წრეები.

[illegible] ცდა ტარდება ერთი და იმავე ც. პ-ბზე შემდეგი წესით: 150 ც.პ-დან, რომელზედაც ეს ცდები იყო დაყენებული, 102 ც. პ-ზე ორ ცდას შორის დაცული იყო ინტერვალი ერთი კვირიდან ოთხ კვირამდის; სახელდობრ 70 ც. პ-ზე პირველად ვაყენებდით ცდას ბუნდოვანი ობიექტებით, ხოლო ერთი-ორი კვირის შემდეგ, გამოკვეთილი ობიექტებით, 32 ც.პ-ზე კი პირიქით; მათ პირველად ნათელი საგანწყობო ობიექტები ეძლეოდათ შესადარებლად, ხოლო ერთი-ორი კვირის შემდეგ ბუნდოვანი.

ძირითად ცდებში საგანწყობო ექსპოზიცია ეძლეოდათ 4—5, ხოლო იმ ც.პ-ზე, ვისთვისაც ეს რიცხვი მცირე აღმოჩნდებოდა— გადავდიოდით 12—15 ექსპოზიციაზე. ცხადია, რომ ბუნდოვან და ნათელ ექსპოზიციათა რიცხვი ერთი და იმავე ც. პ-თან დაცული იყო ზუსტად ერთი და იგივე.

48 ც. პ-ზე ორ ცდას შორის პაუზა არ აღემატებოდა 1—2 საათს.

ამ ც. პ-დან 27-ზე პირველად ვაყენებდით ცდას ბუნდოვანი ობიექტებით და მეორედ ნათელით, ხოლო 21 ც. პ-ზე პირიქით.

საგანწყობო ექსპოზიციათა რიცხვი ამ ცდაში იგივე იყო, რაც პირველ ცდაში.

ბუნდოვან და გამოუკვეთელ ობიექტთა შედარებითი განმაწყობელი მოქმედების მაჩვენებლად აღწერილ ექსპერიმენტში ნავარაუდევია ორი მომენტი: 1) მოსალოდნელია ამ განსხვავებულ ობიექტთა აღქმის საფუძველზე აღმოცენებული განწყობის აგზნებადობის სხვაობა: 4—5 საგანწყობო ექსპოზიცია, რომელიც, როგორც ცნობილია, ტაქისტოსკოპურ ცდებში ადამიანთა უმრავლესობისათვის თითქმის საზღურბლე რაოდენობას წარმოადგენს ფიქსირებული განწყობის გამოსაწვევად, შესაძლებელია

ან აღმოჩნდეს საკმარისი ერთ-ერთი სახის ობიექტთა მიწოდებისას, ანდა ც. პ-თა ნაკლებ რაოდენობასთან აღმოჩნდეს საკმარისი ფიქსირებული განწყობის გამოსაწვევად, ვიდრე მეორე სახის ობიექტთა ვამოყენებისას.

2) სინათლით განსხვავებულ ობიექტთა განსხვავებული განწყობელი მოქმედება უნდა გამოვლინდეს აღმოცენებული ფიქსირებული განწყობის ს ი მ ტ კ ი ც ე შ ი ც, რამაც უნდა იჩინოს თავი საკონტროლო ცდებში ილუზიათა რაოდენობაში.

3. შედეგები

1. 150 ც. პ-დან ილუზიამ სულ არ იჩინა თავი 32 ც. პ-თან. ეს 32 ც. პ. კრიტიკულ ცდებში ადეკვატურ აღქმას იძლეოდა. ამათ გარდა 8 ც. პ-თან დაუძლეველი აღმოჩნდა ბუნებრივი ასიმეტრია: მათ ერთ მხარეზე წრე მუდამ უფრო დიდად ეჩვენებოდათ. ამგვარად, ფიქსირებული განწყობის გამოვლენას ადგილი არ ჰქონდა სულ 40 ც. პ-თან, ე. ი. ც. პ-თა 26,6%-თან.

მხედველობაში მისაღებია ეპიდიასკოპური ცდის სპეციფიკურობა, რომელმაც უეჭველად გაზარდა ეს პროცენტი: ეპიდიასკოპური ექსპოზიცია ბევრად უფრო ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ა, ვიდრე ტაქისტოსკოპური; ექსპოზიციის ხანგრძლივობა კი საკონტროლო ცდაში ანელებს ილუზიას.

ამ მხრივ აღსანიშნავია შემდეგი მომენტი, რომელიც ხშირად იჩენს თავს ეპიდიასკოპურ ცდებში (რასაც უმთავრესად ფსიქოლოგი ც. პ-ები აღნიშნავენ): პირველ მომენტში ერთ-ერთი, წრე ც. პ-ს მოეჩვენება დიდად (resp. პატარად), მაგრამ სანამ მოხდებოდეს ამის კონსტატაცია ორივე ობიექტი გატოლდება, რაც ჩვეულებრივ „გარდასვლის განცდის" („Übergangserlebniss") სახით იჩენს თავს. რადგანაც ეს გადასავლის განცდა თავს იჩენს მხოლოდ აღქმის დაწყებისას, ბუნებრივია, რომ პასუხში ც. პ-ბი აღნიშნავენ წრეების ტოლობას და არა სხვაობას. ამიტომ ეს ფაქტიურად სუსტი განწყობისეული ილუზიის შემთხვევები ც. პ-ის პასუხების მიხედვით, მიეკუთვნებიან ადეკვატურ აღქმას.

2. იმ 110 ც.პ-დან, რომელთანაც იჩინა თავი განწყობისეულმა ილუზიამ, 34 ც. პ., ე. ი. 32,4%, არ იძლეოდა ილუზიას 4—5 საგანწყობო ექსპოზიციით, მაგრამ 12—15 საგანწყობო ექსპოზიციის შემდეგ იძლეოდა.

ამ ც.პ-ბზე 4—5 ექსპოზიციით ჩატარებული ცდების შემდეგ დავაყენეთ ექსპერიმენტი ნათელი ობიექტების 12—15 საგანწყობო ექსპოზიციით, ხოლო ერთი კვირის შემდეგ ბუნდოვანი ობიექტების ისევ 12—15 ექსპოზიციით.

3. ორ ცდას შორის 1—2 საათიანი პაუზის შემთხვევაში საგანწყობო ობიექტთა გამოკვეთილობის ფაქტორი (თუ კი ასეთი არსებობს) სრულიად დაიჩრდილა ცდის რიგითი ადგილის ფაქტორით: ფიქსირებული განწყობის სიმტკიცე აღმოჩნდა უფრო დამოკიდებული იმაზე, პირველ თუ მეორე ცდაში ეძლევა ც. პ-ს საგანწყობო ობიექტები, ვიდრე იმაზე, გამოკვეთილია ეს ობიექტები თუ ბუნდოვანი.

სახელდობრ, იმ 48 ც.პ-ზე, ვიზედაც ეს ცდა 1—2 საათიანი პაუზით იყო ჩატარებული, მიღებულია შემდეგი რეზულტატები:

1) ორივე ცდაში (ნათელი და ბუნდოვანი ობიექტების გამოყენებით) ერთმა და იმავე ეფექტმა თავი იჩინა სულ 13 ც. პ-თან, რაც შეადგენს ც.პ-ბის 27%-ს. ამ 27%-ის შემთხვევაში პირველ და მეორე ცდაში დაახლოებით ერთნაირი სიმტკიცის ილუზია დადასტურდა. ამ ერთნაირი სიმტკიცის 13 შემთხვევიდან პირველ ცდაში 11 ცდა მოდის ნათელი ობიექტის გამოყენებაზე (ნათელი ობიექტების გამოყენების 27 ცდიდან) და ორი ცდა—ბუნდოვანი ობიექტის გამოყენებაზე (21 ცდიდან, რომელშიაც ბუნდოვანი ობიექტები იყო მიწოდებული).

2) მეორე ცდაში (პაუზის შემდეგ) ილუზიის მეტი სიმტკიცე, ვიდრე პირველ ცდაში. გამოვლინდა 28 შემთხვევაში, რაც 58,3% შეადგენს. ამ 28 შემთხვევიდან 16-მა იჩინა თავი ნათელი ობიექტის გამოყენებისას (21 ცდიდან, სადაც ნათელი ობიექტები იყო გამოყენებული) და 12-მა ბუნდოვანი ობიექტების მიწოდებისას (27 ცდიდან ბუნდოვანი ობიექტების მიწოდებით).

3) პირველ ცდაში (ე. ი. პაუზამდის) მეტი სიმტკიცის ილუზიამ, ვიდრე მეორე ცდაში, თავი იჩინა სულ 7 შემთხვევაში, რაც 14,6%-ს შეადგენს, ამ 7 შემთხვევიდან სამი მოდის ბუნდოვანი ობიექტის მიწოდებაზე საგანწყობო ცდებში (ამ ობიექტის მიწოდების 21 ცდიდან) და 4 ნათელი ობიექტის მიწოდებაზე (ნათელი ობიექტის მიწოდების 27 ცდიდან).

ყველა ეს რიცხობრივი შედეგი თავმოყრილია მე-2 ცხრილში.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ მეორე ცდაში დადასტურებული განწყობის მეტი სიმტკიცე ძირითადად იმის შედეგია, რომ პირველი ცდის გავლენა არ შეწყვეტილა და ამგვარად მეორე ცდაში ხდება უკვე პირველ ცდაში შემუშავებული განწყობის ჰარბი ფიქსაცია.

ცხრილი 2.

	ერთმანეთი სიმტკიცე	მეტი სიმტკიცე	ნაკლები სიმტკიცე	სულ
ნათელი I ცდაში	11	4	12	
ბუნდ. II ცდაში	11	12	4	
ნათელი II ცდაში	2	16	3	
ბუნდოვ. I ცდაში	2		10	
სულ	13 ც. პ.			48 ც. პ.

რაც შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც პირველ ცდაში თავი იჩინა განწყობის მეტმა სიმტკიცემ, შესაძლებელია ეს გარემოება აიხსნას იმით, რომ ეს ც. პ-ბი მას შემდეგ, რაც პირველ ცდაში დარწმუნდნენ წრეების ტოლობაში, უფრო კრიტიკული განწყობით უდგებიან მეორე ცდის ობიექტთა შეფასებას („არ მოვტყუვდე, როგორც პირველად"), ანდა შესაძლებელია ეს მოვლენა საზოგადოდ კრიტიკულ ობიექტთა შესახებ ცოდნის გავლენის შედეგი იყოს.

ამრიგად, განხილულ ცდაში ნათელი ობიექტების საგანწყობო მოქმედების რაიმე გარკვეული უპირატესობა ბუნდოვან ობიექტებთან შედარებით არ დადასტურდა. ხომ არ იჩენს იგი თავს მაშინ, როდესაც ეს ორი ცდა დროის დიდი მონაკვეთით (1 კვირიდან—4 კვირამდის) იქნება დაშორებული ერთმანეთისაგან?

4. ამაზე პასუხს ჩვენი ძირითადი ცდა იძლევა, რომელიც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული 102 ც. პ-ზე იყო ჩატარებული.

ცდის რიგითი ადგილის ფაქტორმა იჩინა თავი ამ ცდებშიც, თუმცა ორ ცდას შორის ინტერვალი ორიოდე კვირას უდრიდა (ცხრილი 3).

ცხრილში ყურადღებას იქცევს შემდეგი მომენტები:

1) ორივე ცდაში ერთი და იმავე სიმტკიცით განწყობა გამოვლინდა მხოლოდ 26 ც. პ-თან, რაც ც. პ-თა საერთო რაოდენობიდან (102 ც. პ.) 25,6%-ს შეადგენს.

ამ 26 შემთხვევიდან 10 მოდის პირველ ცდაში ნ ა თ ე ლ ი ობიექტის მიწოდებაზე, რაც შეადგენს I ცდაში ნათელი ობიექტების მიწოდების 31%-ს; ხოლო 16 შემთხვევა მოდის I ცდაში ბ უ ნ დ ო ვ ა ნ ი ობიექტების მიწოდებაზე, რაც შეადგენს 23%-ს პირველ ცდაში ბუნდოვანი ობიექტების მიწოდების საერთო რიცხვიდან.

ცხრილი 3

	ერთნაირი სიმტკიცე	მეტი სიმტკიცე	ნაკლები სიმტკიცე	სულ
ნათ. I ცდაში	10	7	15	32
ბუნდ. II ცდაში	10	15	7	32
ნათ. II ცდაში	16	35	19	70
ბუნდ. I ცდაში	16	19	35	70
სულ	26 ც. პ.			102 ც. პ.

2) ნ ა თ ე ლ ი ობიექტების მ ე ო რ ე ცდაში გამოყენების საერთო რაოდენობიდან (70) 50%-ის შემთხვევაში (35) გამოწვეული იყო უფრო მტკიცე ილუზია, ვიდრე პირველ ცდაში, ხოლო ბ უ ნ დ ო ვ ა ნ ი ობიექტების მიწოდებისას მ ე ო რ ე ცდაში მეტი სიმტკიცის ილუზია 47%-ის შემთხვევაში (15—32-დან) იყო გამოწვეული.

3) პირველ ცდაში მიწოდებისას ნათელი ობიექტებით გამოწვეული იყო უფრო მტკიცე ილუზია 22%-ის შემთხვევაში, ხოლო ბუნდოვანი ობიექტებით იმავე პირობებში 27%-ის შემთხვევაში.

ცხადია, რომ ამ მცირე პროცენტულ სხვაობებს, ვერც პირველსა, ვერც მეორე შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა ვერ მიეწერება.

4. დასკვნა

1. ამრიგად, ჩვენს ცდებში საგანწყობო ობიექტთა სინათლისა და გამოკვეთილობის ფაქტორი არ გამოვლინდა, რაც ჯერჯერობით მხოლოდ იმ დასკვნის უფლებას გვაძლევს, რომ თუ ასეთი განმაწყობელი ფაქტორი არსებობს, ი გ ი ყ ო ვ ე ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ა რ ა რ ი ს ძ ლ ი ე რ ი: მის გამოვლენას ჩვეულებრივი ცდების პირობებში ჩრდილავენ სხვა ფაქტორები და მათ შორის განწყობის საერთო ლაბილობის ფაქტორი, ძველად (ერთი-ორი კვი-

რის წინ) შემუშავებული ფიქსირებული განწყობის შემდეგ-მოქმედების ფაქტორი და. უნდა ვიგულისხმოთ, სათანადო გავარჯიშების ფაქტორიც.

2. ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ნათლად და გამოკვეთილად მოცემული ობიექტი (ფიგურა, საგანი), **სხვა პირობათა ერთგვაროვნების შემთხვევაში**, უნდა მოქმედებდეს უფრო გახმაწყობლად, უფრო ადვილად და უფრო მტკიცე განწყობას უნდა ქმნიდეს, ვიდრე იგივე საგანი, როდესაც იგი ბუნდოვნად, გამოუკვეთლად აღიქმება. ობიექტთა შედარების ერთი და იმავე მოთხოვნილების საფუძველზე ნათელი აღქმა უფრო ინტენსიურად და უფრო ღრმად უნდა იჭრებოდეს პიროვნებაში, მეტ შთაბეჭდილებას სტოვებდეს მასში ვიდრე ბუნდოვანი აღქმა.

მაგრამ თუ ეს ასეა, რა ფაქტორმა დაჩრდილა აღქმის სინათლის ფაქტორის გამოვლენა ჩვენს ცდებში? რა მხრივ განსხვავებულ პირობებში აღმოჩნდა ჩვენს ექსპერიმენტში ნათელი და ბნელი ობიექტები?

როგორც ჩვენი თვითდაკვირვებისა, ისე ც.პ-ების ქცევის დაკვირვების საფუძველზე ვფიქრობთ, რომ ეს სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ ბუნდოვან ობიექტთა შედარება მოითხოვს ც.პ-საგან **მეტ დაძაბვას, მეტ შინაგან აქტივობას**, ვიდრე გამოკვეთილი ობიექტების შედარება: ეს უკანასკნელი (თეთრ ქაღალდზე შავი ტუშით სქელად დახატული დიდი და პატარა წრის ეპიდიასკოპური პროექცია) იმდენად გვცემდა თვალში, იმდენად „გამოხტება“ ეკრანიდან „აქეთ დიდი იქით პატარა“ წრეები, რომ ნათელი შედარება ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით ზედმეტი ხდება. ხოლო ბუნდოვანი წრეები ისე ბუნდოვნად მოჩანან, რომ მათ შესადარებლად ც. პ. დაიძაბება, რაც გარეგნულად ჩანს ც. პ-ის პოზაში: ჩვეულებრივ ც.პ. ამ წრეებს წინ დახრილი ადარებს.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს **შინაგანი აქტივობის ფაქტორი** არის სწორედ ის ფაქტორი, რომელმაც გააძლიერა ბუნდოვანი ობიექტების შედარებისას მათი განმაწყობელი ბოქმედება და რომლის ამორიცხვამ ნათელ ობიექტთა აღქმისას შეანელა განმაწყობელი მოქმედება. ამის ანალოგს ჩვენ კიდევ შეეხვდებით ქვემოთ, ოპტიკური წარმოდგენით ფიქსირებული განწყობის შემუშავების ცდებში.

თუ კი გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ განწყობის აღმოცენებას სუბიექტის მოთხოვნილება უდევს საფუძვლად, რომ

ვარკვეული აზრით, მოთხოვნილების დინამიკა ქმნის განწყობას, მაშინ საესებით გასაგები უნდა იყოს, რომ მეტი შინაგანი აქტივობა საგანწყობო ობიექტთა შედარებისას უწყობს ხელს განწყობის უფრო ადვილ აღმოცენებას და მის უფრო მტკიცე გამოვლინებას.

III. განწყობის შემუშავება ზოლოდ კინესთეტიკური შთაბეჭდილებით, საგნის ცნობიერების გარეშე

1

თვალსაჩინოების ფაქტორის საკითხთან დაკავშირებით ჩვენ შემდეგი პარალელური ცდები ჩავატარეთ: ცდების ერთ სერიაში ფიქსირებული განწყობის შემუშავება უნდა ხდებოდეს განსხვავებულ საგანთა მხოლოდ წარმოდგენის საფუძველზე ამ წარმოდგენის შესატყვისი აქტუალური სენსორული შთაბეჭდილების (სათანადო შეგრძნების) გამორიცხვით (ცდა № 2). ცდების მეორე სერიაში (ცდა № 3) ფიქსირებული განწყობის შემუშავება უნდა ხდებოდეს წარმოდგენის საფუძველზე, რომელსაც „თვალსაჩინოებს" შესატყვისი სენსორული შთაბეჭდილების („შეგრძნების") აქტუალური განცდა და მესამე სერიაში (ცდა № 1). მხოლოდ სენსორული შთაბეჭდილების („შეგრძნების") საფუძველზე, რომელშიაც გამორიცხულია შესატყვისი საგნის ცნობიერება.

ცდები დავიწყეთ უკანასკნელი სერიიდან (ცდა № 1).

1. თვალსაჩინოების ფაქტორის შედარებითი იზოლაციის მიზნით დავაყენეთ ცდა, რომლის მიზანს შეადგენდა განსხვავებული ობიექტების გარკვეული მოდალობის აღქმის შესატყვისი აქტუალური სენსორული შთაბეჭდილების გამოწვევა, თვით საგნის აღქმისა და საზოგადოდ საგნის „ინტენციის" გარეშე და შემდეგ ამ განსხვავებული ინტენსივობის სენსორული შთაბეჭდილების განმეორება განწყობის (თუ კი ასეთი აღმოცენება) ფიქსაციის მიზნით.

ეს ცდა (№ 1) ორ ვარიანტში დავაყენეთ—ერთი განსხვავებულ სიდიდეთა ჰ ა პ ტ უ რ ი ა ღ ქ მ ი ს შესატყვისი კინესთეტიკური შთაბეჭდილების გამოწვევით და მეორე—განსხვავებულ ს ი მ ძ ი მ ე თ ა ა წ ვ ე ვ ი ს შ ე ს ა ტ ყ ვ ი ს ი კ უ ნ თ უ რ ი შ ე გ რ ძ ნ ე ბ ი ს გამოწვევით.

უფრო კონკრეტულად, ცდის ეს ორი ვარიანტი შემდეგში მდგომარეობს.

A ვ ა რ ი ა ნ ტ ი. ც. პ-ს, რომელსაც ჯერ არ მიუღია მონაწილეობა ფიქსირებული განწყობის ცდებში და არც უნახავს ცდის მასალა, ევალება ერთდროულად ორივე ხელის თითებით შემდეგი მოძრაობების შესრულება: ერთი ხელის თითების შეკუმშვა (ბუშტის შეკუმშვის მაგვარად), ხოლო მეორე ხელის თითების ნახევრად მოღუნულად დაძაბული გაშლა. ამ მოძრაობათა ერთდროულ შესრულებაში მცირეოდენი ვარჯიშის შემდეგ ც.პ-ს ვახუპვინებთ თვალებს და ზედიზედ 15-ჯერ ვასრულებინებთ ამ მოძრაობას, როგორც ერთგვარ ფიზკულტურულ მოძრაობას, ც. პ. ღებულობს ამ ამოცანას, როგორც გარკვეული მოძრაობის ამოცანას. კრიტიკულ ცდაში ც. პ-ს ეძლევა ხელებში შესადარებლად ტოლი ეოცულობის ხის ორი ბურთი. შედეგები იხ. მე-4 ცხრილში.

ცხრილი 4

	აღვილ. ილუმ.	ბუნებრ. ასიმეტრ.	ბეჭრი რხევა ასიმ. ფ. ინტრ. ფორის	ასიმ. ილუმ.	კონტრ. ილუმ.			სულ ც. პ. რაოდენობა
					სუფტი	ს.ვ.	ძლიერი	
ც. პ-ბის რაოდენობა	8	5	2	4	4	2	9	34
%	23,5	14,7	6	11,7	11,7	6	25,3	
ც. პ-ბის რაოდენობა	13 ც. პ.			15 ც. პ.				
%	38,2%			44,1 %				

სულ ცდაში გამოწვეული ^ განწყ. ილუზია 55,8 %.

B ვ ა რ ი ა ნ ტ ი. ც.პ-ს ევალება ორივე ხელის ერთდროული აწევა მაგიდიდან ისე, რომ ერთი ხელი თავისუფლად (დაძაბვის გარეშე) მოძრაობდეს, მეორე ხელს კი ც.პ. უნდა სწევდეს დაძაბულად—კუნთების დიდი დაჭიმვით.

ამ მოძრაობის ერთდროული შესრულება მეორდება 15-ჯერ. იგი, როგორც წესი, საგნის აწევის ინტენციის გარეშე სრულდება. კრიტიკულ ცდაში თვალდახუჭულ ც.პ-ს ეძლევა ასაწევად ორი ტოლი სიმძიმე.

შედეგები იხ. მე-5 ცხრილში.

ცდის A ვარიანტი დავაყენეთ 35 ც.პ-ზე, ხოლო B ვარიანტი 34 ც.პ-ზე, აქედან 33 ც.პ. ცდის ორივე ვარიანტში მონაწილეობდა. შედეგების საბოლოო დამუშავებიდან ამოვრიცხეთ ერთი ც.პ-ს მასალა საეჭვო შედეგების გამო.

ცხრილი 5

	ადეკვატ. ასოც.	ბუნებრ. ასოციატ.	ხშირი რხევა ასიმ. და კონტრ. ნიმ.	ასიმ. ილუზ.	კონტრ. ილუზ. სუსტი	კონტრ. ილუზ. საშ.	კონტრ. ილუზ. ძლიერი	სულ ც.პ. რაოდენობა
ც. პ-ბის რაოდენობა	9	4	1	3	3	5	8	35
%	27,3	12.1	3	9,1	9,1	15,1	24,3	
ც. პ-ბის რაოდენობა	13 ც.პ.				16 ც. პ.			
%	39,4%				48,5%			

სულ ცდაში გამოვლენილი განწყობის ილუზია 57,6%

ცდის პირების უმრავლესობას შეადგენდნენ პედაგოგიური ინსტიტუტის აკადემიურად ძლიერი სტუდენტები. თვითდაკვირვების მონაცემების მისაღებად ცდები ჩატარებული იყო, აგრეთვე, ფსიქოლოგ-მეცნიერ შუშაკებზე. ამ უკანასკნელთა უმრავლესობას (არა ყველას), ცხადია, ეს ცდა სათანადო ობიექტთა აღქმას მოაგონებდა, მაგრამ ეს ც.პ-ბი შეგნებულად გაურბოდნენ მაინც საგნის გულისხმობას. შედეგების მხრივ ფსიქოლოგებსა და სხვა ცდის პირებს შორის რაიმე მნიშვნელოვანი სხვაობა ამ ცდაში არ დადასტურდა.

როგორც მე-4 ცხრილიდან ჩანს, კონტრასტულ ილუზიას ც.პ-ბის ნახევარზე ნაკლები (44%) იძლევა. ხოლო სულ განწყობისეული ილუზია ც.პ-ბის ნახევარზე ცოტა მეტთან (55,8%) დასტურდება. ხშირი რხევა ოდნავ შესამჩნევ ასიმილატურ და კონტრასტულ ილუზიათა შორის („ოდნავ დიდი" ან „თითქოს ცოტა დიდია") განწყობისეული ილუზიის უქონლობად მიგვაჩნია: ც.პ-ბ. ხშირად ტოლ ობიექტთა აღქმისას ტოლობას კი არ ადასტურებენ, არამედ ასეთ მერყევ პასუხს იძლევიან როგორც, როდესაც ცდას არ უსწრებს წინ საგანწყობო ცდები.

ყურადღებას იქცევს ცდის ორივე ვარიანტის მთავარი შედეგების თითქმის სრული დამთხვევა. ცხადია, რომ შედეგების ამ ერთგვარობაში გარკვეული როლი შეასრულა იმ გარემოებამ, რომ

ორივე ცდაში მონაწილეობდნენ ერთი და იგივე ც. პ-ბი, (ერთის გარდა). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ შემთხვევაში ერთი და იგივე ც.პ. ორ ცდაში განსხვავებულ შედეგებს იძლეოდა—ერთში მაგ., ადეკვატურ აღქმას იძლეოდა, მეორეში კი ილუზურს (განწყობისეულს). მაგრამ როგორც ჩანს, საერთო ჯამში ეს ცალკე სხვაობები წაიშალა.

ორივე ცდის ძირითადი შედეგი შემდეგი ფაქტის დადასტურებაში მდგომარეობს: მ ხ ო ლ ო დ ს ე ნ ს ო რ უ ლ ი (კ ი ნ ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი) შ თ ა ბ ე ჭ დ ი ლ ე ბ ი ს ნ ი ა დ ა გ ზ ე ა ღ მ ო ც ე ნ დ ე ბ ა დ ა ფ ი ქ ს ი რ დ ე ბ ა მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა, რ ო მ ე ლ ი ც გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა ვ ს შ ე მ დ გ ო მ ი ა ღ ქ მ ი ს ი ლ უ ზ ი ურ ხ ა ს ი ა თ ს, თ უ ე ს ა ღ ქ მ ა ი მ მ ო დ ა ლ ო ბ ი ს ა ა, რ ო მ ე ლ ს ა ც ს ა გ ა ნ წ ყ ო ბ ო ც დ ე ბ ი ს ს ე ნ ს ო რ უ ლ ი შ თ ა ბ ე ჭ დ ი ლ ე ბ ა ე კ უ თ ვ ნ ო დ ა.

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა ს ი ქ ც ე ვ ს, რ ო მ ა მ გ ზ ი თ ი ლ უ ზ ი ა თ ა ა ღ მ ო ც ე ნ ე ბ ი ს პ რ ო ც ე ნ ტ ი მ ც ი რ ე ა შ ე ს ა ტ ყ ვ ი ს ს ა გ ა ნ თ ა ა ღ ქ მ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე ფ ი ქ ს ი რ ე ბ უ ლ ი გ ა ნ წ ყ ო ბ ი ს ა ღ მ ო ც ე ნ ე ბ ი ს პ რ ო ც ე ნ ტ თ ა ნ შ ე დ ა რ ე ბ ი თ. ილუზიას ადგილი აქვს 55,9% და 37,5-%ის შემთხვევაში, ხოლო აქედან კონსტრასტული ილუზია ც.პ-ბის ნახევარზე ნაკლებ რაოდენობასთან (44,1% და 48,4%) დასტურდება; განსხვავებული ბურთების ა ქ ტ უ ა ლ უ რ ი ა ღ ქ მ ი თ შ ე ქ მ ნ ი ლ ი ფ ი ქ ს ი რ ე ბ უ ლ ი გ ა ნ წ ყ ო ბ ა კ ი თ ი თ ქ მ ი ს ა ს ი პ რ ო ც ე ნ ტ ი თ დ ა ს ტ უ რ დ ე ბ ა.

როგორც ქვემოთ დავინახეთ ეს პროცენტი საგრძნობლად ნაკლებია, ვიდრე სათანადო წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე დ ა ც (ა ქ ტ უ ა ლ უ რ ი ს ე ნ ს ო რ უ ლ ი შ თ ა ბ ე ჭ დ ი ლ ე ბ ი ს გ ა რ ე შ ე) ა ღ მ ო ც ე ნ ე ბ უ ლ ი გ ა ნ წ ყ ო ბ ი ს ე უ ლ ი ლ უ ზ ი ა თ ა პ რ ო ც ე ნ ტ ი. მაგრამ, ფ ა ქ ტ ი ფ ი ქ ს ი რ ე ბ უ ლ ი გ ა ნ წ ყ ო ბ ი ს გ ა მ ო წ ვ ე ვ ი ს ა მ ხ ო ლ ო დ ს ე ნ ს ო რ უ ლ შ თ ა ბ ე ჭ დ ი ლ ე ბ ა თ ა ნ ი ა დ ა გ ზ ე შ ე ს ა ტ ყ ვ ი ს ს ა გ ა ნ თ ა გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ი ს გ ა რ ე შ ე. მ ა ი ნ ც უ დ ა ვ ო ა.

2. დგება საკითხი: თუ კი განწყობის აღმოცენების საფუძველს სუბიექტის სათანადო მიმართულებით წარმართული მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა შ ე ა დ გ ე ნ ს, როგორც ამას განწყობის დ. უ ზ ნ ა ძ ი ს თ ე ო რ ი ი ს ძირითადი დებულება გულისხმობს, მაშინ როგორ უნდა აიხსნას განწყობის აღმოცენება აღწერილ ცდებში, სადაც სუბიექ-

ტი საგნებს კი არ ადარებს, როგორც ეს განწყობის ჩვეულებრივ ცდებში ხდება, არამედ მხოლოდ გარკვეულ განსხვავებულ კონფიგურაციულ შთაბეჭდილებებს ღებულობს? როგორ უნდა აიხსნას ტოლ საგანთა აღქმის ილუზიურობა წინა ცდებში მიღებულ სენზორულ შთაბეჭდილებათა გავლენით, როდესაც ამ წინა ცდებში საგანთა სიდიდის შედარებას ადგილი არ ჰქონია და, მაშასადამე, არც ამ შედარების მოთხოვნილების აღმოცენებას ექნებოდა ადგილი?

ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში რამდენიმე შესაძლებლობასთან გვაქვს საქმე. 1) აღქმის ყოველი სუბიექტისეული (არა ფიზიკალური) ილუზია, ცხადია, არაა განწყობისეული ილუზია. არსებობს წმინდა ფიზიოლოგიურად გაპირობებული ილუზიების რიგი, რომელნიც პერიფერიულ ფიზიოლოგიურ პროცესთა შედეგს წარმოადგენენ, როგორც მაგალითად ოპტიკური კვალის მოვლენა, რომელიც გაპირობებულია წინა შეგრძნებით ან განსხვავებული ტემპერატურის შეგრძნების ილუზია კანის სხვადასხვა ადგილებზე. იმის მიხედვით, რა ტემპერატურის გავლენას განიცდიდნენ უშუალოდ წინა პერიოდში კანის ეს განსხვავებული არეები (თბილი წყალი ცივად შეიგრძნება იმ თითით, რომელიც წინა პერიოდში ცხელ წყალში იყო ჩაყოფილი და პირიქით).

შესაძლებელია. ხელის თითების გარკვეული მდგომარეობის ფიქსაცია (მაგალითად, თითების შეკუმშული მდგომარეობის ფიქსაცია) ისევე პერიფერიულად აპირობებს მოცულობის კონტრასტულ ილუზიას, როდესაც ხელში აღებული ბურთის აღქმა თითების საწინააღმდეგო მდგომარეობას მოითხოვს (მაგ., მოითხოვს თითების დიდად გაშლას). ასეთ შემთხვევაში ბურთი უფრო დიდი მოგვეჩვენება, ვიდრე არის რეალურად, რაღგანაც თ ი თ ე ბ ი ს შ ე კ უ მ შ უ ლ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს ფ ი ქ ს ა ც ი ი ს შ ე მ დ ე გ თ ი თ ე ბ ი ს გ ა შ ლ ი ლ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა კ ი დ ე ვ უ ფ რ ო გ ა შ ლ ი ლ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს შ თ ა ბ ე ჭ დ ი ლ ე ბ ა ს ს ტ ო ვ ე ბ ს, და თითების ამ მდგომარეობაში ჰაპტურად აღქმული ბურთიც შესატყვისად უფრო დიდად გვეჩვენება, ხოლო მეორე ხელში, პირიქით, თითების გაშლილი მდგომარეობის ფიქსაციის შემდეგ შედარებით უფრო შეკუმშული მდგომარეობა, რომელსაც აქვს აღგილი საშუალო სიდიდის კრიტიკული ბურთის

ილებისას, კიდევ უფრო შეკუმშულის შთაბეჭდილებას სტოვებს, რაც მცირე მოცულობის ჰაპტურ შთაბეჭდილებას იწვევს. ამ მოსაზრების სასარგებლოდ, სხვათა შორის, ზოგიერთი ც. პ-ის თვითდაკვირვებაც ლაპარაკობს. მაგალითად, ფსიქოლოგი ც. პ.—ნ. ად. საგანწყობო ცდებში თითებს კი არ ღუნავდა, არამედ გასწორებულ მდგომარეობაში უახლოვებდა ხელის გულს, ისე რომ ოთხივე თითი თითქმის გასწორებულ მდგომარეობაში ეხებოდა ხელის გულს, ხოლო მეორე ხელის თითებს, ისევ გასწორებულ მდგომარეობაში სჭიმავდა ბლაგვი კუთხით ხელის გულის მიმართ. მ ო ც უ ლ ო ბ ი ს კ ო ნ ტ რ ა ს ტ უ ლ ი ი ლ უ ზ ი ა ც, რ ო მ ე ლ ი ც ა ღ მ ო ც ე ნ დ ა ა მ ც.პ-თ ა ნ ს ა კ ო ნ ტ რ ო ლ ო ც დ ე ბ შ ი, თ ი თ ე ბ ი ს ა მ მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს შ ე ს ა ტ ყ ვ ი ს ი ა ღ მ ო ჩ ნ დ ა: ბურთები მას მრგვალად კი არ ეჩვენებოდა, არამედ ერთი ბ რ ტ ყ ე ლ ი ვიწრო და მოგრძო ფორმისად, მეორე კ ი ს ქ ე ლ ი ბ რ ტ ყ ე ლ ი ფ ო რ მ ი ს საგნად ეჩვენებოდა. ვფიქრობთ, რომ ეს მაგალითი მიუთითებს ილუზიის პერიფერიულ, „ფიზიოლოგიურ“ ხასიათზე: ილუზიის სახე გაპირობებულია თითების მდგომარეობის ფიქსაციით.

კიდევ უფრო შესაძლებელია, რომ ანალოგიური „ფიზიოლოგიური“ ეფექტის შედეგს წარმოადგენს ხელის დაძაბული აწევის კინესთეტიკური შთაბეჭდილების ფიქსაციის შემდეგ მსუბუქი საგნის აწევისას მიღებული მეტი სიმსუბუქის შთაბეჭდილება და პირიქით, ცარიელი ხელის აწევის შთაბეჭდილების ფიქსაციის შემდეგ მეტი სიმძიმის შთაბეჭდილება, რასაც აქვს ადგილი ცდის B ვარიანტში სიმძიმის კონტრასტული ილუზიის სახით.

2) მეორე შესაძლებლობა: არსებობს ფსიქიკურ პროცესთა, ასე ვთქვათ, უ კ უ ქ ც ე ვ ი თ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს კანონზომიერება: პიროვნებაში თითქოს გროვდება სენსორული შთაბეჭდილებები, რომელნიც შემდეგ გარკვეულ სტრუქტურულ ორგანიზაციას მიიღებენ. ასეთია მაგ., სმენითი ს უ ქ ც ე ს ი უ რ ი გეშტალტები, კერძოდ მორზეს ანბანით კლოპფერის კაკუნის მიღებისას; სანამ ტელეგრაფისტი კლოპფერის უკანასკნელ დარტყმას არ მოისმენს, მიღებული შთაბეჭდილებების რიგი გარკვეულ სტრუქტურას არ მიიღებს, მაგრამ აღიქვამს თუ არა ტელეგრაფისტი ამ უკანასკნელ კაკუნს, მიღებულ შთაბეჭდილებათა მთელი რიგი მაშინათვე გარ-

ალეული „ასოს“ შესატყვისი სტრუქტურის სახით (სუქცესიური გეშტალტის სახით) ორგანიზირდება[1].

შესაძლებელია ანალოგიურ კანონზომიერებას ჰქონდეს ადგილი აქ განხილულ ცდებში: თითების გარკვეული მდგომარეობა (რომელიც გარკვეული სიდიდის საგნის ჰაპტური აღქმის დროს მოცემული მდგომარეობის ანალოგიურია) 15 გამეორების შემდეგ კრიტიკულ ცდაში ბურთისათვის ხელის პირველივე მოკიდების მომენტში უკუქცევით ორგანიზირდება სათანადო სიდიდის ჰაპტური აღქმის შთაბეჭდილების სახით, რომლის შესატყვისი განწყობის აღმოცენების გაელენით აღიქმება კრიტიკულ ცდაში მიწოდებული ბურთები.

3) ვფიქრობთ, რომ ამ ცდებში არ არის ამორიცხული სხვა შესაძლებლობაც; სახელდობრ, შესაძლებელია, რომ ამ ცდებში სუბიექტი უნებლიეთ ახდენს ორი განსხვავებული ინტენსიობის სენსორული შთაბეჭდილების შედარებას—მაგალითად, ცალი ხელის ძლიერი კუნთური დაძაბულობისა და მეორე ხელის სუსტი დაძაბულობის შედარებას ან, ყოველ შემთხვევაში, ამ შთაბეჭდილებებს ურთიერთ-მიმართებაში განიცდის. ასევე ცდის A ვარიანტში მაქსიმალურად გაშლილი თითების ტაცების მოძრაობას (хватательное движение) ც. პ. ადარებს მეორე ხელის მუშტად შეკუმშული თითების კინესთეტიკურ შთაბეჭდილებას და ამ შედარების პროცესში მას უფიქსირდება ამ განსხვავებული ინტენსივობისსენსორულ შთაბეჭდილებათა მიმართ გარკვეული განწყობა, ხოლო კრიტიკულ ცდებში ტოლი სიმძიმის ან, მეორე შემთხვევაში, ტოლი მოცულობის ბურთების აღქმაზე გავლენას ახდენს ცდის წინა პერიოდში შექმნილი ფიქსირებული განწყობა, მით უმეტეს, რომ კრიტიკულ ცდებში აღქმა იმავე მოდალობისაა, რომლის მიმართ შემუშავდა ფიქსირებული განწყობა ცდის პირველ ეტაპზე. მაგალითად, თუ ცდის პირველ ეტაპზე აღმოცენდა ფიქსირებული განწყობა მარჯვენა ხელის დაძაბული აწევისა და მარცხენა ხელის იოლი აწევის მიმართ, ამ ფიქსირებულმა განწყობამ შეიძლება იქონიოს გავლენა შემდეგ ეტაპზე ტოლი სიმძიმეების აღქმაზე, მათი ერთდროული აწევის დროს,

---

[1] იხ. Р. Натадзе, Психограмма труда клопфериста и радиста, Тифлис, 1933.

რადგანაც ამ აღქმის სენსორულ შინაარსს ისევ ხელების აწევის განსხვავებული დაძაბულობის შეგრძნება შეადგენს. ოღონდ ამ შემთხვევაში ფიქსირებული განწყობის გამოვლინება შედარებით სუსტია, რადგანაც ფიქსირებული განწყობა წარმართული იყო არა თვით საგანთა სიმძიმეების მიმართ, რის აღქმაც ხდება კრიტიკულ ცდაში, არამედ მხოლოდ სათანადო მოდალობის სენსორულ შთაბეჭდილებათა შედარებითი ინტენსივობის მიმართ.

IV. საგნის წარმოდგენის განმაწყობელი მოქმედება აქტუალური სენსორული შთაბეჭდილების გარეშე

1. საკითხი

ზემოთ აღწერილ ცდებში ცდის პირს უფიქსირდება სენსორული შთაბეჭდილება საგნის „ინტენციის" გარეშე და, ამ აზრით, შეიძლება ითქვას, ხერხდება წმინდა სენსორული (თვალსაჩინოების) ფაქტორის იზოლაცია საგანწყობო ცდებში. როგორც დავინახეთ ამ იზოლირებული სენსორული შთაბეჭდილების საფუძველზე ილუზიას ადგილი აქვს, მაგრამ მცირე პროცენტის შემთხვევაში, სახელდობრ, იგი იჩენს თავს ც.პ-ბის დაახლოებით ნახევართან.

დგება საკითხი: როგორი იქნება საგნის წარმოდგენის განმაწყობელი მოქმედება, თუ კი ეს წარმოდგენა მის შესატყვის აქტუალურ სენსორულ შთაბეჭდილებას მოკლებული იქნება, ე. ი. როგორია საგნის წარმოდგენის განმაწყობელი მოქმედება შესატყვისი აქტუალური სენსორული შთაბეჭდილების გარეშე?

მეთოდი

თვალდახუჭულ ც.პ-ს ხელები მაგიდაზე აქვს დაწყობილი ერთიმეორეზე. ხელის გულით ქვევით. მას ევალება რაც შეუძლია ნათლად, თვალსაჩინოდ წარმოიდგინოს თითქოს ხელები გადმობრუნებული აქვს ხელის გულით ზევით და თითქოს იგი ხელს ჭიდებს და უჭერს ორ ხის ბურთს—ერთი ხელით დიდ ბურთს, ისე რომ თითები ძლივს წვდება მას, მეორე ხელით კი პატარას, ისე რომ იგი თითქმის იკარგება შეკუმშულ ხელში. თითების ამოძრავება ან ხელების მდგომარეობის შეცვლა აკრძალულია: ერთიმეორეზე დაწყობილი ხელები სრულიად უძრავად უნდა იყოს გაჩერებული. როდესაც ც. პ. შესძლებს ამ დავალების შესრუ-

ლებას, ე. ი. როდესაც გვანიშნებს, რომ თვალსაჩინოდ წარმოიდგენს თითქოს გადმობრუნებულ ხელებს ჰკიდებს განსხვავებული სიდიდის ბურთებს, მას 15-ჯერ ზედიზედ გავამეორებინებთ ამ განცდას, რის შემდეგაც გადავდივართ კრიტიკულ ცდაზე: თვალდახუჭულ ც.პ-ს ორივე ხელში ჩაუდებთ შესადარებლად ტოლი მოცულობის ხის ბურთებს.

ცდის მეორე ვარიანტში თვალდახუჭული ც. პ. თითებგადაჭდობილ ორივე ხელს სდებს მაგიდაზე. მას ევალება თვალსაჩინოდ წარმოიდგინოს, თითქოს ორივე ხელით ერთდროულად სწევს მაგიდიდან მაღლა ორ საგანს: ერთი ხელით მძიმეს, მეორე ხელით სულ მსუბუქს. თითების განძრევა ან ხელის კუნთების დაჭიმვა აკრძალულია.

3. შედეგები

1. სანამ განვიხილავდეთ რიცხობრივ შედეგებს, გაეცნოთ ც.პ-თა თვითდაკვირვების მეტად მანიფესტურ მონაცემებს.

ორიოდე ც.პ-ის გარდა ყველა უჩივის ამოცანის უკიდურეს სიძნელეს: ბურთებისათვის გადმობრუნებული ხელის მოკიდების თვალსაჩინო წარმოდგენა იმ დროს როდესაც სინამდვილეში ხელები სულ სხვა მდგომარეობაშია და უძრავადაა გაჩერებული, მეტად. ძნელი აღმოჩნდა.

ზოგიერთი ც.პ. დავალებას ვერ ასრულებს: დავალებულის წარმოდგენას სულ ვერ ახერხებს. იოლად, სიძნელის გარეშე ამ განცდას აღწევს მხოლოდ რამდენიმე ც. პ. (მათ შორის 3 გარდასახვის უნარის მქონე მსახიობი).

როგორც განსაკუთრებით შემაფერხებელ მომენტს ყველა ც.პ. ერთხმად მიუთითებს ხელის მდგომარეობის შეუფერებლობას: დავალებული წარმოდგენის გამოწვევას ყველაზე უფრო აფერხებს ხელების შეუფერებელი მდგომარეობა. ც.პ-ბი მოითხოვენ ხელების გადმობრუნების ნებართვას: „ცარიელ ხელში ბურთის თვალსაჩინო წარმოდგენა შედარებით უფრო ადვილია, როდესაც ხელის რეალური მდგომარეობა წარმოდგენილის შესატყვისია. წარმოდგენას მიშლის, რომ ხელები ასე მიჭირავს“, „მომეცით ნება ისე დავიჭირო ხელები—მაშინ ადვილად წარმოვიდგენ“, „მთავარი ეგაა, რომ ხელების მდგომარეობა შეუფერებელია“, „რაც უფრო მინდა წარმოვიდგინო მით უფრო ვგრძნობ ხელების ამ მდგომარეობას და მით უფრო მიშლის ეს“.

ც.პ.ნ.ად. „წარმოვიდგინე თითქოს სხვა ხელები მქონდა ბურთებიდან, რომლითაც ვიღებდი ამ ბურთებს“. სიმძიმის აწევის წარმოდგენისას იგივე ც.პ. ამბობს: „ამ ხელებით (თავის ხელებზე მითითებით) კი არ ეწევა, რაღაცა მეორე წარმოდგენილი ხელებით“, „ამ ხელებით კი არ განვიცდი ბურთებს—იმ მეორე ხელებით, რომელიც ვითომ მხრებიდან გამოდიან“. „დამატებითი ხელების“ წარმოდგენის მიუხედავად ც.პ-ს ემჩნევა მაინც ხელების უნებლიე მოძრაობები (подергивания).

ც.პ.ალ.მ. „ძალიან გამიჭირდა ნათელი სურათის გამოწვევა... ისეთ დაძაბვას მოითხოვს, რომ სუნთქვასაც კი მიშლის“. „დასაწყისში ჩემ თავსაც წარმოვიდგენ და ხელებსაც, მაგრამ ეს თითქოს ნამდვილი ხელების გაგრძელებაა“.

ხელის მდგომარეობის მნიშვნელობაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ ზოგი ც.პ. ცდის მეორე ვარიანტში შედარებით ადვილად წარმოიდგენს ზედა (აწეულ) ხელში მძიმე საგანს, ქვედაში კი (დაწეულში) მსუბუქს, საპირისპირო მიმართების წარმოდგენას ვერ ახერხებს.

ც.პ-ბის უმრავლესობა დავალებული ბურთების აღქმას ან სიმძიმეების აწევას სუქცესიურად წარმოიდგენს სიმულტანურად კი ვერ ახერხებს. უნდა ითქვას, რომ დასაწყისში თითქმის ყველა ასე იქცევა, შემდეგ დიდი ნაწილი გადადის სიმულტანურ განცდაზე, მაგრამ საგრძნობი ნაწილი ერთდროულ წარმოდგენას ბოლომდე ვერ ახერხებს.

აღსანიშნავია რომ ც. პ-ბის უმრავლესობა ვერ ახერხებს ხელებ-ს უძრავად გაჩერებას; ბურთებისათვის ხელის მოკიდების წარმოდგენისას, ანდა განსხვავებული სიმძიმის საგანთა აწევის წარმოდგენისას ც.პ-ბს აშკარად ემჩნევათ თითების ანდა ხელის მტევნის უნებური მოძრაობები.

ც.პ. ს. ბე. „ძალიან ძნელია; ცოდნის სახით მაქვს და არა წარმოდგენის“. „კუნთების ამორიცხვა ვერ მოვახერხე“. „ჩემდა უნებურად მგონი იჭიმება კუნთები, ჩემი თავი დავიჭირე იმაში, რომ ხელი მაინც შეინძრა“.

4. რიცხობრივი მონაცემები

ცდის ორივე ვარიანტში მონაწილეობა მიიღო სულ 52-მა ც.პ-მა. აქედან 42 ც.პ-ზე ორივე ვარიანტის ცდები იყო ჩატარე-

ბული. სიმძიმის წარმოდგენის ცდა ჩატარებული იყო 43 ც.პ-ზე, ხოლო ჰაპტური—50 ც. პ-ზე.

ჰაპტური წარმოდგენის ცდების მონაცემები თავმოყრილია მე-6 ცხრილში, ხოლო სიმძიმის წარმოდგენის ცდები მე-7 ცხრილში.

1. პირველი გარემოება, რომელიც იქცევს ყურადღებას ორივე ცხრილში, არის მაღალი პროცენტი განწყობისეული ილუზიისა, რომელიც „წმინდა" წარმოდგენის საფუძველზე (მოძრაობის გარეშე) შეიქმნა. ც.პ-ბის საერთო რაოდენობის მხოლოდ ერთ მეხუთედს (16% და 22%) არ შეუმუშავედა ფიქსირებული განწყობა წარმოსახვის გზით: რამდენადაც ამ ც. პ-ბის უმრავლესობა იღებდა მონაწილეობას პირველ ცდებში (უსაგნო მოძრაობის ცდები), სადაც ილუზიის პროცენტი გაცილებით უფრო დაბალი აღმოჩნდა, ამდენად გვაქვს უფლება დავასკვნათ, რომ საგანწყობა საგნის წარმოსახვის განმაწყობელი მოქმედება ბევრად უფრო გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს. ვიდრე საგნის ინტენციის გარეშე აქტუალური სენსორული შთაბეჭდილების განმაწყობელი მოქმედება.

ცხრილი 6

ჰაპტური წარმოდგენა

	ადეკვატური ილუზ.	ასიმეტრ.	ნაწილ. ასიმ.	ასიმ. ილუზ.	კონტრასტ. ილუზ.			ს ულ ც. პ.
					სუსტი	საშ.	ძლ.	
ცდის პირ. რაოდენ.	9	2	1	11	8	7	12	50
%-ში . . .	18	4	2	22	16	14	24	
ცდის პირ. რაოდენ.	11			11	27 ც. პ.			
%-ში . . .	22%			22%	54 %			

სულ განწყობისეული ილუზია 76%

რაც შეეხება საზოგადოდ წარმოსახვით განწყობისეული ილუზიის გამოწვევის მაღალ პროცენტს, იგი ნაწილობრივ იმ გარემოებით აიხსნება, რომ ცდები ჩატარებული იყო არა შემთხვევითს ც. პირებზე: 1) ც. პ-ბის მეტ ნაწილს შეადგენდნენ ფსიქოლოგები, რომელთაც, როგორც ეს სხვაგანაც გვაქვს აღნიშნული, შედარებით უფრო ეხერხებათ წარმოდგენის საფუძველზე განწყობის გამოწვევა,

ვიდრე შემთხვევითს ც. პ-ბს. 2) ცდებში მონაწილეობას იღებდა რამ-ღენიმე ჩემი ძველი ც.პ., რომელთაც წინა წლების ცდებში დაუდასტურდათ წარმოსახვით განწყობის შემუშავების ძლიერი უნარი,

ცხრილი 7

სიმძიმის წარმოდგენა

	ადეკვატური ილუზ.	ბუნებრ. ასიმ. ილუზ.	ასიმ. ილუზ.	კონტრასტ. ილუზ.			ჯამ.
				სუსტი	საშ.	ძლ.	
ცდის პირ. რაოდენ.	4	3	10	3	14	9	43
%-ში	9,3	7	23,2	7	32,5	20,9	
ცდის პირ. რაოდენ. %-ში	7 ც. პ. 16,3%		23.2%	26 ც. პ. 60,5%			

სულ განწყობისეული ილუზია 83,7%

3) ც. პ-ბის უმრავლესობას შეადგენენ სტუდენტები, რომლებსაც ვიცნობდით პედაგოგიურ პროცესში ურთიერთობიდან, და რომელნიც შემთხვევით კი არ იყვნენ აყვანილი ც. პ-ბად, არამედ საგანგებო შერჩევით; სახელდობრ, შეევარჩიეთ ის ც. პ-ბი, რომელთაგანაც რაღაცა ზოგადი დიფუზიური შთაბეჭდილებით მოველოდით წარმოსახვის დიდ ხვედრით წონას პიროვნების ცხოვრებაში.

2. მეორე გარემოება, რომელიც იქცევს ყურადღებას მოყვანილ ცხრილებში, არის ა ს ი მ ი ლ ა ტ უ რ ი ილუზიის შედარებით მაღალი პროცენტი. რაც, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, საზოგადოდ დამახასიათებელია განწყობის ნ ე ბ ი ს მ ი ე რ ი შექმნისათვის წ ა რ მ ო ს ა ხ ვ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე: ც. პ., რომელიც ნებისმიერად დიდი დაძაბვით ქმნის არარსებული საგანწყობო საგნის წარმოდგენას, თითქოს „ინერციით“ განაგრძობს ამავე მიმართულებით მოქმედებას საკონტროლო ცდებშიც[1].

V. საგნის წარმოდგენისა და იმავე დროს მისი შესატყვისი აქტუალური სენსორული (კინესთეტიკური) შთაბეჭდილების ურთიერთობელი მოძიება

1. საკითხი

ზემოთ განხილულ ცდებში ვცდილობდით იზოლირებულად გამოგვეკვლია, ერთი მხრივ, აქტუალური სენსორული შთაბეჭდი-

[1] შეადარე მეორე თავი.

ლებისა და, მეორე მხრივ, საგნის წარმოდგენის განმაწყობელი მოქმედება. როგორც დავინახეთ, გამოირკვა, რომ საგნის ჰაპტუ-რი ან კინესთეტიკური თვალსაჩინო წარმოდგენის გამოწვევა შესატყვისი მოძრაობის შესრულების გარეშე დიდ სიძნელეს ქმნის ც. პ-თათვის.

დგება საკითხი—როგორი იქნება ამავე საგნის ჰაპტური ან კინესთეტიკური წარმოდგენის მოქმედება, თუ კი მას დაერთვის შესატყვისი მოძრაობის აქტუალური კინესთეტიკური შეგრძნება? სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორი აღმოჩნდება წარმოდგენის განმაწყობელი მოქმედება, როდესაც მას დაერთვის მისი სენსორული შინაარსის შესატყვისი აქტუალური შეგრძნების განცდა და, მაშასადამე, წარმოდგენა უფრო გათვალსაჩინოვდება?

მეთოდი

თვალდახუჭულ ც.პ-ს ევალება განსხვავებული სიდიდის ბურთულებისათვის ხელის მოკიდებისა და მეორე ცდაში, განსხვავებულ სიმძიმეთა აწევის არა მხოლოდ წარმოდგენა, არამედ ხელების ან თითების შესატყვისი ამოძრავების საშუალებით სათანადო აღქმის (ხელის მოკიდებისა ან სიმძიმეების აწევის აღქმის) „ილუზიის“ შექმნა—„თავის მოტყუება“, თითქოს იგი მართლა ასრულებს ამ მანიპულაციებს წარმოსახული ობიექტებით: ერთ შემთხვევაში შესატყვისად კუმშავს ორივე ხელის თითებს, თითქოს მართლა კიდებს ხელს პატარა ბურთს ერთი ხელით და დიდს—მეორე ხელით; მეორე შემთხვევაში კი ცალ ხელს წევს დაჭიმულად თითქოს მართლა სწევდეს დიდ სიმძიმეს, ხოლო მეორე ხელს მსუბუქად სწევს ზევით თითქოს მსუბუქ საგანს სწევდეს.

3. შედეგები

ეს ამოცანა ყველა ც. პ-სათვის შეუდარებლად უფრო ძნელი შესასრულებელი აღმოჩნდა, ვიდრე ამის წინა ამოცანა: ყველა ც.პ. ადვილად აღწევს დავალებულ ჰაპტურ ან კინესთეტიკურ წარმოდგენას. უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ამოცანას აადვილებს უმთავრესად ხელების სათანადო მდგომარეობაში დაყენების შესაძლებ-

ლობა. ამ ფაქტორს, ე. ი. ხელების შესატყვის პოზას, ც. პ-ბი მეტ როლს მიაწერენ, ვიდრე თითონ მოძრაობის შესრულებას.

ოქმებიდან: „ეს სულ სხვა საქმეა!—ეს ძალიან ადვილია! მთავარი ის არის, რომ ხელის გადმობრუნება შეიძლება“, „ხელს რაკი გადმოვაბრუნებ, ისე ნათლად ვგრძნობ, თითქოს მართლა მეჭიროს ხელში“. „თითქოს ბურთის შეხებასაც ვგრძნობ“. „ისე ცხადად ვგრძნობ, რომ სრული ილუზიაა თითქოს ხელში მიჭირავს“. „მოძრაობა, განსაკუთრებით ხელის მოტრიალება, ბევრად აადვილებს წარმოდგენას—წარმოდგენა ბევრად უფრო თვალსაჩინო

ცხრილი 8

ჰაპტური წარმოდგენა

	ადეკვატ. ილუზია	ბუნებრ. სიმეტრ.	რხევა ასიმილ. და კონტრ. ეფექტის	ასიმილ. ილუზია	კონტრასტ. ილუზია			ჯამ. სულ
					სუსტი	საშ.	ძლიერი	
ცდის პირ. რაოდენ.	8	—	1	2	7	11	13	42
%-ში	19	—	2,4	4,8	16.6	26,2	30.9	
ცდის პირ. რაოდენ.	8 ც. ბ.				31 ც. ბ.			
%-ში	19%			4,8	73,8%			

სულ განწყობისეული ილუზია 78,6%

და ნათელი ხდება“. „ერთხელ რომ მოხერხდა, მერე მოძრაობის ეამო ძალისხმევა აღარ მჭირდება—თითონ მოდიოდა“.

ცხრილი 9

სიმძიმის აწევის წარმოდგენა

	ადეკვატ. ილუზია	ბუნებრ. სიმეტრ.	რხევა ასიმილ. და კონტრ. ეფექტის	ასიმილ. ილუზია	კონტრასტ. ილუზია			ჯამ. სულ
					სუსტი	საშ.	ძლიერი	
ცდის პირ. რაოდენ.	1	2	5	7	5	8	5	33
%-ში	3	6	15,2	21.3	15.2	24.4	15.2	
ცდის პირ. რაოდენ.	3 ც. ბ.			7 ც.ბ.	18 ც. ბ.			
%-ში	9,1%			21,3	54,8%			

სულ განწყობისეული ილუზია. 75,8 %

რიცხობრივი მონაცემები იხ. მე-8 და მე-9 ცხრილში.

შევადაროთ განმაწყობელი მოქმედება ამ მაქსიმალური თვალსაჩინოებით მოცემული წარმოდგენისა, რომელიც მის შესატყვის აქტუალურ სენსორულ კომპონენტებთან ერთად განიცდება, პირველი ორი ცდის შედეგებს, ე. ი. ერთი მხრივ, საგნის წარმოდგენის გარეშე მოცემულ სენსორულ შთაბეჭდილებათა და მეორე მხრივ, ამ სენსორული შთაბეჭდილების გარეშე მოცემული საგნის წარმოდგენის განმაწყობელ გავლენას. მე-10 ცხრილში მოცემულია ეს შედარება ჰ ა პ ტ უ რ ი არის მიმართ, ხოლო მე-11 ცხრილი იძლევა ამ შედარებას ს ი მ ძ ი მ ი ს მიმართ.

ცხრილი 10

ჰაპტური არე (%%-ით)

	გარეშე ილუზია არ არის	ილუზია ასი-ნქრონული	ასიმილ. ილუზია	კონტრასტ. ილუზია			ეფექტ. ილუზია
				სუსტი	საშ	ძლიერი	
მხოლოდ აქტუალ. კინესთ. შთაბეჭდ. (საგნის წარმოდგენის გარეშე)	38.2	6	11,7	11.7	6	2[illegible].3	55.8
					14.1		
მხოლოდ საგ'ის წარმოდგენა (აქ აქტუალური კინესთ. შთაბეჭდ. გარეშე)	22	2	[illegible]2	16	14	24	76
					54		
საგნის წარმოდგენა შესატყვისი კინესთ. შთაბეჭდ.	19	2,4	[illegible],8	16.6	26.2	30,9	78,6
					73,8		

1. პირველი გარემოება, რომელიც გვეცემა თვალში ამ ცხრილების გაცნობისას არის განწყობისეული ილუზიის გაცილებით მეტი გავრცელება საგნის წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ს (ჰაპტურის და სიმძიმის) შემთხვევაში, ვიდრე მისი შესატყვისი ს ე ნ ს ო რ უ ლ ი (კ ი ნ ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი) შ თ ა ბ ე ჭ დ ი ლ ე ბ ი ს შემთხვევაში, როდესაც ამ უკანასკნელს არ ახლავს საგნის წარმოდგენა ან მისი გულისხმობა.

მართლაც, როგორც მე-11 ცხრილიდან ჩანს, სიმძიმის არეში მხოლოდ კინესთეტიკური შთაბეჭდილებით ფიქსირებული განწყობა არ უმუშავდება ც.პ-ბის თითქმის 40%-ს, ხოლო მძიმე საგნის აწევის წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ს შემთხვევაში, აქტუალური კინესთეტიკური შთაბეჭდილების გარეშე, მხოლოდ 16,3%-ს, ე. ი. ო რ-ნ ა ხ ე ვ ა რ ჯ ე რ ნაკლებს, ვიდრე პირველ შემთხვევაში!

გარკვეული ილუზია თავს იჩენს საგნის აწევის წარმოდგენისას აქტუალური კინესთეტიკური შთაბეჭდილების მონაწილეობის შემთხვევაში ც.პ-ბის სამ მეოთხედთან—75,8%-თან. ხოლო საგნის აწევის წარმოდგენის შემთხვევაში, აქტუალური კინესთეტიკური შთაბეჭდილების გარეშე, ც. პ-ბის ოთხ მეხუთედიდან—63,7%-თან.

ცხრილი 11

სამძიმის არე (%%-ით)

	განწყ. ილუზია არა	ხმირი ხმევა ასიმ. დაკონტრ.	ასიმილ. ილუზია	კონტრასტ. ილუზია			სულ. განწყ. ილუზია
				სუსტი	საშ.	ძლიერი	
მხოლოდ აქტუალური კინესთ. შთაბეჭდილება საგნის წარმოდგენის გარეშე	39,4	3	9,1	9,1	15,1	24,3	57,5
					48,4		
საგნის მხოლოდ წარმოდგენა (აქტუალ. კინესთ. შთაბეჭდ. გარეშე)	16,3	—	23.2	7	32,5	20,9	83,7
					60,5		
საგნის წარმოდგენისა და შესატყვისი კინესთ. შთაბეჭდილებით	9,1	15,2	21,2	15,2	24,4	15,2	75,8
					54,5%		

დიდია ეს სხვაობა ჰაპტურ არეშიც; არ იმუშავებს ფიქსირებულ განწყობას მხოლოდ კინესთეტიკური შეგრძნების შემთხვევაში 38,2%, ხოლო საგნის მხოლოდ წარმოდგენის შემთხვევაში კი 22%; გარკვეულად განწყობისეული ილუზია თავს იჩენს შეფარდებით 55,8% და 76%-თან.

მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეს სხვაობა მაინც ნაკლებია ჰაპტურ არეში, ვიდრე სიმძიმის არეში. თუ ეს პროცენტული სხვაობა არ არის შემთხვევითი, მაშინ იგი საინტერესოა იმ მხრივ, რომ სწორედ სიმძიმის არეში წმინდა კუნთური დაძაბვის სენსორული შთაბეჭდილების როლი მეტია, ვიდრე ჰაპტურ აღქმაში და, მაშასადამე, სიმძიმის წარმოდგენის აქტუალური სენსორული „კომპონენტი“ (თუ შეიძლება ამ აზრით ვიხმაროთ ეს ცნება) უფრო თვალსაჩინოდ იყო წარმოდგენილი პირველ ცდაში, ვიდრე მეორეში: ხელების აწევა განსხვავებული კუნთური დაძაბვით ვაცილებით უფრო უახლოვდება მძიმე და მსუბუქი საგნის რეალური აწევის შთაბეჭდილებას, ვიდრე დიდი და პატარა ბურთე-

ბისათვის ხელის მოკიდებას უახლოვდება თითების მოძრაობა, რო-ელსაც ასრულებდნენ პირველ ცდაში ჩვენი ც.პ-ბი.

ვიმეორებთ, თუ აღნიშნული სხვაობა ჰაპტური არისა და სიმ-ძიმის არის ცდებს შორის არ არის შემთხვევითი, მაშინ იგი უნდა მიეწეროს, ნაწილობრივ მაინც, იმ გარემოებას, რომ ჩვენი ცდე-ბის პირობებში, როგორც ეს ც.პ-თა დიდი უმრავლესობის თვით-დაკვირვებათა ჩვენებებიდანაც ირკვევა, ჰაპტური წარმოდგენის გამოწვევა ხელების შეუფერებელი მდგომარეობისას უფრო ძნე-ლი აღმოჩნდა, ვიდრე სიმძიმის აწევის წარმოდგენის გამოწვევა ხელების მაგიდაზე დაწყობით (ვინც შეეცდება ორივე ჩვენი ცდის დავალებათა შესრულებას ხელების ჯიბეებში დაქერით—ის ადვი-ლად დარწმუნდება, რომ ეს მართლაც ასეა).

შემდეგი რიცხობრივი მონაცემები, თუ პირდაპირ არ მიუთი-თებენ, ყოველ შემთხვევაში უფრო ადასტურებენ ამ მოსაზრებას, ვიდრე ეწინააღმდეგებიან მას.

წმინდა კინესთეტიკური შთაბეჭდილებით შექმნილი ილუზიის გავრცელება ჰაპტურ და სიმძიმის არეებში თითქმის არ განსხვავ-დება ერთმანეთისაგან: ჰაპტურში—55,8%, სიმძიმის—57,5%, ხოლო „წმინდა" წარმოდგენით (მოძრაობის გარეშე) გამოწვეული-კი შედარებით უფრო განსხვავებულია: 76% და 83,7%.

მაგრამ, ვიმეორებთ, ეს სხვაობა არც ისე დიდია, რომ უდავოდ დადგენილად ჩაითვალოს.

მთავარი მნიშვნელობა ჩვენი საკითხისათვის აქვს იმ ძირითად შედეგს, რომ საგნის წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ს განმაწყობელი გავლენა უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე სავსებით თვალსაჩინო აქტუალუ-ი სენსორული შთაბეჭდილების განმაწყობელი გავლენა, იმ შემ-თხვევაშიც თუ განწყობისეულად ვიგულისხმებთ ილუზიის ყველა შემთხვევას დაარა წმინდა ფიზიოლოგიურ ილუზიად. ამ შედეგს ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით.

2. მეორე ძირითადი მნიშვნელობის გარემოება, რომელიც იქ-ცევს ყურადღებას შედარებითი მონაცემების ცხრილებში (მე-10 და მე-11) არის მ ე ს ა მ ე ც დ ი ს რ ი ც ხ ო ბ რ ი ვ ი შ ე დ ე გ ე ბ ი ს ს ც ი რ ე გ ა ნ ს ხ ვ ა ე ე ბ ა მ ე ო რ ე ც დ ი ს შ ე დ ე გ ე ბ ი-ს ა გ ა ნ.

მართლაც, რამდენიმე ერთეული გამონაკლისის გარდა, ყველა ც.პ. ერთხმად აღნიშნავს შეუდარებელ სიადვილეს მესამე ცდის ამოცანის შესრულებისას—როდესაც მას ნება მიეცა. დავალებუ-

ლი წარმოდგენის შესატყვისი მოძრაობების შესრულებისა. როდესაც ც.პ. შესატყვისი მოძრაობებით ეხმარება თავისთავს აღწერილი ობიექტის წარმოსახვაში, იგი უფრო ადვილადაც და მეტი თვალსაჩინოებითაც წარმოიდგენს დავალებულს. თითქმის ყველა ც.პ. აღნიშნავს მესამე ცდაში წარმოდგენის გაცილებით მეტ თვალსაჩინოებას და სიცხოველეს, ვიდრე მეორე ცდაში. მესამე ცდის დავალებას ობიექტურად თითქმის ყველა უმალვე ასრულებს—შეეცდება თუ არა თვალსაჩინოდ წარმოიდგინოს ხელში ნაგ., დიდი დაპატარა ბურთი, მაშინვე აღწევს ამას. ხოლო მეორე ცდაში, როდესაც ც.პ-ს აკრძალული ჰქონდა ხელების ამოძრავება, ც.პ-ბის დიდი უმრავლესობა დიდხანს უშედეგოდ ცდილობდა ამის თვალსაჩინო წარმოდგენას, გვიან აღწევდა ასეთ წარმოდგენას და ხშირად ისევ „კარგავდა“ მას —წარმოდგენა მას „ეპარებოდა ხელიდან“ „უსხლტებოდა“ და ა. შ.

ერთი სიტყვით, თვალსაჩინო წარმოდგენის გაჩოწვევის თვალსაზრისით ეს ორი ცდა, როგორც ჩანს, ერთმანეთს შეუდარებელია. ბევრმა ც. პ-მა მოძრაობის გარეშე სულაც ვერ მიაღწია ცოცხალ თვალსაჩინო წარმოდგენას. ც. პ-ბი აღნიშნავენ, რომ „ბუნდოვნად“ წარმოიდგენენ ან მხოლოდ „იციან“, რომ ასეთი საგანი უნდა ეპიროთ ხელში ან რომ „დაახლოებით წარმოიდგენენ“ მას და ასე შემდეგ, ხოლო მესამე ცდაში მოძრაობების დახმარებით თვალსაჩინო წარმოდგენას ყველა აღწევს.

მიუხედავად ამ დიდი განსხვავებისა საგანწყობო წარმოდგენის სიცხოველის მხრივ და მისი გამოწვევის სიადვილის მხრივ, ცხრილის რიცხვები გვიჩვენებენ განწყობისეულ ილუზიათა სულ მცირე სხვაობას აღნიშნულ 2 ცდაში, რაც განსაკუთრებით ისევ ჰაპტური არის შესაბამებ უნდა ითქვას.

მოძრაობის გარეშე წარმოდგენის შემთხვევაში, განწყობისეულ ილუზიას ჰაპტურ არეში სულ არ ჰქონდა ადგილი 22%-ს, ხოლო მოძრაობებთან დაკავშირებულ წარმოდგენათა შემთხვევაში 16,6%-ს (ე. ი. განსხვავება სულ 5%-ს უდრის!). გარკვეულ განწყობისეულ ილუზიას ადგილი ჰქონდა პირველ ცდაში 76% შემთხვევაში, მეორე ცდაში—78,6%. განსხვავება ორ-ნახევარ პროცენტს უდრის!

სიმძიმის არეში ეს განსხვავება არ არის გარკვეული: საბელდობრ, განწყობისეულ ილუზიათა პროცენტი მეტი აღმოჩნდა

ნოძრაობის გარეშე წარმოდგენის შემთხვევაში (მესამე ცდაში), ვიდრე ნოძრაობასთან დაკავშირებული წარმოდგენის შემთხვევაში (მეორე ცდაში)— 83.7% და 75,8%. სამაგიეროდ პროცენტი იმ ც. პ-სა, რომელთანაც სულ არ გამოვლინდა ფიქსირებული განწყობა, პირიქით, მეტია მეორე ცდაში, ვიდრე მესამეში—16,3% და 9,1%; განსხვავება 5%-ს უდრის.

ორივე ეს შედეგი არ არის ზუსტი. რადგანაც ამ ცდაში შედარებით დიდი რაოდენობით (15,2%) იჩინა თავი ხშირმა რხევამ ასიმილატურ და კონტრასტულ ილუზიას შორის, ე. ი. შემთხვევებმა, როდესაც ც.პ-ს ხან მარჯვენა, ხან მარცხენა საგანი ეჩვენებოდა უფრო მცირედ. ასეთი რხევა ჩვეულებრივად არ წარმოადგენს განწყობისეულ ილუზიას—უფრო ხშირად იგი ტოლობის აღქმის თანმხლებია. მაგრამ ამ ცდაში ასეთი პასუხების რაოდენობა მეტად გაიზარდა: შესაძლებელია საგრძნობი ნაწილი ამ შემთხვევებისა სუსტ განწყობისეულ ილუზიასაც წარმოადგენდეს. თუ ეს ასეა, ნაშინ მესამე ცდაში განწყობისეული ილუზიები აღარ უნდა ჩაითვალოს ნაკლებად გავრცელებულად, ვიდრე მეორე ცდაში.

ვფიქრობთ, რომ ზემოგანხილულ რიცხობრივი მონაცემებიდან უდავოდ გამონდინარეობს შემდეგი საკმაოდ ფრთხილი. დასკვნა: წარმოდგენის თვალსაჩინოება, და კერძოდ მისი, ასე ვთქვათ, სენსორული კომპონენტის სიცხოველე არ წარმოადგენს ფიქსირებული განწყობის აღმოცენების არა თუ ერთადერთს, არამედ არც მთავარი მნიშვნელობის ფაქტორს—ერთგვარ როლს იგი თამაშობს, მაგრამ არა გადამწყვეტს.

თუ მივიღებთ მხედველობაში რამდენად უფრო ადვილად აღწევდნენ ფიქსირებული განწყობის შემუშავებას ჩვენი ცდის პირები სხვა ზემოთ აღწერილ ცდებში (იხ. თავი I, II), როდესაც ნაწილობრივ მიმართავდნენ წარმოდგენის შესატყვის ნოძრაობებს, შეიძლება ვიგულისხმოთ რომ სხვაობა ცდის აქ განხილულ ორ სერიას შორის (მე-2 და მე-3 ცდის შორის) მეტი აღმოჩნდებოდა, რომ ცდები სრულიად შემთხვევით ც. პ-ბზე ყოფილიყო ჩატარებული: სახელდობრ, ძოსალოდნელია საგრძნობლად ნაკლები პროცენტი ილუზიისა მოძრაობის გარეშე წარმოდგენის შემთხვევაში, რადგანაც, როგორც ეს ჩვენი წარსული წლების ცდებიდანაც და სპეციალურად ჩატარებულ გამოკვლევიდანაც ჩანს, უნარი ფიქსირებული განწყობის

შემუშავებისა წარმოსახვის გზით მნიშვნელოვნად ვარჯიშებადია (იხ. თავი VII). მაგრამ საეჭვოა მაინც, რომ ძირითადი კანონზომიერება ამ შემთხვევაში შეცვლილიყო. ხაზგასასმელია, რომ უკანასკნელად განხილულ ცდებში ფიქსირებული განწყობის შემუშავების შედარება ხდება იმ შემთხვევებთან, როდესაც ც.პ. აღწევს მოძრაობის ვარეშე საძიებელი წარმოდგენის გამოწვევას, ხოლო წინა თავებში აღწერილ ცდებში ცდის პირების დიდი ნაწილი თვით ასეთ წარმოდგენასაც ვერ აღწევს მოძრაობის გარეშე და ამიტომ ამ გზით ფიქსირებული განწყობის გამოწვევის პროცენტი დაბალია.

VI. საგანთა ოპტიკური წარმოსახვის გაგმაწყობელი მოქმედება

1. საკითხი

ზემოთ აღწერილ ცდებში, როგორც დავინახეთ, ც. პ-თათვის მთავარ სიძნელეს ქმნის საგანთა სიდიდის ჰ ა პ ტ უ რ ი წარმოდგენის გამოწვევა და ნაკლებს, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან სიძნელეს — სიმძიმის აწევის თვალსაჩინო კ ი ნ ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი წარმოდგენის გამოწვევა.

საგანთა თვალსაჩინო ოპტიკური წარმოდგენა ჩვეულებრივ არ შეადგენს ადამიანისათვის სიძნელეს (თუ არ ვიგულისხმებთ იშვიათს, უკიდურესად გამოვლინებულ, ცალმხრივ, აკუსტიკურ ან მოტორულ ტიპებს). ადამიანთა უმრავლესობა ოპტიკურად საგნებს ადვილად წარმოიდგენს თვალსაჩინოდ. თუ ამ გზით, ე. ი. განსხვავებული სიდიდის საგანთა ო პ ტ ი კ უ რ ი წარმოდგენის გზით, აღმოცენდება საკმაოდ ძლიერი ფიქსირებული განწყობა განსხვავებულ სიდიდეთა მიმართ, ამ განწყობამ უნდა იჩინოს თავი სიდიდეთა სხვაგვარი, და კერძოდ ჰაპტური, აღქმის მიმართაც. ხოლო ჰაპტურ სფეროში განწყობის გამოვლინება მოგვცემდა ამ ცდის შედეგების ზემოთ აღწერილი ცდების შედეგებთან უშუალო შედარების შესაძლებლობას. ამას გარდა განწყობის მოქმედების ასეთი ირადიაცია, ჩვენი ფიქრით, მოგვცემდა თვალსაჩინო წარმოდგენის განმაწყობელი მოქმედების შედარების შესაძლებლობას არათვალსაჩინო ცოდნის, „ცნობიერობის“ (Bewusstheit) განმაწყობელ მოქმედებასთანაც. თუ კი შესაძლებელი აღმოჩნდებოდა განწყობის შემუშავება, როგორც თვალსაჩინო წარმოდგენისა, ისე არათვალსაჩინო ცოდნის—გულისხმობის—საფუძველზე. უფრო კონკრეტულად: რომ შევძლოთ გამოვიწვიოთ ერთ შემთხვევაში საგანწყობო საგნების

თვალსაჩინო წარმოდგენა, ხოლო მეორე შემთხვევაში ამავე საგნების გულისხმობა მხოლოდ ცოდნისა-ხით, მაშინ ჩვენ მოგვეცემოდა შესაძლებლობა ამ ორი განსხვავებული შინაარსის განმაწყობელი მოქმედების ურთიერთშედარებისა. მასშტაბად ორივე შემთხვევაში გამოვიყენებდით კრიტიკულ ცდაში ილუზიის გადასვლას ჰაპტური აღქმის არეზე.

მართალია ამ მიზანს, როგორც დავინახავთ, ჩვენ ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ. სამაგიეროდ მივიღეთ შედეგები, რომელნიც სხვა მხრივ არ არიან მოკლებულნი მნიშვნელობას აქ დასმული საკითხის თვალსაზრისით. ამიტომ აქ განვიხილავთ გამოყენებულ შეთოდსაც და მიღებულ შედეგებსაც.

2. მეთოდი

1. ცდის პირველი ეტაპი: განსხვავებული სიდიდის ბურთებით სხვის მიერ შესრულებული მანიპულაციის გულისხმობა. ც. პ-ის წინ დევს ევერდით ორი დიდი, მრგვალი. შესახედავად განსხვავებული კოლოფი. კოლოფების ძირები ც. პ-�არის მიბრუნებული, ისე, რომ, ც. პ. ვერ სედავს იმ ბურთებს, რომელიც ამ კოლოფში დევს, ც. პ-ს ევალება მხოლოდ უგდოს ყური ც. ხ-ის სიტყვებს და გაიგოს, გაიაზროს მისი ნათქვამი. ც. ხ. ეუბნება ც. პ-ს: „მე ვიღებ ამ ხელით დიდი ხის ბურთს და ვდებ ამ (მაგ. მარჯვენა) კოლოფში (ისმის ბურთის ჩადების ხმა). ამ ხელით კი ვიღებ სულ პატარა ბურთს და ვდებ ამ (მაგ. მარცხენა) კოლოფში“ (ისმის ბურთის ჩადების ხმა). ც. ხ-ის ეს სიტყვები და შესატყვისი მოქმედება მეორდება რამდენიმეჯერ. ამის შემდეგ ც. ხ. ერთდროულად ასრულებს ორივე მოძრაობას და ელაპარაკება ც. პ-ს ორივე ბურთის—დიდისა და პატარას, ერთდროული ჩადების შესახებ ორ კოლოფში. ამ სიტყვების 15 განმეორების შემდეგ გადავდივართ კრიტიკულ ცდაზე: ც.პ-ს ეძლევა წინადადება ჩაჰყოს ორივე ხელი ერთდროულად ორივე კოლოფში (მარცხენა ხელი მარცხენა კოლოფში, მარჯვენა—მარჯვენაში) და შეადაროს კოლოფებში მოთავსებული ბურთების სიდიდე. ამრიგად, კრიტიკულ ცდაში ბურთების აღქმა ჰაპტურია: თუმცა თვალები ც. პ-ს გახელილი აქვს, მაგრამ ბურთებს იგი ვერ ხედავს.

ჩვენ მოველოდით, რომ ც. პირების ნაწილი ამ ცდაში ბურთებს თვალსაჩინოდ არ წარმოიდგენდა, მაგრამ, როგორც ახლა

დავინახავთ, ეს ვარაუდი არ გამართლდა. აღმოჩნდა, რომ ერთეული გამონაკლისის გარდა, ყველა ც.პ. საგანწყობო ცდაში საკუთარ თვალსაჩინოდ წარმოიდგენდა იმ ბურთებს, რომელზედაც მათ ელაპარაკებოდა ც.ხ.

2. ცდის მეორე ეტაპი — განსხვავებული სიდიდის ბურთების თვალსაჩინო ოპტიკური წარმოდგენა. ცდის პირის წინ მაგიდაზე დევს იგივე ორი კოლოფი, რომლის ძირები მისკენ ჰარის მიბრუნებული. ც. პ-ს ევალება რაც შეუძლია ნათლად, ცოცხლად, თვალსაჩინოდ წარმოიდგენს ერთ კოლოფში დიდი ხის ბურთი, მეორეში პატარა. ეს დავალება ზედიზედ 15-ჯერ მეორდება.

3. შედეგები

1. თვითდაკვირვების მონაცემები. ჩვენი მოლოდინი ცდის პირველ ეტაპზე ბურთების მხოლოდ გულისხმობის შესახებ, როგორც ითქვა, არ გამართლდა. მხოლოდ სამი ც.პ. აღნიშნავს, რომ ბურთები არ ჰქონდა თვალსაჩინოდ წარმოდგენილი, რომ მხოლოდ „ფიქრობდა "ან „იცოდა" მათ შესახებ. თითქმის ყველა აღნიშნავს, რომ ბურთები ძალიან თვალსაჩინოდ ჰქონდა წარმოდგენილი. თითქმის ყველა ც.პ.. ჩვენ კითხვაზე სიპასუხოდ, ამ ბურთების ფერსაც აღწერს და საკმაოდ ზუსტად გვიჩვენებს ამ წარმოდგენილი ბურთების სიდიდესაც. ც.პ-ბის უმრავლესობას „სჯეროდა" კიდევაც, რომ ც.ხ. მართლა აწყობს კოლოფებში ამ განსხვავებული სიდიდის ბურთებს; უმრავლესობის წინაშე ამ „დაჯერების" შესახებ საკითხი არც დამდგარა, რადგან სულ არ შეუტანიათ ეჭვი ც.ხ-ის სიტყვებში.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ცდის მეორე ვარიანტის (მეორე ეტაპის) ჩატარებისას თითქმის არავინ არ აღნიშნავს ბურთების წარმოდგენის უფრო მეტ თვალსაჩინოებას. ც. პ-ბის საგრძნობი ნაწილი, პირიქითაც, მიუთითებს იმ გარემოებას, რომ მეორე ცდაში (სადაც ც. პ-ბს ევალებოდათ ბურთების მაქსიმალურად თვალსაჩინო წარმოდგენა) წარმოდგენა ნაკლებ თვალსაჩინო იყო: აღნიშნავენ, რომ სწორედ მაქსიმალურად თვალსაჩინო წარმოდგენის განზრახვა საწინააღმდეგო ეფექტს იწვევდა—წარმოდგენა „დაიშლებოდა", „გაქრებოდა", „გაიპარე-

ბოდა“ და ა. შ. ყოველ შემთხვევაში, ამ ჩვენებათა საფუძველზე უდავოა, რომ მეორე ცდის დროს საგანწყობო ობიექტები, რამ-დენიმე გამონაკლისი შემთხვევის გარდა, ა რ ყ ო ფ ი ლ ა უ ფ რ ო ო ვ ა ლ ს ა ჩ ი ნ ო დ წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი, ვ ი დ რ ე პ ი რ-ვ ე ლ ც დ ე ბ შ ი.

მთავარი განსხვავება ცდის ამ ორ ეტაპს შორის ც. პ-ბის განცდაში სხვა მხრივ გამოვლინდა. სახელდობრ, ც.პ-ბი (უმთავრესად ფსიქოლოგები) ცდის მეორე ეტაპზე—სადაც მათ ეკალებოდათ. რაც შეეძლოთ თვალსაჩინოდ წარმოედგინათ ბურთები—აღნიშნავენ „მთელი არსების“, „მთელი ორგანიზმის“ შინაგან მონაწილეობას ამ განცდაში: ც.პ-ბი მიუთითებენ—„ხელველობით კი არ წარ-მოვიდგენ დიდ და პატარა ბურთებს“... „არც ხელის მოკიდებას არ წარმოვიდგენ“. არამედ „მთელი ტანით“, „მთელი სხეულით“, „შინაგანი დაძაბვით განვიცდი ამ დიდსა და პატარას“. „დიდის წარმოდგენის დროს შიგნით რაღაც დაიძაბება“— „პატარის წარ-მოდგენისას. პირიქით, შვებას განვიცდი“. ც. პ.—ბ. კვ.: „კი არ ვხე-დავდი თვალსაჩინოდ, არამედ მთელი არსებით განვიცდიდი—ეს განცდა არაა არც ცოდნა, არც წარმოდგენა—სულ განსხვავებულია ამთგან. მთელი მე-სათვის იყო ნათელი, რომ აქეთ დიდია იქით პატარა“. შეკითხვაზე—ფერი თუ ჰქონდა წარმოდგენილი ც. პ-ს, უკანასკნელი პასუხობს: „არა, ამ განცდაში არც შეიძლება ყო-ფილიყო ფერი მოცემული“.

ერთი ც. პ. მ. ქვლ.—ხელოვნების ერთ-ერთი დარგის ნიჭიერი წარმომადგენელი, სათანადო მხარეს ლოკალურად გვერდში ეჭიმნობს დაძაბვას დიდი ბურთის ნებისმიერად წარმოდგენისას.

ც. პ.—ბ. კვ.: „შინაგანი წარმართვა იყო დიდისაკენ. რომ წარ-ვიმართებოდი დიდისაკენ—თითქოს გული გაფართოვდა. თითქოს ეაიკსო გული; აქეთ—პატარისაკენ რომ წარვიმართებოდი, პირი-ქით—თითქოს იკუმშებოდა გული. მერე თითქოს ავაყოლე გუ-ლის მოძრაობის რითმს ეს განცდა დიდისა და პატარის“.

ც. პ.—ბ.ე.—„წარმოდგენა არ იყო ნათელი—მაგრამ რაღაც განცდაა ცნობიერებაში, რომელიც მარწმუნებს, რომ აქეთ დიდი დევს, აქეთ პატარა“. ც. ხ-ის შეკითხვაზე ამ განცდის შესახებ—„არც წარმოდგენაა, არც შეგრძნებაა—ეს არ იყო კინესთეტიკური ბუნების,—მაგრამ ამ განცდამ დამარწმუნა“.

ც. პ. I`ტ.—სტუდენტი «Это достигается как-то вроде самовнушения, зрительно не представляю, но мускулы всего тела

сводит и чувствую как ноги напрягаются и мускулы тела сжимаются от напряжения».

ბურთების სიდიდის ასეთ მთლიან პიროვნულს, ასე ვთქვათ „ცენტრალურ“ განცდას ცდის პირველ ვარიანტში ც.პ-ბიარ აღნიშნავენ. აქ ც.პ-ბის დამოკიდებულება სხვის მიერ (ც.ხ-ის მიერ) კოლოფებში ბურთების ჩადების მიმართ უფრო პასიურია. ც.პ. თითქოს „მაყურებლის როლში“ გამოდის ამ მის მიერ წარმოდგენილი ბურთებით იმ მანიპულაციის მიმართ, რომელსაც ც.ხ. ასრულებს და რომლის შესახებ მას ელაპარაკება ც.ხ.

თვითდაკვირვების ამ მონაცემებს კიდევ დავუბრუნდებით ცდების რაოდენობითი ანალიზის დროს.

4. რიცხობრივი მონაცემები

ცდის პირველი ეტაპის შედეგები თავმოყრილია მე-12 ცხრილში, ხოლო ცდის მეორე ეტაპის შედეგები მე-13 ცხრილში.

1. ამრიგად, ოპტიკურად წარმოდგენილი განსხვავებულ სიდიდის ობიექტთა საფუძველზე აღმოცენებული ფიქსირებული განწყობის ირადიაცია ჰაპტურ აღქმაზე ფაქტია. ეს ფაქტი მით უფრო აღსანიშნავია, რომ ჩვენი ც.პ-ბი საგანწყობო ცდებში საგნების ოპტიკური წარმოდგენისას სულ არ აკავშირებდნენ ამ ამოცანას ხელის მოკიდების ამოცანასთან. რამდენიმე ფსიქოლოგის გარდა ც.პ-ბი არც მოელოდნენ ხელის მოკიდების ამოცანას.

ცხრილი 12

ცდის I ეტაპის შედეგები

	ადეკვატ. ილუზ.	ბუნებრივი ასიმეტრია	ასიმ. ილუზ.	კონტრასტული ილუზ.			სულ ცდის რაოდ.
				სუსტი	საშ.	ძლ.	
ცდის პირების რაოდენობა	13	4	5	5	5	2	34
%	38.2	11,8	14,7	14,7	14.7	5,8	
ცდის პირების რაოდენობა	17 ც. პ.		5 ც.პ.	12 ც. პ.			
%	50%		14,7%	35,3%			

სულ განწყ. ილუზია 50%

ხაზგასასმელია ცდის პირველ ეტაპზე ამ ტრანსპონირებული ილუზიის შედარებით სუსტი გავრცელება ც.პ-ბს შორის; გან-

წყობისეული ილუზია დასტურდება ც.პ-ბის მხოლოდ ნახევართან (50%); ც.პ-ის ნახევრის აღქმა კრიტიკულ ცდაში თავისუფალია ფიქსირებული განწყობის გამოვლენისაგან. კონტრასტულ ილუზიას მხოლოდ 35,3% იძლევა. განწყობისეული ილუზიის ასეთ დაბალ პროცენტს, როგორც დავინახეთ, არც ერთს ზემოთ აღწერილ ცდაში ადგილი არ ჰქონდა.

2. პირველი, რაც იქცევს ყურადღებას უკანასკნელ ცხრილში (ცხრ. 13), არის განწყობისეული ილუზიის ძალიან მაღალი პროცენტი. ცდის მეორე ეტაპზე საზოგადოდ განწყობისეული ილუზია—80%, ხოლო კონტრასტული ილუზია—70%.

ცხრილი 13

ცდის II ეტაპის შედეგები

	ადეკვატ. აღქმა	ბუნებრივი ასოციერ.	ინტეგრაცია	კონსტრასტული ილუზ.			სულ ცდის პირ.
				სუსტი	საშ.	ძლ.	
ცდის პირების რაოდენობა	9	1	5	9	13	13	50
%	18	2	10	18	26	26	
ცდის პირების რაოდენობა %	10 ც. პ. 20%		5 ც.პ. 10%	35 ც. პ. 70%			

სულ განწყობისეული ილუზია 80%

მიუხედავად იმისა რომ ამ შემთხვევაში ილუზიის „ტრანსპოზიციას“ აქვს ადგილი სხვა (ჰაპტურ) მოდალობაზე, ე. ი. განწყობის ირადიაციის გამოვლენას აქვს ადგილი, ილუზიის პროცენტი მეტი აღმოჩნდა, ვიდრე იმავე ჰაპტური მოდალობის განმაწყობელი წარმოდგენის ცდაში: იქ განწყობისეული ილუზიის პროცენტი უდრის 75%-ს, ხოლო მხოლოდ კონტრასტული ილუზიისა 54%-ს, აქ კი—შესატყვისად 80% და 70%.

3. შესაძლებელია, რომ ილუზიის ამ დიდ გავრცელებაში ერთგვარი როლი იმ გარემოებამაც ითამაშა, რომ ეს უკანასკნელი ცდა ც.პ-ბის დიდ ნაწილზე (დაახლოებით ორ მესამედზე) ზემოთ აღწერილი ცდების შემდეგ (ორიოდე კვირის შემდეგ) იყო ჩატარებული, ისე რომ ეს ც.პ-ბი გარკვეულ ფარგლებში უკვე გავარ-

ჯ ი შ ე ბ უ ლ ნ ი იყვნენ წარმოსახვით განწყობის შემუშავებაში. მაგრამ ცხადია, რომ ეს ფაქტორი გადამწყვეტ როლს ვერ ითამაშებდა. მით უმეტეს, რომ ც.პ-ბის საგრძნობ ნაწილზე ცდები ოპტიკური წარმოდგენის ცდებიდან დავიწყეთ და არა ჰაპტურიდან.

ვფიქრობთ, რომ მეტ როლს ამ შემთხვევაში სხვა, ოპტიკური წარმოდგენის სპეციფიკურობასთან დაკავშირებული ფაქტორი ითამაშებს, სახელდობრ, ოპტიკური წარმოდგენის სახით საგანწყობილ საგნის განცდა. ასე ვთქვათ, უფრო „რეალურია“: საგნის ოპტიკური წარმოდგენის შემთხვევაში ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ ი „ ი ნ ტ ე ნ ც ი ა“ მ ე ტ ი ა. ვიდრე ჰაპტური წარმოდგენის დროს, განსაკუთრებით, რ ო დ ე ს ა ც უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ს ხ ე ლ ი ს რ ე ა ლ უ რ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ბ ა, როგორც ამას ჩვენ ცდაში ჰქონდა ადგილი: ძნელია ადამიანმა განიცადოს წარმოდგენილი ბურთისათვის ხელის მოჭერის „რეალობა“ და „საგნობრიობა“, როდესაც ეს ხელი შეუფერებელ მდგომარეობაში უძრავად არის გაჩერებული! გასაგებია, რომ ჩვენს ც.პ-ბს ამ ცდაში ხელს შესატყვისი ამოძრავების ეგოდენ ძლიერი მოთხოვნილება ჰქონდათ, და ამის გარეშე კი უკიდურესად გაუჭირდათ ბურთის ჰაპტური წარმოდგენა. ხელის მდგომარეობის რეალური შეგრძნებისა და საგნისათვის ხელის მოკიდების წარმოდგენას შორის განსვლა აფერხებს ამ ჰაპტურად წარმოდგენილი საგნის რეალური მოცემულობის გულისხმობას. იმავე საგანთა ოპტიკური წარმოდგენის დროს ასეთ სიძნელეებს არც ერთი ც.პ. არ მიუთითებს.

საზოგადოდ ცხოვრებაში რეალურ საგანთა რეპრეზენტაცია ცნობიერებაში ჩვეულებრივ ო პ ტ ი კ უ რ წარმოდგენათა სახით ხორციელდება.

4. შეიძლება გვეგულისხმა, რომ განწყობისეული ილუზიის დიდი გავრცელება ო პ ტ ი კ უ რ ი წარმოდგენის შემთხვევაში ამ წარმოდგენის თვალსაჩინოების, მისი სიცხოველის ფუნქციას შეადგენს: ბურთების ოპტიკური წარმოდგენა ჩვეულებრივ უფრო ნათელია, ვიდრე ჰაპტური წარმოდგენა, და ამიტომ შეიძლება ეფიქრა ადამიანს, რომ მის საფუძველზე ფიქსირებული განწყობაც უფრო ადვილად აღმოცენდება. მაგრამ ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ სრულიად გაუგებარი იქნებოდა. რატომ მოხდა, რომ ხველა ჩვენს ცდას შორის, განწყობისეული ილუზიის გავრცელების უმდაბლესმა დონემ ზემოაღწერილი ცდის პირველ ეტაპზე იჩინა თავი. სადაც, როგორც ზემოთ დავინახეთ, ბურთების ა რ ა ნ ა კ ლ ებ თ ვ ა ლ ს ა ჩ ი ნ ო ო პ ტ ი კ უ რ წარ-

მ ო დ გ ე ნ ა ს ჰ ქ ო ნ დ ა ა დ გ ი ლ ი, ვიდრე უკანასკნელ ცდაში. თუ განწყობისეული ილუზიის დიდი პროცენტი წარმოდგენის თვალსაჩინოების შედეგია, მაშინ ცხადია, ეს პროცენტი ცდის პირველ ეტაპზე არანაკლები უნდა ყოფილიყო, ვიდრე მეორე ეტაპზე, რადგანაც როგორც ზემოთ დავინახეთ ც. პ-ბის ჩვენების თანახმად, პირველ ცდაში წარმოდგენის თვალსაჩინოება ფაქტიურად არა თუ ნაკლები არაა, არამედ უფრო ხშირად მეტიცაა, ვიდრე ცდის მეორე ეტაპზე.

5. მაშ, რით უნდა აიხსნას ეს დიდი განსვლა (ყველა ჩვენი ცდის მონაცემთა შორის უდიდესი განსვლა) უკანასკნელი ცდის ორი ეტაპის შედეგებს შორის, როდესაც ამ ორი ცდის ობიექტური პირობები თითქმის იდენტურია?

ვფიქრობთ, რომ გასაღებს ამ საკითხისათვის ფსიქოლოგ ც.პ-ბის თვითდაკვირვების ჩვენებები იძლევიან.

როგორც ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული, ცდის ორივე ამ ვარიანტში ცდის პირთა დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ს ა გ ა ნ თ ა მ ი მ ა რ თ ა რ ს ე ბ ი თ ა დ გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი ა ღ მ ო ჩ ნ დ ა. სახელდობრ, ცდის პირველ ვარიანტში, როდესაც ც. ხ. ელაპარაკება ც.პ-ს, რომ აწყობს კოლოფებში ამა და ამ სახის ბურთებს, ც.პ. ამ ბურთებს თუმცა ძალიან თ ვ ა ლ ს ა ჩ ი ნ ო დ წ ა რ მ ო ი დ გ ე ნ ს, მაგრამ „გულგრილად", „უცხოდ" განიცდის ამას: ეს „ჩემი მოქმედება კი არ არის—თქვენია". „მე ამაში მონაწილე არა ვარ". „მე არაფერ შუაში არა ვარ". „განცდა ასეთია—„ის კაცი იღებს", ე. ი. თუმცა თვალსაჩინოდ წარმოვიდგენ, მაგრამ სხვა იღებს თითქოს ამ ბურთებს და არა ჩემ" (ც. პ.—ალ. მ.).

მეორე ცდაში კი ამოცანა—„რაც შეგიძლია ნათლად-თვალსაჩინოდ წარმოიდგინეთ"—აიძულებს ც.პ-ს ა ქ ტ უ ა ლ უ რ ი პ ო ზ ი ც ი ა დაიჭიროს ამ წარმოდგენილი ბურთების მიმართ და, თუმცა ამის შედეგად წარმოდგენის მეტ თვალსაჩინოებას ჩვეულებრივ ვერ აღწევს (ზოგი, პირიქითაც, კარგავს მას კიდევაც), მაგრამ მისი პოზიცია წარმოდგენილის მიმართ არსებითად იცვლება. ახლა იგი აღარ გამოდის „მაყურებლის როლში". ც. პ. აქტიურია წარმოდგენილის მიმართ, იგი აქტიურად ცდილობს წარმოიდგინოს, განიცადოს ეს ბურთები, და ც. პ. გარკვეულ დაძაბულობასაც გრძნობს ამ მიმართულებით მოქმედებაში. დასმული ამოცანა ქმნის დაძაბულ მოთხოვნილებას საგანწყობო საგანთა მიმართ და ამ მოთხოვნილების საფუძველზე განწყობა აღმოცენდება და უფიქსირდება ც.პ.-ბის 80%-ს.

ცდის პირველ ვარიანტში ც.პ. პასიურ როლში გამოდის წარმოდგენილ ობიექტთა მიმართ, რაიმე განსაკუთრებული მოთხოვნილება მათ მიმართ არ ჩნდება. ამიტომ განწყობის აღმოცენების პირობებიც არაა მოცემული და განწყობისეული ილუზია, ისიც უმთავრესად სუსტი სახით, თავს იჩენს ც.პ-ბის მხოლოდ ნახევართან.

მართლაც, ცდის მეორე ვარიანტი ყველა ჩვენს ცდას შორის განწყობისეული ილუზიის ყველაზე დიდ გავრცელებას იძლევა—60% (განწყობისეული ილუზიის უქონლობა 20%), ხოლო ცდის პირველი ვარიანტი ყველა ცდაში ყველაზე ნაკლებ პროცენტს—50%.

ეს სხვაობა არ შეიძლება იყოს შემთხვევითი. აღნიშნული ფაქტორის გარდა, ე. ი. გარდა ც.პ-ის პოზიციისა წარმოდგენილი შინაარსის მიმართ, ამ ორ ცდას შორის არსებითი სხვაობა არ არსებობს.

ამრიგად აქ განხილულმა ცდებმა მიგვიყვანა ხელმეორედ იმ დასკვნამდე, რომელიც ჩვენ სხვა საკითხისათვის მიძღვნილი ცდების შედეგად მივიღეთ: წარმოსახვის საფუძველზე ფიქსირებული განწყობის აღმოცენება, პირველ რიგში, არა წარმოდგენის თვალსაჩინოების, არამედ წარმოდგენილი შინაარსის მიმართ შინაგანი პოზიციის ფუნქციაა. იგი ამ წარმოდგენილი შინაარსის მიმართ სუბიექტის თავისებური აქტიური დამოკიდებულების შედეგია.

6. განსაკუთრებულ ყურადღებას უკანასკნელი ცდის შედეგებიდან ის გარემოება იქცევს, რომ ცდის უკანასკნელ ვარიანტში (მეორე ეტაპზე) განწყობის უკიდურესად ფართო ირადიაცია გაჩოვლინდა: მიუხედავად იმისა, რომ ც. პ. საგანწყობო ობიექტებს ინტიკურად წარმოიდგენს, ილუზია თავს იჩენს ჰაპტურ აღქმაში 80%-ის შემთხვევაში, ხოლო იმავე სფეროში მხოლოდ კონტრასტული ილუზიის სახით 70%-ის შემთხვევაში.

ეს პროცენტი დიდათ აღემატება ცნობილ გამოკვლევებში დადასტურებულ ირადიაციის პროცენტს, სადაც განწყობის შეჩუშავება აქტუალური აღქმისა და არა წარმოდგენის საფუძველზე ხდებოდა[1].

ამ საკითხს კიდევ შევეხებით ქვემოთ. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს შედეგი აყენებს საკითხს: 1) ხომ არ არის საზოგადოდ წარმოსახვით შექმნილი ფიქსირებული განწყობა უფრო ირადირებული, ვიდრე საგანთა აქტუალური აღქმით შექმნილი?

---

[1] ნ. ადამაშვილი, თ. ს. უნ-ის შრომები, XVII, 1941.

ეს მოსალოდნელია. რადგანაც წარმოდგენა უფრო ღრმა პიროვნულია, უფრო ღრმად „ჩანერგილი“ განცდაა პიროვნებისათვის, ვიდრე აღქმა და 2) ხომ არ არსებობს საზოგადოდ პრინციპული კორელაცია წარმოსახვით განწყობის შექმნის უნარისა და განწყობის ირადირებულ ტიპს შორის? ორივე ეს საკითხი სპეციალურ კვლევას მოითხოვს, მაგრამ ორივე საკითხის დადებითი გადაწყვეტისათვის მასალას ჩვენი ძველი ცდებიც იძლევიან: კერძოდ, როგორც დავინახავთ, სასცენო გარდასახვის უნარის მქონე სუბიექტებთან დადასტურდა განწყობის ირალიდაციის მაღალი პროცენტი აქტუალური აღქმის სფეროშიც!

რომ შევაჯამოთ ერთ ცხრილში ყველა იმ ზემოთ განხილული ცდების ძირითადი შედეგები, სადაც ფიქსირებული განწყობის გამოვლინება ჰაპტურ აღქმაში ხდება, მივიღებთ სურათს, რომელიც მე-14 ცხრილშია მოცემული.

ცხრილი 14

ძირითადი ცდების შედარებითი მონაცემები (%%-ში)

	განწყ. ილუზია	რხევა	ასიმ. ილუზია	კონტრ. ილუზ. სუსტი		საშ.		ძლ.		განწყობისმიერი ილუზია
მხოლოდ აქტუალური კინესთ. შთაბეჭდილება	38.2	6	11.7	11,7		6		25.3		53,8
					44,1					
მხოლოდ წარმოდგენა (ჰაპტური)	22	2	22	16		14		24		76
					54					
ჰაპტური წარმოდგენა შესატყვისი კინესთეტიკური, აქტუალური შთაბეჭდილებით	19	6,4	4,8	16,6		26,2		30,9		78,6
					73.8					
სხვის მიერ საგნებით მანიპულაციების ოპტიკური წარმოდგენა	50	—	14.7	14,7		14,7		5,8		50
					35,3					
საგნების შედარება ოპტიკურ წარმოდგენაში	20	—	10	18		26		26		80
					70					

5. დასკვნები

ზემოთ განხილული ცდების რეზულტატები შემდეგი დასკვნების უფლებას გვაძლევენ:

I. შესადარებელი სენსორული შთაბეჭდილებების სიცხოველის ხარისხი და საზოგადოდ განმაწყობელი შინაარსების თვალ-

საჩინოების ხარისხი არ ასრულებს მნიშვნელოვან როლს განწყობის შემუშავების პროცესში.

ეს დებულება შემდეგი ექსპერიმენტული მონაცემებიდან გამომდინარეობს:

1) ეპიდეასკოპურად მიწოდებული ნათლად და გამოკვეთილად აღქმადი შესადარებელი საგანწყობო ობიექტები არ იწვევენ უფრო ადვილად ან მეტი სიმტკიცის ფიქსირებული განწყობის აღმოცენებას, ვიდრე მკრთალი და ბუნდოვანი სახით მიწოდებული შესადარებელი (საგანწყობო) ობიექტები, თუ კი ამ უკანასკნელთა შედარება სავსებით გარკვეულად განხორციელდა.

2) საგნის გულისხმობას მოკლებული ცხოველი სენსორული (კინესთეტიკური) შთაბეჭდილებების აქტუალური განცდის საფუძველზე ფიქსირებული განწყობა თუმცა აღმოცენდება, მაგრამ შედარებით იშვიათ შემთხვევაში (55%—57%) და, როგორც წესი, სუსტ ფორმაში ვლინდება.

3) საგანწყობო ობიექტის მხოლოდ წარმოსახვაში განცდისას, შესატყვისი კინესთეტიკური შეგრძნებების გარეშე, ფიქსირებული განწყობა, ბევრად უფრო ხშირად აღმოცენდება, ვიდრე სენსორულად ცხოველი, მაგრამ უსაგნო სენსორულ შთაბეჭდილებათა აქტუალური განცდისას (ილუზიის გავრცელება 76%—83,7%).

4) იმ პირებთან, ვინც ახერხებს სათანადო მოძრაობების გარეშე წარმოსახვით ფიქსირებული განწყობის შემუშავებას, ხელების შესატყვისად ამოძრავების შედეგად თვალსაჩინოებით გამდიდრებული და იოლად გამოწვეული საგანწყობო წარმოდგენის განმაწყობელი მოქმედება არ იძლევა მნიშვნელოვან განსხვავებას აღნიშნულ მოძრაობას მოკლებულ, ძნელად გამოსაწვევ და ნაკლებ თვალსაჩინო საგანწყობო წარმოდგენასთან შედარებით (ილუზიის გავრცელება 76%—83%).

II. უფრო მნიშვნელოვან ფაქტორს, ვიდრე საგანწყობო წარმოდგენის თვალსაჩინოება, წარმოადგენს სუბიექტის თავისებური აქტიური დამოკიდებულება, აქტიური პოზიცია წარმოდგენის საგნის მიმართ: სახელდობრ განმაწყობელი ილუზიის გავრცელება მცირეა (50%), იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტის დამოკიდებულება თვალსაჩინო წარმოდგენის მიმართ პასიურია, და პირიქით, განმაწყობელი ილუზიის გავრცელება მეტად დიდია (90%), იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტის დამოკიდებულება

წარმოდგენის მიმართ აქტიურია, როდესაც იგი თითონ დაძაბულად ქმნის ამ წარმოდგენას.

III. მიღებული შედეგებიდან ირკვევა, რომ იმ ფაქტორთა შორის, რომელნიც ჩრდილავენ წარმოდგენის თვალსაჩინოების ფაქტორს, პირველ რიგში დგას სუბიექტის დამოკიდებულება წარმოსახულის მიმართ. ცდებში გამოვლინდა, კერძოდ, ისეთი მომენტები, რომლებიც აყენებენ საკითხს სუბიექტის მიერ წარმოდგენილის რეალური მოცემულობის გულისხმობის ფაქტორის შესახებ: იქმნება შთაბეჭდილება, რომ წარმოდგენის საფუძველზე ფიქსირებული განწყობა ადვილად აღმოცენდება მაშინ, თუ სუბიექტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ წარმოდგენილი სიტუაცია (საგანწყობო ობიექტები) რეალურად არსებობს, რომ ის რეალურად მოცემულს წარმოიდგენს.

ჩვენ დავისახეთ მიზნად ამ ფაქტორის—წარმოდგენილის რეალური მოცემულობის გულისხმობის („საგნობრივი მოცემულობის") ფაქტორის, ექსპერიმენტული შესწავლა. ამ შესწავლის შედეგებს განვიხილავთ შემდეგ თავში.

თავი მეოთხე

წარმოსახვით განწყობის შემუშავების სხვა ფაქტორები

1. საკითხი

პროსპექტული მოქმედება, ე. ი. მოქმედება ანტიციპირებული მომავალი სიტუაციის შესატყვისად, ადამიანის სპეციფიკას წარმოადგენს და, მაშასადამე, რეალურად ნაგულისხმევი წარმოსახული სიტუაციის შესატყვისი განწყობის აღმოცენებაც ყოველი ადამიანის ჩვეულებრივ უნარს წარმოადგენს; რეალურად ნაგულისხმევი მომავალი სიტუაციის წარმოსახვის საფუძველზე განწყობის აღმოცენებაც ადამიანთა საყოველთაო თვისებად უნდა ჩაითვალოს.

ამიტომ ბუნებრივად ისმის კითხვა წარმოსახული ობიექტის რეალობის გულისხმობის, ასე ვთქვათ, რეალურად მოცემულობაში დარწმუნებულობის განმაწყობელი მოქმედების შესახებ: ხომ არ წარმოადგენს წარმოსახვის საფუძველზე განწყობის აღმოცენების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოსახული ობიექტის (სიტუაციის) რეალურ არსებობაში დარწმუნებულობა, მისი რეალური მოცემულობის გულისხმობა?

ჩვენი ცდების ექსპერიმენტული პირობების მიმართ, პირველ რიგში, ბუნებრივად ისმის კითხვა—ხომ არ აძნელებს განწყობის აღმოცენებას ამ ცდებში ის გარემოება, რომ ც. პ-ს ისეთი, საგანწყობო სიტუაციის წარმოდგენა ევალება (მაგ., სინამდვილეში ცარიელ ხელებში დიდი და პატარა ბურთის წარმოდგენა), რომლის რეალური არარსებობის ფაქტი მან იცის: განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ, რომ უდიდესი ინტერინდივიდუალური სხვაობები წარმოსახვით განწყობის შემუშავებაში გამოვლინდა

სწორედ იმ ჩვენს ექსპერიმენტებში, სადაც ც. პ-ს მოეთხოვებოდა წარმოდგენა (საგანწყობო) ისეთი შინაარსისა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა იმავე მომენტში მოცემული აქტუალური აღქმის შინაარსს, რაც, ცხადია, ამ საგანწყობო წარმოდგენის საგნის რეალური მოცემულობის გულისხმობას ამორიცხავდა.

ერთი სიტყვით, ჩვენ წინაშე დადგა პრობლემა წარმოდგენის საგნის რეალური მოცემულობის გულისხმობის განმაწყობელი როლის შესახებ; ჩვენს წინ დადგა ამოცანა — გავარკვიოთ, განსხვავდება თუ არა ლაბორატორიულ პირობებში საგანწყობო წარმოდგენის განმაწყობელი მოქმედება იმისდა მიხედვით, ახლავს თუ არა ამ წარმოდგენას მისი საგნის რეალური მოცემულობის გულისხმობა.

2. მეთოდი

ძირითადი ცდები 4 ტიპის ცდებიდან შედგება (წინასწარი ცდების ვარიანტებსა და დამატებით ცდებზე აქარ შევჩერდებით).

1. პირველი ტიპის ცდა (ცდა წარმოდგენის საგნის რეალობის გულისხმობის გარეშე).

ც. პ-ის წინ მაგიდაზე გვერდით დევს ორი მრგვალი კოლოფი— კოლოფები ძირებითაა მიბრუნებული ც. პ-საკენ.

ც. პ-ს დავანახვებთ, რომ კოლოფები ცარიელია და ისევ მივაბრუნებთ ძირებით ც. პ-ისაკენ. ამის შემდეგ ც. პ-ს მოეთხოვება, რაც შეუძლია ნათლად და ცოცხლად წარმოიდგინოს, თითქოს ამ ორ კოლოფში დევს თითო ხის ბურთი—ერთში ძალიან დიდი, ისე რომ თითქმის ავსებს მთელ კოლოფს, მეორეში კი სულ პატარა—კაკლის ტოლა ბურთი. ც. პ-ს ევალება, რაც შეიძლება ნათლად და რეალურად განიცადოს, ვითომ ეს ორი ბურთი დევს ამ კოლოფებში — „მოატყუილოს თავი", თითქოს მართლა ხედავს ამ ბურთებს და შეადაროს ისინი ერთმანეთს. ც. პ-მა რაც შეიძლება ნათლად უნდა განიცადოს ერთის სიდიდე და მეორის სიპატარავე.

როდესაც ც. პ. გვაძლევს ნიშანს, რომ მან უკვე ნათლად წარმოიდგინა ბურთები და შეადარა ისინი ერთმანეთს, მას ევალება ისევ იმავე განცდის განმეორება 10—15-ჯერ ზედიზედ.

ამის შემდეგ უშუალოდ გადავდიოვართ კრიტიკულ ცდაზე, რომელიც ორი ვარიანტით ტარდება:

1) ოპტიკური ვარიანტი. ც. პ-ს, რაც შეიძლება ხანგრძლივ ექსპოზიციით, ვაჩვენებთ შესადარებლად ორ ტოლ ბურთს.

ამრიგად საგანწყობო ცდაში ც. პ-ს ბურთების ოპტიკური წარმოდგენა ევალებოდა და კრიტიკულ ცდაშიც შესადარებლად მოცემული ბურთები ოპტიკურად იყო მიწოდებული.

2) ჰაპტური ვარიანტი (ილუზიის ტრანსპოზიცია). ზემოაღნიშნული საგანწყობო ცდის შემდეგ ც. პ-ს ევალება ჩაჰყოს ხელები ერთდროულად ორივე კოლოფში, მოჰკიდოს ხელი შიგ ჩადებულ ბურთებს და შეადაროს ისინი სიდიდით და უმალვე გაუშვას ხელი; შემდეგ ისევ მოჰკიდოს ხელი და ა. შ. სანამ ეს საჭირო იქნება.

ამრიგად, ცდის მეორე ვარიანტში კრიტიკულ ცდაში კრიტიკული ობიექტების აღქმა ჰაპტურად ხდება, თუმცა საგანწყობო ცდა მხოლოდ ოპტიკურ წარმოდგენას ეყრდნობა. მაშასადამე, საგანწყობო ილუზიის გამოვლინება მეორე ვარიანტში მის ტრანსპოზიციას გულისხმობს ჰაპტურ სფეროზე. ძირითად ცდებში ყოველ ც. პ-ზე ტარდებოდა ცდის ორივე ეს ვარიანტი.

2. მეორე ტიპის ცდა (ცდა წარმოდგენის საგნის რეალური მოცემულობის გულისხმობით). ც. პ-ის წინ დევს იგივე კოლოფები, რაც პირველ ცდაში, ისევ ძირებით მობრუნებული ც. პ-საკენ, ისე რომ ც. პ. ვერ ხედავს კოლოფის შინაგან მხარეს.

კოლოფებში დევს ხის ბურთები, რომელთაც ც. პ. ვერ ხედავს. ც. ხ., რაც შეიძლება დამაჯერებელი ტონით, ეუბნება ც. პ-ს, რომ თითო კოლოფში დევს თითო ხის ბურთი—ერთში დიდი,—იმდენად დიდი, რომ თითქმის ავსებს კოლოფს (მეტი დაშარწმუნებლობისათვის ც. ხ. რამდენიმეჯერ არტყამს ბურთს კოლოფის ქვედა გვერდზე) და მეორეში სულ პატარა, კაკლის ტოლა ბურთი; ნეტი დამაჯერებლობისათვის ც. ხ. არტყამს პატარა ბურთს კოლოფის ქვედა კედელს და აგორავებს მას ამ კედელზე.

როგორც შემდეგ გამოკითხვიდან ირკვევა, ც. პ-ბს, როგორც წესი, ეჭვიც არ ეპარებოდათ იმაში, რომ კოლოფებში მართლაც აღწერილი სიდიდის ბურთები დევს, მაგრამ, ცხადია, მათ ეს ბურთები მხოლოდ წარმოდგენილი ჰქონდათ, რადგანაც ბურთების დანახვა კოლოფებში შეუძლებელია; მაგრამ ცდის ამ ვარიანტში ბურთების წარმოდგენას თან ახლავს სრული დარწმუნება, წარმოდგენილი ობიექ-

ტების რეალურ მოცემულობაში: წარმოდგენას ახლავს მისი საგნის რეალური მოცემულობის უეჭვო გულისხმობა. პირველ ცდაში კი, პირიქით, ც. პ-მა ნამდვილად იცოდა, რომ კოლოფები ცარიელია და, მაშასადამე, ამ ცდაში საგანწყობო ბურთების წარმოდგენა სრულიად მოკლებული იყო მისი რეალური მოცემულობის გულისხმობას: ც. პ-მა დანამდვილებით იცოდა კოლოფების ცარიელის შესახებ, რადგანაც თავის თვალით დარწმუნდა ამაში.

მას შემდეგ, რაც ც. პ. 10—15-ჯერ ზედიზედ გვანიშნებს ბურთების ნათელი წარმოდგენისა და მათ სიდიდეთა შედარების შესახებ, გადავდივართ კრიტიკულ ცდაზე.

კრიტიკული ცდები ამ მეორე ტიპის ექსპერიმენტში ზუსტად იმავე სახით, იმავე ორ ვარიანტშია დაყენებული, რაც პირველი ტიპის ცდაში.

ამრიგად, პირველ ორ ცდაში ც. პ. საგანწყობო ობიექტებს აქტუალურად სულ არ აღიქვამს; იგი მხოლოდ წარმოიდგენს ამ ობიექტებს ც. ხ-ის მიერ მოცემული სიტყვიერი აღწერის მიხედვით. ამიტომ ამ ორ ცდას პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „წმინდა წარმოდგენის“ ცდები.

3. ამ ორი სახის ექსპერიმენტის ჩატარების შემდეგ გადავდივართ ცდის დანარჩენ ორ ტიპზე, რომელშიაც საგანწყობო ობიექტების წარმოდგენას წინ უსწრებს მათი აქტუალური აღქმა, ე. ი. ც. პ. ჯერ აქტუალურად ოპტიკურად აღიქვამს საგანწყობო ობიექტებს და მხოლოდ ამის შემდეგ, ფიქსირებული განწყობის შესაქმნელად, წარმოიდგენს ამ საგნებს 10—15-ჯერ; აღვწეროთ ცდის ეს ვარიანტები უფრო კონკრეტულად!

მესამე ტიპის ცდა (აქტუალური აღქმის რეპროდუქცია საგნის რეალური მოცემულობის გულისხმობის გარეშე). ც. ხ. ერთხელ დაანახვებს ც. პ-ს დიდსა და პატარა ბურთს, შემდეგ მიაბრუნებს მისკენ ცარიელ კოლოფებს და, როდესაც ც.პ. დარწმუნდება, რომ კოლოფები ცარიელია, ც. ხ. დააყენებს კოლოფებს ნორმალურ მდგომარეობაში (ძირებით ც. პ-საკენ) და ავალებს ც. პ-ს წარმოიდგინოს კოლოფებში—„ის ეს ბურთები“ (კიდევ ერთხელ უჩვენებს) ერთში—ეს დიდი ბურთი და მეორეში—ეს პატარა;

ბურთებს ც. ხ. მაგიდის უჯრაში შეინახავს. ც. პ-ს ევალება აგრეთვე წარმოდგენილი ბურთების შედარება.

ცდის შემდეგი მიმდინარეობისას კოლოფები დგას ისევ გვერ-ღებზე, ძირებით ცდის პირისაკენ, ისე რომ ც. პ. ვერ ხედავს თუ რა დევს შიგ. ც. პ-მა, რაც შეიძლება ნათლად, უნდა წარმოიდგინოს კოლოფებში ის ბურთები, რომელიც მას აჩვენეს. ამრიგად, ამ შემთხვევაში ც.პ-ს აქტუალური ოპტიკური აღქმის შინაარსის ნათელი რეპროდუქცია მოეთხოვება. და ამ წარმოდგენაში მოცემულ ობიექტთა ურთიერთშედარება სიდიდის მიხედვით. შესადარებელი ბურთების რეალური მოცემულობის გულისხმობა ამორიცხულია.

წარმოდგენილი ბურთების 10—15 შედარების შემდეგ გადავდივართ კრიტიკულ ცდაზე, რომელიც ისევ იმ ორ ვარიანტში ტარდება (ოპტიკურსა და ჰაპტურ არეში), როგორც პირველს ორ ცდაში.

4. მეოთხე ტიპის ცდა (აქტუალური აღქმის რეპროდუქცია საგნის რეალური მოცემულობის გულისხმობით). კოლოფები დევს ჩვეულებრივ მდგომარეობაში: ძირებით ცდის პირისაკენ. ვიღებთ ხელში ერთ დიდ ბურთს, ვაჩვენებთ ცდის პირს, და მის თვალწინ ჩავდებთ ამ ბურთს კოლოფში, სადაც ბურთი აღარ ჩანს. შემდეგ ასევე ვიქცევით პატარა ბურთის მიმართაც. ც.პ. დარწმუნებულია, რომ ნაჩვენები ბურთები დევს კოლოფებში. ც. პ-ს ევალება, რაც შეუძლია ნათლად წარმოიდგინოს კოლოფებში მის თვალწინ ჩადებული ბურთები და შეადაროს ისინი ერთმანეთს სიდიდით. წარმოდგენილი ბურთების 10 — 15 შედარების შემდეგ გადავდივართ კრიტიკულ ცდაზე. რაც ტარდება იმავე ორი ვარიანტით, როგორც პირველ სამ ცდაში. მოიგეობა ამ ვარიანტების ჩატარებისა სხვადასხვა ც. პ-თან განსხვავებულია.

5. ამრიგად. მესამე და მეოთხე ცდაში ცდისობიექტური პირობები ზუსტად ერთნაირია: ფიქსირებული განწყობის შემუშავება ხდება ერთი-ორჯერ ნანახი საგანწყობო ობიექტის წარმოდგენის გზით; განსხვავება მხოლოდ სუბიექტის დაინტერესებულებაშია წარმოდგენილი საგნის მიმართ, იმ აზრით, რომ ერთს ცდაში ც.პ-მა იცის, რომ მის მიერ წარმოდგენილი საგნები სინამდვილეში არ დევს კოლოფში—იცის, რომ კოლოფები ცარიელია; მეორე

შემთხვევაში კი დარწმუნებულია, რომ წარმოიდგენს სინამდვილეში კოლოფებში მოთავსებულ ბურთებს. მაშასადამე, პირველ შემთხვევაში (მესამე ცდაში) საგანწყობო ბურთების წარმოდგენას არ ახლავს წარმოდგენის საგნის რეალური მოცემულობის გულისხმობა—ც. პ. წარმოიდგენს „ვითომ" ეს ბურთები კოლოფებში დევს, მეორე შემთხვევაში კი წარმოდგენას ახლავს მისი საგნის რეალური მოცემულობის გულისხმობა: ც. პ. დარწმუნებულია, რომ წარმოიდგენს კოლოფებში იმას, რაც სინამდვილეში დევს მანდ.

ერთი სიტყვით, მესამე და მეოთხე ცდას შორის იგივე განსხვავებაა, რაც პირველსა და მეორე ცდას შორის: ობიექტური პირობები ყველა იგივეა; მხოლოდ ერთ შემთხვევაში საგანწყობო საგნის წარმოდგენას ახლავს მისი საგნის რეალურ მოცემულობაში დარწმუნება, მეორე შემთხვევაში კი ასეთი „ინტენციაა" არ არის: ც. პ-მა იცის, რომ იგი წარმოიდგენს და ადარებს თავის ფანტაზიის ნაყოფს, ასე ვთქვათ „ფიქციას". რაც შეეხება პირველ ორ ცდას—ამ შემთხვევაში ც. პ. წარმოიდგენს საგნებს, რომელიც მას ჯერ არ ჰქონდა აღქმული, ხოლო მესამე და მეოთხე ცდის შემთხვევაში წარმოიდგენს იმას, რაც უშუალოდ წარმოდგენის წინ ჰქონდა საგანგებოდ აღქმული.

3. ცდის პირები

ძირითადი ცდები ჩატარებული იყო 1946—47 აკადემიურ წელს 66 ც. პ-ზე: აქედან 12 ც. პ. ფსიქოლოგ-მეცნიერი მუშაკია. ხოლო დანარჩენი 54 პირთა დიდი უმრავლესობა უნივერსიტეტის სტუდენტებია.

12 ფსიქოლოგიდან ერთს (ც. პ. გ. კ.) წარმოდგენით ფიქსირებული განწყობა ვერ შეუმუშავდა. მაშასადამე, განწყობა შეუმუშავდა ფსიქოლოგების 91.7%-ს, ხოლო 54 სტუდენტიდან წარმოსახვით ფიქსირებული განწყობა შეუმუშავდა 42 ც. პ-ს. რაც 77,8%-ს შეადგენს. უნდა ითქვას, რომ ცდის პირთა მეორე კატეგორიიდან დიდი ნაწილი (50 ც. პ.) პირველად იღებდა მონაწილეობას წარმოსახვით განწყობის შემუშავების ცდაში.

ჩვენ შემდეგ შევჩერდებით მხოლოდ იმ შედეგებზე, რაც მივიღეთ 11 ფსიქოლოგზე და 42 არაფსიქო-

ლ ო გ ზ ე (ჯამში, მაშასადამე, 53 ც. პ-ზე), რ ო მ ე ლ თ ა ც წ ა რ-
მ ო დ გ ე ნ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე შ ე უ მ უ შ ა ვ დ ა თ ფ ი ქ სი-
რ ებ უ ლ ი გ ა ნ წ ყ ო ბ ა. მ ა თ ი რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ჩ ვ ე ნ ი ც. პ-ბ ი ს ს ა ე რ თ ო რ ა ო-
დ ე ნ ო ბ ი დ ა ნ 82,8%-ს შ ე ა დ გ ე ნ ს.

4. ძ ი რ ი თ ა დ ი შ ე დ ე გ ე ბ ი

1. ჩ ვ ე ნ ს ც. პ-ბ ს შ ო რ ი ს ა ღ მ ო ჩ ნ დ ა 4 ც. პ. (ო თ ხ ი ვ ე ს ტ უ დ ე ნ-
ტ ი ა, რ ო მ ე ლ ი ც პ ი რ ვ ე ლ ა დ ი ღ ებ დ ა მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა ს ჩ ვ ე ნ ს ც დ ებ ბ ი ,
რ ო მ ე ლ ი ც ვ ე რ ი მ უ შ ა ვ ებ ს ფ ი ქ ს ი რ ებ უ ლ ს გ ა ნ წ ყ ო ბ ა ს I და III ტ ი-
პ ი ს ც დ ებ ი ,ხ ო ლ ო II და IV ტ ი პ ი ს ც დ ებ ი ,ი ძ ლ ე ვ ა გ ა ნ წ ყ ო ბ ი ს ი-
ე უ ლ ი ი ლ უ ზ ი ა ს, თ უ მ ც ა ს უ ს ტ ს.

ა ს რ ი გ ა დ, ც. პ-ბ ი ს ე ს მ ც ი რ ე რ ი ც ხ ო ვ ა ნ ი კ ა ტ ე გ ო რ ი ა წ ა რ-
მ ო დ გ ე ნ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე ფ ი ქ ს ი რ ებ უ ლ ს გ ა ნ წ ყ ო-
ბ ა ს ი მ უ შ ა ვ ებ ს მ ხ ო ლ ო დ ი მ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა ს ი, თ უ
ა მ ს ა გ ა ნ წ ყ ო ბ ო წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა ს ა ხ ლ ა ვ ს მ ი ს ი ს ა გ-
ნ ი ს რ ე ა ლ უ რ ი მ ო ც ე მ უ ლ ო ბ ი ს გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ა, თ უ
ს უ ბ ი ე ქ ტ ს ს ჯ ე რ ა ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ს ი მ ი ს ა, რ ა ს ა ც ი ს წ ა რ მ ო ი დ გ ე ნ ს. ხ ო ლ ო,
თ უ კ ი ა მ კ ა ტ ე გ ო რ ი ი ს ც. პ-მ ა ი ც ი ს, რ ო მ მ ი ს ი წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა ა რ შ ე-
ს ა ტ ყ ვ ი ს ე ბ ა ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ს—თ უ, მ ა გ ა ლ ი თ ა დ, ი ც ი ს, რ ო მ ს ი ნ ა მ-
დ ვ ი ლ ე ბ ი ს კ ო ლ ო ფ ებ ბ ი ა რ დ ე ვ ს დ ი დ ი დ ა პ ა ტ ა რ ა ბ უ რ თ ი, რ ო მ ე ლ-
ს ა ც ი გ ი ი ნ ი ს წ ა რ მ ო ი დ გ ე ნ ს, მ ა ს ი ნ მ ა ს ა მ ი ს წ ა რ მ ო ი დ გ ე ნ ი ს შ ე ს ა ტ ყ ვ ი ს ი ს გ ა ნ-
წ ყ ო ბ ა ც ა რ ა შ ე უ მ უ შ ა ვ დ ე ბ ა. ა მ პ ი რ ებ თ ა ნ ა ნ ა ნ წ ყ ო ბ ა ა რ ა ა ღ ო ბ ი ს ე ნ-
დ ე ბ ა მ ა ს ი ნ ა ც, თ უ ს ა გ ა ნ წ ყ ო ბ ო ს ა გ ნ ებ ი ს წ ა რ მ ო ი დ გ ე ნ ა ს უ შ უ ა ლ ო დ
ს ს ნ ს რ ებ დ ა ნ ი ნ მ ა თ ი ა ქ ტ ი ა ლ ი ს ი ა ღ ქ მ ა, დ ა ც. პ-ს ე ს ს ა გ ნ ებ ი ძ ა ლ ი ა ნ
თ ვ ა ლ ს ა ჩ ი ნ ო დ დ ა მ კ ა ფ ი ო დ ჰ ქ ო ნ დ ა წ ა რ მ ო ი დ გ ე ნ ი ლ ი, მ ა გ რ ა მ თ უ მ ა ნ
ი ც ო დ ა, რ ო მ კ ო ლ ო ფ ებ ი ც ა რ ი ე ლ ი ა (III ტ ი პ ი ს ც დ ა ს ი).

2. გ ა ც ი ლ ებ ი თ უ ფ რ ო მ რ ა ვ ა ლ რ ი ც ხ ო ვ ა ნ ი ა ღ მ ო ჩ ნ დ ა ც. პ-ბ ი ს მ ე ო რ ე კ ა ტ ე გ ო რ ი ა. ე ს ი ს ც. პ-ბ ი ა, ვ ი ნ ც ფ ი ქ ს ი რ ებ უ ლ ს გ ა ნ წ ყ ო ბ ა ს
ც დ ებ ი ს ყ ვ ე ლ ა ვ ა რ ი ა ნ ტ ბ ი ი მ უ შ ა ვ ებ ს, მ ა გ რ ა მ ა შ კ ა რ ა დ გ ა ნ-
ს ხ ვ ა ვ ებ უ ლ ი ს ი მ ტ კ ი ც ი ს ა ს, ი მ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ,
ა ხ ლ ა ვ ს თ უ ა რ ა ს ა გ ა ნ წ ყ ო ბ ო წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა ს
ბ ი ი ს ი ს ა გ ნ ი ს რ ე ა ლ უ რ ი მ ო ც უ ლ ო ბ ი ს გ უ ლ ი ს-
ხ მ ო ბ ა.

უ ფ რ ო კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ა დ: 42 ა რ ა ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი ც. პ-დ ა ნ 19-ს, ე. ი.
ა რ ა ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი ც დ ი ს პ ი რ ებ ი ს 45,2%-ს, უ ფ რ ო მ ტ კ ი ც ე გ ა ნ წ ყ ო-
ბ ი ს ე უ ლ ი ი ლ უ ზ ი ა უ დ ა ს ტ უ რ დ ე ბ ა თ II ტ ი პ ი ს ც დ ა ს ი, ვ ი დ რ ე I-ბ ი,
ე. ი. ი მ ც დ ებ ბ ი ,ს ა დ ა ც ს ა გ ა ნ წ ყ ო ბ ო წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა ს თ ა ნ ა ხ ლ ა ვ ს
რ ე ა ლ უ რ ი მ ო ც ე მ ე ლ ო ბ ი ს გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ა. ე ს ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა ი ლ უ ზ ი ი ს

სიმტკიცეში ზოგჯერ მცირეა (მაგ. 3 კ., 0.. და—5 კ. 0..) ზოგჯერ საკმაოდ მნიშვნელოვანია (2 კ... 0.. და—11 კ... 0...). ამ 19 ც. პ-დან 12 ც. პ-ს მეტი სიმტკიცის ილუზია აღმოაჩნდა IV ცდაში, ვიდრე III ცდაში.

ამრიგად ც. პ-ბის ამ კატეგორიაზედაც დადასტურდა წარმოდგენის საგნის რეალობის გულისხმობის ფაქტორის განმაწყობელი როლი[1] მოქმედება.

3. ოთხ ც. პ-თან (არაფსიქოლოგებიდან) საწინააღმდეგო გარეგნება დასტურდება. სახელდობრ, 2 ც. პ. (არაფსიქოლოგების 4,8%) უფრო მტკიცე განწყობისეულ ილუზიას ამჟღავნებს I ცდაში, ვიდრე II-ში და 4 ც. პ-ი (9,6%)—III ცდაში, ვიდრე IV ცდაში, ე. ი. ამ ცდის პირებს უფრო მტკიცე განწყობა უმუშავდებათ მაშინ, როდესაც საგანწყობო წარმოდგენას არ ახლავს მისი საგნის რეალური მოცემულობის გულისხმობა, როდესაც ც. პ-მა ნამდვილად იცის, რომ წარმოიდგენს იმას, რაც სინამდვილეში არ არის მოცემული.

4. ც. პ-თა მეოთხე, საკმაოდ მრავალრიცხოვანი კატეგორია (15 არაფსიქოლოგი, ე. ი. არაფსიქოლოგების 35,7%) დაახლოებით ერთნაირი სიმტკიცის განწყობას ავლენს I და II ცდაში, და კიდევ მეტი (20 ც. პ.)—III და IV ტიპის ცდაში, ე. ი. იმ ცდებში, სადაც საგანწყობო წარმოდგენას მისი საგნის რეალური მოცემულობის გულისხმობა ახლავს, და იმ ცდებში, სადაც საგანწყობო წარმოდგენა ასეთ გულისხმობას მოკლებულია. ამ ც. პ-ებთან დაღასტურებული განწყობისეული ილუზია ხან ერთისა და ხან მეორე ტიპის ცდებში იჩენს ოდნავ მეტ სიმტკიცეს, ან სავსებით ერთი სიმტკიცით ვლინდება. როგორც ჩანს, ამ კატეგორიის ც. პ-ბის შემთხვევაში საგნობრივი ინტენციის ფაქტორი არ იჩენს თავს, ან იჩრდილება სხვა ფაქტორებით.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ცდების პირობებში ხშირად ველა სხვა ფაქტორის მოქმედება, ასე ვთქვათ, ცდის გამეორების ფაქტორით იჩრდილება[1]. ზოგჯერ ყოველი მომდევნო ცდა, მიუხედავად იმისა, რომელი ტიპის ცდა არის ეს, იძლევა მეტი სიმტკიცის ილუზიას, ვიდრე მისი წინა ცდა, თუმცა ცდებს შორის ინტერვალი კვირასა და ზოგჯერ რამდენიმე კვირასაც უდრის.

5. არის ც. პ-ბის კატეგორია, რომელთანაც ჩვენთვის საინტერესო მიმართულებით გარკვეული შედეგი არ დასტურდება, სახელ-

---

[1] ამ ფაქტორის ძლიერი გამოვლენის შესახებ იხ. წინა თავი — წარმოდგენის თვალსაჩინოება, როგორც განმაწყობელი ფაქტორი.

დობრ. არაფსიქოლოგებს შორის 2 ც. პ-თან (4,8%) I და II ტიპის ცდას შორის გარკვეული განსხვავება არ ჩანს; ხან I, ხან II ტიპის ცდა ბევრად მეტი სიმტკიცის განწყობას ავლენს. III და IV ცდის მიმართ ასეთი გაურკვეველი შედეგები 6 ც. პ-თან (14%) დასტურდება.

5. ფსიქოლოგებზე მიღებული შედეგები

1. ძირითადში იგივე კატეგორიები გამოვლინდა ფსიქოლოგ ც. პ-ებს შორისაც, ოღონდ არსებითად განსხვავებულ პროცენტებში. მართალია, ჩვენი ც. პ-ბის რაოდენობა საზოგადოდაც იმდენად მცირეა, რომ პროცენტებს ზუსტი მნიშვნელობა არა აქვს (ეს უნდა ითქვას განსაკუთრებით ფსიქოლოგ ც. პ-ზე). ამ შემთხვევაში ჭეშმარიტი ის არის, თუ რა და რა სახის შედეგებია მოცემული სხვადასხვა მეთოდით დაყენებულ ცდებში და არა პროცენტული გავრცელება ამ სახეებისა. მაგრამ ფსიქოლოგების მასალას ჩვენ მაინც ცალკე ვიხილავთ, რადგანაც ცდის პირების ეს კატეგორია შედარებით ადვილად იმუშავებს ფიქსირებულ განწყობას წარმოდგენის საფუძველზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამ ც. პ-ბმა მრავალ ანალოგიურ ცდაში მიიღეს მონაწილეობა.

ამ კატეგორიის ც. პ-ბზე მიღებული იყო შემდეგი შედეგები:

1. 11 ფსიქოლოგიდან, რომელიც საზოგადოდ იმუშავებს ფიქსირებულ განწყობას წარმოსახვის გზით არ აღმოჩნდა არც ერთი ისეთი, რომ ვერ იმუშავებდეს ფიქსირებულ განწყობას წარმოდგენის საგნის რეალური მოცემულობის გულისხმობის გარეშე (არაფსიქოლოგთა შორის, როგორც ვნახეთ, ასეთი იყო 4 ც. პ., ე. ი. ც. პ-ბის 9,5%).

2. 11 ფსიქოლოგიდან მხოლოდ ერთმა შეიმუშავა მეტი სიმტკიცის ფიქსირებული განწყობა II ტიპის ცდაში, ვიდრე I ტიპის ცდაში, და სამმა—IV ტიპის ცდაში, ვიდრე III ტიპის ცდაში, ე. ი. ეს სამი ადამიანი (პირველიც ამ სამში შედის) მეტი სიმტკიცის განწყობას იმუშავებს წარმოდგენის საგნის რეალური გულისხმობის შემთხვევაში, ვიდრე ამის გარეშე (არაფსიქოლოგებს შორის ასეთი იყო 19 და 12 ც. პ.).

3. ც. პ-ების იმ კატეგორიაში, ვინც დაახლოებით ერთი სიმტკიცის განწყობას იმუშავებს I და II ტიპის ცდაში 4 ფსიქოლოგი აღმოჩნდა (2 მათგანი ორივე ცდაში დაუბოლოვებელ ილუზიას იძლევა!); არაფსიქოლოგთა შორის ასეთი იყო 15 ც. პ., ე. ი.

35,7%. III და IV ტიპის ცდაში დაახლოებით ერთნაირი შედეგი მოგვცა 2-მა ფსიქოლოგმა (ორივე იძლევა დაუბოლოებელ ილუზიას ორივე ამ ცდაში!); არაფსიქოლოგთა შორის III და IV ცდაში ერთნაირი შედეგი მოგვცა 20 ც.პ-მა, რაც 48%-ს უდრის.

4. 11 ფსიქოლოგიდან 2 არ იძლევა გარკვეულ სურათს: ხან I და ხან II ტიპის ცდაში ბევრად მეტი სიმტკიცის განწყობას ავლენს (არაფსიქოლოგთა შორის ასეთი იყო 2 ც. პ. 42-დან). 2 ფსიქოლოგი ასეთსავე რხევას იძლევა III და IV ტიპის ცდებში (არაფსიქოლოგთა შორის ასეთი 6 აღმოჩნდა). ეს იმ კატეგორიის ც.პ-ბია, რომელთანაც რეალობის გულისხმობის ფაქტორი სრულიად იჩრდილება სხვა ფაქტორებით.

5. დაბოლოს, 4 ფსიქოლოგი (36,4%) I ტიპის ცდაში მეტი სიმტკიცის ილუზიას იძლევა, ვიდრე II ტიპის ცდაში, ხოლო III ცდაში მეტი სიმტკიცისას, ვიდრე IV-ში, ე. ი. ეს 4 ც.პ. უ ფ რ ო მ ტ კ ი ც ე განწყობას იმუშავებს წარმოდგენის საფუძველზე მაშინ, როდესაც ამ წარმოდგენას ა რ ა ხ ლ ა ვ ს მისი საგნის რეალური ბოცემულობის გულისხმობა,—როდესაც ც.პ-მა იცის, მაგალითად, დიდი და პატარა ბურთის წარმოდგენის დროს, რომ კოლოფები სინამდვილეში ცარიელია, ვიდრე მაშინ, როდესაც წარმოიდგენს იმას (იმ საგანწყობო ობიექტებს), რის რეალურ მოცემულობაში დარწმუნებულია. არაფსიქოლოგთა შორის ამ კატეგორიის ცდის პირები სულ 2 და 4 იყო, სახელდობრ, 2 (5%) მეტი სიმტკიცის ილუზიას იძლეოდა I ტიპის ცდაში, ვიდრე II-ში და 4 კი—(9,5%) III ტიპის ცდაში, ვიდრე IV-ში.

6. პირველი ორი ცდისა და მესამე და მეოთხე ცდის შედარებითი შედეგები

სანამ შევეცდებოდეთ მოყვანილი შედეგების ინტერპრეტაციას, განვიხილოთ ფაქტიური შედეგების კიდევ ერთი კატეგორია.

ჩვენ ვგულისხმობთ ცდების იმ ვარიანტების შედარებითს შედეგებს, რომელნიც განსხვავდებიან მხოლოდ იმით, რომ ერთს შემთხვევაში საგანწყობო წარმოდგენა წ ი ნ ა ს წ ა რ ა ქ ტ უ ა ლ უ რ ა დ ა ღ ქ მ უ ლ ი ს ა გ ნ ი ს რ ე პ რ ო დ უ ქ ც ი ა ს წარმოადგენს, ხოლო მეორე შემთხვევაში საგანწყობო წარმოდგენას ა რ უ ს წ რ ე ბ ს წ ი ნ ა ქ ტ უ ა ლ უ რ ი ა ღ ქ მ ა, ე. ი. I და III ცდების შედარებით შედეგებს და II და IV ცდების შედარებითს შედეგებს.

წარმოდგენით განწყობის შემუშავებას ჩვენს პირველ ცდებში (1939 წ.), რომელშიაც საზოგადოთ ც. პ-ბის მცირე პროცენტი

იმუშავებდა ფიქსირებულ განწყობას, პირველი აქტუალური აღქმა დიდ დახმარებას უწევდა ც.პ-ბს: ც.პ-ბის დიდი ნაწილი ბურთების თვალსაჩინო წარმოდგენასა და წარმოდგენით განწყობის შემუშავებას ახერხებდა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ერთხელ მაინც აქტუალურად აღიქვამდა საგანწყობო ობიექტებს (იხ. I თავი).

ც.პ-ბის დიდი ნაწილისათვის ჩვენს უკანასკნელ ცდებშიც აქტუალური აღქმის შემდეგ წარმოდგენით განწყობის შემუშავება უფრო. იოლი აღმოჩნდა: ც.პ-ბის დიდი რაოდენობა ამას პირდაპირ აღნიშნავს თვითდაკვირვების მონაცემებში. მაგრამ სულ სხვა შედეგს იძლევიან სწორედ ის პირები, ვინც განსაკუთრებით მტკიცე ფიქსირებულ განწყობას იმუშავებს წარმოდგენის საფუძველზე; მათთვის უკანასკნელი ორი სახის ცდებში (III და IV ტიპის ცდაში), ე. ი. იმ ცდებში, სადაც წარმოდგენით განწყობის შემუშავება ხდება ბურთების აქტუალური აღქმის შემდეგ, ამოცანა უფრო გაძნელებულია, ვიდრე ცდების პირველ სახეებში (I და II ცდა); ყოველ შემთხვევაში ცდის დასაწყისში ამ ც.პ-ბს უფრო უჭირთ სათანადო განწყობის შემუშავება წარმოდგენით მაშინ, როდესაც უშუალოდ ამის წინ აღქმული ჰქონდათ საგანწყობო ბურთები, ვიდრე მაშინ, როდესაც ასეთი აღქმა არ უსწრებდა წარმოდგენას, შემდეგ კი ზოგნი ამ პირებიდან თანდათანობით ახერხებენ ხოლმე პირველი აღქმის იგნორაციას და მისგან დამოუკიდებლად, თავისუფლად წარმოიდგენენ ხოლმე საგანწყობო ობიექტებს და სათანადო განწყობასაც იმუშავებენ.

მოვიყვანოთ უფრო ზუსტი რიცხობრივი მონაცემები შედეგების აღწერილ კატეგორიათა შესახებ.

1. უფრო მტკიცე ფიქსირებულ განწყობას იმუშავებს ცდებში, სადაც წარმოდგენას წინ უსწრებს საგანწყობო ობიექტების ერთხელობრივი აქტუალური აღქმა (მესამე ცდაში უფრო მტკიცეს განწყობას, ვიდრე პირველში და მეოთხეში უფრო მტკიცეს, ვიდრე მეორეში) 42 არაფსიქოლოგი ც.პ-დან 23, რაც ც.პ-ბის 54,8%-ს შეადგენს, ხოლო 11 ფსიქოლოგიდან 3, რაც ფსიქოლოგების 27,3%-ს შეადგენს.

2. ერთნაირი სიმტკიცის ილუზიას ორივე ზემოთ აღნიშნული სახის ცდებში იძლევა 11 არაფსიქოლოგი, ე. ი. არაფსიქოლოგების 26,5% და 3 ფსიქოლოგი, რაც ფსიქოლოგების 27,3% შეადგენს (ამ სამი ფსიქოლოგიდან ორი დაუბოლოებელ ილუზიას იძლევა ორივე სახის ცდებში).

3. უფრო მტკიცე ილუზიას პირველი სახის ცდებში, ე. ი. იმ ცდებში, სადაც საგანწყობო წარმოდგენას არ უსწრებს წინ საგნის აქტუალური აღქმა (I და II ცდა) იძლევა 4 არაფსიქოლოგი (9,5%) და 3 ფსიქოლოგი (27,3%). ეს ის ც. პ-ბია, ვინც განსაკუთრებით მტკიცე განწყობას იმუშავებს წარმოდგენის საფუძველზე.

4. დაბოლოს გაურკვეველ შედეგებს იძლევა, ე. ი. ხან ერთი სახის, ხან მეორე სახის ცდაში უფრო მტკიცე განწყობას იძლევა 4 არაფსიქოლოგი (9,5%) და 2 ფსიქოლოგი (18,1%).

7. შედეგების ინტერპრეტაცია

ჩვენი ძირითადი საკითხის საპასუხოდ წარმოდგენის საფუძველზე განწყობის შემუშავების ფაქტორთა შესახებ, ზემოთ მოყვანილი ფაქტიური მონაცემებიდან ირკვევა შემდეგი:

1. **წარმოდგენის საგნის რეალური მოცემულობის გულისხმობა უეჭველად შეადგენს ფიქსირებული განწყობის შემუშავების ერთ-ერთ ფაქტორს.** ეს უდავოა, რადგანაც, ჯერ ერთი, ც. პ-ბის საგრძნობი რაოდენობა. ceteris paribus უფრო მტკიცე განწყობას იმუშავებს ამ ფაქტორის მოცემულობის შემთხვევაში, ვიდრე ამის გარეშე, და მეორე—რადგანაც ც. პ-ბის ისეთი კატეგორიაც არსებობს, რომელიც ფიქსირებულ განწყობას **მხოლოდ** ამ ფაქტორის მოცემულობის შემთხვევაში იმუშავებს: წარმოდგენის საფუძველზე მათ განწყობა მხოლოდ მაშინ უმუშავდებათ, როცა წარმოდგენილის რეალურ მოცემულობაში დარწმუნებული არიან.

2. **წარმოდგენის საგნის რეალურ მოცემულობაში დარწმუნებულობა არ წარმოადგენს გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორს წარმოსახვის გზით განწყობის შემუშავებისათვის.**

ლაბორატორიულ პირობებში ეს ფაქტორი ხშირად იჩრდილება ისე, რომ წარმოდგენის საფუძველზე აღმოცენებული ფიქსირებული განწყობის სიმტკიცეს სხვა ფაქტორები განსაზღვრავენ. ამ სხვა ფაქტორთა შორის ლაბორატორიულ პირობებში განსაკუთრებით შესამჩნევია შემდეგი:

1) ცდის განმეორებისა, ანუ ცდის რიგითი ადგილის ფაქტორი:

ა) ც. პ-ბის მნიშვნელოვან რაოდენობასთან წარმოდგენით განწყობის შემუშავება ყოველ მომდევნო ცდაში უფრო და უფრო ადვილდება, და ამ გზით შექმნილი ფიქსირებული განწყობა უფრო და უფრო მტკიცდება[1]. ეს პროცესი იმდენად შესამჩნევია, რომ ცდის განმეორების ფაქტორი ზოგჯერ ჩრდილავს საგნის რეალობაში დარწმუნებულობის ფაქტორს: ამ ც. პ-ებთან ყოველ მომდევნო ცდაში ილუზია უფრო ძლიერია. მიუხედავად იმისა, ახლავს თუ არა წარმოდგენას მისი საგნის რეალური მოცემულობის გულისხმობა.

ბ) ც. პ-ბის მცირე ნაწილთან ცდის განმეორება საწინააღმდეგოდ მოქმედებს: რაც უფრო რწმუნდება ც. პ., რომ კრიტიკულ ცდებში ის ცდებოდა, მით უფრო მალე აღიკვეთება ილუზია.

2) განწყობის საერთო ლაბილობა.

მეორე ფაქტორი, რომელიც ზოგიერთ ც. პ-თან სხვა ფაქტორების გავლენას ჩრდილავს, განწყობის დიდი ლაბილობაა. არიან ც. პ-ბი, რომელნიც ყოველდღიურ ცდებში შესამჩნევი კანონზომიერების გარეშე იძლევიან განწყობის სიმტკიცის ძლიერ რხევას, რომელიც სრულიად არაა შესატყვისი ექსპერიმენტატორის განკარგულებაში არსებული პირობების ვარიაციასთან.

3) დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორი.

წარმოდგენილის რეალური მოცემულობის ფაქტორის გამოელინება მნიშვნელოვნად განისაზღვრება ინტერინდივიდუალურ თავისებურებათა ფაქტორით; სახელდობრ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ის ც. პ-ბი, ვინც განსაკუთრებით ადვილად და განსაკუთრებით მტკიცე განწყობას იმუშავებს წარმოდგენის გზით, ხშირად არა თუ არ ამჟღავნებს მეტი სიმტკიცის განწყობას წარმოდგენის საგნის რეალური მოცემულობის გულისხმობის შემთხვევაში, ვიდრე მის გარეშე, არამედ ხშირად, პირიქით, მეტი სიმტკიცის განწყობას იმუშავებს ამ ფაქტორის გარეშე; არიან ისეთებიც, ვინც ერთნაირი სიადვილით და ერთი სიმტკიცის განწყობას იმუშავებს ამ ფაქტორის მოცემულობის შემთხვევაში და მის გარეშეც.

---

[1] შეად. ცდის განმეორების ანალოგიური გამოვლინება ჩვენს სხვა ცდებში; იხ. წინა თავი—წარმოდგენის თვალსაჩინოება, როგორც განმაწყობელი ფაქტორი.

1. რა ტიპოლოგიური თავისებურებები უდევს საფუძვლად აღნიშნულ ინტერინდივიდუალურ სხვაობებს? როგორია ამ განსხვავებული კატეგორიის ც. პ-ბის შინაგანი ქცევა საგანწყობო ცდებში, ე. ი. საგანწყობო საგნის წარმოდგენის პროცესში? რით აიხსნება ორივე ის, შეიძლება ითქვას, პარადოქსალური მოვლენა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ც. პ-თა ნაწილი, ერთი მხრივ, უფრო ადვილად და უფრო მტკიცე განწყობას იმუშავებს მაშინ, როდესაც მისი „საგანწყობო წარმოდგენა“ მოკლებულია წარმოდგენილი საგნის რეალური მოცემულობის გულისხმობას, ვიდრე როდესაც ასეთი გულისხმობა აბლავს მას და, მეორე მხრივ, უფრო ადვილად და უფრო მტკიცე განწყობას იმუშავებს წარმოდგენის საფუძველზე მაშინ, როდესაც საგანწყობო წარმოდგენას არ უსწრებდა წინ აქტუალური აღქმა საგანწყობო საგნებისა, ვიდრე მაშინ, როდესაც ასეთი აღქმა უსწრებდა მათ წინ?

2. ორივე ამ, პირველი შეხედვით, პარადოქსალური მოვლენის ბუნების ახსნისათვის მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ მასალას იძლევა იმ ფსიქოლოგი ც. პ-ბის თვითდაკვირვების მონაცემები, რომელნიც განსაკუთრებით ადვილად და განსაკუთრებით მტკიცე განწყობას იმუშავებენ წარმოდგენის საფუძველზე.

ყველა ეს ც. პ. ასხვავებს სათანადო საგნების წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა ს (მხოლოდ წარმოდგენას) იმ თავისებური შინაგანი „მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს ა გ ა ნ“, შინაგანი „დაძაბულობისაგან“, იმ შინაგანი „მოზართვისაგან“, რომელიც მათში წარმოდგენილი განსხვავებული სიდიდის (ან სხვა ცდებში განსხვავებული სიმძიმის) ობიექტთა მიმართ იქმნება. ჩვენს ცდებში გამოცდილი ცდის პირები— ფსიქოლოგები, მხოლოდ მაშინ თვლიან, რომ „მზად არიან“ კრიტიკული ცდებისათვის, ან. რომ „განიცადეს“ დავალებული ობიექტების სხვაობა, როდესაც მიაღწევენ ამ შინაგან მდგომარეობას, ამ, როგორც თვითონ ამბობენ, შინაგან „მ ზ ა ო ბ ა ს“, „ა ქ ტ ი ვ ო ბ ა ს“, „მ ო მ ა რ თ ვ ა ს“, „შ ი ნ ა გ ა ნ დ ა ყ ე ნ ე ბ ა ს“, „შ ი ნ ა გ ა ნ დ ა ძ ა ბ ვ ა ს“ და ა. შ. საგანწყობო საგნების მხოლოდ წარმოდგენა, თუნდაც ძალიან თვალსაჩინო არ არის, მათი აზრით, საკმარისი იმისათვის, რომ შეიძლებოდეს თქმა, რომ განსხვავებული სიდიდის ობიექტები მკაფიოდ იყო განცდილი: ის კი არაა მათთვის მთავარი, როგორაა წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი ობიექტი, არამედ ისაა მთავარი, თუ თვით ც. პ-ში მოხდა სათანადო შ ი ნ ა გ ა ნ ი ც ვ ლ ი ლ ე ბ ა, თუ მიღწეულია სათანადო „დამოკიდებულება“ ობიექტის

მიმართ— «мое отношение к представлению» როგორც ამბობს: ც. პ. ნ. ელ.

საგულისხმოა, რომ ამ ტიპის ჩვენებებს იძლეოდნენ ჯერ კიდევ 1943 წ. ცდებში მსახიობები და თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებიც, რომლებსაც განსაკუთრებით ეხერხებოდათ წარმოდგენით განწყობის შემუშავება[1]. მაგალითად, როდესაც ჩვენ ვეკითხებოდით ც. პ-ს შ. ქ. (იმ დროს თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი) საგანწყობო ცდების მსვლელობაში „რატომ არ მანიშნებთ—ვერ წარმოიდგენთ?“ —იგი პასუხობდა, რომ ჯერ არ არის „მზად“ და ჩვენს შემდეგ კითხვაზე: „ვერ წარმოიდგენთ?“, პასუხობდა „კი წარმოვიდგინე, მაგრამ ჯერ ვერ განვიცადე“-ო (!).

სხვებიც ლაპარაკობდნენ, რომ წარმოდგენა არ კმარა, რომ „მთელი არსებით“ ან „მთელი ორგანიზმით“ უნდა განიცადონ ან განიცდიან და ა. შ.. მსახიობები ხმარობდნენ გამოთქმებს: «включилась», «выключилась», «вошел в это состояние», «вышел из состояния».

„მხატის მსახიობმა იაკუბოვსკაიამ პირდაპირ განაცხადა «не то главное, чтобы представить, а отношение надо найти в себе к этим предметам»[2].

ჩვენ ზემოთ (თავი I) აღნიშნული გვაქვს, რომ ინსტრუქციის შეცვლის შემდეგ, როდესაც, ნაცვლად იმისა, რომ მოგვეთხოვა ც. პ-სათვის მხოლოდ თვალსაჩინო ცოცხალი წარმოდგენა, ვამბობდით:—„ეცადეთ რაც შეგიძლიათ ცოცხლად განიცადოთ“ ესა და ეს (მაგალითად— განიცადეთ, რომ ერთ ხელს ჰკიდებთ ძალიან დიდ ბურთს და მეორეს კი ძალიან პატარას „...მოატყუილე შენი თავი, განიცადე“... და ა. შ.), ამის შემდეგ განწყობისეული ილუზიების პროცენტმა ბევრად მოიმატა.

მაგრამ განსაკუთრებით დემონსტრაციულს, დამარწმუნებელ ჩვენებებს ამ მიმართულებით ჩვენს ცდებში გამოცდილი ც. პ-ბი ფსიქოლოგები იძლევიან:

ც. პ. ბ. კვ. ლაპარაკობს: „წარმოდგენა კი იყო საკმაოდ ნათელი, მაგრამ ეს მხოლოდ ვიზუალური წარმოდგენა როდია; ეს არის მთლიანი შინაგანი წარმართვა აქეთ დიდის—იქით პატარას მიმართ. წარმოდგენას თან ახლდა შინაგანი მეტყველებაც—„პატარა — დი-

---

[1] რ. ნათაძე, წარმოდგენით შექმნილი ფიქსირებული განწყობა და სასცენო გარდასახვის უნარი, ფსიქოლოგია, ტ III, 1945.

[2] იქვე, გვ. 353

დი“, „პატარა—დიდი“; ეს მეტყველებაც ცალკე არ იყო, მას თან ახლდა თვალის დაჭიმული შეკუმშვა პატარას მიმართ და გაფართოება დიდის მიმართ... იცით, როგორ არის საქმე. მე ახლა არც ვარ დარწმუნებული, ნამდვილად ვაკეთებდი ამას თუ არა, მაგრამ განვიცდიდი ისე, თითქოს ეს ასე ხდებოდა (გულისხმობს თვალის შეკუმშვას და გაფართოებას რ. ნ.), მაგრამ ეს თვალის მოძრაობა და მეტყველება ცალ-ცალკე რომ გამოვყავი, ეს ჩემი ანალიზის შედეგია, ნამდვილად ეს ცალ-ცალკე კი არ ხდებოდა, არამედ მე მთლიანი შინაგანი მომართვა მქონდა, რომელშიაც ეს მომენტებიც შედიოდნენ; ეს მთელი სხეულის მთლიანი დაძაბვა, როგორც თვალზე ვთქვი პატარავდებოდა და დიდდებოდა მეთქი, ისე მთელ ორგანიზმშიც იყო შეკუმშვა-გადიდება იმის მიხედვით, პატარას თუ დიდის მიმართ ვიყავი მომართული, იცით... მთლიანი „დაყენება“ მქონდა ამ სიდიდეების მიმართ“.

ფსიქოლოგი ც. პ-ბის უმრავლესობა მაშინ გვანიშნებს, რომ „მზადაა“ ცდის გასაგრძელებლად, ე. ი. საკონტროლო ცდებისათვის, როდესაც იგრძნობს, რომ ასეთი „შინაგანი“ მომართვა მიღწეულია; ეს გამოცდილი ც. პ-ბი თავიდანვე უკვე ობიექტების წარმოდგენის სინათლეს კი არ ესწრაფვიან, არამედ ცდილობენ, რაც შეიძლება მალე მიაღწიონ ამ წარმოსადგენ ობიექტთა მიმართ იმ შინაგან მომართვას, „შინაგან დაძაბულობას“ ან „დაჭიმვას“, რომელიც შეესატყვისება წარმოდგენილ ობიექტებს, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ამ განსხვავებულ ობიექტთა არა მხოლოდ წარმოდგენის სახით, არამედ შინაგანად, „მთელი ორგანიზმით“ განცდას ცდილობენ.

აგივე ც. პ.—ბ. კვ. სხვა ცდის დროს ამბობს: „პატარა ადვილად, უცბად წარმოვიდგინე, ოღონდ თითქოს მე თვითონ დავპატარავდი—შევიკუმშე; ვერ ვიტყვი მქონდა თუ არა პატარა ბურთის კონკრეტული ხატი—მუქი კი იყო, მაგრამ სახელდობრ რა ფერისა — ვერ ვიტყვი, რადგანაც დიფუზური იყო, შინაგნად კი სიპატარავეს ძლიერად განვიცდიდი“.

„უფრო გამიძნელდა დიდის წარმოდგენა. დიდის წარმოდგენისას ისეთი განცდა მქონდა თითქოს მე ვიშლები—ვდიდდები, და ეს გადიდება-გაშლა თითქოს უსაზღვროდ ხდება... შედარება სიდიდეებისა ცალკე აღარ ხდება საჭირო, ჩემი „დაყენება“ პატარას და დიდის მიმართ განსხვავებულია“.

ც. პ. ნ. ელ.: «ახლა თვალსაჩინო ხატი არ მქონდა; ხატი კი არა, არამედ ეს отношение к большому и маленькому одна интенсивная величина без представления объектов».

ამავე ცდის პირს ჩვეულებრივ ნათელი წარმოდგენებიც აქვს, ოღონდ, მისი აზრით, ეს „არ არის მთავარი", მთავარი არის ის განცდა „შინაგანი მომართვისა" («отношение»), რომელიც ჩნდება გარკვეულ მომენტში და რომელიც, როგორც ეს სხვადასხვა ცდებში მოცემული თვითდაკვირვების მონაცემების შედარებიდან ჩანს, არ არის დამოკიდებული წარმოდგენის თვალსაჩინოებაზე.

იგივე ც. პ. ნ. ელ. სხვა ცდაში ამბობს: „როცა გითხარით—ახლა შეიძლება (კრიტიკულ ცდაზე გადასვლა რ. ნ.)—მე უკვე თვითონ შევიცვალე, ისე შევიცვალე, როგორც მინდოდა—მტკიცე ინტენსია მქონდა განსხვავებული სიდიდის ობიექტთა—პატარისა და დიდისა... ხოლო მანამდის, დასაწყისში მხოლოდ წარმოდგენა რომ იყო დიდი და პატარა ბურთისა, იგი (წარმოდგენა რ. ნ.) ლაბილური იყო. მისი შეცვლა ადვილად ხდება, ხოლო ახლა, როდესაც ეს ინტენსია მაქვს დიდისა და პატარისა. მე თვითონ ისე შევიცვალე, რომ ამ მდგომარეობის შეცვლა ძნელია"...

შემდეგ, საგანწყობო ცდების პროცესში ეს ც. პ. განაგრძობს თვითდაკვირვების მოცემას და ჩვენს შეკითხვაზე, თუ რატომ ლაპარაკობს ცდის დროს—ლაპარაკი ხომ შეუშლის ბურთების ნათელ წარმოდგენას და.მათ სიდიდეთა განცდას, ც. პ. ამბობს: «Теперь уже разговор не мешает, вначале говорить не могла бы; теперь после того как с напряжением достигла требуемого отношения и к одному шару и к другому, теперь уже очень легко... эти 2 шара для меня уже одно целое данное в моем внутреннем состоянии, и разговор уже не мешает...»

ც. პ. ს. ბე-ს, როგორც წესი, ჩვენი ცდების დროს არ უჩნდება ობიექტების ნათელი თვალსაჩინო წარმოდგენა: „ცოცხალი ხატი არა მაქვს: აზრით მიმართებას განვიცდი, ვიცი, და არ წარმოვიდგენ". ზოგჯერ ეს ც. პ. აღნიშნავს წარმოდგენასაც, მაგრამ „ძალიან ბუნდოვანს".

ილუზიას პირველ ცდებში უსუსტესს იძლევა: ოდნავ განსხვავებას ადასტურებს კრიტიკულ ცდებში და ისიც 1—3 ექსპოზიციისას მხოლოდ.

ხუთი დღის შემდეგ მეორე ტიპის ცდის ჩატარებისას იმავე ც. პ-მა განაცხადა: „კაცმა რომ თქვას, მხოლოდ ახლა მოვიმართე ნამდვილად. თითქოს ჩემ ტვინშიც ასიმეტრია მოხდა—აქეთ მხარეს,

სადაც დიდი ბურთი იყო“ (ეს ც. პ. ცდების დროს სპონტანურად ხუმავს ხოლმე თვალებს, როცა ცდილობს ობიექტების წარმოდგენას. თუმცა მას კოლოფებისაკენ ყურება ევალება). „ხატი არა ქაქვს, მაგრამ დიდ-პატარას განცდა მაინც ქაქვს ისე... მზად ვარ რაღაცნაირად და ამით ვგრძნობ დიდ-პატარასაც; თავისუფლად ვარ უკვე“ (უკანასკნელი განცხადება გულისხმობს, რომ ც. პ-ს უკვე შეუმუშავდა დიდ-პატარას განწყობა).

შემდეგ ცდებში იგივე ც. პ. აცხადებს: „ახლა სულ თავისუფლად ვარ... ხატი მაინც არარის, თუმცა შიგნით ხდება რაღაცა, შიგნით ვარ მზად, მაგრამ ამის დასაყრდენს მაინც გარეთ ვგრძნობ—ეს დიდ-პატარა ჩემს გარეთ არის.

ც. პ. ერ. ვ. აგრეთვე გრძნობს ხოლმე „მზაობას“, ე. ი. სათანადო განწყობის შეგუშავებას დიდისა და პატარას მიმართ და ამ შინაგან მზაობას ხუმრობით „ტრანსში შესვლას“ ეძახის. ეს ც. პ-იც ასხვავებს საგანწყობო საგნების ბოლოდ წარმოდგენას ამ შინაგანი მომართვისაგან: „მომითმინეთ, ჯერ არა... წარმოვიდგინე. მაგრამ ეს არ კმარა. „ტრანსში“ უნდა შევიდე, ცოტა მოვშორდე უნდა სინამდვილეს. აჰა! გამოდის... მზად ვარ“. შემდეგ ც. პ. ხსნის: „წარმოდგენა თითონ მქონდა, მაგრამ ეს სხვა არის... я должен целиком пережить это всем организмом, იცით... მთლიანად უნდა განვიცადო... აი ახლა, მაგალითად, სრულიად გარკვეულად განვიცდი“.

ცდის ხელმძღვანელი: წარმოდგენა თვალსაჩინოა?—ბურთები თვალსაჩინოდ გაქვთ წარმოდგენილი? ც. პ. „იცით რა, მთლიანად განვიცდი მთელი ორგანიზმით: აქეთ დიდი, იქით პატარა... აი ახლა თვალსაჩინო ხატიც მაქვს, მაგრამ სიმძიმის ცენტრი ამაში კი არ არის; მე მთლიანად შიგნით უნდა განვიცადო ეს ორი მიმართულება—დიდისაკენ და პატარისაკენ; ეს არის მთავარი. ამ მდგომარეობაში უნდა შევიდე“.

მეორე ცდის დროს იგივე ც. პ. ერ. ვ. იძახის «вошел в эту ситуацию, но сейчас-же опять выпал» (სავსებით ანალოგიურ გამოთქმებს ჰქონდა ადგილი 1943 წ. ჩატარებულ ცდებში მსახიობების თვითდაკვირვების მონაცემებში: მოსკოვის სამხატვრო მეორე თეატრის მსახიობი ერმილოვი მუდამ ხმარობდა ასეთ გამოთქმას «Пошел в это состояние», «вышел из состояния». მსახიობი ვიახზენსკიც ცდების დროს ხშირად ხმარობს შემდეგ გამოთქმებს: «есть! вошел», «иногда выпадаю, но легко вхожу снова» და ა. შ.).

სხვა ცდაში ც. პ. ერ. ვ. ასე გვიხსნის თავის მდგომარეობას: „იცით... როგორ გითხრათ, მე მხოლოდ ოპტიკურად კი არ წარმოვიდგენ, არამედ მთელი ორგანიზმით განვიცდი — ფეხი, ხელი, გული. ყველაფერი იღებს მონაწილეობას ამ განცდაში“ (შეადარე ც. პ. ბ. კვ-ს ზემომოყვანილი ჩვენება: „მხოლოდ ვიზუალური წარმოდგენა როდია“ და სხვ.).

სავსებით ანალოგიურად აგვიწერს ამ განცდას ც. პ-ბის მთელი რიგი.

მაგალითად, ც. პ. მ. ქვ.—ახალგაზრდა პოეტი—გვეუბნებოდა, რომ დიდი ბურთის განცდის მხარეს — გვერდშიც გრძნობს რაღაც-ს დაძაბვას და გულის იმავე (მარჯვენა) მხარეშიც (ამ ცდის პირმა ძალიან ადვილად შეიმუშავა ძლიერი განწყობა წარმოდგენის საფუძველზე პირველივე ცდაში).

ც. პ. სტუდენტი—გრ. ამბობდა, რომ დიდი ბურთის მხარეს ფეხის კუნთები დაიძაბება ხოლმე და ა. შ.

ც. პ. ფსიქოლოგი ალ. მ. ერთ-ერთი ცდის დროს აღნიშნავდა, რომ დღეს უქეიფოდ არის და არ შეუძლია ის დაძაბვა, რომელსაც ჩვეულებრივ ჩვენი ცდები მოითხოვენ და ამიტომ, ამბობდა იგი, „უფრო პასიურად წარმოვიდგენ ბურთებს, ვიდრე წინა ცდებში—ენერგია არა მყოფნის ამ დაძაბვისათვის“, მართლაც, იმ დღეს ამ ც. პ-მა ძლივს მიიღო სუსტი ილუზია, ჩვეულებრივ კი ანალოგიურ ცდებში ძლიერ ილუზიას იძლეოდა ხოლმე: „წინათ თქვენს ცდებში (ცდები ნახევარი წლის წინ იყო ჩატარებული რ. ნ.) ვქაჩავდი ჩემს თავს, ჩემს პიროვნებას იქითკენ, რომ აქეთ დიდი და იქით პატარა განმეცადა, ახლა ასე არ შემიძლია—სუსტად ვარ“.

ერთი თვის შემდეგ იგივე ც. პ. ცდის დროს ისევ აღნიშნავს დაძაბული აქტივობისა და მთელი პიროვნებით განცდის აუცილებლობას... „ახლა ძალიან ფორმაში ვარ და ადვილად შევქენი ის მდგომარეობა, მე რომ მჭირდება... ოპტიკურად მაშინაც წარმოვიდგენდი, მაგრამ მთელი პიროვნებით ვერ ვიღებდი მონაწილეობას...“ უკანასკნელი ცდის შესახებ შეკითხვაზე საპასუხოთ ამბობს: „ოპტიკურადაც წარმოვიდგენდი, მაგრამ ხელიც გამექცეოდა ხოლმე ამ წარმოდგენილი ბურთების მოსაკიდებლად... ე. ი. გულთან ახლო რომ მოვიტანო, აქტიურად რომ განვიცადო, თითქოს ხელიც გამექცევა ამ წარმოდგენილი ბურთებისაკენ“.

ც. პ. ნ. ად. წინა ცდებში მიჩვეული იყო დიდის განცდას მარჯვენა მხარეს, ჩვენ კი დავაყენეთ ცდა მოთხოვნით, რომ მარცხნივ წარმოედგინა დიდი ბურთი და მარჯვნივ—პატარა. ც. პ-ს ეს ძალიან გაუჭირდა და მხოლოდ მრავალი განმეორების შემდეგ შესძლო

ამოცანის შესრულება, ილუზიაც ძალიან მტკიცე მოგვცა. ეს ც. პ. ჩვეულებრივ აღნიშნავს მთელი ორგანიზმის დიდ შინაგან დაძაბვას, რის შედეგადაც თავისთავსაც ასიმეტრიულად განიცდის: „მე თვითონ გავხდი ასიმეტრიული—აქეთ დიდი და აქეთ პატარა". ეს განცდა შინაგანი ასიმეტრიულობისა მას შერჩა რამდენიმე დღის განმავლობაში და, როდესაც სამი დღის შემდეგ, ისევ ცდაზე მოვიდა, ახალი ცდის დაწყებამდის დაყენებულ კრიტიკულ ცდებში ისევ ილუზია მოგვცა, წინა ცდის განწყობის გავლენით.

3. საგულისხმოა შემდეგი გარემოება: რამდენიმე ც. პ. იმ პირთა კატეგორიიდან, ვინც ადვილად იმუშავებს ფიქსირებულ განწყობას და თვითდაკვირვების ჩვენებებში, სპეციფიკური შინაგანი ძდგომარეობის შექმნას აღნიშნავს, როგორც წარმოდგენის საფუძველზე განწყობის შემუშავების სპეციფიკას, მეორე ტიპის ცდებში შემდეგ გარემოებას მიუთითებს: როდესაც ც. ხ. მეტი დარწმუნებლობის შესაქმნელად, თითქოს კოლოფში მართლა სდებდეს დიდსა და პატარა ბურთს, ხის ბურთის დადებისას კოლოფის კედლის ქვედა ნაწილზე ამ ბურთით არახუნებს, რამდენიმე ც. პ-ს ეს რახუნი ხელს უშლის, იმ შინაგანი დაძაბულობის („მომართვის", „დაყენების") შექმნას, რომელსაც ესწრაფვის.

ც. პ. ბ. კვ.: „ხმაური მიშლის: ხმაურით შინაგანი დაყენებიდან გამოვდივარ, თითქოს კალაპოტიდან ამოვარდი და ხელახლა მჭირდება ძალისხმევა, რომ ჩავიდე ისევ ამ კალაპოტში, ახალი სტიმულირება მჭირდება".

როგორც ჩანს, რეალურად ჩადებული ბურთის ხმაური ასუსტებს ც. პ-ის აქტივობას ამ ბურთების განსხვავებულობის განცდის მიმართ, რადგანაც რეალური ბურთების სხვაობის განცდას, ასეთი, ასე ვთქვათ, გაზვიადება არ სჭირდება; განსხვავებული ბურთების აქტუალური აღქმისას და მათი შედარებისას არავინ არ ადასტურებს ამ „შინაგან შეცვლას" მათი სიდიდეების „მთელი ორგანიზმით განცდას" და ა. შ.

საინტერესოა ამ მხრივ ც. პ. ნ. ელ-ას ჩვენება იმავე ცდის შესახებ: პირველი ტიპის ცდაში (რეალური მოცემულობის გულისხმობის გარეშე) ბურთების წარმოდგენა ნაკლებ კონკრეტული და ნაკლებ თვალსაჩინო იყო «Теперь (მეორე ტიპის ცდის დროს ბურთების რახუნით რ. ნ.) и цвет ясно представляю. а тогда (პირველი ტიპის ცდაში რახუნის გარეშე) цвета не представляла, но зато интенция величины тогда была гораздо более... четкая, более, так сказать, интенсивная, а теперь, наоборот, образ бо-

лее четкий, маграм маШинс уфрс аქტიურად განვიცდიდი სიდიდეს. я сама тогда была так, что тут большой, а тут маленький; тогда это переживала гораздо напряженнее и активнее, чем теперь».

უნდა ითქვას, რომ არიან ისეთი ც. პ-ბიც (მაგალითად ც. პ. ერ. ვ.), რომელნიც, პირიქით, აღნიშნავენ, რომ ხმაურის გამო ბურთების წარმოდგენა უფრო ადვილია, მაგრამ ობიექტურ მონაცემებში საკონტროლო ცდაში არავითარ განსხვავებას ცდის ამ ორ ტიპს შორის არ იძლევიან.

იმ ც. პ-თა დიდ ნაწილს, ვინც რეალობის ინტენციით უფრო ადვილად იმუშავებს ფიქსირებულ განწყობას, ბურთების დადების ხმაური მეორე ტიპის ცდაში ეხმარება, უადვილებს საგანწყობო წარმოდგენას.

4. კიდევ უფრო ხაზგასასმელია მეორე დაბრკოლება, რომელსაც აგრეთვე მხოლოდ ზოგი ც. პ. აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ ყველა ც. პ. აღნიშნავს, რომ ბურთების წარმოდგენა, დასაწყისში მაინც, გაცილებით უფრო ნათელია და კონკრეტულია, როდესაც მას წინ უსწრებს რეალური ბურთების აქტუალური აღქმა (ცდების III და IV ტიპი)—ზოგი იმასაც კი ამბობს, რომ წარმოდგენა დასაწყისში თითქმის ოპტიკური კვალის სინათლეს ატარებს — მაგრამ ც. პ-ბის ნაწილი მაინც აღნიშნავს, რომ რეალური ბურთების ეს აქტუალური აღქმა კიდევ უფრო შემაფერხებლად მოქმედებს ამ შინაგანი აქტიური მომართვის შექმნაზე, ვიდრე ბურთების ხმაური.

ც. პ-ბის ეს კატეგორია პირდაპირ ჩივის, რომ ბურთების აღქმის შემდეგ ძნელია იმ აქტიური შინაგანი მდგომარეობის შექმნა, რასაც ისინი აღწევდნენ ჩვენს ცდებში ბუროების წარმოდგენის საფუძველზე. თუმცა უნდა ითქვას, რომ შემდეგ თანდათან ბურთების მრავალჯერი წარმოდგენის პროცესში აღქმით მიღებული შთაბეჭდილება სუსტდება, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ზოგი ც. პ. თავისუფლდება მისგან და ც. პ-ბის ნაწილი ისევ შინაგანი დაძაბულობით „მთელი ორგანიზმით“ განიცდის დიდსა და პატარას: სიდიდეს ერთი მიმართულებით და სიპატარავეს მეორე მიმართულებით. ც. პ-ბის მეორე ნაწილი აღნიშნავს, რომ რეალური ბურთების ნამდვილი სიდიდის დანახვა ცდის ბოლომდის მაინც უშლის ხელს საჭირო შინაგანი დაძაბვის განცდას და რომ ამის გამო ეს განცდა ვერ აღწევს იმ ინტენსივობას, რასაც აღწევდა პირველი ორი ტიპის ცდაში, სადაც ბურთების აქტუალურ აღქმას სულ არ ჰქონდა [illegible].

ც. პ. ბ. კვ.: „პირველად ძალიან გამოადვილდა წარმოდგენა-უშუალოდ მის შემდეგ, რაც მაჩვენეთ ბურთები, პირველად თითქოს უშუალოდ კვალს ვხედავდი ბურთებისას, მერე კი წარმოდგენა გაფერმკრთალდა და ისევ ძალისხმევა დამჭირდა, რომ განმეცადა მათი განსხვავებული სიდიდე. ეს კი უფრო ძნელი გახდა, ვიდრე წინა ცდებში: თითქოს უნდა მოვწყდე რეალურს, თვალწინ რომ მქონდა და ისევ ახალი მომართვის, ახალი „დაყენების" შემუშავება დამჭირდა, როგორც პირველ ცდებში; ისევ დიდი ძალისხმევით ვაღწევ ამას".

ც. პ. ნ. ელ. მეორე ტიპის ცდა. ბურთების აღქმის შემდეგ: «Очень легко представить, никакого напряжения; представляю гораздо образней, не нужно мне их сравнивать, просто нужно вчувствоваться в то, что дано, как будто это вещи, которые тут лежат; ой ребята гарэмэна. а то (ადრინდელ ცდები რ. ნ.) было мое, я это создавала. Теперь представляемые шары присутствуют, а не я их создаю. Такое чувство, что если я повернусь спиной, они все-таки будут там лежать—за спиной».

ც. პ. ალ. მ. აცხადებს, რომ წარმოდგენის დროს ნანახ ბურთებს არ გულისხმობდა, სულ სხვა ბურთებს წარმოიდგენდა.

ამ ცდების ობიექტური რიცხობრივი მონაცემები აქტუალური აღქმის შემდეგ და მანამდის ჩვენ უკვე გვქონდა მოყვანილი (იხ. ზემოთ), მაგრამ ამ შემთხვევაში ხაზგასასმელია სწორედ ის გარემოება, რომ აქტუალური აღქმის შემდეგ ნაკლები სიმტკიცის ფიქსირებულ განწყობას იმუშავებენ სწორედ ის პირები, ვინც განსაკუთრებით ადვილად და განსაკუთრებით მტკიცე განწყობას იმუშავებს წარმოდგენის საფუძველზე. მათთვის საგანწყობო საგნების წინასწარი აქტუალური აღქმა შემაფერხებელია. ც. პ-ბის უმრავლესობისათვის, როგორც ვნახეთ, პირიქით წინასწარი აღქმა საგანწყობო საგნებისა აადვილებს ამოცანას.

ზემოთ ჩვენ დავსვით საკითხი ამ პარადოქსალური მოვლენის ფსიქოლოგიური ბუნების შესახებ, ვფიქრობთ, რომ მოყვანილი თვითდაკვირვების მონაცემები სწორედ იმ პირებისა, ვისთანაც დასტურდება ეს პარადოქსალური მოვლენა, ე. ი. ვისთანაც უფრო მტკიცე განწყობა მუშავდება წარმოდგენის საფუძველზე, წინარე აქტუალური აღქმის გარეშე. შუქი უნდა მოჰფინონ ამ მოვლენის ფსიქოლოგიურ ბუნებას.

როგორც თვითდაკვირვების ამ მონაცემებიდან ჩანს, რეალური ბურთების მცირე განსხვავების აღქმის რეპროდუქცია წარ-

ნოდგენის სახით აღარ კმარა ამ განსხვავებული სიდიდეების მიმართ საკმაოდ ინტენსიური მომართვის შესაქმნელად, ხოლო როდესაც სუბიექტი არაა შეზღუდული ამ რეალური ბურთების წინარე აღქმით, იგი ნებისმიერად აძლიერებს, ასე ვთქვათ, აზვიადებს ამ განსხვავების მიმართ თავის შინაგან პოზიციას, იმუშავებს უკიდურესად განსხვავებულ ობიექტთა მიმართ ისეთ აქტუალურ დამოკიდებულებას, რომელიც რეალურად მოცემული განსხვავებული ბურთების რეპროდუქციის მიმართ ბუნებრივად ვერ აღმოცენდება. ამიტომაც იმ ჩვენს ც. პ-ებს, ვინც მონახა ხერხები წარმოდგენის საფეხველზე ნტიციე განწყობის ადვილი შემუშავებისა, რეალური ბურთების აღქმა საგანწყობო წარმოდგენის წინ კი არ ეხმარება, ორმაგად. პირიქით. უშლის ხელს დიდი-პატარის განწყობის შემუშავებას: რეალური ბურთების მცირე განსხვავების აღქმა. რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს საგანწყობო ბურთების წარმოდგენას, ზღუდავს იმ შინაგან აქტივობას დიდისა და პატარას განცდაში, რომელსაც ამ ტიპის ც. პ-ბი ადვილად აღწევენ ნებისმიერად, როდესაც საგანწყობო ობიექტის წარმოდგენა ნებისმიერია.

5. როგორც ჩანს, ანალოგიური ფაქტორი განსაზღვრავს მეორე „პარადოქსალურ მოვლენასაც", სახელდობრ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგივე ც. პ-ბი უფრო ძლიერ ფიქსირებულ განწყობას ინუშავებენ წარმოდგენილის რეალურად მოცემულობის გულისხმობის გარეშე. ვიდრე, როდესაც დარწმუნებული არიან რომ წარმოიდგენენ იმას, რაც ნამდვილად მოცემულია კოლოფში. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი გარემოებაც ზღუდავს ამ ტიპის ც. პ-ბის იმ შინაგან აქტივობას განსხვავებულ სიდიდეების განცდაში, რომელსაც ისინი აღწევენ ფანტაზიის თავისუფალი მოქმედებისას — როდესაც ნამდვილი ბურთების რეალური მოცემულობის გულისხმობა არ ზღუდავს წარმოდგენილ საგანთა მიმართ უკიდურესად აქტიური შინაგანი პოზიციის შექმნას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეალური ბურთების ნამდვილი მოცემულობის ინტენციისაგან განთავისუფლებული ამ ტიპის ც. პ. ნებისმიერად, ხელოვნურად უკიდურესად აძლიერებს, აზვიადებს თავის დამოკიდებულებას დიდი და პატარა საგნის მიმართ, ხოლო როდესაც იგი წარმოიდგენა იმ ბურთებს, რომელიც მას ნამდვილად ეგულება კოლოფებში. ამ ჩვეულებრივი რეალური ბურთების მიმართ დამოკიდებულების ასეთი გაძლიერება, მისი უკიდურესი გაზვიადება ვერ ხერხდება: რეალური ბურთი წარმოდგენაშიც მაინც ამ ბურთად რჩება.

6. თუ ეს გაგება სწორია, მაშინ ისიც უნდა გახდეს გასაგები, რომ რამდენიმე ჩვენი ც. პ. (ოთხი, როგორც წესი და ზოგჯერ ერთი), რომელიც ეს-ეს არის აღწერილ ტიპს ეკუთვნის, განსხვავებული სიდიდის ბურთების წარმოდგენის საფუძველზე იმუშავებს უფრო მტკიცე განწყობას (იძლევა უფრო მტკიცე ილუზიას), ვიდრე რეალურად განსხვავებული ბურთების აქტუალური აღქმის საფუძველზე.

ეს, პირველი შეხედვით, სრულიად გაუგებარი ფაქტი. ვფიქრობთ, გასაგები უნდა იყოს ც. პ-ის ამ მცირერიცხოვანი კატეგორიის ქცევიდან, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ეს ც.პ-ბი დახელოვნებული არიან ნებისმიერად სიდიდისა და სიპატარავის მიმართ შინაგანი აქტიური დამოკიდებულების უკიდურეს გაძლიერებაში (ასეთია ჩვენს ძველ ც. პ-ბს შორის ზოგი თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი, მსახიობი და უკანასკნელ ცდებში ზოგი ფსიქოლოგი). ამ გზით ისინი ქმნიან იმდენად მტკიცე ფიქსირებულ განწყობას განსხვავებულ სიდიდეთა მიმართ, რომ რეალური. ტოლი ბურთების მიწოდებისას საკონტროლო ცდაში დაუბოლოვებელ ილუზიას იძლევიან. ხოლო რეალურად მოცემული განსხვავებული სიდიდის ბურთების აქტუალური აღქმა ვერ ქმნის იმდენად ძლიერ განწყობას მათში; ფიქსირებული განწყობა აღმოცენდება. ილუზიას აქვს ადგილი, ოღონდ უფრო სუსტს, არა დაუბოლოვებელს.

ნიშნავს ეს იმას, რომ ამ ტიპის ც.პ-თან საზოგადოდ წარმოდგენით უფრო მტკიცე განწყობა იქმნება, ვიდრე აქტუალური აღქმით? რა თქმა უნდა, არა! ც.პ-თა არც ამ მცირერიცხოვან კატეგორიაზე ითქმის ეს. საქმე ისაა, რომ ორი ხის ბურთის სიდიდის განსხვავება, რომელსაც ადასტურებს სუბიექტი ექსპერიმენტში, არ წარმოადგენს საკმარისს სტიმულს ძლიერი განწყობის აღმოსაცენებლად და ამიტომ სიდიდის სხვაობის ხელოვნურად, ნებისმიერად უკიდურესად გაძლიერებული შინაგანი განცდა. რომელიც ძლიერ ფანტაზიას ეყრდნობა. მეტ ეფექტს აღწევს ამ მიმართულებით! ამ ლაბორატორიული საგნის (ბურთების) მაგივრად იმავე ტიპის ადამიანმა, რომ რაიმე ძლიერი. შთაბეჭდილების გამომწვევი საგანი აღიქვას—(ვთქვათ შეხვდეს მხეცი ტყეში ან ქუჩაში მანქანების დაჯახების მოწმე გახდეს), ცხადია, აქტუალური აღქმა მასში შეუდარებლად მეტი სიძლიერის შთაბეჭდილებას გამოიწვევს და მეტი სიმტკიცის განწყო-

ბის ფიქსაციას მოახდენს. ვიდრე მაშინ. როდესაც ც. პ. ყველაღერს ამას მხოლოდ წარმოიდგენს. სულ სხვა არის ჩვეულებრივი ცდების ლაბორატორიული პირობები: ამ პირობებში ც. პ-თა მცირერიცხოვანი კატეგორია ახერხებს ნებისმიერად, სპეციფიკური დაძაბვით მეტი სიმტკიცის განწყობის შემუშავებას, ვიდრე აქტუალურად მოცემული ბურთების აღქმით. განსხვავებული ბურთების აღქმა იმდენად არ სცვლის პიროვნებას, იმდენად ძლიერ განწყობას არ იწვევს. მასში, როგორც ამას ფანტაზიის საფუძველზე ნებისმიერად ახერხებს ზოგიერთი ც. პ-ი, როდესაც იგი დაძაბულად ცდილობს. რაც შეიძლება ძლიერი და აქტიური შინაარსი დამოკიდებულება შექმნას განსხვავებულ სიდიდეთა მიმართ.

ლ ა ბ ო რ ა ტ ო რ ი უ ლ პ ი რ ო ბ ე ბ შ ი ბ უ რ თ ე ბ ი ს შ ე დ ა რ ე ბ ი ს ა მ ო ც ა ნ ა ა რ ი წ ვ ე ვ ს ს უ ბ ი ე ქ ტ შ ი ი ს ე თ დ ა ძ ა ბ უ ლ შ ი ნ ა გ ა ნ ა ქ ტ ი ვ ო ბ ა ს, რ ო გ ო რ ი ს გ ა მ ო წ ვ ე ვ ა ს ა ც ა ხ ე რ ხ ე ბ ს ზ ო გ ი ც. პ. ნ ე ბ ი ს მ ი ე რ ა დ წ ა რ მ ო ს ა ხ უ ლ ო ბ ი ე ქ ტ თ ა გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ი ს გ ა ნ ც დ ი ს პ რ ო ც ე ს შ ი.

8. დასკვნები

ზემოთ განხილული ცდებიდან შემდეგი დასკვნები გამომდინარეობს:

1. წარმოსახვის საფუძველზე ფიქსირებული განწყობის აღმოცენების ერთ-ერთ ფაქტორთაგანს ამ წარმოდგენის საგნის რეალური მოცემულობის გულისხმობა შეადგენს.

2. ამ ფაქტორის პოზიტური გამოვლენა ექსპერიმენტულ პირობებში შემდეგი სახით დასტურდება:

ა) ცდის პირების გარკვეულ კატეგორიას (მცირერიცხოვან ჯგუფს) წარმოსახვის საფუძველზე ფიქსირებული განწყობის შემუშავება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ წარმოდგენას ახლავს მისი საგნის რეალური მოცემულობის „გულისხმობა", თუ დარწმუნებული არიან ამ საგნის არსებობაში.

ბ) ცდის პირების მეორე (მრავალრიცხოვანი) კატეგორია წარმოდგენის საფუძველზე მეტი სიმტკიცის ფიქსირებულ განწყობას იმუშავებს იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოდგენას თან ახლავს მისი საგნის რეალური მოცემულობის გულისხმობა, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი რწმენა წარმოდგენას არ ახლავს.

3. წარმოდგენის საგნის რეალური მოცემულობის გულისხმობის ფაქტორი ექსპერიმენტულ პირობებში ხშირად იჩრდილება

სხვა ფაქტორების ზეგავლენით, ასე რომ ცდებში ხშირად მისი გამოვლინება ვერ დასტურდება. ამ სხვა ფაქტორთა შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია განწყობის ზოგადი ლაბილობა, განწყობის ცდების განმეორების ფაქტორი და, განსაკუთრებით, სუბიექტის შინაგანი აქტივობის განსხვავებული დონე სხვადასხვა ცდებში.

4. წარმოდგენის საგნის რეალურ მოცემულობაში დარწმუნებულობის ფაქტორის როლი განწყობის შემუშავებაში განსაზღვრულია დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურადაც.

სუბიექტებს, რომელთაც ახასიათებთ წარმოსახვის საფუძველზე განწყობის ნებისმიერი შემუშავების ძლიერ განვითარებული უნარი, ხშირად წარმოდგენის საფუძველზე უმუშავდებათ უფრო ძლიერი და მტკიცე ფიქსირებული განწყობა საგნის რეალური მოცულობის გულისხმობის გარეშე, ვიდრე ასეთი გულისხმობის შემთხვევაში, განსაკუთრებით, თუ უკანასკნელ შემთხვევაში წარმოსადგენი საგანწყობო საგანი წინასწარ იყო მოცემული აქტუალურ აღქმაში: რეალური საგნის გულისხმობა ზღუდავს ან ასუსტებს სუბიექტის აქტივობას „საგანწყობო წარმოდგენის" მიმართ, იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტს დიდი შინაგანი აქტივობის განვითარების უნარი გააჩნია საგანწყობო წარმოდგენის ნებისმიერი შექმნის მიმართულებით:

როგორც ექსპერიმენტული ცონაცემებიდან ირკვევა, წარმოსახვის საფუძველზე ნებისმიერად განწყობის შემუშავების უძირითადეს ფაქტორს წარმოადგენს ჩვენს სხვა ცდებშიც მრავალგზით დადასტურებული ფაქტორი—სუბიექტის სპეციფიკური, წარმოსახული შინაარსის შესატყვისი შინაგანი აქტივობა. ხოლო ეს აქტივობა, ჩვენი ცდების პირობებში, განსაკუთრებით მაღალ დონეს აღწევს მაშინ, როდესაც საგანწყობო წარმოდგენის ნებისმიერი შექმნა წარმოდგენილის რეალური მოცემულობის რწმენის გარეშე ხდება.

5. წარმოსახვით განწყობის შემუშავების უნარი ძირითადში დაიყვანება არა ნათელი საგანწყობო წარმოდგენის შექმნის უნარზე, არამედ აღნიშნული შინაგანი აქტივობის—შინაგანი მომართვის ნებისმიერი გამოწვევის უნარზე.

6. ის სუბიექტები, რომელთაც აქვთ ამ შინაგანი აქტივობის ნებისმიერად უკიდურესი გაძლიერების უნარი, ექსპერიმენტულ პირობებში წარმოსახვის გზით აღწევენ უფრო მტკიცე ფიქსირებული განწყობის შემუშავებას, ვიდრე ჩვეულებრივი საგანწყობო

ობიექტების აქტუალური აღქმის შემთხვევაში. რეალურად მოცემული საგანწყობო ობიექტების შედარების ამოცანა ვერ იწვევს სუბიექტში ისეთ დაძაბულ შინაგან აქტივობას, როგორსაც ნებისმიერად გამოიწვევენ ხოლმე: აღნიშნული კატეგორიის სუბიექტები წარმოსახულ ობიექტთა გაზვიადებული განსხვავებულობის განცდისას.

7. განწყობის ნებისმიერი შემუშავება წარმოსახვის გზით რეპრეზენტირებულია ფენომენოლოგიურად სპეციფიკური შინაგანი დაძაბვის განცდის სახით, რასაც ადასტურებს ყველა თვითდაკვირვების უნარის მქონე ცდის პირი.

თავი მეხუთე

წარმოსახვის განმაწყობელი მოქმედება და სასცენო გარდასახვა

I

ყველა ჩვენს მრავალრიცხოვან ცდებში, როგორც ზემოთ დავინახეთ, ყოველთვის რჩენდა თავს დიდი ინტერინდივიდუალური სხვაობები წარმოსახვით განწყობის შემუშავების უნარის მხრივ.

ყველა ამ ცდიდან უდავოდ გამოირკვა, რომ წარმოსახვით განწყობის შემუშავების უნარი, ჩვენი ცდების სიტუაციაში ყოველ-შემთხვევაში, ინტერინდივიდუალურად მეტად განსხვავებულია. როგორც განწყობის გამოწვევის სიადვილისა, ისე გამოწვეული განწყობის სიმტკიცისა, მისი გამოვლენის სიძლიერისა და სხვა თვისებათა მხრივ ჩვენს ცდის პირთა შორის უაღრესად დიდი სხვაობები დასტურდება.

ეს ფაქტი გვაძლევს უფლებას ვიგულისხმოთ, რომ წარმოსახვით განწყობის შემუშავების უნარი შეიძლება დაკავშირებული იყოს რაიმე სპეციფიკურ უნართან, სპეციფიკურ ნიჭთან იმ სფეროში, რომელშიაც დიდ როლს წარმოსახვა და კერძოდ, წარმოსახვის განმაწყობელი მოქმედება თამაშობს. ასეთ დარგად პირველ რიგში ხელოვნება უნდა ვიგულისხმოთ.

კერძოდ, მსახიობის სასცენო შემოქმედებისა და სტანისლავსკის სისტემის ფსიქოლოგიური ანალიზისა და გამოჩენილ მსახიობთა მიერ დატოვებული დიდი მემუარული ლიტერატურის გაცნობის შემდეგ ჩვენ დავრწმუნდით, რომ მსახიობის ე. წ. გარდასახვის ფსიქოლოგიურ საფუძველს ძირითადში წარმოსახული სიტუაციის შესატყვისი განწყობის შემუშავება და შემდეგ მისი ფიქსაცია შეადგენს.

თუ კი ადამიანის მოქმედების მაორგანიზებელ ფაქტორს ინდივიდის სათანადო განწყობა წარმოადგენს, თუ კი ყოველი მოქმედების ბუნებრივად განსახორციელებლად ადამიანი სათანადოდ უნდა განეწყოს, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ მსახიობის სასცენო მოქმედებაც მაყურებლისათვის დამარწმუნებელი ბუნებრივობით გაიშლება მაშინ, როდესაც მსახიობი სპექტაკლში ნაგულისხმევი სიტუაციის შესატყვისად განეწყობა, ე. ი. თუ მსახიობში აღმოცენდება იმ წარმოსახული სიტუაციის შესატყვისი განწყობა, რომელსაც პიესა და შესასრულებელი როლი გულისხმობს. ეს თუ ასეა, მაშინ მსახიობს, რომელიც სცენაზე აღწევს გარდასახვას, უნდა ახასიათებდეს წარმოსახვით განწყობის შემუშავების მაღალგანვითარებული უნარი.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ სათანადო განწყობის შემუშავება რეპეტიციების პროცესში ხდება და შემდეგ ამ განწყობის ფიქსაცია. როგორც რეპეტიციების, ისე პირველი სპექტაკლების მიმდინარეობაში ხდება. ამის შემდეგ ფიქსირებული განწყობა უკვე აღარ უშლის მსახიობთა უმრავლესობას ყურადღების მიქცევას სპექტაკლის დროს თავის ხატის (образ) გარეშე მოვლენებს, ისე რომ იგი არ გამოდიოდეს ამ ხატიდან—არ აღიქვევდეს ფიქსირებული განწყობის გამოვლინებას.

ეს ჩვენი მოსაზრება საესებით განმტკიცდა უმთავრესად რუსთაველის სახელობის თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში 1942—44 წლებში რეპეტიციებზე და „მსახიობის ოსტატობის“ პრაქტიკუმებზე სისტემატური დასწრების შედეგად. სახელდობრ, რეჟისორ გ. ტოვსტონოგოვის და რეჟისორ-მასწავლებლის ო. იაკუბოვსკაიას მიერ ჩატარებული რეპეტიცია-გაკვეთილების სისტემატურმა დეტალურმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ როლებზე მუშაობა, დაწყებული „მაგიდასთან მუშაობით“ და გენერალური რეპეტიციით გათავებული, ძირითადში მიმართულია იმაზე, რომ ყოველგვარი ხერხებით და საშუალებებით გაუადვილოს მსახიობს იმ ქცევის განწყობის შემუშავება, რომელსაც რეჟისორის გაგებით მსახიობ-როლის მოქმედება გულისხმობს სასცენო სინამდვილეში. რაც უფრო ნიჭიერია და გამოცდილია რეჟისორი, მით უფრო მეტს და უფრო შესატყვის ხერხებს გამოიგონებს სათანადო განწყობათა შესაქმნელად—მეტს და უფრო შესატყვის „მოცემულ გარემოებებს“ («предлагаемые обстоятельства») და მეტ უახლოეს და შორეულ ამოცანებს და „ფიზიკურ მოქმედებებს“ გამოიგონებს „პატარა სიმართლეთა“ და „გამსჭვალავი მოქმედების“

(сквозное действие) შესაქმნელად[1]. ყველა ეს ხერხი ფაქტიურად სათანადო განწყობათა შექმნის ხერხია.

სტანისლავსკის სისტემის. როგორც თეორიულმა შესწავლამ, ისე მისი განხორციელების დაკვირვებამ მსახიობ-სტუდენტებთან სპექტაკლის მომზადების პროცესში, საბოლოოდ დაგვარწმუნა, რომ ეს სისტემა მთლიანად მიმართულია მსახიობში როლისა და სასცენო სიტუაციის შესატყვისი განწყობების შექმნაზე (თუმცა ცხადია, სტანისლავსკი განწყობის ცნებას არ იცნობდა).

მსახიობ-სტუდენტების როლზე მუშაობის ჩვენი დაკვირვებების მასალაზე სამწუხაროდ აქ ვერ შევჩერდებით: ამ მასალის განხილვა დიდ ადგილს დაიკერდა; ვერც სტანისლავსკის სისტემის ფსიქოლოგიურ ანალიზს წინამდებარე ნაშრომში ადგილს ვერ დაეუთმობთ. მაგრამ რაც შეეხება ამ სისტემის ძირითად მომენტს— სასცენო სინამდვილის „დაჯერების“ მოთხოვნას, მასზე მოკლედ შევჩერდებით, რადგანაც, ჩვენი აზრით, ეს მომენტი პირდაპირ და უშუალოდ ეხება წინამდებარე ნაშრომის ძირითად საკითხს— წარმოსახვის განმაწყობელი მოქმედების სპეციფიკურობის საკითხს.

2

1. როდესაც შემოქმედებითი ცხოვრების რიჟრაჟზე სტანისლავსკიმ თავისი ჭეშმარიტად მხატვრული თეატრით ტრადიციული სცენის სიყალბის წინააღმდეგ ძლევამოსილად გაილაშქრა, მან ამ ტრადიციულს, საუკუნეების განმავლობაში განმტკიცებულ თეატრალურ „სიცრუეს“ სასცენო „სიმართლე“ დაუპირისპირა; ხოლო როდესაც გამარჯვებული შემოქმედებითი ცხოვრების წყალზე მან თავისი შემოქმედებითი პრაქტიკის თეორიული გაცნობიერება მოახდინა, ამ თეატრალური „სიმართლის“ ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად მსახიობის მიერ სცენაზე წარმოდგენილის რეალობის „დაჯერება“ გამოაცხადა.

სასცენო სინამდვილის ეს „დაჯერება“ მსახიობის მიერ, როგორც ცნობილია, სტანისლავსკის სისტემის ქვაკუთხედს წარმოადგენს. მსახიობს, თამაშის დროს, უნდა სწამდეს სცენაზე წარმოდგენილის სინამდვილე. მსახიობის ნამდვილი გარდასახვა (перевоплощение) ე. ი. მისი ჭეშმარიტი სასცენო შემოქმედება— სტანისლავსკის თანახმად, აუცილებლად გულისხმობს „გულ-

[1] სტანისლავსკის სისტემის ძირითადი ცნებებია—იხ. ქვემოთ.

წრფელ დაჯერებას“ სცენაზე წარმოდგენილი სინამდვილისა, რომელიც მსახიობმა თავისი როლის მიხედვით უნდა წარმოისახოს.

მაგრამ რას ნიშნავს ეს დაჯერება იმისა, რის შესახებაც მსახიობმა უეჭველად და დანამდვილებით იცის, რომ იგი არაა რეალური სინამდვილე? როგორ შეიძლება და რას ნიშნავს „გულწრფელი დაჯერება“ იმისა, რის შესახებაც მსახიობმა უეჭველად იცის, რომ ეს მხოლოდ საკუთარი მისი წარმოდგენაა?

2. პირველ ყოვლისა, საიდან წარმოიშვა ეს, საკუთარი აღქმისა და ცოდნის საწინააღმდეგო „რწმენის პარადოქსალური მოთხოვნა? რატომ მოითხოვს სტანისლავსკი მსახიობისაგან ამ უცნაურ „გულწრფელ დაჯერებას“ არანამდვილი სინამდვილისა?

ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანის ქცევის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორს ის რეალური სიტუაცია წარმოადგენს, რომელშიც იმყოფება ადამიანი,—რომელსაც იგი აღიქვამს ან რომლის შესახებ იცის. სინამდვილის რეალური პირობები (აღქმული ან აზროვნებაში გათვალისწინებული) ზეგავლენას ახდენენ ადამიანზე და გარკვეული ქცევისადმი განაწყობენ მას: გარკვეული რეალური სიტუაცია ადამიანში გარკვეული ქცევის იმპულსს ქმნის.

სცენაზე ადამიანი-მსახიობი იმყოფება პიესაში ნაგულისხმევსა და, მაშასადამე, არარეალურ სიტუაციაში, მაგრამ მას მოეთხოვება მაყურებლისათვის დამაჯერებელი ბუნებრივობით სწორედ ამ სიტუაციის შესაფერი ქცევა, ე. ი. მას მოეთხოვება იმ სიტუაციის შესატყვისი ქცევა, რომელიც რეალურად არ არსებობს და რომელიც, მაშასადამე, არ ქმნის მსახიობ-ადამიანში საპირო ქცევის იმპულსს.

როგორც ცნობილია, სტანისლავსკის სისტემის მიხედვით, სცენაზე დამაჯერებელი ქცევის პირველ ბიძგს და ამ ქცევის დამარწმუნებელი ბუნებრივობის მთავარ სტიმულს შეადგენს როლისათვის საპირო პირობების (სიტუაციის) დაშვება მსახიობის მიერ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის განთქმული პრინციპი, რომელსაც სტანისლავსკის სისტემაში ცენტრალური ადგილი უჭირავს და რომელსაც სისტემის ავტორი თავისებურად უწოდებს „თუ რომს“ ან უკეთ „რომ ყოფილიყოს“ («если-бы»). მსახიობმა უნდა წარმოიდგინოს პიესით ნაგულისხმევი სიტუაცია, დაუშვას მისი არსებობა, დაუშვას ყველა იმ გარემოების მოცემულობა, რომელსაც ეს სიტუაცია პიესის მიხედვით უნდა გულისხმობდეს,—ასე. რომ ყოფილიყო, როგორ მოიქცეოდა იგი (მსახიობი—როლი)—და ეს კითხვას მოქმედებით უპასუხოს.

ეს დაშვება,—„რომ ყოფილიყო“—სტანისლავსკის თქმით „ინსტინქტურად და მომენტალურად“ ახდენს შესაფერი მოქმედების სტიმულაციას («Инстинктивно и мгновенно возбуждает действие»[1]). იგი „იწვევს მსახიობში შინაგან და გარეგან აქტივობას და აღწევს ამას ძალდატანების გარეშე, ბუნებრივი გზით“. მისი შემწეობით მსახიობში აღმოცენდება შესაფერი მოქმედების იმპულსი («Позыв на действие»).

ამრიგად, პიესაში ნაგულისხმევი სიტუაციის წარმოსახვა, პიესაში ნაგულისხმევ გარემოებათა დაშვება რეალური სიტუაციის მაგივრობას სწევს: იგი განსაზღვრავს მსახიობის ქცევას ისე, როგორც რეალური სიტუაცია განსაზღვრავს ადამიანის ქცევას ნამდვილ ცხოვრებაში. მაგრამ როგორ შეიძლება ადამიანის ქცევას განსაზღვრავდეს წარმოსახული სიტუაცია—სიტუაცია, რომლის შესახებ ადამიანმა ნამდვილად იცის, რომ იგი მისი წარმოდგენაა მხოლოდ, რომ იგი არ არსებობს რეალურად? ნუთუ არარსებული სიტუაციის მხოლოდ წარმოდგენა, მისი არსებობის მხოლოდ დაშვება საკმარისია იმისათვის, რომ მან ადამიანის ქცევის ბუნებრივი სტიმულაციის როლი ითამაშოს, რომ მან შესაფერისი ქცევის იმპულსი შექმნას ადამიანში?

არა! სიტუაციის მხოლოდ წარმოდგენა ამისთვის არ კმარა. წარმოდგენილმა სიტუაციამ რომ რეალური სიტუაციის ანალოგიური როლი ითამაშოს მსახიობ-ადამიანის ქცევაში, მსახიობმა უნდა „გულწრფელად დაიჯეროს“ ამ წარმოსახული სიტუაციის არსებობის შესაძლებლობა, მსახიობს უნდა სწამდეს მისი სინამდვილე,—ასეთია, პირველი შეხედვით, გულუბრყვილო პასუხი „სისტემის“ ავტორისა ჩვენ მიერ დასმულ კითხვაზე: იმისთვის, რომ მსახიობის მიერ წარმოდგენილმა სიტუაციამ სცენაზე მოცემულ გარემოებებთან («предлагаемые обстоятельства») ერთად შექმნას მსახიობში შესაფერისი ქცევის შინაგანი იმპულსი, მან უნდა „დაიჯეროს სხვისი ნათხზავი და ეშმარიტად ამით იცხოვროს სცენაზე“(«поверить чужому вымыслу и истинно зажить им на сцене»). „სისტემის“ ავტორი ამაში ხედავს როლის დაუფლების კრიტიკულ მომენტს და „მსახიობ-ხელოვანის“ „მსახიობ-ხელოსანისაგან“ განსხვავების არსს.

ამრიგად, სტანისლავსკის სისტემის შინაგანი ლოგიკით სასცენო სინამდვილის „დაჯე-

[1] К. С. Станиславский, Работа актера над собой, II изд., стр. 95.

რება“ იმიტომ არის საჭირო, რომ მან სცენაზე წარმოდგენილ სიტუაციას ადამიანის ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორის ძალა შესძინოს.

3. მაგრამ რას ნიშნავს ამ შემთხვევაში „დაჯერება“? ნამდვილი რწმენაა იგი წარმოდგენილი სიტუაციის რეალობისა, როგორც ფიქრობს სტანისლავსკის ზოგიერთი ინტერპრეტატორი, თუ არა? რა ხასიათის მოვლენაა იგი, როგორ ხდება ამ „რწმენის“ აღმოცენება ადამიანში, რა შინაგანი, ფსიქოლოგიური მექანიზმი უდევს მას საფუძვლად?

თვითონ სტანისლავსკი ამ მოვლენის აღწერისას ლაპარაკობს „გულწრფელი დაჯერების“, „რწმენის“, „ნამდვილი სიმართლის“ შესახებ («подлинная правда», «вера», «искренно поверить»[1]). იგი ამ რწმენას ადარებს ბავშვის რწმენას, რომელიც თოჯინით თამაშობს; მსახიობის „დაჯერების“ არსს იგი ბავშვის ილუზიურ თამაშში სკვრეტს და ამ უკანასკნელს, გარკვეული. აზრით, სასცენო თამაშის იდეალად თვლის.

«Вот у кого надо нам учиться играть»[2]. «Вот когда вы дойдете в искусстве до правды и веры детей в их играх, тогда вы сможете стать великими артистами»[3].

მეორე მხრით, თვითონ სტანისლავსკი ჩვეულებრივ ლაპარაკობს დაშვებულსა და წარმოდგენილის შესაძლებლობის დაჯერებისა და არა მისი არსებობის დაჯერების შესახებ. იგი მაინც განასხვავებს „სიმართლეს“ სცენიურს და სიმართლეს სინამდვილისას: «В жизни правда то, что есть, что существует, что наверное знает человек. На сцене правдой называют то, чего нет в действительности, но что могло случиться».

მაშასადამე, ამ უკანასკნელი გაგებით, სასცენო დაჯერება წარმოსახული სიტუაციის რეალურ მ ო ც ე მ უ ლ ო ბ ა შ ი დარწმუნება კი არაა, არამედ მის რეალურ შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა შ ი დარწმუნებაა. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ ხელახლა დგება საკითხი. ამგვარად განცდილის, ამ დაშვებული სიტუაციის მსტიმულირებელი გავლენის შესახებ მსახიობზე: თუ კი მსახიობი წარმოსახული სიტუაციის მხოლოდ შესაძლებლობას უშვებს, თუ კი იგი არაა დარწმუნებული ამ სიტუაციის რეალურ მოცემულობაში, მის ნამდვილ არსებობაში, მ ა შ ი ნ ე ს რ წ მ ე ნ ა ვ ე ღ ა რ

---

[1] К. С. Станиславский, Работа актера над собой, II изд., стр. 95.
[2] იქვე, გვ. 266.
[3] იქვე. გვ. 267.

ხდის გასაგებად სასცენო სიტუაციის მიერ მსახიობის ქცევის იმ ბუნებრივსა და უშუალო სტიმულაციას, რომელსაც მიაწერს მას სტანისლავსკი. მსახიობს ხომ იმისთვის უნდა ჰქონდეს წარმოსახული სასცენო სიტუაციის რწმენა, რომ ამ წარმოდგენილმა სიტუაციამ რეალური ცხოვრების ნამდვილ სიტუაციისებურად შექმნას მსახიობში შესაფერი ქცევის იმპულსები და უშუალოდ, და ბუნებრივად აამოქმედოს იგი. ხოლო, რაკი ამგვარი დარწმუნება სასცენო სიტუაციის რეალობაში გამორიცხულია, ამით დარღვეულია ანალოგიაც რეალურ სიტუაციასთან. რომელსაც უნდა აეხსნა წარმოსახული სიტუაციის ზემოქმედება ადამიანის ქცევაზე და, მაშასადამე, კვლავ უპასუხოდ რჩება თავდაპირველი კითხვა—როგორ არის შესაძლებელი წარმოსახული სიტუაციის ის მსტიმულირებელი გავლენა მსახიობის ქცევაზე. რომელსაც მას მიაწერს სტანისლავსკის სისტემა?

3

არ შეიძლება არ აღინიშნოს სასცენო „დაჯერების“ სხვაგვარი გაგებაც, რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტანისლავსკის ზოგიერთი ინტერპრეტატორი იძლევა. ჩვენ მხედველობაში ვგულისხმობ სასცენო დაჯერების ის გულუბრყვილო ინტერპრეტაციას (მაგ. ა. ფალავასი), რომლის თანახმად „სისტემა“ მოითხოვს მსახიობისაგან მართლაც ნამდვილ დაჯერებას სასცენო „სინამდვილისა“, თითქოს მსახიობს მართლაც საესებით უნდა სწამდეს ის, რასაც როლის მიხედვით იგი გულისხმობს—„აღიქვამს“ ან წარმოიდგენს სცენაზე. როგორც ცნობილია, ბავშვის ფსიქოლოგიაშიც არსებობს შეხედულება, რომელიც გულისხმობს, რომ დაბალი ასაკის ბავშვს ილუზიური თამაშის მომენტში მართლაც წამს ის, რასაც იგი გულისხმობს თამაშის მიხედვით ან. ყოველ შემთხვევაში, იგი ვერ ახდენს სინამდვილისა და ფანტაზიის წარმოდგენათა დიფერენციაციას; ეს თეორია მიაწერს ბავშვის ილუზიურ თამაშს ნამდვილი ილუზიის ხასიათს[1].

---

[1] მაგალითად, იხ. W. Stern. Psychologie der Frühen kindheit. 1927, გვ. 245. დ. უზნაძეს 1933 წ. გამოქვეყნებული ჰქონდა ძლიერი არგუმენტი ამ შეხედულების წინააღმდეგ. იგი ამოდის იმ ფუნქციის ლოგოსიდან, რომელსაც საბავშვო ასაკში ილუზიის თამაში ასრულებს. სახელდობრ, რამდენადაც ამ თამაშის ფუნქციას შეადგენს აზრმდებლობის განვითარება, იმდენად ილუზიური თამაშის კონტექსტში საგნებს სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ მათში ნაგულისხმევი შინაარსის მიმართ და, მაშასადამე, ამ შინაარსის ილუზიური განცდა შეუძლებელია.

„სასცენო დაჯერების“ ასეთი ინტერპრეტაცია უკიდურესად გულუბრყვილოა. ჯერ ერთი, წარმოსახულის რეალობად განცდა ხომ ცნობიერების პათოლოგიურ მდგომარეობას გულისხმობს—სახელდობრ, იგი გულისხმობს ფანტაზიის წარმოდგენის ჰალუცინაციისეულ განცდას. სინამდვილიდან ამ ზომამდე მოწყვეტა, როგორც ეს მსახიობის თამაშში აქვს ნაგულისხმევი ამ გულუბრყვილო შეხედულებას, ცნობიერების პროცესების მხოლოდ ბ ო დ ვ ი თ ი მ ე ქ ა ნ ი ზ მ ი ს ა თ ვ ი ს შეიძლება იყოს დამახასიათებელი. მაგრამ მსახიობის შემოქმედების ფსიქოლოგიურ საფუძვლად პათოლოგიური მდგომარეობის გამოცხადება მით ნაკლებ არის დამაჯერებელი, რომ იგი ეწინააღმდეგება მსახიობის სასცენო ქცევის ყოველგვარ დაკვირვებას და თვითონ მსახიობების თვითდაკვირვებასაც[1]. რაც შეეხება სასცენო სინამდვილის ჰალუცინაციისეული განცდისა და, საზოგადოდ, ბოდვითი ქცევის იმ თითო-ოროლა შემთხვევას, რომელსაც იცნობს თეატრის ისტორია და რომლის ამბავი თაობიდან თაობაში გადაიცემა (სცენაზე მკვლელობა და სხვა თავდავიწყების შემთხვევები)—ეს მართლაც პათოლოგიური შემთხვევები ხომ სწორედ იმ გამონაკლისს წარმოადგენენ, რომელიც თავისი კონტრასტობით მსახიობის ჩვეულებრივ შემოქმედებასთან განსაკუთრებით გამოკვეთილად ამჟღავნებს ნორმალური სასცენო შემოქმედების სულ სხვაგვარს—არა „ბოდვითს“ ხასიათს.

ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ისევე არ შეიძლება ვიგულისხმოთ ნამდვილი რწმენა, როგორც ბავშვის ილუზიურ თამაშში, ვინაიდან მსახიობი-ადამიანი ამ დროს სულ სხვა რეალურ სიტუაციას აღიქვამს და იცის, რომ წარმოსახული სიტუაცია არ არის რეალური, რომ დაშვებული „რომ ყოფილიყო“ («если-бы») არ შეეფერება სინამდვილეს, რომელსაც იგი უშუალოდ ხედავს. დაჯერება და დარწმუნება კი გნოსტიკური კატეგორიის განცდაა, იგი შემეცნებით მომენტს გულისხმობს: ერთდროულად სრული დარწმუნება წარმოდგენილ „მოვლენათა ვითარების“ არსებობაში, მის რეალობაში, მის აქტუალურ მოცემულობაში და დანამდვილებითი ცოდნა ამ მოვლენათა ვითარების არარსებობის შესახებ, ნორმალურ ცნობიერებაში შეუთავსებელია: ყოველი ცოდნა, ყოველი მსჯელობა და ყოველი აღქმა აუცილებლად დარწმუ-

---

[1] ვგულისხმობთ უთვალავ მემუარებსა და სათანადო „ანკეტების“ მონაცემებს.

ების მოქმენტს შეიცავს, როგორც თავისი ფსიქოლოგიური არსის ერთ მომენტს. ამგვარად, მტკიცება იმისა, რომ მსახიობს ნამდვილად წამს იმის აქტუალური მოცემულობა, რის არარსებობასაც იგი „აღიქვამს“ და რის არარეალურობა მან იცის—contradictio in adjecto-ს წარმოადგენს.

მართლაცდა წარმოვიდგინოთ რა დაემართებოდა მსახიობს, რომელიც ჰამლეტის როლში, თუნდ ერთი წუთით, ნამდვილად დაინახავდა მამის აჩრდილს, ან რა მოუვიდოდა მსახიობ-ოტელოს, რომ მას ერთი წუთით დაეჯერებინა იაგოს რეალობა და მისი საქციელის სინამდვილე; ალბათ ეს მსახიობები არ იქნებოდნენ უკეთეს დღეში, ვიდრე ბავშვი, რომლის ცხენი-ჯოხი მართლაც დაიჭიხვინებდა ან დაიწყებდა იმ „თივის“ ჭამას, რომელსაც ბავშვი მას თავის წარმოსახვაში აჭმევდა[1].

ერთი სიტყვით, ნამდვილი დაჯერების თეორია ჩვენ გულუბრყვილო შეხედულებად მიგვაჩნია, რომელიც არასწორ ინტერპრეტაციას აძლევს სტანისლავსკის სისტემას. სასცენო „სინამდვილის“ რეალობის ნამდვილ დაჯერებას სცენაზე ნორმალურ პირობებში ადგილი არა აქვს!

მაგრამ, მეორე მხრივ, ისიც ცხადია, რომ სიტუაციის მხოლოდ წარმოსახვა, მხოლოდ დაშვება („რომ ყოფილიყო“) ინტელექტუალური შინაარსის სახით, არ არის საკმარისი სუბიექტის ამოქმედებისათვის სათანადო მიმართულებით; წარმოდგენა და საზოგადოდ ინტელექტუალური შინაარსი, როგორც ასეთი, არ არის ქცევის ძრავი. იმისათვის, რომ იგი ასეთად გადაიქცეს, ან უკეთ, იმისათვის, რომ ინტელექტუალურ შინაარსს მოჰყვეს სათანადო ქცევა, აუცილებელია დამატებითი მომენტი—ვოლუტატური კატეგორიის პროცესი,—აუცილებელია სათანადო შინაგანი ცვლილება სუბიექტში, რომელიც შექმნის მასში ამ წარმოსახული სიტუაციის შესატყვისი ქცევის იმპულსს. ამ დამატებით მომენტს, ამ ცვლილებას სუბიექტში, რომელიც წარმოსახული სიტუაციის შესატყვისი მოქმედების იმპულსს წარმოშობს მსახიობში, სტანისლავსკი „რწმენას“, „დაჯერებას“ უწოდებს.

---

[1] ეს მოსაზრება, რომ ბავშვს შეეშინდებოდა, მის დედოფალას მართლაც ლაპარაკი და სიარული რომ დაეწყო, კ. ბიულერს მოჰყავს როგორც არგუმენტი ილუზიური თამაშის იმ თეორიის წინააღმდეგ, რომელიც ამ სახის თამაშის ნამდვილ ილუზიურობას ამტკიცებს, K. Bühler, Grundlagen der geistigen Entwcklung, გვ. 335.

ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ სცენაზე ნაგულისხმევი სიტუაციის მ ხ ო ლ ო დ წ ა რ მ ო ს ა ხ ვ ა და პიროვნების ის მდგომარეობა, რომელსაც სტანისლავსკი ამ სიტუაციის „დ ა ჯ ე რ ე ბ ა ს“ უწოდებს, ერთი და იგივე არ არის; „დ ა ჯ ე რ ე ბ ი ს“ ე ს მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა მ ე ტ ი ა, ვ ი დ რ ე მ ხ ო ლ ო დ წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა ს ა თ ა ნ ა დ ო ს ი ტ უ ა ც ი ი ს ა, და ამიტომ, იგი უეჭველად რაღაცა ფსიქოლოგიური რეალობის, სუბიექტის რაღაც რ ე ა ლ უ რ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს გამომხატველია.

მაგრამ რა მდგომარეობის? რა არის ეს „დაჯერება“, რომელიც არ არის ნამდვილი დაჯერება, რა არის წარმოსახულის რეალობაში ის დარწმუნება, რომელიც არ არის ნამდვილი რწმენა, მაგრამ მეტია, ვიდრე მხოლოდ „ურწმუნო“ წარმოდგენა? თუ კი ეს „რწმენა“ არ წარმოადგენს ნამდვილ დაჯერებას წარმოსახული სიტუაციის რეალობისა, როგორღა ახდენს იგი ადამიანის (მსახიობის) ქცევაზე რეალური სიტუაციის ანალოგიურ მსტიმულირებელ გავლენას; რატომ ქმნის იგი სუბიექტში თავისი შესატყვისი ქცევის იმპულსს?

ცხადია, რომ დასმულ კითხვაზე პასუხი გვაევალებს, პირველ რიგში, რეალური სიტუაციის მსტიმულირებელი გავლენის ბუნების გათვალისწინებას—რა გზით იწვევს ადამიანში რეალური სიტუაცია თავის შესატყვის ქცევას, რა გზით ქმნის იგი ამ ქცევის იმპულსს?

ცოცხალი არსების მთავარ სპეციფიკას შეადგენს, როგორც ამაზე მიუთითა ჯერ კიდევ ენგელსმა, მუდმივი ურთიერთობა გარემოსთან. ამ ურთიერთობაში ინდივიდი მუდამ მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ი ს მატარებელ სუბიექტს წარმოადგენს; ინდივიდის აქტივობის პირველად ძრავს—მის მამოძრავებელს—რაიმე სახის მოთხოვნილება წარმოადგენს. მოთხოვნილების უქონლობა ინდივიდს ხდის ინდიფერენტულს სინამდვილის მიმართ, მოთხოვნილებების აღმოცენების შედეგად სინამდვილის შესაფერისი საგნები შესაფერისი ქცევის ტენდენციას ქმნიან მასში და ეს მოქმედების „მომთხოვნი“, მოქმედების გამომწვევი ძალა ამ საგნებს აქვს მანამდის, სანამ არ მოხდება მოთხოვნილების დაკმაყოფილება (ცხელი ღუმელი გვიზიდავს, როდესაც გვცივა, წყალი, როდესაც გვწყურია და ა. შ.).

ობიექტური გარემო გარკვეულ მოთხოვნილებათა მატარებელ ინდივიდისათვის გარკვეულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ სიტუაციად იქცევა, ხოლო გარკვეული სიტუაცია, ამ მოთხოვ-

ნილებათა მატარებელ სუბიექტს გარკვეული სახის ქცევისათვის განაწყობს—შესატყვისად „ააწყობს" მას (დ. უზნაძე), სიტუაცია სუბიექტის შესატყვისი ძალების მობილიზაციას მოახდენს—გარკვეული სახის მოქმედებისათვის მზაობას შექმნის სუბიექტში, იგი შეცვლის სუბიექტს შესაფერისად, ხოლო სუბიექტის ეს მოდიფიკაცია, ეს მისი შინაგანი გადასტრუქტურება ანუ განწყობა უკვე წარმართავს მის მოქმედებას—გაშლის შესაფერ ქცევას. სუბიექტის ქცევა—ყოველი მოქმედება, ყოველი ფსიქიკური პროცესი. ამ მთლიანი მდგომარეობის მიხედვით და მის შესაფერისად წარმართება; როდესაც ჩვენ სახლიდან გამოსვლისას განვეწყობით გარკვეულ ადგილას მისასვლელად—შესაფერისი ქუჩებით გავივლით და მართლაც იმ ადგილას მივალთ, სადაც განვიზრახეთ. მიუხედავად იმისა, რომ გზაში სულ სხვაზე ვფიქრობდით, ჩვენს ქცევას სახლიდან გამოსვლისას შექმნილი განწყობა წარმართავდა. როდესაც დასმულ კითხვაზე საპასუხოდ ჩვენ შესაფერისი ფაქტები და სიტყვები გვაგონდება ჩვენი ცნობიერების მუშაობას მიღებული კითხვით შექმნილი განწყობა წარმართავს. როდესაც რუსი ნაცნობის შეხვედრისას ჩვენ უშუალოდ, დაუფიქრებლად რუსულად ავლაპარაკდებით. ხოლო ქართველი ნაცნობის შეხვედრისას ასევე უშუალოდ ქართულად ავმეტყველდებით. ამასაც სათანადო განწყობა (ქართულად ან რუსულად ლაპარაკის განწყობა) წარმართავს.

ამგვარად, ჩვენი კითხვა რეალური სიტუაციის მსტიმულირებელი გავლენის შესახებ ასეთ პასუხს ღებულობს; გარკვეულ სიტუაციაში გარკვეულ მოთხოვნილებათა მატარებელ სუბიექტში სრულიად გარკვეული, ამ სიტუაციის შესატყვისი ქცევის განწყობა აღიძვრის, ისე რომ სიტუაციის ზეგავლენით აღმოცენებული განწყობა თავის რეალიზაციას შესატყვისი ქცევის წარმოებაში პოულობს. ასეთია ქცევის უზნაძისეული კონცეფცია.

ცხოველზე ასეთ განმაწყობელ გავლენას მხოლოდ აქტუალური, აქ და ამჟამად მასზე მოქმედი, აღქმადი სიტუაცია ახდენს. ცხოველი „მომენტის არსებაა", იგი „მხედველობის ველის მონაა" (ვ. კელერი). სულ სხვა არის ადამიანი. ადამიანის ძირითადს, უღრმეს განსხვავებას ცხოველისაგან ის შეადგენს, რომ იგი თავისუფალია აქტუალური სიტუაციის მონობისაგან და მას „მაღალ", სოციალურად გაპირობებულ მოთხოვნილებებთან ერთად უვითარდება უნარი. არა მხოლოდ აქტუალური, არამედ წარმოსახუ-

ლი ან მხოლოდ გააზრებული სიტუაციის მიხედვით მოქმედებისა[1]. ადამიანს აქტუალურად მოცემული სიტუაციის შეუფერებელი და მისი საწინააღმდეგო ქცევის წარმოებაც შეუძლია. ადამიანში წარმოდგენილი ან გააზრებული სიტუაციაც ქმნის განწყობას. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ წარმოსახვის გზით ფიქსირებული განწყობის შექმნა ფაქტს წარმოადგენს; მაგრამ ისიც ვნახეთ, რომ სიტუაციის ყოველი წარმოდგენა ქმნის განწყობას.

განწყობას უპირველეს ყოვლისა ის წარმოდგენილი სიტუაცია ქმნის, რომელიც თუმცა აქტუალური აღქმის სახით არ არის მოცემული—მხოლოდ წარმოდგენილია, მაგრამ სუბიექტის მიერ რეალურად არსებულ სიტუაციად იგულისხმება (შეადარეთ IV თავში მოყვანილი ცდების მონაცემები). ადამიანის ქცევისათვის განსაკუთრებით სპეციფიკურია მისი განსაზღვრა მომავალით, ე. ი. მომავალში მოსალოდნელი სიტუაციით. ადამიანი მოქმედებს მომავალ გარემოებათა გათვალისწინების საფუძველზე; მომავალი სიტუაციის გათვალისწინება შესატყვისი მოქმედებისათვის განაწყობს მას. ჩვენს ექსპერიმენტულ მონაცემებშიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, გამოირკვა რომ წარმოსახვით განწყობის შემუშავების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოსახულის რეალურ არსებობაში დარწმუნებულობა, წარმოსახულის რეალური მოცემულობის გულისხმობა შეადგენს (იხ. თავი IV).

მაგრამ სტანისლავსკის დებულების მიხედვით ჩვენ ხომ სხვაგვარად განცდილი წარმოსახული სიტუაციის გავლენა გვაინტერესებს—სახელდობრ, სწორედ ა რ ა რ ე ა ლ უ რ ი, წარმოსახული სიტუაციის გავლენა — იმ სასცენო სიტუაციის გავლენა, რომლის არარეალურობასაც ადამიანი „თვალსაჩინოდ ხედავს", რომლის არარეალურობა მისთვის კარგად ცნობილი არის, რომელსაც იგი სულ სხვა რ ე ა ლ უ რ ი სიტ უ ა ც ი ი ს (დეკორაციების, პარტნიორების და სხვ.) ა ღ ქ მ ა შ ი გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს. ჩვენს წინაშე ხომ სწორედ ასეთი არარეალურად ნაგულისხმევი სიტუაციის პირობითი „დაჯერების" ფსიქოლოგიური ბუნების საკითხი დადგა!.

„დაჯერებას" უნდა აეხსნა წარმოსახული სიტუაციის მსტიმულირებელი გავლენა ქცევაზე რეალური სიტუაციის გავლენის მექანიზმების ანალოგიურად. მაგრამ რეალური სიტუაცია შესაფერ ქცევას სუბიექტში, როგორც დავინახეთ, სათანადო გან-

---

[1] კ. ლ ე ვ ი ნ ი ს აზრით, „თავისუფალი განხრახვის" უნარი უფრო მეტად ასხვავებს ადამიანს ცხოველისაგან, ვიდრე ინტელექტი.

წ ყ ო ბ ი ს შექმნის მეშვეობით იწვევს და, მაშასადამე, წარმოსახული, არარეალური სიტუაციის ბუნებრივი მსტიმულირებელი გავლენაც მსახიობის ქცევაზე მაშინ გახდება გასაგები, თუ ეს წარმოსახული სიტუაცია, რეალურის ანალოგიურად, გ ა ნ მ ა წ ყ ო ბ ლ ა დ მოქმედებს სუბიექტზე, თუ იგი — ეს წარმოსახული სიტუაცია—თავის შესაფერის განწყობას წარმოშობს სუბიექტში.

ამრიგად, ჩვენს წინაშე, დგას საკითხი—იწვევს თუ არა სუბიექტში შესატყვის განწყობას ისეთი წარმოსახული სიტუაცია, რომელიც ა რ ა რ ე ა ლ უ რ ა დ არის ნაგულისხმევი, რომელიც ერსებითად განსხვავდება სუბიექტის რეალურ აღქმაში მოცემული სიტუაციისაგან? როგორც ზემოთ დავინახეთ, ცდის პირებს ჩვენს ცდებში განწყობის შემუშავების უნარი მაშინაც აქვთ, როდესაც იციან, რომ მათ მიერ წარმოსახული შინაარსი არ შეეფერება სინამდვილეს, ე. ი. იციან, რომ ეს მხოლოდ მათი წარმოდგენაა და არა რეალურად მოცემული ობიექტი! ოღონდ, როგორც დავინახეთ, ამ შემთხვევაში ობიექტის მხოლოდ წარმოდგენა არ კმარა (სტანისლავსკის მიხედვითაც ხომ მხოლოდ წარმოდგენა ან ცოდნა „რწმენის" გარეშე არ კმარა წარმოდგენილის მსტიმულირებელი გავლენისათვის მსახიობზე — იხ. ზემოთ). ამისათვის საჭიროა, როგორც ზემოთ დავინახეთ, სპეციფიკური აქტიური დამოკიდებულების შექმნა თავისი წარმოდგენის, ან უკეთ რომ ვთქვათ წარმოდგენილის მიმართ (იხ. III და IV თავი).

ამას გარდა, ჩვენ ხომ სპეციალურად დავინტერესდით საკითხით—თუ შესაძლებელია წარმოსახვით ფიქსირებული განწყობის შემუშავება იმ შემთხვევაში, როდესაც წ ა რ მ ო ს ა ხ უ ლ ი ე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ბ ა ა მ ა ვ ე დ რ ო ს ა ქ ტ უ ა ლ უ რ ა დ ა ღ ქ მ უ ლ ს (იხ. თავი II), როგორც ეს მსახიობის სასცენო მოქმედების დროს ხდება: მსახიობი აღიქვამს კულისებს, ამხანაგებს, მაგრამ მოქმედებს პიესით ნაკარნახევი, სულ სხვა სიტუაციის წარმოდგენის მიხედვით. სათანადო ცდების შედეგად (იხ. თავი II) ჩვენ ხომ დავრწმუნდით, რომ ამ გზითაც ფიქსირებული განწყობის შემუშავება სავსებით შესაძლებელი ყოფილა და (აღვნიშნოთ ეხლავე) სასცენო გარდასახვის უნარის მქონე პირებს—მსახიობებს და სათანადო ნიჭით დაჯილდოებულ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებს, როგორც წესი, ასეთ სიტუაციაში ფიქსირე-

ზული განწყობის შემუშავება შეუდარებლად უფრო ეადვილებათ, ვიდრე სხვა პირებს, ვინც სცენასთან არაა დაკავშირებული (იხ. შემდეგი თავი).

ზემოთ განხილული ცდების რეზულტატებიც საკმარისია იმისათვის, რომ გვქონდეს უფლება ჩვენს ძირითად კითხვას, წარმოსახული სიტუაციის სუბიექტის ქცევაზე მსტიმულირებელი გავლენის ბუნების შესახებ, შემდეგი პასუხი გავცეთ. დიახ, წარმოსახული, არარეალური სიტუაცია ახდენს სუბიექტის ქცევაზე თავის შესატყვისს მსტიმულირებელ გავლენას—სუბიექტში შესატყვისი განწყობის გამოწვევისა და ამ განწყობის ფიქსაციის გზით; ამას აქვს ადგილი მაშინაც, როდესაც სუბიექტმა იცის წარმოსახული სიტუაციის არარეალურობის შესახებ და როდესაც სუბიექტის აქტუალური აღქმადი სიტუაცია წარმოსახული სიტუაციისაგან არსებითად განსხვავდება და, მაშასადამე, როდესაც სუბიექტს არ სჯერა, ხაძდვილად არ „სწამს“ წარმოსახული სიტუაცია. სიტუაციის რეალურობის რწმენა არ არის აუცილებელი სათანადო ქცევის სტიმულაციისათვის იქ, სადაც სუბიექტს ამ ქცევის შესატყვისი განწყობა შეუმუშავდა. ხოლო ასეთი განწყობის აღმოცენებისათვის არ არის საკმარისი სათანადო სიტუაციის მხოლოდ „ინტელექტუალური“ დაშვება, ამისთვის აუცილებელია სპეციფიკური აქტი—სათანადო განწყობის შექმნის აქტი, რომელიც განსაკუთრებით დიდ დაძაბულობას მოითხოვს იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოსახული სიტუაცია აქტუალურად მოცემულს, აღქმად სიტუაციას ეწინააღმდეგება. ეს არის სპეციფიკური აქტი სუბიექტის მიერ წარმოსახული სიტუაციის მიმართ გარკვეული შინაგანი პოზიციის დაკერისა, მის მიმართ გარკვეული შინაგანი დამოკიდებულების დამყარების აქტი.

ამ აქტის შესრულების უნარი, როგორც დავინახეთ, ინტერინდივიდუალურად დიდად განსხვავებულია. როგორც ჩვენს ერავალრიცხოვან ცდებში დადასტურდა, ეს უნარი გაცილებით უფრო გავრცელებულია სასცენო გარდასახვის უნარის მქონე პირებში (ნიჭიერ მსახიობებთან და თეატრალური ინსტიტუტის ნიჭიერ სტუდენტებთან), ვიდრე თეატრის გარეშე მდგომ პირებთან და ამ უნარმოკლებულ სტუდენტებთან. სწორედ ეს თავისებური პოზიციის დაკერა სასცენო სიტუაციის მიმართ, ეს ნებისმიერად შექმნილი განწყობა არის ის „არანამდვილი“, მაგრამ „გულწრფელი დაჯერების“ შინაგანი მდგომარეობა,—ის ეცნიერული „დაჯერება“ იმისა, რის არარსებობასაც აღიქვამს და იცნობს სუ-

ბიექტი, რომელსაც მიაგნო სტანისლავსკის გენიალურმა ინტუიციამ და რომელსაც მან ყოველდღიურ სიტყვახმარებიდან აღებული ტერმინით, „რწმენა“ ან „დაჯერება“ უწოდა.

რასაკვირველია, სუბიექტის ეს შინაგანი მდგომარეობა არის სხვა, ვიდრე მხოლოდ წარმოდგენა შესაძლებელი სიტუაციისა.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ყველა ჩვენს ცდაშიც ექსპერიმენტულად დადასტურდა, რომ იმავე ობიექტთა მხოლოდ წარმოდგენა, თუნდაც ძალიან თვალსაჩინო წარმოდგენა, ვერ იწვევს სუბიექტში სათანადო განწყობას, თუ სუბიექტმა ვერ შექმნა თავის თავში სპეციფიკური აქტიური დამოკიდებულება წარმოდგენილის მიმართ, ხოლო ასეთი აქტიური დამოკიდებულების შექმნის შემთხვევაში იქმნება სათანადო განწყობა, რომელიც მისი გამეორების შემთხვევაში ფიქსირდება კიდევაც.

ამრიგად ჩვენს ცდებშიც დადასტურდა, როგორც ზემოთ დავინახეთ, რომ გარკვეული სიტუაციის მხოლოდ წარმოსახვა ჯერ ვერ მოქმედებს განმაწყობლად, რომ სპეციფიკური აქტიური დამოკიდებულების შექმნაა საჭირო წარმოდგენილის მიმართ, რათა ამ წარმოდგენილმა განმაწყობლად იმოქმედოს. სტანისლავსკი ამ სპეციფიკურ დამოკიდებულებას წარმოსახულის ან წარმოდგენილის მიმართ მისი რეალურობის ან მისი „მოცემულობის შესაძლებლობის“ „დაჯერებას“ ან რწმენას უწოდებს.

4.

მაგრამ როგორ ესმის თვითონ სტანისლავსკის ამ „დაჯერების“ ფსიქოლოგიური ბუნება, რომელიც „რომ ყოფილიყოს“ სანით დაშვებული სიტუაციის მიმართ უნდა ჰქონდეს მსახიობს?

1. განწყობა. რომელზედაც ჩვენ დაგვყავს ამ თავისებური „სასცენო რწმენის“ მდგომარეობა. დ. უზნაძის მიხედვით არ წარმოადგენს განცდითი ბუნების მოვლენას—ეს არის ინდივიდის მთლიანი მოდიფიკაცია, მთლიანი სუბიექტის შინაგანი გადასტრუქტურება, იგი მთელი ინდივიდის მდგომარეობაა. მაგრამ, რამდენად ეთანხმება სასცენო „დაჯერების“ ჩვენ მიერ აქ მოცემულ გაგებას სტანისლავსკის მიერ მოცემული გაგება? თვით სტანისლავსკი „დაჯერების“ შემუშავების პროცესს პირველ რიგში რეტაფორულად აგვიწერს, როგორც „რაღაც ბერკეტის მოტრიალებას“ ადამიანის შიგნით და ამ გზით „წარმოსახვის სიცოცხლის სიბრტყეში გადანაცვლებას“ —«Повернуть внутри себя какой-то рычаг и перенестись в плоскость жизни воображения»[1].

---

[1] სტანისლავსკი, ზენდას. შრ., გვ. 262.

ეს მეტაფორული გამოთქმა ბერკეტის მობრუნების შესახებ არ არის შემთხვევითი, იგი გამოხატავს იმ გარემოებას, რომ „დაჯერების“ წარმოშობის შინაგანი პროცესი მთლიან-პიროვნული, როგორც სტანისლავსკი ამბობს, „ორგანული“ და „ქვეცნობიერი“ ბუნების პროცესია—იგი შინაგანი, ღრმა ცვლილებაა სუბიექტისა. ჩვენ რომ ამ შემთხვევაში არ ვცდებით, რომ სტანისლავსკი არ გულისხმობს ამ „დაჯერებას“ განცდადი ხასიათის პროცესად, აშკარად დასტურდება მისი წიგნის სხვა ადგილებში ხმარებული გამოთქმებით: მაგალითად, მის მიერვე დასმულ კითხვაზე დაჯერების შექმნის რაგვარობის შესახებ პასუხში, იგი უარყოფს ამის მექანიზმის საფუძვლის ძიებას „მსახიობ-ადამიანის ფ ს ი ქ ი კ უ რ ი ცხოვრების არეში“ («в области психической жизни человека-артиста»). მაგრამ სტანისლავსკის განკარგულებაში არ იყო თანამედროვე ფსიქოლოგიის ის ცნებები, რომელნიც გამოხატავენ მთლიან-პიროვნულ პროცესებს და იგი საკმაოდ გულუბრყვილოდ ლაპარაკობს რწმენის გამოწვევის შესახებ „ს ხ ე უ ლ ი ს არეში“ (лучше всего найти и вызвать правду и веру в области тела [1]) შემდეგ იგი პირდაპირ ამბობს „ფ ი ზ ი კ უ რ ი რწმენისა“ და „ფიზიკური დაჯერების“ შესახებ სცენაზე[2]. მისი აზრით ისეთი მოქმედება იმისათვის არის საჭირო, რომ ადამიანის „ბუნებამ“ ფ ი ზ ი კ უ რ ა დ დ ა ი ჯ ე რ ო ს ის, რასაც იგი (ადამიანი-მსახიობი) აკეთებს. ამ შემთხვევაში „ბუნება“ იხმარება სტანისლავსკის სისტემის ძირითადი ცნების „ორგანული ბუნების“ სინონიმად, ხოლო ამ უკანასკნელის ქვეშ სტანისლავსკი გულისხმობს ადამიანის „ქ ვ ე ც ნ ო ბ ი ე რ ს“, ც ნ ო ბ ი ე რ ფ ს ი ქ ი კ უ რ მ ო ვ ლ ე ნ ა თ ა ს ა ფ უ ძ ვ ლ ა დ მ დ ე ბ ა რ ე მ ო ვ ლ ე ნ ებ ს, რასაც ჩვენ განწყობისეულ მოვლენებად ვგულისხმობთ. მართლაც, რას შეიძლება წარმოადგენდეს ეს „არაფსიქიკური დაჯერება“, „ფიზიკური რწმენა“ და საზოგადოდ „ადამიანის ბუნების“ ის პროცესები, რომელნიც მის განცდაში აირეკლებიან უკვე „ფსიქიკური დაჯერების“ სახით? პიროვნების ასეთი „ღრმა“, „არაფსიქიკური“ ხასიათის პროცესებს ცოცხალი არსების განწყობა წარმოადგენს,—ეს არის ადამიანის არსების შინაგანი „აწყობა“, მისი ძალების შინაგანი მობილიზაცია,—ეს არის თვითონ სუბი-

---

[1] კ. ს ტ ა ნ ი ს ლ ა ვ ს კ ი, ხუმოდას. შრ., გვ. 274.
[2] იქვე, გვ. 275—6.

ექტის გადახალისება მისი მოდიფიკაცია, რომელიც ადამიანის ქცევაში და მის ცნობიერ ფსიქიკურ პროცესებში ვლინდება.

საოცარია ამ შემთხვევაში ის მიახლოება, და ზოგჯერ თითქ-მის სრული დამთხვევა, რომელსაც აქვს ადგილი, ერთი მხრით, სასცენო დაჯერების გამოვლინებათა სტანისლავსკის მიერ ყო-ველდღიურ სიტყვებში მოცემულ აღწერასა და, მეორე მხრივ, განწყობის მოქმედების მეცნიერულ-ფსიქოლოგიურ ტერმინებში აღწერას შორის, რომელსაც განწყობის ზემოაღნიშნული თეო-რიის ავტორი (დ. უზნაძე) იძლევა: სტანისლავსკის თქმით, მაგი-ური „რომ ყოფილიყო"(«если-бы») „ძრავია ან ბიძგია" («Толч-ка») „ამაგზნებელია" „ჩვენი შინაგანი აქტივობისა". ეს დაშვება— „რომ ყოფილიყო"—უმალვე წარმოშობს აქტივობას, იწვევს მოქ-მედების სწრაფვას («явился позыв на действие»: ასეთ შემთხვე-ვაში ფსიქოლოგები ამბობენ ხოლმე „მოქმედების მზაობის" შე-სახებ). იგი იწვევს მსახიობში „შინაგან და გარეგან აქტივობას" და აღწევს ამას ძალდატანების გარეშე, ბუნებრივი გზით.

მეტად საგულისხმოა, რომ სუბიექტში შექმნილი ამ მდგომა-რეობის აღსაწერად, ე. ი. განწყობის მოქმედების აღსაწერად სიტყვების ძიებაში სტანისლავსკი ერთ-ორ ადგილას ხმარობს იმ სიტყვებსაც, რომლითაც ხანგრძლივი მეცნიერული კვლევის შე-ღეგად დ. უზნაძემ გამოხატა განწყობის ცნება, სახელდობრ იგი ლაპარაკობს, რომ ამ „რომ ყოფილიყო"-ში ფარულად მოცემუ-ლია თვისება, ძალა (свойство, сила), რომელიც იწვევს ადამიან-ში განწყობის შეცვლას—«мгновенную перестановку—сдвиг». დ. უზნაძე იტყოდა ამ შემთხვევაში, რომ წარმოსახული სიტუაცია (სტანისლავსკის «если-бы») იწვევს სუბიექტში განწყობას ან „განწყობის გადანაცვლებას", რაც რუსულად სიტყვასიტყვით ასე გამოითქმის: «воображаемая ситуация вызывает в субъекте переключение установки», ხოლო სტანისლავსკი მივიდა «переста-новка»-ს ცნებამდის: მაგრამ «переключение установки» და «пе-рестановка» ტერმინოლოგიურად ხომ ერთი და იგივეა!— გერმა-ნულ ფსიქოლოგიურ ტერმინოლოგიაშიც Umstellung იხმარება, რაც переустановка-ს უდრის.

მართალია, შემდეგ სტანისლავსკი აღარ უბრუნდება ამ ტერ-მინს, მაგრამ, ვიმეორებთ, მეტად საგულისხმოა, რომ სიტყვების შექმნისას მსახიობის სასცენო „დაჯერების" მდგომარეობის გამო-

სახატავად სტანისლავსკიმ მიაგნო ისეთს, განწყობის მოქმედების ადეკვატურად გამომსახველ ცნებებს, როგორიც არის «позыв на действие», «внутренний сдвиг» და ბოლოს მიმართა ტერმინოლოგიურად განწყობის (установка) თითქმის ადეკვატურ ტერმინს— «перестановка»-ს. ადამიანის ქცევის ბუნების გაგებათა ასეთი არსებითი დამთხვევა, ერთი მხრით, გენიალური ხელოვანის ინტუიციით მიგნებულისა და, მეორე მხრით, დიდი მეცნიერ-ფსიქოლოგის კვლევა-ძიებით მოპოვებულისა—ჭეშმარიტების ძიების ორიგინალ ამ გზის სისწორის მაჩვენებელია.

2. მდიდარ მასალას სასცენო „რწმენის“ ბუნების გასაშუქებლად იძლევა იმ საშუალებათა გათვალისწინება, რომელსაც როგორც „დაჯერების“ გამოსაწვევ ხერხს უხვად იძლევა სტანისლავსკის სისტემა: როგორ უნდა ხდებოდეს სცენაზე „ადამიანის ბუნების ფიზიკური რწმენის“ გამოწვევა, როგორ უნდა მიაღწიოს მსახიობმა-ადამიანმა ამ სასცენო „რწმენის მდგომარეობას“, ე. ი. ფსიქოლოგიურ ენაზე რომ ვილაპარაკოთ, როგორი არის მეთოდები სცენაზე წარმოსახული სიტუაციის შესაფერისი განწყობის აღმოცენებისა. ეს, სტანისლავსკის მიერ მოცემული, მეთოდები არსებითად სასცენო „დაჯერების“ (იკითხე—განწყობის) გენეზისს აშუქებენ და ამიტომ მის მიერ მოცემულ საშუალებათა გათვალისწინება გაცილებით უფრო გასაგებს გახდიდა სასცენო „რწმენის“ ფსიქოლოგიურ ბუნებას. მაგრამ აქ დაწვრილებით სტანისლავსკის სისტემაზე ვერ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სასცენო რწმენის გამოწვევის ყველა ის ხერხი, რომლის ანალიზსაც სტანისლავსკი იძლევა, კიდევ უფრო გვარწმუნებს ამ სასცენო „რწმენის“ განწყობისეულ ბუნებაში და კიდევ უფრო ცხადს ხდის, რომ სცენაზე „დაჯერების“ შექმნის სტანისლავსკის მიერ მითითებული საშუალებები სცენაზე წარმოსახული სიტუაციის შესატყვისი განწყობის შეგუშავების მეთოდებს წარმოადგენენ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სასცენო ამოცანების დასახვა მსახიობის წინაშე. რაც სათანადო მოთხოვნილებას უქმნის მსახიობს (იმ მოთხოვნილებას, რომლის საფუძველზე წარმოიშვება სასცენო ქცევის ძირითადი განწყობა) და ე. წ. „პატარა სიმართლეების“ შექმნა „ფიზიკური მოქმედების“ მეოხებით (სცენაზე დეტალური, კონკრეტული მოქმედებების შესრულება მათი ბუნებრივი „ლოგიკური“ თანამიმდევრობით), რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს წარმოსახული სიტუაციის შესატყვისი

განწყობის შემუშავებაში, იმ რეალურ მოძრაობათა ანალოგიურად, რომელსაც მიმართავენ ცდის პირები ჩვენს ზემოაღწერილ ცდებში და რომლის შესრულება ამ ცდებში წარმოსახვის საფუძველზე განწყობის შექმნის ფაქტორს წარმოადგენს.

3. უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული, სტანისლავსკის სისტემისათვის სპეციფიკური, მრავალრიცხოვანი განმაწყობელი ხერხები (თუ არ ჩავთვლით „გამსჭვალავ მოქმედებას“ («сквозное действие») და „ზეამოცანას“) მიმართული არიან უმთავრესად, ასე ვთქვათ, მცირე მოქმედებათა— ყოველდღიური ხასიათის ქცევის პატარა მონაკვეთთა, ქცევის ცალკე აქტების განწყობების შესაქმნელად. უნდა ვიგულისხმოთ, რომ სამხატვრო თეატრისათვის დამახასიათებელი მსოფლიო თეატრის ისტორიაში უნახავი ოსტატობა უმთავრესად ისეთი უკიდურესად რეალისტური პიესების დადგმაში, რომელშიაც დიდი ადგილი უჭირავს ჩვეულებრივ ადამიანთა ყოველდღიურ „პროზაულ“ ქცევას, ყოველდღიურ „პატარა“ განცდებს, ყოველდღიური ცხოვრების პატარა მიზნებს, საყოფაცხოვრებო დეტალებს (ისეთ პიესებში, როგორიცაა მაგალითად, ჩეხოვის პიესები და ბევრი სხვა სამხატვრო თეატრის დადგმებში გარდატეხილი პიესები) დიდად უნდა უმადლოდეს ამ სპეციფიკური ხერხების შემოღებას: მცირე ამოცანათა დასმას, „მცირე სიმართლეთა“ მიღწევას, „ფიზიკური მოქმედების“ შესრულებას და ა. შ.

ალბათ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ისეთი პიესების დადგმაში, რომელშიაც, როგორც მაგალითად შექსპირის პიესებში, „პატარა სიმართლეების“ შესატყვისი მოქმედებები, ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანები, ყოველდღიური ქცევის დეტალები და ყოველდღიური განცდები არ თამაშობენ როლს, პიესებში, რომელნიც გარკვეული აზრით „აბსტრაქტულია“, „ამაღლებულია“ ყოველდღიური ცხოვრების პროზაულ მომენტებიდან, ყოველდღიური ცხოვრების ქცევისა და განცდებიდან, სამხატვრო თეატრი, როგორც ცნობილია, მისთვის დამახასიათებელ არაჩვეულებრივ ოსტატობას ვეღარ აღწევდა! საქმე ის არის, რომ „ფიზიკური მოქმედების“ და „პატარა სიმართლეების“ განმაწყობელი მოქმედება ამ ტიპის პიესების დადგმისას ჰკარგავს თავის ხვედრითს წონას, ხოლო მხოლოდ გამსჭვალავი მოქმედების («сквозное действие») ხერხი მასთან მოცემული „ზეამოცანით“, ზემოთ აღნიშნული ხერხების გარეშე, როგორცა ჩანს არ არის საკმარისი მსახიობთა სასცენო ქცევის იმ სიმაღლემდე ასაწევად, რაც სამხატვრო თეატრისათვის არის დამახასიათებელი!

4. ამრიგად, ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ სასცენო გარდასახვას საფუძვლად უდევს წარმოსახული სიტუაციის შესატყვისი განწყობის შემუშავება და მისი ფიქსაცია.

მაგრამ თუ ეს ასეა, თუ მსახიობს სცენაზე და ბავშვს ილუზიური თამაშის დროს უმუშავდება წარმოსახვის შესატყვისი განწყობა და ეს განწყობა განსაზღვრავს მათი ქცევის მიმდინარეობას (პირველის—სცენაზე და მეორის—ილუზიურ თამაშში) ბუნებრივად დგება კითხვა—რატომ არ არის ეს ქცევა „ნამდვილი"—წარმოსახული სიტუაციის ბოლომდე შესატყვისი? რატომ არ განიცდის მსახიობი სცენაზე და ბავშვი თამაშში წარმოსახული სიტუაციის შესატყვის ილუზიას? რატომ არ ახრჩობს ოტელო-მსახიობი მსახიობ-დეზდემონას და რატომ ბავშვს მისი ჯოხი მართლა ნამდვილ ცხენად არ მიაჩნია?

უნდა ვიგულისხმოთ, რომ წარმოსახვით შექმნილი ფიქსირებული განწყობა, როდესაც სუბიექტმა იცის წარმოსახულის არარეალურობის შესახებ, სხვაგვარად ვლინდება, ვიდრე რეალური სინამდვილის ასახვის პროცესში აღმოცენებული განწყობა. ხომ არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთ პირობებში წარმოსახვით შეიქმნება სხვაგვარი განწყობა, ვიდრე რეალური სინამდვილის აღქმის საფუძველზე, და თუ ეს ასეა, რაშია ამ განწყობის თავისებურება?

ამ საკითხს, სასცენო გარდასახვის ფსიქოლოგიური ბუნების გაშუქებისათვის კარდინალური მნიშვნელობის საკითხს, დაუბრუნდებით ნაშრომის ბოლო თავში, მას შემდეგ, რაც გავითვალისწინებთ ჩვენს ექსპერიმენტულ მონაცემებს მსახიობებისა და თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტების მიერ წარმოსახვით ფიქსირებული განწყობის შემუშავების თავისებურებათა შესახებ.

თავი მეექვსე

სასცენო გარდასახვისა და წარმოსახვით განწყობის შემუშავების უნართა ზორის დამოკიდებულების ექსპერიმენტული კვლევა

1. საკითხი

მსახიობის შემოქმედების ფსიქოლოგიური ბუნების თეორიული განხილვისა და განსაკუთრებით კი სტანისლავსკის „სისტემის“ ფსიქოლოგიური ანალიზის შედეგად, როგორც ზემოთ დავინახეთ, ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ მსახიობის სასცენო გარდასახვის არსს სასცენო სიტუაციის, ე. ი. მსახიობის მიერ წარმოდგენილი (არა რეალური) სიტუაციის შესატყვისი განწყობის აღმოცენება შეადგენს: მსახიობი, რომელიც მართლა „გარდაისახება“ სცენაზე, მსახიობი, რომელიც მაყურებლისათვის დამაჯერებელი ბუნებრივობით როლისა და სასცენო სიტუაციის შესატყვისად მოქმედებს, სასცენო სიტუაციის შესატყვის განწყობას შეიმუშავებს და რეპეტიციების პროცესში ამ განწყობის ფიქსაციას ახდენს. ხოლო ამ ფიქსირებული განწყობის საფუძველზე მისი სასცენო ქცევა, მართლაც თითქმის თავისთავად იწლება და მართლაც დამაჯერებელი ბუნებრივობით მიმდინარეობს.

თუ ეს ძირითადი დებულება სწორია, თუ სასცენო გარდასახვის არსს ნამდვილად წარმოსახული სასცენო სიტუაციის შესატყვისი განწყობის შემუშავება შეადგენს, მაშინ უნდა ეიგულისხმოთ, რომ სასცენო გარდასახვის უნარი არსებითად დაკავშირებულია წარმოდგენის საფუძველზე განწყობის შემუშავების უნართან, ე. ი. უნართან განწყობის შემუშავებისა წარმოსახული სიტუაციის საფუძველზე, სახელდობრ, იმ წარმოსახული სიტუაციის საფუძველზე, რომელიც არსებითად განსხვავდება აქტუალურად მოცემული, რეალური, ამჟამად აღქმული სიტუაციისაგან და რომლის რეალური არარსებობის შესახებ სუბიექტმა იცის.

თუ ჩვენი ძირითადი დებულება სწორია, გარდასახვის უნარი, პირველ რიგში, უნდა გულისხმობდეს წარმოდგენის საფუძველზე განწყობის გამოწვევისა და მისი ფიქსაციის უნარს (რა თქმა უნდა, არა მხოლოდ ამას). ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ გარდასახვის უნარის მქონე მსახიობებს წარმოსახვის საფუძველზე ფიქსირებული განწყობის შემუშავების უნარიც მეტად უნდა ჰქონდეთ განვითარებული, ვიდრე იმ პირებს ვისაც თეატრთან არა აქვს კავშირი ან, მით უმეტეს, ვინც სასცენო გარდასახვას ვერ ასერხებს, თუმცა სპეციალურად ემზადება სასცენო შემოქმედებისათვის.

ერთი სიტყვით, თუ ჩვენი მოსაზრება სწორია, ექსპერიმენტულმა შემოწმებამ უნდა გვიჩვენოს სასცენო გარდასახვის უნარის მაღალი კორელაცია წარმოსახვით განწყობის შემუშავების უნართან.

განსხვავდებიან თუ არა ამ უნარის მხრივ, ე. ი. წარმოდგენის საფუძველზე განწყობის გამოწვევისა და მისი ფიქსაციის უნარის მხრივ სასცენო გარდასახვის უნარის მქონე და ამ უნარმოკლებული სუბიექტები და თუ განსხვავდებიან, რაში მდგომარეობს ეს განსხვავება?

ეს არის ძირითადი საკითხი, რომლის გაშუქების ცდას წინამდებარე თავი წარმოადგენს.

2. ცდის პირები

ცდები ჩატარებული გვქონდა შემდეგი კატეგორიის ც. პ-ბზე:

1) თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სასცენო ნიჭის თვალსაზრისით გამოჩენილი სტუდენტები—რიცხვით 10. ეს ის სტუდენტებია, რომელნიც, როგორც მსახიობის ოსტატობის, ისე სხვა სპეციალური საგნების მასწავლებლებისა და ინსტიტუტის ხელმძღვანელობის აზრით და პირადად ჩვენი დაკვირვებითაც, მთელს ინსტიტუტში სასცენო ნიჭით ყველაზე უფრო დაჯილდოვებულ ახალგაზრდებს წარმოადგენდნენ.

2) იმავე თეატრალური ინსტიტუტის ის სტუდენტები, რომელნიც სასცენო ხელოვნებისათვის იმდენად შეუფერებელნი აღმოჩნდნენ, რომ მათ, ამის გამო, ინსტიტუტის დატოვების წინადადება მისცეს. მათი რიცხვი 4-ს უდრის.

3) სტუდენტების ამ ორი ჯგუფის გარდა, ჩვენ გამოვყავით სტუდენტების მესამე ჯგუფიც; ამ მესამე ჯგუფში შევიყვანეთ თეა-

ტრალური ინსტიტუტის ის სტუდენტები, რომელნიც ა. ვ. საშუალოდ არიან დაჯილდოვებულნი სასცენო ნიჭით, რომელთა სასცენო ნიჭს ინსტიტუტში მხოლოდ დამაკმაყოფილებლად თვლიან. ც. პ-ბის ამ კატეგორიას ჩვენ „საშუალო ნიჭიერების“ სტუდენტები უწოდეთ. ამ ჯგუფში 7 ც. პ. შედის.

4. თბილისის, როგორც ქართული, ისე რუსული თეატრის უკვე დამსახურებული, ნიჭიერად ცნობილი მსახიობები—რიცხვით 10.

5) თბილისის ქართული თეატრების ახალგაზრდა მსახიობები (ორიოდე წლის სტაჟით), რომელთა მიერ შესრულებული როლებიდან ერთი-ორი როლი კარგად არის შესრულებული—ერთი-ორი შედარებით მკვეთრი ხატი აქვთ შექმნილი სცენაზე; ამ ჯგუფში 7 ც. პ. შედის.

6) ამას გარდა, ცდები დავაყენეთ ერთ დამსახურებულ მსახიობზე—კომიკზე (უწოდოთ მას NN), რომელიც ჩვენი შეხედულებით სრულიად მოკლებულია გარდასახვის უნარს, რომელიც ყველა როლში თითქმის უცვლელი რჩება, რომელიც როლში და ცხოვრებაში თითქმის არ განსხვავდება. ამ მსახიობზე მიღებული შედეგები ცალკე გვაქვს განხილული, მასზე დაყენებული ცდების მონაცემები ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების მონაცემებში არ შედის.

7) მსახიობებისა და თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტების გარდა, ცდები ჩავატარეთ იმ პირებზე, რომელნიც თეატრთან სრულიად არ არიან დაკავშირებული. ამ ჯგუფში შედის 21 ც. პ. ეს არის 8 საშუალო კვალიფიკაციის მოსამსახურე და 13 მეცნიერი ნუშაკი-ფსიქოლოგი. ამ უკანასკნელი ც. პ-ბის მონაცემები ჩვენთვის განსაკუთრებით ღირებულია თვითდაკვირვების ჩვენებებით.

ამას გარდა, ზოგიერთი ცდის მონაცემის განხილვისას, გამოყენებული გვაქვს ჩვენი ძველი—1942 წ. გამოქვეყნებული—ცდების შედეგები, რომელიც მიღებული იყო თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის სტუდენტებზე (იხ. პირველი თავი).

3. მოცულობის ჰაპტური წარმოდგენით შეძენილი განჭოება

1. ც დ ა. თვალდახუჭულ ც. პ-ს ევალება ორი ხელის გადმობრუნებულად გაწევა და ერთ ხელში დიდის, ხოლო მეორეში—პატარა ჭის ბურთის წარმოდგენა.

ც. პ-მა უნდა წარმოიდგინოს თითქოს იგი უჭერს ხელებს ამ დიდსა და პატარა ბურთებს. ც. პ-ს ევალება ეცადოს რაც შეიძლება ცოცხლად, „ხელშესახებად“ განიცადოს წარმოდგენილი ბურთები

ხელში. როდესაც ც. პ. ამას მოახერხებს, მას ევალება ამ წარმოდგენის 15-ჯერ გამეორება. ამის შემდეგ ისევ თვალდახუჭულ ც. პ-ზე ვაყენებთ კრიტიკულ ცდას: მას რეალურად ეძლევა ხელში სიდიდის შესადარებლად ორი ტოლი მოცულობის ხის ბურთი.

მიღებული შედეგები თავმოყრილია მეთხუთმეტე ცხრილში.

ცხრილი 15

ბოცელობის ჰაპტერი ილუზია წარმოდგენით გაბოროტებული ფიქსირ. განწყობის საფუძველზე (%)

	ც. პირ.	ინდივ.	ილუზია	ილუზიის შემთხვევებიდან			
				სუსტი	საშ.	ძლიერი	დაუსრულ.
1. სამასწ. ინ-ის სტუდენტ.	17	64,7	35,3	50	16,6	16,6	16.6
2. მოსამსახურეები . . .	8	75	25	100	—	—	—
3. ფსიქოლოგეი.-მეც. მუშ.	13	39	61	50	25	12,5	12.5
სულ თეატრ. გარეშე პირ.	38	58	42	56	19	12,5	12.5
4. დამსახურებული მსახ.	10	10	90	22,2	33,3	33.3	11,1
5. ახალგაზრდა. მსახიობები	7	14.3	85.7	33,1	33.1	33.1	—
6. თეატრ. ი-ს ნიჭიერი სტუდ.	10	20	80	25	25	37,5	12,5
სულ სასც. ნიჭის მკონე პირ.	27	17,4	82,6	26	30,4	34,3	8,7
7. თეატრ. ი-ს საშ. ნიჭის სტუდ.	7	28,6	71,4	40	60	—	—
8. თეატრ. ი-ს შეუფ. სტუდ.	4	75	25	100	—	—	—

2. შ ე დ ე გ ე ბ ი. ცხრილის პირველივე გადახედვისას, უკვე გვეცემა თვალში არსებითი განსხვავება განწყობის შემუშავებაში სხვადასხვა კატეგორიის ც. პ-ბს შორის.

ცხრილის პირველ რუბრიკაში ჩვენ ვათავსებთ 1939 წელში ჩატარებული ცდის შედეგებს, რომელიც 1942 წელს იყო გამოქვეყნებული; სახელდობრ, მოგვყავს ცდის იმ ვარიანტის შედეგები, რომელშიაც ც. პ-ს მოეთხოვებოდა საგანწყობო ობიექტების მხოლოდ წარმოდგენა მათი წინასწარი აღქმის გარეშე, ისე, როგორც ეს აღწერილი გვაქვს ზემოთ.

ყველა დანარჩენ რუბრიკაში თავმოყრილია უფრო გვიანდელი ცდების შედეგები.

პირველი, რაც გვეცემა თვალში, დიდი განსხვავებაა ფიქსირებული განწყობის შემუშავების მხრივ, თეატრის გარეშე მდგომ

ც. პ-ბსა და თეატრალურ შემოქმედებასთან დაკავშირებულ ც. პ-თა შორის. პირველთა ნახევარზე ნაკლებს უმუშავდება ფიქსირებული განწყობა წარმოდგენის საფუძველზე (42%), ხოლო მეორეთა—ოთხ მეხუთედს (82,6%). ამას გარდა, პირველებს ახასიათებს განწყობის სუსტი გამოვლენა: განწყობის გამოვლენის შემთხვევათა ნახევარზე მეტი (56%) სუსტ გამოვლენას წარმოადგენს; ძლიერი განწყობა მხოლოდ 25% შემთხვევაში დასტურდება. მეორეებს კი, პირიქით, განწყობის ძლიერი გამოვლენა ახასიათებს: თითქმის ნახევარი (43%) მტკიცეს ან დაუბოლოვებელ ილუზიას იძლევა.

თეატრის გარეშე მდგომ ც. პ-თა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ფსიქოლოგებს; სახელდობრ, ამ ც. პ-ბის ნახევარზე მეტი იმუშავებს ფიქსირებულ განწყობას წარმოდგენით, როდესაც სხვა კატეგორიის თეატრის გარეშე მდგომი ც. პ-ბის მხოლოდ მესამედი და მეოთხედი ახერხებს ამას. ვფიქრობთ, რომ ფსიქოლოგების ეს განსხვავებული მონაცემები აიხსნება, როგორც მათი ჩვევით ფსიქიკური შინაარსებით მანიპულაციისა, ისე იმითაც, რომ ეს ც. პ-ბი მრავალჯერ მონაწილეობდნენ, როგორც ც. პ-ბი, განწყობის სხვა ცდებში, რომელშიაც მათ რეალურად უხდებოდათ განსხვავებული სიდიდის საგანწყობო ბურთების აქტუალური ჰაპტური აღქმა და ამიტომ მათთვის ასეთი ობიექტების თვალსაჩინო წარმოდგენა გაადვილებულია:ერთ-ერთი ჩვენი ც. პ. ფსიქოლოგი, თვითონ აღნიშნავს ამ გარემოებას: „იმდენჯერ მაქვს ხელში დაჭერილი ეს განსხვავებული ბურთები, რომ ამის წარმოდგენა არ არის ძნელი“.

ყოველ შემთხვევაში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ფსიქოლოგებზე ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგებს, განსხვავება თეატრის გარეშე მდგომ ც. პირებისა მსახიობებსა და თეატრალური ინსტიტუტის ნიჭიერ სტუდენტებისაგან მეტად დიდია. პირველი კატეგორიის ც. პ-ბის მხოლოდ მეოთხედს და მესამედს უმუშავდებათ ფიქსირებული განწყობა წარმოდგენის საფუძველზე და ისიც, როგორც წესი, სუსტი ხასიათისა, ხოლო მეორე კატეგორიის ც. პ-ბის ოთხ მეხუთედზე მეტს უმუშავდება ასეთი განწყობა და მხოლოდ ერთ მეხუთედზე ნაკლებს (17%) არ უმუშავდებათ.

დამსახურებული მსახიობებიდან მხოლოდ ერთს ($^1/_{10}$) არ შეუმუშავდა განწყობა. ამ ერთ მსახიობს—უწოდოთ მას A—განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენს ც. პ-ბს შორის: თითქმის ყველა ჩვენს ბრავალრიცხოვან ექსპერიმენტში იგი კრიტიკულ ცდაში ადეკვატურ აღქმას იძლევა. აქტუალური აღქმით შემუშავებული განწყობაც ამ სუბიექტს მალე აღეკვეთება: რამდენიმე ილუზიის შემდეგ

იგი ადეკვატურ აღქმაზე გადადის. ეს არის ნიჭიერი კომიკი, რომელსაც რეჟისორები ახასიათებენ, როგორც ინტელექტუალური ტიპის მსახიობს, იგი „ჭკვიანი“ მსახიობია და როლს ჭკვიანურად, მაგრამ „ტექნიკურად“ აკეთებს.

ახალგაზრდა 7 მსახიობიდანაც მხოლოდ ერთს არ შეუმუშავდა ფიქსირებული განწყობა. ეს არის მსახიობი ქალი—M, რომელიც ჩვენს შემდეგ ცდებში ზოგიერთ თავისებურებას იჩენს და ყურადღებას იქცევს განწყობის საზოგადოდ ძნელი შემუშავებით.

თეატრალური ინსტიტუტის ნიჭიერი სტუდენტებიდან ფიქსირებული განწყობა არ შეუმუშავდა ორს (2/10); ერთი მათგანი—ქალი L—ინსტიტუტის სცენაზე ხშირად ძლიერი გარდასახვის შთაბეჭდილებას სტოვებს და სამართლიანად ითვლება თვალსაჩინო სასცენო ნიჭით აღჭურვილ ახალგაზრდად. ჩვენ კიდევ მოგვიხდება ამ პიროვნებაზე შეჩერება. რაც შეეხება მეორე ნიჭიერ სტუდენტს—ც. პ. B-ს, მას ყველა ჩვენს ცდაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს: სახელდობრ, მას ჩვეულებრივ წარმოდგენით ფიქსირებული განწყობა ვერ უმუშავდება, ისევე როგორც მსახიობ A-ს (იხ. ზემოთ). ობიექტურ აღქმითაც გამოწვეული ფიქსირებული განწყობა ამ ც. პ-ს (სტუდენტ B-ს) მეტად სუსტი აქვს და ძალიან მალე აღიკვეთება. მის „ამპლუას“ კომიკური როლები შეადგენენ. ამ როლებში იგი აღწევს მაყურებელთან დიდ წარმატებას.—განუწყვეტელ სიცილს იწვევს, მაგრამ ეს ახალგაზრდა ნაკლებად იცვლება განსხვავებულ როლებში და, როგორც ამბობენ, უფრო „კომიკობს“ («комикует»), ვიდრე გარდაისახება როლის მიხედვით. მისი ერთგვარი მასწავლებელ-რეჟისორის აზრითაც მას უკვე შეუმუშავდა რამდენიმე შტამპი, რომლითაც იგი აცინებს მაყურებელს. აღსანიშნავია, რომ თვითონ ეს ახალგაზრდა მსახიობი (ამჟამად იგი უკვე მსახიობია) სრულიად გადაჭრით აცხადებს, რომ იგი „თავიდან“ თამაშობს, „ჭკუით“ თამაშობს და, რომ მისთვის სრულიად უცხოა როლის შესატყვისი განცდა სცენაზე, თავდავიწყება როლის შესრულების დროს და ა. შ.

თეატრალური ინსტიტუტის „საშუალო ნიჭის“ 7 სტუდენტიდან, როგორც ეს მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, წარმოდგენის საფუძველზე ფიქსირებული განწყობა შეუმუშავდა ხუთს და ამ ხუთიდან სამს საშუალო სიძლიერის განწყობა შეუმუშავდა. სიმპტომატურად მიგვაჩნია, რომ სტუდენტების ამ ჯგუფში განწყობის შეუშავების გავრცელება საშუალო ადგილს იკერს ნიჭიერ სტუდენტთა და „შეუფერებელ“ სტუდენტთა შორის (80%; 71% და 25%).

სიმპტომატურია, რომ სასცენო ნიჭს მოკლებულ, „შეუფერე-

ბელ“ სტუდენტებიდან მხოლოდ ერთს (1/4) შეუმუშავდა ფიქსირებული განწყობა და ისიც სუსტი. ორ სტუდენტს ცდის დროს შეტად გაუძნელდა ბურთების თვალსაჩინო წარმოდგენა ცარიელ ხელში.

დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ მსახიობმა NN, რომელსაც ჩვენ გარდასახვის უნარმოკლებულად ვთვლით, სრულიად ვერ შეიმუშავა ფიქსირებული განწყობა: კრიტიკულ ცდებში არ დადასტურდა ილუზიის არც ერთი შემთხვევა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამ ცდის პირს ძალიან გაუჭირდა ბურთების თვალსაჩინო წარმოდგენა ცარიელ ხელში.

3. როგორც ვხედავთ, წარმოდგენით ფიქსირებული განწყობის შემუშავება საკმაოდ სიმპტომატურ სურათს იძლევა სხვადასხვა კატეგორიის ც.პ-ბთან, მაგრამ რამდენად ობიექტურია ჩვენ მიერ მოხდენილი დაჯგუფება? რამდენად ადეკვატურია ეს დაჯგუფება — „ნიშიერი სტუდენტები“, „საშუალო ნიშის სტუდენტები“, „ნიშიერი მსახიობები“, გარდასახვის უნარმოკლებული მსახიობი NN? ყოველთვის შესაძლებელია, რომ ამ დაჯგუფების დროს დაშვებული იყოს არსებითი შეცდომა და მაშინ მიღებული „სიმპტომატურობა“ მხოლოდ მოჩვენებითი იქნება.

მიღებული ზოგადი შედეგის შესამოწმებლად ყველა ჩვენი ცდის პირი დავაჯგუფეთ „ობიექტური“ ნიშნის, სახელდობრ, მათი პროფესიის მიხედვით სამ დიდ ჯგუფად: 1) არა მსახიობები (38 ც. პ.), 2) ყველა მსახიობი (18 ც. პ.) და 3) თეატრ. ინსტიტუტის სტუდენტები, შეუფერებელთა გარდა (17 ც. პ.), როგორც მეთექვსმეტე ცხრილიდან ჩანს ასეთი არა ზუსტი, მაგრამ „ობიექტური“ დაჯგუფებაც საკმაოდ სიმპტომატურ სურათს იძლევა.

ცხრილი 16

მოკულობის ჰაპტური ილუზია წარმოდგენით გამოწვეული ფიქსირ. განწყობის საფუძველზე (%)

	ც.პ. რაოდ.	ადეკვ. ფლ.	ფლ.	ილუზიის შემთხვევებიდან			
				სუსტი	საშ.	ძლიერი	დაუსრულ.
I არა მსახიობები	38	58	42	56	19	12,5	12,5
II სულ მსახიობები	18	16,7	83,3	26,6	33,3	33,3	6,7
III თეატრ. ინ-ის სტუდენტები შეუფერ. გარდა	17	23,5	76,5	30,7	38,5	23	

იგივე განსხვავება წარმოდგენით განწყობის გამოწვევაში თავს ჩენს მაშინაც, როდესაც ყველა ჩვენს ცდის პირს, თეატრალური

ინსტიტუტის შეუფერებელ სტუდენტთა გარდა, გავყოფთ ორ ჯგუფად ობიექტური ნიშნის მიხედვით, სახელდობრ, თუ დაუპირისპირებთ ერთმანეთს, ერთი მხრივ, არა მსახიობებს (38 ც. პ.) და, მეორე მხრივ—მსახიობებს და თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებს ერთად (35 ც. პ.).

ცხრილი 17

მოცულობის ჰაპტური ილუზია წარმოდგენით გამოწვეული ფიქსირ. განწყობის საფუძველზე (%)

	ცდ. პირ.	ილუზია	ილუზიის შემთხვევებიდან			
			სუსტი	საშ.	ძლიერი	დაუსრულ.
I თეატრის გარეშე მდგომი პირები	38	58	42	56	19	12,5	12.5
II სულ მსახიობები და თ. ი-ს სტუდ. (შეუფ. გარ.)	35	20	80	28.9	35,7	28,9	7.1

რამდენადაც ამ ტლანქ დაჯგუფებას შეიძლება არა სავსებით ემთხვეოდეს გარდასახვის უნარი, ეს რიცხვები — 42% და 80% ცდის პირებისა, რომელნიც იმუშავებენ განწყობას წარმოდგენის საფუძველზე, არ უნდა ჩითვალოს სხვაობის მაქსიმალურ გამოხატულებად. ეს შედეგი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ სასცენო გარდასახვის უნარი გარკვეულ, დადებით კორელაციაში იმყოფება წარმოდგენით განწყობის გამოწვევის უნართან.

წარმოდგენით გამოწვეული განწყობა ოპტიკურ არეში (ლამპადების ცდა)

ჰაპტურ სფეროში წარმოდგენის საფუძველზე განწყობის შეიუშავების პროცესში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს საგანწყობო წარმოდგენის შესატყვის მოძრაობათა შესრულება თამაშობს. ხოლო ოპტიკურ არეში მცირე სიდიდეთა აღქმა, რომელიც ობიექტიურ ათვის თვალის მოვლებას არ მოითხოვს, ასეთ მოძრაობებთან არ არის დაკავშირებული[1]. ამიტომ ამ არეში წარმოდგენით გან-

[1] ჩვენ ვგულისხმობთ ტლანქს, გარეგნულად შესამჩნევ მოძრაობებს და არა იმ მუსკულარულ დაძაბვებს, რომლებსაც, ასე ვთქვათ, მხოლოდ თეორიულად ღირებული მნიშვნელობა აქვს. (ამ უკანასკნელთა შესახებ იხ. მაგ. ჯ ე კ ო ბ ს ე ნ ი ს შრომების ბოროვსკის მიერ მოცემული რეფერატი—კრებული Рефлексы инстинкты и навыки, 1936).

წყობის შემუშავება თავისუფალია ზემოაღნიშნულ კინესთეტიკური მომენტისაგან. იგი უფრო წმინდა სახის წარმოდგენას ეყრდნობა.

ასეთი „წმინდა“ წარმოდგენის საფუძველზე, კინესთეტიკური შეგრძნებების გარეშე, ფიქსირებული განწყობის შემუშავების შესაძლებლობის შესამოწმებლად, დავაყენეთ ცდები სიდიდეთა ოპტიკური აღქმის არეში. ეს ცდები, ზოგიერთი ტექნიკური დაბრკოლების გამო, დავაყენეთ მხოლოდ თეატრალური ინსტიტუტის 12 ნიჭიერ სტუდენტსა და 2 მსახიობზე. საკონტროლო ნასალად ვიყენებთ იმ შედეგებს, რომელიც მიღებული გვქონდა 1939 წ. სამასწავლებლო ინსტიტუტის სტუდენტებზე ჩატარებულ ცდებში. ცდის მეთოდიკა გამოყენებულია უცვლელად: ც. პ-ს ევალება წარმოიდგინოს ეკრანზე ნაჩვენებ ადგილზე ორი წრეხაზი—დიდი და პატარა. ამ წარმოდგენის 15 გამეორების შემდეგ, ეკრანის ნაჩვენებ ადგილზე ეპიდიასკოპურად ვახდენთ ტოლი წრეების მომენტალურ ექსპოზიციას. ც. პ-ს ევალება მათი სიდიდის შედარება.

მიღებული შედეგები თავმოყრილია მეთვრამეტე ცხრილში.

ცხრილი 18

მოცულობის ოპტიკური ილუზია წარმოდგენით გამოწვეული ფიქსირ. განწყობის საფუძველზე (%) (ეპიდიასკოპური ექსპოზიცია)

	ცდ. პირ. რაოდ.	ადეკვ. ცდები	ილუზია (კონტრ.)	აქედან			
				სუსტი	საშ.	ძლიერი	დაუსრულ.
I სამასწავლ. ინ-ის სტუდენტები (1939 წ. ცდა)	17	76,5	23,5	75	—	25	—
II თეატრ. ინ-ის სტუდ.	12	25	75	11,1	22,2	55,6	11,1
III მსაბიობები	2	—	100	50	50	—	—

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ მეტად დიდ განსხვავებას სასცენო ნიჭით აღჭურვილთ და თეატრის გარეშე მდგომ პირთა შორის. თეატრალური ინსტიტუტის 12 ნიჭიერი სტუდენტიდან 9 იმუშავებს ფიქსირებულ განწყობას საგანწყობო საგანთა ოპტიკური წარმოდგენის საფუძველზე, ხოლო სამასწავლებლო ინსტიტუტის სტუდენტების მხოლოდ ერთი მეოთხედი ახერხებს ამას. ამას გარდა, იმათგანაც, ვინც იმუშავებს ასეთ განწყობას, პირველი ჯგუფის ც. პ-ბის უმრავლესობა (67,6%) იმუშავებს ძლიერი სიმტკიცის განწყობას,

ეორე ჯგუფის ც. პ-ბის უმრავლესობა კი (75%) მხოლოდ სუსტ განწყობას იმუშავებს[1].

ორივე მსახიობი, რომელზედაც ეს ცდა იყო დაყენებული (ერთი დამსახურებული და ერთი ახალგაზრდა მსახიობი), კონტრასტულ ილუზიას იძლევა.

5. აქტუალური აღქმის საწინააღმდეგო შინაარსია წარმოდგენის ვანმაწყობელი მოქმედება

1. ჩ ვ ე ნ ს პ ი რ ვ ე ლ ცდაში თვალდახუჭული ც. პ. წარმოიდგენს ბელში საგნებს, რომელიც რეალურად მას არ ეძლევა. მაგრამ ამ საგანთა წარმოდგენას არ ეწინააღმდეგება არავითარი აქტუალური აღქმა: ც. პ-ი წარმოიდგენს იმას, რასაც არ აღიქვამს, მაგრამ ამ დროს იგი არ აღიქვამს არაფერს ამ წარმოდგენის საწინააღმდეგოს. აქტუალური აღქმა არ ეწინააღმდეგება წარმოდგენას. სხვა მდგომარეობაში არის მსახიობი სცენაზე: მას უხდება იმის წარმოდგენა და გულისხმობა, რასაც სრულიად ეწინააღმდეგება რეალური სიტუაციის აქტუალური აღქმა: იგი ხედავს დეკორაციებს, პარტნიორებს, კულისებს და ა. შ., ხოლო ამ საგნებში უნდა იგულისხმოს სულ სხვა ობიექტები და, საზოგადოდ, სცენის რეალურ სიტუაციაში სულ სხვა სიტუაცია უნდა იგულისხმოს და ამ სხვა სიტუაციის შესატყვისად იმოქმედოს. მაშასადამე, იგი ა ღ ი ქ ვ ა მ ს ე რ თ ს, ხ ო ლ ო წ ა რ მ ო ი დ გ ე ნ ს მ ე ო რ ე ს და ამ წარმოდგენის შესატყვისი განწყობა უნდა შეიმუშავოს. ცხადია, ეს მომენტი ართულებს წარმოსახვის ამოცანას: წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ მ ა სიტუაციამ უნდა დასძლიოს ა ქ ტ უ ა ლ უ რ ა დ ა ღ ქ მ უ ლ ი სიტუაციის განმაწყობელი გავლენა და წარმოშვას თავისი შესატყვისი განწყობა.

ჩვენც შევეცადეთ შეგვექმნა ექსპერიმენტში ანალოგიური ამოცანა: ც. პ-ს ევალება წარმოიდგინოს შინაარსი, რომელიც ეწინააღმდეგება აქტუალური აღქმის შინაარსს.

როგორც ზემოთ გვქონდა აღწერილი (იხ. თავი II) ამ პრინციპზე აგებული გვაქვს რამდენიმე ექსპერიმენტი.

---

[1] პირობითად ფიქსირებული განწყობის სუსტ გამოვლენად ვთვლით 1-დან 4 ექსპოზიციამდის გავრცელებულ ილუზიას, საშუალოდ — 5-დან 9-მდის, ძლიერად — 10-დან 25-მდის, ხოლო 25-ზე მეტ რაოდენობაზე გავრცელებულ ილუზიას დაუბოლოებელს უწოდებთ.

2. განსხვავებული სიმძიმის აწევის წარმოდგენა ტოლი სიდიდის ობიექტთა ოპტიკური აღქმის დროს. ეს ცდა დეტალურად გვაქვს აღწერილი მეორე თავში. ც. პ-ის წინ მაგიდაზე დევს ტარიანი, ტოლი სიდიდის ხის ორი ბურთი. ც. პ-ს ევალება უყუროს ამ ტოლ ბურთებს, იგულისხმოს, რომ ერთი მათგანი, ბევრად მძიმეა მეორეზე და წარმოიდგინოს, რომ ერთდროულად ორივე ხელით სწევს ორივე ამ ბურთს—მძიმეს და მსუბუქს. ც. პ-ს ევალება, რაც კი შეუძლია ნათლად, ცოცხლად განიცადოს ამ დიდად განსხვავებული სიმძიმის ბურთების აწევა. ამ პროცედურის 15 გამეორების შემდეგ, ვაყენებთ კრიტიკულ ცდას: თვალდახუჭულ ც. პ-ს ეძლევა ხელში ასაწევად და სიმძიმეების შესადარებლად ტოლი სიმძიმეების, ტარიანი ბურთები.

ზემოთ, ნაშრომის მეორე თავში ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ტოლი მოცულობის საგნების აქტუალური ოპტიკური აღქმა ამ ცდებში მეტად შემაფერხებელი აღმოჩნდა ამ საგანთა განსხვავებული სიმძიმის წარმოსახვისათვის.

საგანთა ტოლი მოცულობის ეს ოპტიკური აღქმა იმდენად უშლის ხელს მათი განსხვავებული სიმძიმის აწევის წარმოსახვას, რომ ცდის პირების დიდი ნაწილი ან ხუჭავს ან არიდებს თვალებს ამ ბურთებს იმისათვის, რომ ნათლად წარმოიდგინოს თითქოს სწევს ამ განსხვავებული სიმძიმის საგნებს. ამ სიძნელეს ყველაზე ხშირად ფსიქოლოგი ცდის პირები აღნიშნავენ.

ბურთებისათვის თვალის არიდების ტენდენცია სხვა ც. პირებსაც და მათ შორის თეატრალური ინსტიტუტის ნიჭიერ სტუდენტებსაც ემჩნევათ. ყურადღებას იქცევს დამსახურებული მსახიობების ქცევა: მათ ბურთებისათვის თვალის არიდების ტენდენცია აშვიათად ემჩნევათ; თვალის დახუჭვის არც ერთ ცდას ადგილი არ ჰქონდა.

საინტერესოა მსახიობ NN-ის ქცევა, რომელსაც ჩვენ გარდასახვის უნარმოკლებულად ვთვლით. ამ ც. პ-ს ჩვენ ვერ ვაიძულეთ ბურთებისათვის ეცქირა სიმძიმის აწევის წარმოდგენის დროს. მას, იმდენად უჭირს აღქმის გარეშე საგანწყობო ობიექტების აწევის წარმოდგენა, რომ ყველა ჩვენი ცდის დროს იგი წამდაუწუმ ეტანება ასაწევად მის წინ დადებულ საგნებს და სულ თხოულობს: «нельзя-ли это проделать на самом деле».

როგორც ჩანს, ტოლი მოცულობის და საერთოდ სავსებით იდენტური ბურთების ოპტიკური აღქმა იწვევს სუბიექტში საზოგადოდ ტოლობის განწყობას, რაც უშლის ხელს ამ ბურთების განსხვავებულ სიმძიმისად გულისხმობას: მძიმე და მსუბუქი საგნე-

ბის აწევას ც. პ-ბი გაცილებით უფრო ადვილად წარმოიდგენენ თვალდახუჭულად.

ხაზგასასმელია, რომ ამ ცდაში, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, კინესთეტიკური მოდალობის წარმოდგენის საფუძველზე აღმოცენდება ფიქსირებული განწყობა, რომელიც ეწინააღმდეგება იმავე დროს მოცემულ ოპტიკურ აღქმას.

ამრიგად, ცდის აღწერილ ვარიანტში ფიქსირებული განწყობა უნდა აღმოცენდეს ისეთი შინაარსის კინესთეტიკური წარმოდგენის საფუძველზე, რომელიც ეწინააღმდეგება აქტუალურ ოპტი-

ცხრილი 19

სიმძიმის ილუზია წარმოდგენით გამოწვეული ფიქსირ. განწყობის საფუძველზე (%)

	ექ. პირ.	ფიქსირ.	ილუზია ლენტრას	აქედან				
				კონტრასტ.				ასიმილაც.
				სუსტი	საშუალო	ძლიერი	დაუსრულ	
I საშ. კვალიფ. მოსამსახ.	8	75	25	100	—	—	—	—
II ფსიქოლოგ.-მეც. მუშ.	13	39	61	12,5	25	12.5	—	50
სულ თეატრ-ს გარეშე მდგომი პირები	21	52,4	47,6	30	20	10	—	40
III დამსახურ. მსახიობები	10	10	90	11	22	22	45	—
IV ახალგაზრდა ნსახ.	7	0	100	43	14,3	—	14,3	28,5
V თეატრ. ინ-ის ნიჭიერი სტუდენტები	10	20	80	12,5	37,5	25	25	—
სულ მსახიობები და ნიჭიერი სტუდენტ.	27	11,1	88,9	20,8	24,9	16,6	29,2	8,3
VI თეატრ. ინ-ის საშ. ნიჭის სტუდენტები	8	25	75	67,7	33	—	—	—
სულ: მსაზ. და თეატრ. ინ-ის სტუდენტები (შეუფერებელთა გაოდა)	35	4,3	85,7	30	26,6	13,3	23,3	6,7
VII თეატრ. ინ-ის შეუფერებელი სტუდენტები	4	75	25	100	—	—	—	—

კურ აღქმას. როგორც დავინახავთ, ჩვენი ც. პ-ბის უმრავლესობა ამას ახერხებს. ამ ცდის შედეგები თავმოყრილია მეცხრამეტე ცხრილში.

3. პირველი, რაც იქცევს ჩვენს ყურადღებას, არის ისევ დიდი განსხვავება მსახიობებისა და არა მსახიობების მონაცემთა შორის.

არა მსახიობების ჯგუფის ცდის პირების ნახევარზე ნაკლები ახერხებს ამ ექსპერიმენტში ფიქსირებული განწყობის შემუშავებას წარმოდგენის საფუძველზე (47%) და ეს პროცენტი მეტად გაზრდილია ისევ ფსიქოლოგ ც. პ-ბის მონაცემებით; საშუალო კვალიფიკაციის მოსამსახურეების მხოლოდ 25% ახერხებს ამ ცდაში განწყობის შემუშავებას და ისიც მხოლოდ სუსტ ფორმაში.

სამაგიეროდ, ყველა მსახიობისა და თეატრალური ინსტიტუტის ნიჭიერი სტუდენტების თითქმის ცხრა მეათედი (88,9%) ახერხებს ამას. თუ ც. პ-ბის ამ კატეგორიას თეატრალური ინსტიტუტის საშუალო ნიჭის სტუდენტებსაც მივუმატებთ, მთელი ამ დიდი ჯგუფის ც. პ-ბის 85,7% იმუშავებს ფიქსირებულ განწყობას ამ ცდაში.

თეატრალური ინსტიტუტის შეუფერებელი ოთხი სტუდენტიდან მხოლოდ ერთი აღწევს ამას და ისიც სუსტ განწყობას იმუშავებს.

თვალსაჩინოა აგრეთვე განსხვავება წარმოდგენით აღმოცენებული განწყობის სიმტკიცის მხრივ: არა მსახიობების უმეტესობას სუსტი ან საშუალო სიმტკიცის განწყობა უმუშავდებათ, ხოლო მსახიობების და თეატრალური ინსტიტუტის ნიჭიერი სტუდენტების თითქმის ნახევარს (45,8%) ძლიერი განწყობა უმუშავდებათ: საშუალო კვალიფიკაციის მოსამსახურეებსა და თეატრალური ინსტიტუტის შეუფერებელი სტუდენტებს, ვისაც კი ამ ცდაში შეუმუშავდა განწყობა, იგი ერთ პროცენტით სუსტ ფორმაში გამოვლინდა.

რაც შეეხება ც. პ-ბის უფრო ვიწრო კატეგორიებს, როგორც მე-19 ცხრილიდან ჩანს, მდგომარეობა ასეთია: დამსახურებული მსახიობებიდან ამ ცდაში მხოლოდ ერთმა ($^1/_{10}$) ვერ შეიმუშავა განწყობა. ეს არის იგივე კომიკური როლების შემსრულებელი ჩსახ. A, რომელმაც იგივე შედეგი მოგვცა პირველ ექსპერიმენტშიც.

აღსანიშნავია, რომ იმ დამსახურებულ მსახიობებიდან, რომელნიც იმუშავებენ ფიქსირებულ განწყობას, ორი მესამედი (67%) ძლიერ განწყობას იმუშავებს, ხოლო ამ უკანასკნელთაგან 45% დაუბოლოვებელ ილუზიას იძლევა. ახალგაზრდა მსახიობების ჯგუფიდან ამ ცდაში განწყობა შეიმუშავა ყველამ და აქედან მხოლოდ ნახევარს სუსტი განწყობა აღმოაჩნდა.

თეატრალური ინსტიტუტის ნიჭიერი სტუდენტებიდან ამ ცდაშიც განწყობა ვერ შეიმუშავა ისევ იმ ორმა სტუდენტმა (B

და L), რომლებმაც პირველ ექსპერიმენტშიც ასეთი შედეგი მოგვცეს (იხ. ზემოთ).

თეატრალური ინსტიტუტის საშუალო ნიჭის სტუდენტებიდან სამი მეოთხედი (75%) განწყობას იმუშავებს, ხოლო ამათგან ორი მესამედი სუსტი სახის ილუზიას იძლევა.

თეატრალური ინსტიტუტის შეუფერებელი სტუდენტებიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განწყობას იმუშავებს მხოლოდ ერთი (ოთხიდან) და ისიც სუსტი სახით. საშუალო კვალიფიკაციის მოსამსახურეებიდანაც მხოლოდ მეოთხედი ($^2/_8$) იმუშავებს განწყობას და ისიც მხოლოდ სუსტს.

3. შარპანტიეს ილუზიის დარღვევა წარმოსახვით ფიქსირებული განწყობის საფუძველზე. თუ წინა ცდაში საგანთა ოპტიკური აღქმის განმაწყობელი გავლენა ამ საგანთა სიმძიმის წარმოდგენაზე ვინმეს შეიძლება საეჭვოდ მოეჩვენოს, შარპანტიეს კლასიკურ ცდაში ცდის საგნების ოპტიკური აღქმის განმაწყობელი მოქმედება ამ საგანთა სიმძიმეების აღქმაზე უდავო ფაქტს წარმოადგენს, რომელსაც ფსიქოლოგიური მეცნიერება მრავალი ათეული წლის მანძილზე იცნობს.

ცხრილი 20

შარპანტიეს ილუზიის დარღვევა წარმოდგენით გამოწვეული ფიქსირებული განწყობის საფუძველზე (%)

	ცდ. პირ. რაოდ.	შარპანტ. ილუზია	შარპანტ. ილუზ. დარღვევა	პირდაპირ ილუზია	კონტრას. ილუზია	სუსტი კონტრ.	საშუალო კონტრ.	ძლიერი კონტრ.
მოსამსახ.	8	75	25	100	—	—	—	—
ფსიქოლოგები მეცნ. მუშ.	7	71.4	28,6	50	50	—	100	—
სულ თეატრ. გარეშე პირ.	15	73,4	26,6	75	25	—	100	—
დაწსახ. მსახიობები	10	20	80	37,5	62.5	40	40	20
ახალგაზრდა მსახიობები	7	14,3	85,7	33	67	50	50	—
თეატრ. ი-ს ნიჭიერი სტუდ.	10	10	90	33	67	50	50	—
სულ მსახ. და ნიჭ. სტუდ.	27	14,8	85,2	34,8	65,2	46,6	46,6	6,7
თეატრ. ი-ს საშ. ნიჭ. სტუდ.	6	33	67	75	25	100	—	—
სულ მსახ. და თეატრ. ი-ს სტუდ. (შეუფერ. გარდა)	33	18,2	81,8	40,7	59.3	52,9	41,2	5,8
თეატრ. ი-ს შეუფერ. სტუდ.	4	75	25	—	100	100	—	—

როგორც უკვე გვქონდა მეორე თავში აღნიშნული, ჩვენ შარპანტიეს ცდას ისეთი ინსტრუქციით ვაყენებთ, რომლის შესრულების შედეგად ც. პ. შარპანტიეს საგნებს ასწევს წარმოსახვის საფუძველზე შექმნილი ისეთი განწყობით. რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება ამ საგნების ოპტიკური აღქმის განმაწყობელ მოქმედებას.

ამრიგად, ამ ცდაში ცდის პირმა წარმოსახვით უნდა შექმნას განწყობა, რომელიც ეწინააღმდეგება შარპანტიეს „გირების" აქტუალური ოპტიკური აღქმის განმაწყობელ მოქმედებას (ცდის აღწერა იხ. ზემოთ—მეორე თავში). ამ ცდის შედეგები თავმოყრილია მე-20 ცხრილში.

ცდის ძირითადი ზოგადი შედეგის გარდა, რომელიც განხილული გვქონდა ზემოთ—მეორე თავში. გამოირკვა, რომ შარპანტიეს ილუზიის დარღვევა სიმძიმის იმ წარმოდგენით გამოწვეული განწყობის საფუძველზე. რომელიც ეწინააღმდეგება ოპტიკურად აღქმული მოცულობის განმაწყობელ გავლენას, კიდევ უფრო დიდს, ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებს, დიფერენციაციას იძლევა გარდასახვის უნარის მქონეთა და ამ უნარმოკლებულ პირთა შორის, ვიდრე ზემოთ განხილული ცდები. ყურადღებას იქცევს, რომ დამსახურებული მსახიობებიდან, A-ს. გარდა. ამ ცდაში მხოლოდ ერთმა ვერ შეიმუშავა ფიქსირებული განწყობა, ხოლო ნიჭიერი სტუდენტებიდან განწყობა ვერ შეიმუშავა მხოლოდ სტუდენტმა B-მ. ისე რომ სტუდენტი L. რომელმაც წინა ცდაში ფიქსირებული განწყობის შემუშავებას ვერ მიაღწია. ამ ცდაში ამას აღწევს.

4. **გ ა ნ წ ყ ო ბ ი ს შ ე მ უ შ ა ვ ე ბ ა** აქტუალური აღქმის საწინააღმდეგო შინაარსის იმავე მოდალობის წარმოდგენის საფუძველზე. აქამდე განხილულ ცდებში ერთი მოდალობის წარმოდგენას ეწინააღმდეგებოდა სხვა მოდალობის აღქმით გაპირობებული განწყობა. მაგრამ ჩვენ ხომ გვქონდა ცდის სამი ვარიანტი, სადაც აქტუალურ აღქმას ეწინააღმდეგება იმავე მოდალობის წარმოდგენა და ამ უკანასკნელის საფუძველზე აღმოცენებული ფიქსირებული განწყობა განსაზღვრავს კრიტიკულ საგანთა აღქმას (იხ. თავი II).

როგორია ასეთ სიტუაციაში გარდასახვის უნარის მქონე პირების ქცევა?.

A. **ტ ო ლ ს ი მ ძ ი მ ე თ ა** აქტუალური აღქმის პროცესში ფიქსირებული განწყობის შემუშავება განსხვავებულ სიმძიმეთა წარმოდგენის საფუძველზე. ეს ცდა (მეხუთე) აღწერილი გვქონდა მეორე თავში: ც. პ-ს ეძლევა ასაწევად ორი ტოლი სიმძიმისა და მოცუ-

ლობის ხის ტარიანი ბურთი. ც. პ. ჰკიდებს ხელს ორივე ბურთის ტარებს და ერთდროულად ასწევს ამ ბურთებს სხვადასხვა ხელით. როდესაც ც. პ. დარწმუნდება ბურთის სიმძიმის ტოლობაში, მას ევალება ისევ რეალურად ასწიოს იგივე ბურთები და აწევის პროცესში წარმოიდგინოს—„მოიტყუილოს თავი"—თითქოს ერთი მათგანი ბევრად უფრო მძიმეა, ვიდრე მეორე, თითქოს ერთი ტყვიითაა სავსე და მეორე კი ცარიელია. ც. პ-ს ევალება, რაც შეიძლება ცოცხლად, განიცადოს აწევის პროცესში ერთის სიმძიმე და მეორეს სიმსუბუქე. მაშასადამე, ტოლი სიმძიმეების აქტუალური აწევის პროცესში ც. პ-მა უნდა იგულისხმოს და წარმოიდგინოს განსხვავებული სიმძიმეები.

როდესაც ც. პ. ამას წარმოიდგენს, მას 15-ჯერ ზედიზედ მოეთხოვება ამ განცდის გამეორება საგნების რეალური აწევის პროცესში. ამის შემდეგ გადავდივართ კრიტიკულ ცდაზე: თვალდახუპულ ც. პ-ს ეძლევა ორივე ხელში ასაწევად და სიმძიმის შესადარებლად ორი ტოლი სიმძიმის საგანი: აწევა ზონარების საშუალებით წარმოებს.

შ ე დ ე გ ე ბ ი. ც. პ-ბის უმრავლესობისათვის (მაგრამ არა ყველასათვის) განსხვავებული სიმძიმის თვალსაჩინო წარმოდგენა ტოლი სიმძიმის საგნების რეალური აწევის პროცესში გაცილებით უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ამის წარმოდგენა წინა ცდებში, სადაც ტოლი სიმძიმეების რეალურ აწევას ადგილი არა ჰქონდა.

თუ წინა ცდებში სიმძიმის წარმოდგენას, საბოლოო ანგარიშში, ასე თუ ისე, ყველა ახერხებს (ერთი გამონაკლისის გარდა), უკანასკნელ ცდაში თეატრის გარეშე მდგომი პირების ნაწილი აცხადებს, რომ ვერ ახერხებს განსხვავებული სიმძიმეების წარმოდგენას. მაგალითად, ც. პ. ბ. ხ.—ფსიქოლოგიის დოცენტი—ამბობს; „ცოდნა მათი ტოლობის შესახებ ძალიან მოქმედობს". შემდეგ: „ვჭიმავ კუნთებს აქეთა ხელზე, რომ შევქმნა სიმძიმის შთაბეჭდილება"... მიუხედავად ამისა, თვალსაჩინო წარმოდგენას ეს ც. პ., მისივე განცხადებით, ვერ ახერხებს.

ის ც. პ-ბიც, რომელნიც საბოლოოდ იმუშავებენ ამ ცდაში წარმოდგენის საფუძველზე ფიქსირებულ განწყობას, აღნიშნავენ მაინც განსხვავებული სიმძიმის წარმოდგენის სიძნელეს.

ამას გარდა, თეატრის გარეშე მდგომი პირებიდან ამ თვალსაჩინო წარმოდგენის განცდა ცდის საგნების მეორე—მესამე აწევიდან მხოლოდ ერთმა მოახერხა, დანარჩენი ცდის პირები ამას აღწევენ მხოლოდ მრავალი ამაო ცდის შემდეგ (მე-10, მე-20 აწევი-

დან მხოლოდ) და ისიც ხშირად „ჰკარგავენ“ ძლივსძლივობით მიღებულ წარმოდგენას. ც. პ. ნ. ვ-ს (ფსიქოლოგიის პროფესორი) ჩვენება: «очень слабое—чуть-заметное впечатление тяжести, которое сейчасъ же улетучивается».

ზოგ ც. პ-ს, არა მსახიობთა კატეგორიიდან, იმდენად უჭირს ამ პირობებში წარმოიდგინოს განსხვავებული სიმძიმეების აწევა, რომ იძულებული ხდება მისთვის ნაცნობი საგნების აწევის წარმოდგენას მიმართოს—იმ საგნების, რომელთა სიმძიმე მას კარგად ახსოვს, მაგალითად წარმოიდგინოს ცალ ხელში მძიმე ჩემოდანი, მეორეში კი ცარიელი პორტფელი (ც. პ. ნ. ვ.).

საგულისხმოა, რომ თეატრალური ინსტიტუტის ნიჭიერი სტუდენტები და, განსაკუთრებით, დამსახურებული მსახიობები უკანასკნელი ცდის ამოცანას იოლად ასრულებენ. სტუდენტები კიდევ ხანდახან აღნიშნავენ სიძნელეს, ზოგჯერ დაძაბულობაც ეტყობათ, ზოგჯერ პირველი აწევიდან განსხვავებული სიმძიმის წარმოდგენას ვერ ახერხებენ, მაგრამ დამსახურებული მსახიობების დიდი ნაწილი ამას საოცარი სიადვილით—რაღაცა სიმსუბუქით, ყოველგვარი შესამჩნევი დაძაბულობის გარეშე აკეთებს და თვალსაჩინო წარმოდგენას აღწევს პირველივე აწევის ან მე-3, მე-4 აწევის შემდეგ.

საგულისხმოა, რომ ზოგიერთი ც. პ-სათვის უკანასკნელი ამოცანა უფრო ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე ძირითადი ცდების ამოცანა. ირკვევა, რომ სიადვილე გაპირობებულია იმით, რომ უკანასკნელ ცდაში ც. პ-ბს ევალებათ საგნების ნამდვილი, რეალური აწევა და თუმცა ამ საგნების სიმძიმე წარმოსახული სიმძიმეებისაგან არსებითად განსხვავდება, მაგრამ საგანთა აწევის რეალური მოძრაობა მეტად უადვილებს წარმოსახული სიმძიმეების აწევის „გათამაშებას“ და ამ გზით დავალებული ოპერაციის თვალსაჩინო წარმოდგენას.

ამ ცდებში, როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული (თავი II), თავი იჩინა შემდეგმა მოვლენამ: ზოგიერთი ც. პ. წინასწარ იმდენად განეწყობა ხოლმე სათანადო სიმძიმეების აწევის წარმოსასახავად რომ, როდესაც პირველად ასწევს რეალურ საგნებს, ნაცვლად იმისა, რომ წარმოისახოს იმ სიმძიმეების აწევა რაც მას ევალება, უკვე ღებულობს კონტრასტულ ილუზიას და ვერ ახერხებს დავალებული ოპერაციის შესრულებას. გარდასახვის უნარის მქონე პირებისათვის ეს მოვლენა არ არის დამახასიათებელი; სისტემატურად ოგი იჩენდა თავს მხოლოდ ორ ც. პ-თან ახალგაზრდა მსახიობების ჯგუფიდან: როდესაც ეს პირები დააპირებენ, მაგალითად,

ცხრილი 21

ტოლ სიმძიმეთა აწევის პროცესში განსხვავებულ სიძლიერეების წარმოდგენით შეჭნილი განწყობის საფუძველზე
აღმოცენებული ილუზია (%)

	ცდ. პირ. რაოდ.	ადეკვ. აღქმა	ილუ-ზია	კონ-ტრ. ილუ-ზია	ასიმ. ილუ-ზია	კონტრასტული ილუზია				ასიმილაციური ილუზია			
						სუსტი	საშ.	ძლიერი	დაუსრ.	სუსტი	საშ.	ძლიერ.	დაუსრ.
საშ. კვალიფიკ. მოსამსახ.	8	62.5	37,5	25	12,5	50	50	—	—	100	—	—	—
ფსიქოლოგ.-მეცნ. მუშ.	13	46	54	45,8	7,8	83,3	—	—	16,7	100	—	—	—
სულ თეატრ. გარეშე პირები	21	52,5	47,5	38	9,5	75	12,5	—	12,5	100	—	—	—
დამსახ. მსახიობები	10	0	100	80	20	37,5	—	25	37,5	50	50	—	—
ახალგაზრდა მსახიობები	7	14,3	85,7	42,8	42,8	67	33	—	—	33	67	—	—
თეატრ. ი-ს ნიჭიერ სტუდ.	10	0	100	80	20	25	25	37,5	12,5	50	50	—	—
სულ მსახ. და ნიჭიერი სტუდ.	27	3,7	96,3	70 4	25,9	36,8	15,7	26,3	21	43	57	—	—
თ. ი-ს საშ. ნიჭის სტუდენტები	7	28,6	71,4	28,5	42,8	100	—	—	—	33	33	33	—
სულ მსახიობები და თ. ი-ს სტუ-დენტები (შეუფერებელთა გარდა)	34	8,8	91,2	61,8	29,4	42,8	14,3	23,8	19	40	50	10	—
თეატრ. ი-ს შეუფერ. სტუდენტ.	4	75	25	25	—	100	—	—	—	—	—	—	—

მარჯვენა საგნის როგორც მძიმის აწევას, ხოლო მარცხენასი როგორც მსუბუქის, მოჰკიდებენ ხელს ტარებს და ასწევენ კიდევაც ამ საგნებს, საწინააღმდეგო შთაბეჭდილებას ღებულობენ— მარჯვენა მსუბუქად ეჩვენებათ და მარცხენა მძიმედ. როგორცა ჩანს, ეს არის კონტრასტული ილუზია, რომელიც იქმნება იმ ფიქსირებული განწყობის საფუძველზე, რაც ინსტრუქციის მიღების შედეგად შეიქმნა.

ამ (მე-5) ცდის შედეგები თავმოყრილია 21-ე ცხრილში.

1) ცდის პირველი უდავო შედეგი, როგორც ეს ზემოთაც (II თავში) გვქონდა აღნიშნული იმაში მდგომარეობს, რომ მასში დადასტურდა ფიქსირებული განწყობის გამოწვევა წარმოდგენით, რომელიც განსხვავდება ამავე მოდალობის აქტუალური აღქმის შინაარსისაგან, ამ გზით ფიქსირებული განწყობის შემუშავების შესაძლებლობა ფაქტია; ამის უნარი ადამიანს გააჩნია.

2) როგორია ამ უნარის გავრცელებულობა?

აღმოჩნდა, რომ ჩვეულებრივ ცდის პირებს შორის ეს უნარი ზუსტად იმდენადვეა გავრცელებული, როგორც უნარი ამავე მოდალობის (სიმძიმის) წარმოდგენით ფიქსირებული განწყობის გამოწვევისა, როდესაც ამ წარმოდგენას სხვა მოდალობის (ოპტიკურის) აღქმა ეწინააღმდეგება (ცხრილი 19). ამ უნარის გავრცელება თითქმის უდრის ჰაპტურ სფეროში წარმოდგენით ფიქსირებული განწყობის გამოწვევის გავრცელებას, როდესაც ამ წარმოდგენას არავითარი აღქმა არ ეწინააღმდეგება (ცხრილი 15).

რაც შეეხება სასცენო ნიჭით დაჯილდოებულ პირებს—მსახიობებსა და თეატრალური ინსტიტუტის ნიჭიერ სტუდენტებს—აღმოჩნდა, რომ აღქმისაგან განსხვავებული შინაარსის წარმოდგენით ფიქსირებული განწყობის გამოწვევა უფრო გავრცელებულიც ყოფილა მათ შორის, ვიდრე უბრალოდ წარმოდგენით ფიქსირებული განწყობის გამოწვევა იმავე მოდალობის აღქმის შინაარსის წინააღმდეგობის გარეშე: ყოველ შემთხვევაში, მეორე ცდაში ილუზიას იძლევა მსახიობებისა და თეატრალური ინსტიტუტის ნიჭიერი სტუდენტების 88.8% (ცხრილი 19), ხოლო მე-5 ცდაში კი იმავე კატეგორიების ც. პ-ბის 100% იმუშავებს ფიქსირებულ განწყობას. ნაშასადამე, ის 2 კომიკიც (მსახიობი A და სტუდენტი B) და სტუდენტი ქალი L, რომელნიც ამას ვერ ახერხებდნენ პირველ ცდებში, უკანასკნელ ცდაში ამას აღწევენ: ფიქსირებულ განწყობას წარმოდგენის საფუძველზე ქმნიან.

საფიქრებელია, რომ უკანასკნელ შემთხვევაშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა „თამაშის" ფაქტორს აქვს, ე. ი. საგანთა რეალური

აწევის პროცესს. რომელშიაც უკვე სხვა სენსორული შინაარსი, სხვა სიმძიმე იგულისხმება.

ახალგაზრდა მსახიობებიდან უკანასკნელ ცდაში მხოლოდ ერომა ვერ შეიმუშავა ფიქსირებული განწყობა. ეს არის მსახიობი ქალი M, რომელმაც ვერ დასძლია ზემოთ აღწერილი შარპანტიეს ილუზიის მაგვარი ილუზია.

საშუალო ნიჭის სტუდენტებიდან კრიტიკულ ცდაში ილუზია არ დადასტურდა იმავე ც. პ-ებთან, რომელთანაც ილუზია არც მეორე ძირითად ცდებში დადასტურდა.

ამრიგად, თუმცა უმრავლესობისათვის სიმძიმის არეში აქტუალური აღქმისაგან განსხვავებული სენსორული შინაარსის წარმოდგენის გამოწვევა უფრო ძნელია, ვიდრე იმავე წარმოდგენის გამოწვევა საწინააღმდეგო შინაარსის აღქმის გარეშე, მაგრამ არსებითი განსხვავება ამ ორ შემთხვევას შორის ფიქსირებული განწყობის შემუშავების გავრცელების მხრივ არ დასტურდება. ხოლო დამსახურებულ მსახიობებსა და ნიჭიერ სტუდენტთა შორის, პირიქითაც, აღქმის საწინააღმდეგო შინაარსის წარმოდგენით ფიქსირებული განწყობის გამოწვევა კიდევ მეტად (100%) არის გავრცელებული.

მაშასადამე, თუმცა ც. პ-ბის დიდი უმრავლესობისათვის აღქმის საწინააღმდეგო წარმოდგენის გამოწვევა ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე წარმოდგენის გამოწვევა აქტუალური აღქმის წინააღმდეგობის გარეშე, მაგრამ ის პირი, ვინც საზოგადოდ აღწევს წარმოდგენით ფიქსირებული განწყობის შემუშავებას, აღწევს ამას (თუმცა მეტი დაძაბულობით და უფრო გვიან, მაგრამ მაინც აღწევს) იმ შემთხვევაშიც, როდესაც განსხვავებულ სიმძიმეთა წარმოდგენას ტოლი სიმძიმის საგნების აქტუალური აღქმა ეწინააღმდეგება; ისე, რომ მთავარი სხვაობა წარმოდგენით ფიქსირებული განწყობის შემუშავების ორ ზემოთ განხილულ პირობას შორის, ე. ი. აქტუალური აღქმის წინააღმდეგობის პირობებში და ამ წინააღმდეგობის გარეშე, თავს იჩენს არა ამ უნარის გავრცელებაში, არამედ თვით ამ თვალსაჩინო წარმოდგენის გამოწვევის სიძნელეში—მეტ დაძაბულობაში, დაგვიანებულ გამოწვევაში და ა. შ.

3) მე-5 ცდის შედეგებში ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: ყველა წინა ცდიდან განსხვავებით, უკანასკნელი ექსპერიმენტის კრიტიკულ აღქმაში თავს იჩენს საკმაოდ დიდი რაოდენობით ასიმილაციური ილუზია. წინა ცდებში ასიმილაციურ ილუზიას, როგორც წესი, თითქმის არ ჰქონდა ადგილი. უკანასკნელ ცდაში კი ეს ილუზია თავს იჩენს, მეტი თუ ნაკლები რაოდენობით, ყველა კატე-

ცხრილი 22

განსხვავებული სიმძიმის საგანთა აწევის პროცესში სიმძიმის საწინააღმდეგო მიმართებათა წარმოდგენით შექმნილი განწყობის ილუზიები (%)

	ცდ. პირ. რაოდ.	ადეკვ. აღქმა	ილუ-ზია	კონ-ტრ. ილუ-ზია	ასიმ. ილუ-ზია	აქედან კონტრ. ილუზია				ასიმილაციური ილუზიიდან			
						სუსტი	საშ.	ძლიერი	დაუსრ.	სუსტი	საშ.	ძლიერი	დაუსრ.
საშ. კვალიფიკ. მოსამსახ.	8	100	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ფსიქოლოგ.-მეცნ. მუშ.	13	38,5	61,5	30,7	30,7	25	75	—	—	—	—	50	50
სულ თეატრ. გარეშე პირები	21	61,9	38,1	19	19	25	75	—	—	—	—	50	50
დამსახ. მსახიობები	10	0	100	60	40	16,7	16 7	16,7	50	25	25	—	50
ახალგაზრდა მსახიობები	7	14.3	85,7	28,5	57,2	—	—	50	50	25	—	25	50
თეატრ. ი-ს ნიჭ. სტუდენტები.	10	0	100	70	30	43	—	28,5	28,5	33	33	33	—
სულ მსახ. და ნიჭიერი სტუდ.	27	3,7	96.3	55,6	40.7	26,6	6,6	26,6	40	27,3	18,2	18,2	36,3
თეატრ. ი-ის საშ. ნიჭის. სტუდენ-ტები	7	28,5	71,5	14,3	57,2	31,2	6,2	25	37.5	25	25	25	25
სულ მსახიობები და თ. ი-ს სტუ-დენტები (შეუფერებელთა გარდა)	34	8,8	91,2	47,1	44.1	31,2	6,6	25	37,5	26,7	20	20	33,1
თეატრ. ი-ს შეუფერ. სტუდენტ.	4	75	25	—	25	—	—	—	—	100	—	—	—

გორიის ცდის პ-თან: თეატრის გარეშე მდგომ პირებთან დადასტურებული ილუზიის შემთხვევათა ერთ მეხუთედს ასიმილაციური ილუზია შეადგენს; ყველა მსახიობსა და ნიჟიერ სტუდენტთან ილუზიის ყველა შემთხვევის მეხუთედზე მეტს ასიმილაციური ილუზია შეადგენს. ილუზიის ეს სახე ახალგაზრდა მსახიობებთან ყველა ილუზიის შემთხვევათა ნახევარს შეადგენს, საშუალო ნიჟის სტუდენტებთან კი — სამ მეხუთედს (კონტრასტული — 28,5%, ასიმილაციური კი — 42,8%).

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ასიმილაციური ილუზია კიდევ მეტ გავრცელებულობას შემდეგ ცდაში აღწევს. ამიტომ აქ დავკმაყოფილდებით ასიმილაციური ილუზიის ფაქტის კონსტატაციით, ხოლო შემდეგი ცდის შედეგების განხილვისას ამ საკითხს დაუბრუნდებით.

B. სიმძიმეების აღქმისას საწინააღმდეგო სიმძიმეების წარმოსახვით შექმნილი ფიქსირებული განწყობა. ეს ცდა დეტალურად გქონდა აღწერილი II თავში. მისი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ აღსაქმელად მოცემული ორი განსხვავებული სიმძიმის საგნიდან, რომელსაც ც. პ. ერთდროულად სწევს, ნამდვილად მძიმე საგანი ც. პ-მა მსუბუქად უნდა განიცადოს, ხოლო ნამდვილად მსუბუქი— მძიმედ და, მაშასადამე, აქტუალური აღქმის საწინააღმდეგო მდგომარეობა უნდა წარმოისახოს და განიცადოს. ზონარებით ასაწევი სიმძიმეები თვალსაჩინოდ განსხვავდებიან; ერთი იწონის 186 გრამს, მეორე კი 132-ს, ე. ი. მძიმის წონა 41%-ით აღემატება მსუბუქის წონას. კრიტიკულ ცდაში ც. პ-ს ეძლევა ტოლი სიმძიმის საგნები.

როგორია ამ ცდის შედარებითი მონაცემები სასცენო გარდასახვის უნარის მქონე და თეატრის გარეშე მდგომ პირებთან?

როგორც ზემოთ დავინახეთ (იხ. თავი II) თეატრის გარეშე პირების უმრავლესობამ დავალებული ამოცანის შესრულება ვერ შესძლო: უმრავლესობამ აღქმის საწინააღმდეგო სიმძიმეების აწევის ნათელი წარმოდგენა ვერ შესძლო. ვინც ეს მოახერხა, მიაღწია ამას ძალების უკიდურესი დაძაბვით.

სულ სხვა სურათს იძლევიან გარდასახვის უნარის მქონე ცდის პირები:

ჯერ ერთი აღსანიშნავია, რომ ის, თეატრის გარეშე მდგომი პირები, რომელნიც საბოლოოდ ახერხებენ მითითებულ სიმძიმეთა წარმოდგენას, აღწევენ ამას მხოლოდ მრავალჯერი აწევის შემდეგ: ცდის საგნების 15—26 აწევა ჩვეულებრივი მოვლენაა!

მიუხედავად იმისა, რომ თეატრალური ინსტიტუტის ნიჟიერი სტუდენტებისა და განსაკუთრებით კი დამსახურებული მსახიობები-

სათვის ამ ცდის აძოცანა გაცილებით უფრო ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე თეატრის გარეშე მდგომი პირებისათვის, ცდის პირების ეს კატეგორიაც, ე. ი. თეატრალური ინსტიტუტის ნიჭიერი სტუდენტებიც და დამსახურებული მსახიობების უმრავლესობაც, მაინც აღნიშნავს მის სიძნელეს.

მსახიობი ერმ., რომელიც საზოგადოდ, ყველა ჩვენს ცდაში ადვილად იწვევს წარმოდგენით ფიქსირებულ განწყობას და უკანასკნელ ცდაშიც სიმძიმეების თვალსაჩინო წარმოდგენას ბურთების უკვე მესამე აწევიდან ახერხებს, აცხადებს «это уже серьезное дело», ჩვენ შეკითხვაზე საპასუხოდ ამბობს: «да, это значительно труднее», თუმცა გარეგნულად მას, როგორც მსახიობების უმრავლესობას, დაძაბულობა არ ეტყობა.

საინტერესოა, რომ ეს მსახიობი ბურთების მე-7 აწევის შემდეგ მონახავს ხერხს, რომელიც უადვილებს წარმოდგენას (თუმცა პირველად ამ წარმოდგენას მესამე აწევაზე აღწევს, მაგრამ ამ ხერხს მეშვიდე აწევიდან მიაგნებს). სახელდობრ, იმ ხელის თითებს, რომელშიაც ნაგულისხმევია მძიმე ცილინდრი, უფრო მაგრა უჭერს ბაწარს; ეს მოძრაობა აადვილებს ამ ხელში მძიმე საგნის თვალსაჩინო წარმოდგენას. საგულისხმოა, რომ თვითონ მსახიობი, რომელიც კარგად იცნობს სტანისლავსკის სისტემას (იგი მეორე „მხატის“ ყოფილი მსახიობია), ამ თავის ხერხს «приспособление»-ს უწოდებს: ამ ტერმინით, როგორც ცნობილია, სტანისლავსკის სისტემა აღნიშნავს იმ საშუალებებს, რომელნიც უწყობენ ხელს. ასე თქვათ, როლში შესვლას — სწორი „შინაგანი მდგომარეობის“ შექმნას.

ამოცანის სიძნელეზე ის გარემოებაც მიუთითებს, რომ ყველა ც. პ-ს, მათ შორის ზოგ დამსახურებულ მსახიობსაც, უკვე მიღწეული წარმოდგენა დროებით „ეკარგებათ“, „უსხლტებათ“ ან, როგორც ზოგი მათგანი აღნიშნავს, ც. პ. „გამოითიშება“ მიღწეული მდგომარეობიდან: ც. პ. აღ. მესხ. «Опять выключилась... снова включилась». ც. პ. ვიაზ. «поймал было, да опять ускользнуло.. есть! опять чувствую тяжесть», ც. პ. ი. ლ. „დამეკარგა“, „ისევ, ეელარ ვგრძნობ სიმძიმეს“.

უნდა ითქვას, რომ თეატრალური ინსტიტუტის ნიჭიერი სტუდენტი და 3 დამსახურებული მსახიობი აღნიშნავენ ამ უკანასკნელი ცდის მეტ სიადვილეს იმ ცდასთან შედარებით, სადაც სიმძიმეების წარმოდგენა რეალურ საგანთა აწევის გარეშე ხდებოდა. ხუთივე ეს ც. პ. კრიტიკულ ცდაში იძლევა უფრო მტკიცე ილუზიას, ვიდრე მეორე ცდაში.

მიუხედავად იმისა, რომ მსახიობების უმრავლესობაც (ყველა—სამის გარდა) აღნიშნავს უკანასკნელი ცდის სიძნელეს, სწორედ ამ ცდაში განსხვავება ჩვენი ც. პ-ბის ორ ჯგუფს შორის, სიმღერმეების წარმოდგენის სიძნელის მხრივ, განსაკუთრებით თვალსაჩინოა. თუ თეატრის გარეშე ც. პ-ბი მეტად დიდი შინაგანი დაძაბულით, მეტად ძნელად და გვიან ახერხებენ მითითებული სიმძიმის განცდას, თეატრალური ინსტიტუტის ნიჭიერი სტუდენტები ამას გაცილებით უფრო ადვილად და უფრო მალე (მე-4, მე-7 აწევაზე) ახერხებენ, ხოლო დამსახურებული მსახიობების დიდი უმრავლესობა (7/10) ამას აღწევს სრულიად იოლად, გარეგნულად მაინც შეუმჩნეველი დაძაბულობით. კუნთების ძლიერ დაჭიმვას მხოლოდ ორი მსახიობი მიმართავდა, დაღლასაც მსახიობები არ უჩივიან; როგორც წესი, 3—5 აწევიდან ყველა აღნიშნავს უკვე, რომ თვალსაჩინოდ განიცდის წარმოდგენილ სიმძიმეებს. თუმცა ზოგჯერ შემდეგ ეს წარმოდგენა ეპარებათ, მაგრამ მალე ისევ „ჩაერთვიან“ და თვალსაჩინოდ განიცდიან საჭირო სიმძიმეს.

ერთი სიტყვით, არც ერთ ზემოგანხილულ ცდაში ასეთ დიდ განსხვავებას, წარმოდგენის გამოწვევის სიადვილის მხრივ, თეატრის გარეშე მდგომ პირთა და სასცენო ნიჭით დაჯილდოებულ პირთა შორის ადგილი არ ჰქონდა.

საგულისხმოა, რომ ერთ-ერთი მსახიობი ც. პ. ვ. გ., სპონტანურად ატარებს თავისი განცდის ანალოგიას სასცენო მდგომარეობასთან: «на сцене так бывает». დამატებით კითხვაზე გვიხსნის, რომ ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი სცენაზე, მაგალითად ცარიელი ვედრის ან მუყაოს „ქვის“ აწევის დროს.

5. უნდა აღინიშნოს, რომ წინა ცდის შედეგებში აღწერილი შარპანტიეს ილუზიის ანალოგიური მოვლენა უკანასკნელ ცდაშიც ძალიან ხშირად იჩენს თავს თეატრის გარეშე მდგომ ც. პ-ბთან და ორ შემთხვევაში ახალგაზრდა მსახიობებთან. ახალგაზრდა მსახიობ M-თვის, რომელიც კრიტიკულ ცდაში ილუზიას არ იძლევა, ეს მოვლენა ჩვეულებრივია: დააპირებს თუ არა ც. პ. ცდის ობიექტების აწევას იმ განზრახვით, რომ, მაგალითად, მარჯვნივ მძიმე განიცადოს და მარცხნივ—მსუბუქი, მოჰკიდებს თუ არა რეალურად ხელს ამ საგნების ზონარებს,—გაკვირვებული რჩება: მარჯვენა (ობიექტურად მსუბუქი) მას გაცილებით უფრო მსუბუქად ეჩვენება, ვიდრე ეჩვენებოდა წინასწარ ცდებში, როდესაც იგი ამ საგნების სიმძიმეს ადარებდა.

სხვაობა თეატრის გარეშე მდგომ პირთა და სასცენო ნიჭით დაჯილდოებულ პირთა შორის ამ ცდაში კიდევ მეტია, ვიდრე წინა ცდაში, სახელდობრ, თეატრის გარეშე მდგომი პირების მხოლოდ 38,1% იძლევა ილუზიას კრიტიკულ ცდაში (აქედან—კონტრასტულ ილუზიას მხოლოდ 19% იძლევა), დამსახურებული მსახიობების და ნიჭიერი სტუდენტების—100%, ხოლო ყველა მსახიობისა და ნიჭიერი სტუდენტის ერთად—96,3%. სულ კი მსახიობებისა და თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტების (შეუფერებელთა გარდა)—91,2%.

ეს, წინა ცდასთან შედარებით, მეტი სხვაობა უმთავრესად შემდეგი კომპონენტის ხარჯზეა მიღწეული: საშუალო კვალიფიციური მოსამსახურეებიდან ვერც ერთმა ამ ცდაში წარმოდგენით ფიქსირებული განწყობა ვერ გამოიწვია, ხოლო მსახიობებიდან და თეატრალური ინსტიტუტის ნიჭიერი სტუდენტებიდან ყველა იმ პირმა, ვინც წინა ცდაში შეიმუშავა წარმოდგენით ფიქსირებული განწყობა, ამ უკანასკნელ ცდაშიც მიაღწია ამას.

სასცენო ნიჭით დაჯილდოებულ პირთა შორის ფიქსირებული განწყობის შემუშავების გავრცელებულობა ამ ცდაში ზუსტად იმავე მაღალ დონეზე დგას, როგორც წინა ცდაში (ტოლი სიმძიმეების აქტუალური აღქმის პირობებში), სახელდობრ, პერსონალურად ყველა იმ მსახიობმა და ნიჭიერმა სტუდენტმა, ვინც შეიმუშავა ფიქსირებული განწყობა წინა ცდაში, მიაღწია ამას უკანასკნელ ცდაშიც: ეს არის ასი პროცენტით ყველა დამსახურებული მსახიობი და თეატრალური ინსტიტუტის ნიჭიერი სტუდენტი და, მაშასადამე, მათ შორის ის მსახიობი A და სტუდენტი B, რომელნიც ჩვეულებრივ წარმოდგენით ფიქსირებულ განწყობას ვერ იწვევენ.

ახალგაზრდა მსახიობების 85,7% და საშუალო ნიჭის სტუდენტების 71,5% აღწევს ამას. წინა ცდასთან შედარებით განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ასიმილაციური ილუზიის პროცენტი უკანასკნელ ცდაში მეტია (იხ. ქვემოთ).

თეატრალური ინსტიტუტის შეუფერებელი სტუდენტებიდან მხოლოდ ერთმა შეიმუშავა ამ ცდაში ფიქსირებული განწყობა, რამაც ასიმილაციური ილუზიის სახით იჩინა თავი.

აღსანიშნავია დიდი სხვაობა თეატრის გარეშე მდგომ პირთა და სასცენო ნიჭით დაჯილდოებულ პირთა შორის კონტრასტული განწყობის სიმტკიცის მხრივ; სახელდობრ, პირველი კატეგორიის ც. პ-ბის კონტრასტული ილუზია მხოლოდ საშუალო და სუსტი სიმტკი-

ცისაა, მეორე კატეგორიის ც. პ-ბის კონტრასტული ილუზიის შემთხვევათა მეტი წილი (66,7%) დაუბოლოებელი ილუზიის ან დიდი სიმტკიცის ფორმაში ვლინდება.

C. განსხვავებული მოცულობის წარმოდგენით განწყობის შემუშავება ტოლი მოცულობის ჰაპტურიაღქმის პროცესში. წინა ცდაში სიმძიმის წარმოდგენის შექმნას ხელს უწყობდა „თამაშის“ შესაძლებლობა, ე. ი. სათანადო ხელის კუნთების დაჭიმვით სათანადო სენსოროული შთაბეჭდილების შექმნა, რაც სრულ პარალელს წარმოადგენს სტანისლავსკის სისტემის იმ ხერხთან, რასაც სტანისლავსკი „ფიზიკურ მოქმედებას“ უწოდებდა. მაგრამ ჩვენ ხომ ჩატარებული გვაქვს ცდები ჰაპტურ სფეროშიც (იხ. თავი მე-2), სადაც ცდის პირს ეევალება რეალური ტოლი ბურთებისათვის ხელის მოკიდება და თან განსხვავებული სიდიდის ბურთებისათვის ხელის მოკიდების წარმოდგენა. ცდის პირებს ეკრძალებათ თითების გაშლა უფრო ფართოდ, ვიდრე ამას მოითხოვს ბურთის მჭიდროდ დაჭერა და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ცდის პირი ამ პირობებში ვერ წარმოიდგენს განსხვავებული სიდიდის ბურთებისათვის ხელის მოკიდებას, მაშინ ეძლევა მას უფლება ცალი ხელის თითების ოდნავი გაშლისა პატარა ხნით.

რა სხვაობა იჩენს თავს ამ ცდაში გარდასახვის უნარის მქონე და თეატრის გარეშე მდგომ პირთა შორის?

როგორც ზემოთ ითქვა, ექსპერიმენტი იმაში მდგომარეობს, რომ საგანწყობო ცდაში ცდის პირი ორივე ხელით ერთდროულად ჰაპტურად აღიქვამს ტოლი მოცულობის ბურთებს, მაგრამ იმავე დროს ცდილობს განიცადოს ეს ბურთები, როგორც დიდად განსხვავებული მოცულობის ბურთები—თითქოს ერთი ძალიან დიდია, მეორე კი სულ პატარა, ამ განცდის 15-ჯერ განმეორების შემდეგ ვაყენებთ კრიტიკულ ცდას: თვალდახუჭულ ცდის პირს ხელებში ეძლევა შესადარებლად ტოლი ბურთები.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული ზემოთ ამ ცდის ზოგადფსიქოლოგიური განხილვისას (თავი II), ამ დავალების შესრულება ყველა ცდის პირთათვის ყველა წინა ცდის დავალებაზე უფრო ძნელი აღმოჩნდა.

საგულისხმოა, რომ თვით დამსახურებული მსახიობებიც აღნიშნავენ ხოლმე ამ ცდის სიძნელეს: ც. პ. ერმილოვი—«ну это злое-во утомительная штука —ამ მსახიობს როგორც კიდევ რამდენიმე

სხვას სახეზედაც შეეტყო ძლიერი დაძაბულობა და ინტენსიური კონ-ცენტრაცია. უნდა ითქვას, რომ ორი დამსახურებული მსახიობი (ვიაზემსკი და ვ. ანჯაფარიძე) და თეატრალური ინსტიტუტის ერთი ნიჭიერი სტუდენტი (ქარ.) ამ ცდის დავალებასაც იოლ დავალებად თვლიან და მართლაც ცდის დროს მათ არავითარი დაძაბულობა არ ეტყობოდათ, თუმცა კრიტიკულ ცდაში ეს პირები ილუზიას ებძლევიან. ც. პ. ვიაზემსკი—«легко, совсем легко—тот разбухает, а этот махонький становится». ც. პ. ვ. ანჯაფარიძე— «стоит только спустить нервы и все!».

თეატრის გარეშე მდგომ პირებისათვის ამ ცდის დავალება მეტად ძნელი შესასრულებელი აღმოჩნდა. ხელში დაჭერილი ტოლი ბურთების აქტუალური ჰაპტური აღქმა მეტისმეტად უშლის ხელს ამ ბურთების დიდად და პატარად განცდას. ვინც ამას აღწევს, აღწევს მხოლოდ მეტად დიდი შინაგანი დაძაბულობის შედეგად და ძალიან გვიან (იხ. მეორე თავი).

ის დიდი სხვაობა წარმოდგენის გამოწვევის სიძნელეში, სასცენო ნიჭით დაჯილდოებულსა და თეატრის გარეშე პირებს შორის, რომელსაც ჩვენ წინა ცდის შედეგების განხილვისას აღვნიშნავდით, კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ჩანდა ამ უკანასკნელი ცდის მიმდინარეობის დროს.

მსახიობები და ნიჭიერი სტუდენტები ამ ცდაშიც ინსტრუქციით ნაგულისხმევი მოცულობის თვალსაჩინო განცდას ძალიან მალე (4—6 ცდით) აღწევდნენ, ხოლო თეატრის გარეშე მდგომ პირებს ხშირად რამდენიმე ათეული ასეთი ცდა სჭირდებოდათ.

სრულიად გარკვეულად შეიძლება ითქვას, რომ განსხვავება წინა ცდის და უკანასკნელი ცდის ამოცანათა სიძნელეს შორის შედარებით მეტი აღმოჩნდა თეატრის გარეშე მდგომ პირებისათვის, ვიდრე მსახიობებისა და თეატრალური ინსტიტუტის ნიჭიერ სტუდენტთათვის.

ამ უკანასკნელი კატეგორიის ცდის პირების დიდი უმრავლესობისათვისაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკანასკნელი ცდის ამოცანა უფრო ძნელი აღმოჩნდა, მაგრამ არა იმდენად, რომ ვინმეს მისი შესრულება შეუძლებლად მიაჩნდეს. თეატრის გარეშე მდგომ პირებისათვის კი უკანასკნელი ცდის ამოცანა შეუდარებლად უფრო ძნელი აღმოჩნდა (თუ არ ჩავთვლით ორ ცდის პირს) და უმრავლესობას წარმოდგენის პირველივე ამოცდების შემდეგ ამ ამოცანის შესრულება სრულიად შეუძლებლად მიაჩნდათ. აღსანიშნავია, რომ იმათგანს ვინც საბოლოოდ მიაღწია დავალების შესრულებას და ილუზიაც

ცხრილი 23

ტოლი მოცულობის ბურთების ჰაპტური აღქმის პროცესში განსხვავებული მოცულობის წარმოდგენით გამოწვეული განწყობის ილუზიები (%)

	ცდ. პირ. რაოდ.	ადეკვ. აღქმა	ილუ-ზია	კონ-ტრ. ილუ-ზია	ასიმ. ილუ-ზია	კონტრასტული ილუზია				ასიმილაციური ილუზია			
						სუსტი	საშ.	ძლიერი	დაუსრ.	სუსტი	საშ.	ძლიერი	დაუსრ.
საშ. კვალიფ. მოსამსახ.	8	100	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ფსიქოლოგ.-მეცნ. მუშ.	13	61,5	38,5	30,7	7,7	25	50	—	25	—	—	100	—
სულ თ-რის გარეშე პირები	21	76,2	23,8	19,1	4,7	25	50	—	25	—	—	100	—
დამსახ. მსახიობები	10	20	80	80	—	12,5	50	37,5	—	—	—	—	—
ახალგაზრ. მსახიობები	7	28,6	71,4	57,2	14,3	25	25	50	—	100	—	—	—
თეატრ. ი-ის ნიჭიერი სტუდ.	10	20	80	60	20	50	16,7	16,7	16.7	—	50	50	—
სულ მსახ. და ნიჭ. სტუდ.	27	22.2	77,8	66,7	11,1	27,8	33,3	33.3	5.6	33,3	33,3	33,3	—
თეატრ. ი-ს საშ. ნიჭ. სტუდ.	6	33	67	50	16,7	67	33	—	—	100	—	—	—
სულ მსახ. და თ. ი-ს სტუდ. (შეუფერებელთა გარდა)	33	24,2	75,8	63,6	12,1	33.3	33.3	28,6	4,7	50	25	25	—
თეატრ.ი-ს შეუფერებელი სტუდ.	4	100	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—

ზოგვცა, ნაწილმა მიაღწია ამას მხოლოდ გამეორებით—მეორე, მესამე დღეს დაყენებული ექსპერიმენტის შედეგად.

ამ ცდის შედეგები თავმოყრილია 23-ე ცხრილში.

ამ შედეგებიდან ძირითადია შემდეგი:

1) ჰაპტურ სფეროშიც დადასტურდა აქტუალური აღქმის საწინააღმდეგო შინაარსის წარმოდგენით ფიქსირებული განწყობის შენუშავების ფაქტი.

2) ჰაპტურ სფეროში აღქმისაგან განსხვავებული წარმოდგენით ფიქსირებული განწყობის გამოწვევის უნარი ნაკლებ გავრცელებული ყოფილა, ვიდრე სიმძიმის არეში. განსაკუთრებით მცირეა მისი გავრცელებულობა თეატრის გარეშე მდგომ პირთა შორის—23,8%. უფრო კონკრეტულად მდგომარეობა ასეთია: საშუალო კვალიფიკაციის მოსამსახურეებიდან ამ გზით ფიქსირებულ განწყობას ვერ იმუშავებს ვერც ერთი, ფსიქოლოგებიდან იმუშავებს 38,4%, სიმძიმის არეში კი წინა ცდაში ფიქსირებულ განწყობას ფსიქოლოგების 61,5% იმუშავებდა.

თეატრალური ინსტიტუტის შეუფერებელი სტუდენტებიდან უკანასკნელ ცდაში ვერც ერთი ფიქსირებულ განწყობას ვერ იმუშავებს.

რაც შეეხება დამსახურებულ მსახიობებს და თეატრალური ინსტიტუტის ნიჭიერ სტუდენტებს, ამათაგან ჰაპტურ სფეროში აღქმის საწინააღმდეგო ფიქსირებულ განწყობას იმუშავებს 80% და არა 100%, როგორც წინა ორ ცდაში, კერძოდ, ფიქსირებულ განწყობას ვერ იმუშავებს ორივე კომიკი (მსახიობი A და სტუდენტი B) და სტუდენტი L, რომელნიც პირველ ცდებშიაც წარმოდგენით ფიქსირებულ განწყობას ვერ იწვევდნენ და დამსახურებული მსახიობი ვიაზ., რომელიც პირველ ცდებში სუსტ ილუზიას იძლეოდა. ახალგაზრდა მსახიობებისა და საშუალო ნიჭის სტუდენტების ცოტათი ნაკლები პროცენტი იმუშავებს ფიქსირებულ განწყობას უკანასკნელ ცდაში, ვიდრე წინა ორ ცდაში: ახალგაზრდა მსახიობების—71,5%, ხოლო წინა ცდებში—85,7%, საშუალო ნიჭის სტუდენტების—67% და წინა ცდებში კი—71,5%.

3) როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული ზემოთ (თავი მეორე), ამ ცდაში წარმოსახვით შექმნილი ფიქსირებული განწყობის სიმტკიცე მნიშვნელოვნად კლებულობს. სახელდობრ, ამ უკანასკნელ ცდაში ძლიერი სიმტკიცის ილუზია იშვიათია. ხოლო დაუბოლოებელ ილუზიას მხოლოდ ერთი ცდის პირი იძლევა თეატრის გარეშე მდგომ პირთა შორის და ერთი ცდის პირი თეატრთან და-

კავშირებულთა შორის. თეატრის გარეშე მდგომ პირებიდან ძლიერ ილუზიას არც ერთი არ იძლევა, დამსახურებულ მსახიობებთან ძლიერი ილუზია ყველა კონტრასტულ ილუზიათა შემთხვევების მესამედს შეადგენს, ნიჭიერ სტუდენტებთან—1/6-ს და მხოლოდ ახალგაზრდა მსახიობებთან—ნახევარს. წინა ცდაში კი (№ 6) ახალგაზრდა მსახიობებთან კონტრასტული ილუზია 100%-ით ძლიერსა და დაუბოლოებელ ფორმაში გამოვლინდა. დამსახურებულ მსახიობებთან ასეთი იყო კონტრასტულ ილუზიათა 66,7%, ნიჭიერ სტუდენტებთან კი 57%.

4) გარდასახვის უნარის მქონე და თეატრის გარეშე მდგომ პირთა შორის სხვაობამ თავი იჩინა ამ ცდის შემდეგ თავისებურებაშიც: ამ ცდისათვის ხომ დამახასიათებელია ასიმილაციური ილუზიების დიდი პროცენტი (იხ. თავი II). ამ მხრივაც გარდასახვის უნარის მქონე პირები განსხვავებულ შედეგს იძლევიან. სახელდობრ, თეატრის გარეშე მდგომ პირებთან ასიმილაციური ილუზია ამ ცდაში სულ 4,7%-ით იჩენდა თავს (კონტრასტული 19,1%), ყველა მსახიობთან და თეატრალური ინსტიტუტის ყველა სტუდენტთან კი ასიმილაციური ილუზია მხოლოდ 12,1%-ის შემთხვევაში გამოვლინდა, კონტრასტული კი—63,6%.

6. წარმოდგენით შექმნილი ფიქსირებული განწყობის აღქმაზე ზემოქმედების სიძლიერე

განსხვავდებიან თუ არა სასცენო გარდასახვის უნარის მქონე პირები თეატრის გარეშე მდგომ პირებისაგან წარმოდგენით შექმნილი განწყობის მოქმედების სიძლიერის მხრივაც?

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ზემოთ (მე-2 თავში) აღწერილი სპეციალური ექსპერიმენტის მონაცემები. ამ ექსპერიმენტით ირკვევა ცდის პირების რამდენ პროცენტთან წარმოდგენით სტიმულირებულმა ფიქსირებულმა განწყობამ იმდენად იმოქმედა სიმძიმეების აწევაზე, რომ დაფარა კრიტიკულ ობიექტთა შორის სხვაობა, რომელიც მსუბუქი ობიექტის წონის 41%-ს უდრის.

შედეგები მოყვანილია 24-ე ცხრილში.

ცხრილის მეორე რუბრიკაში შედის ის შემთხვევები, როდესაც ე. პ. კრიტიკულ ცდაში პირველივე აღქმისას კრიტიკულ საგნებს ადეკვატურად აღიქვამს, ე. ი. აღიქვამს, რომ ობიექტურად უფრო მძიმე ცილინდრი უფრო მძიმეა, ვიდრე მეორე. ცხადია, რომ ამ ცდაში ტექნიკურად შეუძლებელია ფიქსირებული განწყობის ასი-

ᲘᲚᲐᲪᲘᲣᲠᲘ მოქმედების აღრიცხვა. ამიტომ, თუ ასეთ ასიმილაციურ გამოვლინებას ადგილი აქვს, ეს შემთხვევები ადეკვატური აღქმის შემთხვევებს მიეწერება, თუმცა უნდა ითქვას, რომ ზემოთ განხილული ცდების შედეგების საფუძველზე ასიმილაციური ილუზია, ამ ცდაში, მნიშვნელოვანი რაოდენობით მაინც, არ არის მოსალოდნელი.

ცხრილი 24

41%-ით განსხვავებული სიმძიმის ობიექტთა აღქმის ილუზია წარმოდგენით გამოწვეული ფიქსირ. განწყობის საფუძველზე (%)

	ცდის პირ. რ-ბ	ადეკვ. აღქმა	ილუზია	ტოლადაღქმა	კონტრ. ილუზია	აქედან: სუსტი კ.	საშ. კ.	ძლიერი კ.	ფსევდ.
საშ. კვალიფ. მოსამსახ.	8	100	0	—	—	—	—	—	—
ფსიქოლოგ.-მეცნ. მუშ.	13	84,5	15,5	7,8	7.8	—	—	100	—
სულ თეატ. გარეშე პირ.	21	90,5	9,5	4,8	4,8	—	—	100	—
დამსახ. მსახიობები	10	20	80	10	70	43,4	57	—	—
ახალგაზრდა მსახიობები	7	42.7	57,3	14,3	42,9	67	—	—	33
თეატრ. ი-ს ნიჭიერი სტ.	10	20	80	20	60	33	33	33	—
სულ მსახ. და ნიჭ. სტ.	27	26	74	14,8	59,3	43.7	6,3	37,5	12,5
თეატრ. ი-ს საშ. ნიჭის სტ.	6	33	67	16,6	50	—	—	—	—
სულ თეატრ. ი-ს სტ. (შეუფერებელთა გარდა) და მსახიობები	33	27,3	72,7	15,1	57,6	47,3	31,5	15,7	5,3
თეატრ. ი-ს შეუფერ. სტუდ.	4	100	—	—	—	—	—	—	—

ცხრილის მესამე რუბრიკაში („ილუზია") შედის კრიტიკულ ობიექტთა ილუზიური აღქმის ორივე სახე: როგორც ტოლად აღქმისა, ისე კონტრასტულად აღქმის შემთხვევები. უკანასკნელში ვგულისხმობთ სიმძიმის ობიექტური მიმართების შებრუნებას, როდესაც უფრო მძიმე ცილინდრი უფრო მსუბუქად აღიქმება. კრიტიკული ობიექტების ტოლადაც აღქმა, ცხადია, არსებითად კონტრასტულ ილუზიას წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ, როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, საგანწყობო ცდების გარეშე კრიტიკული ობიექტების სიმძიმის განსხვავებას ც. პ-ბი სრულიად თვალსაჩინოდ განიცდიან. მაგრამ ტოლად აღქმა, ცხადია, ფიქსირებული განწყობის უფრო სუსტი გამოვლენის შედეგს წარმოადგენს, ამიტომ შემდეგ რუბრიკებში კონტრასტულად აღქმის და ტოლად აღქმის ილუზიები გამოყოფილია ცალ-ცალკე.

როგორც ცხრილიდან ჩანს, წარმოდგენით შექმნილი ფიქსირებული განწყობის მოქმედების სიძლიერე სასცენო გარდასახვის უნარის მქონე პირების განსაკუთრებით დამახასიათებელი თვისება ყოფილა; არც ერთმა სხვა ექსპერიმენტმა არ გამოავლინა ისეთი დიდი სხვაობა სასცენო გარდასახვის უნარის მქონე პირებსა და თეატრის გარეშე პირებს შორის!

მართლაც, თეატრის გარეშე მდგომ პირთა შორის, ფსიქოლოგების გარდა, არც ერთმა პირმა არ მოგვცა ამ ცდაში განწყობისეული ილუზია, ხოლო ფსიქოლოგებიდან მხოლოდ 15,5%-მა მოგვცა ასეთი ილუზია, მაშინ როდესაც დამსახურებული მსახიობებიდან და თეატრალური ინსტიტუტის ნიჭიერი სტუდენტებიდან ამ ცდაში განწყობისეული ილუზია 80% შემთხვევაში გამოვლინდა!

აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელ პირთა უმრავლესობამ მოგვცა იმდენად კონტრასტული ილუზია, რომ ამ ილუზიამ არა მხოლოდ დაფარა კრიტიკულ ობიექტთა სიმძიმის 41%-იანი სხვაობა, არამედ საწინააღმდეგო მიმართების ილუზიაც კი მოგვცა: 41%-ით უფრო მძიმე საგანი კრიტიკულ ცდაში უფრო მსუბუქად აღიქმებოდა. ასეთი ძლიერი ილუზია დადასტურდა დამსახურებულ მსახიობთა 70%-თან და თეატრალური ინსტიტუტის ნიჭიერ სტუდენტთა 60%-თან.

სულ კი განწყობისეული ილუზია თეატრის გარეშე მდგომ პირებთან (ფსიქოლოგების ჩათვლით) დადასტურდა 9,5%-თან, ხოლო ყველა მსახიობთან და თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტთან 72,7%-თან.

* * *

1. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა გარდასახვის უნარის მქონე მსახიობებს და თეატრალური ინსტიტუტის ნიჭიერ სტუდენტებს შეუდარებლად ნაკლები დაძაბულობა სჭირდებათ წარმოსახვით განწყობის შემუშავებისათვის, მაგრამ მათთანაც წარმოსახულის მიმართ სპეციფიკური პოზიციის დაჭერის აქტი— წარმოსახვით განწყობის შემუშავების აქტი, გამოკვეთილად ვოლუტატურ ხასიათს ატარებს.

ცდის ხელმძღვანელის მიერ დავალებული შინაარსის ისეთი წარმოდგენა, რომელიც სათანადო განწყობას იწვევს ცდის პირში მით უფრო მეტი დაძაბულობით ხორციელდება, რაც უფრო განსხვავდება წარმოსახულის შინაარსი ამავე მომენტში მოცემული

აქტუალური აღქმის შინაარსისაგან. კერძოდ, ჩვენს ცდებში ეს შინაგანი დაძაბვა მაშინ აღწევს მაქსიმუმს, როდესაც საგანწყობო წარმოდგენა იმავე მოდალობის აქტუალური აღქმის შინაარსს ეწინააღმდეგება, განსაკუთრებით კი როდესაც ეს მოცულობის ჰაპტური განცდის სფეროში ხდება.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში აქტუალური აღქმის შინაარსის საწინააღმდეგო შინაარსის წარმოდგენის გამოწვევა და მისი სათანადო სახით განცდის აქტი—ფენომენოლოგიურად მაინც, გამოკვეთილი დაძაბულ ნებისყოფის აქტის ხასიათს ატარებს; არა მსახიობებთან ეს აქტი ხშირად სერიოზულ დაღლასაც კი იწვევს.

მსახიობების უმრავლესობაც აღნიშნავს ამ უკანასკნელ ცდებში ამოცანის „სერიოზულობას", „სიძნელეს", „დაძაბვის სჭირობას" და ა. შ. მაგრამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, სწორედ ამ ტიპის ცდებში განსაკუთრებით დიდი აღმოჩნდა სხვაობა არამსახიობებსა და მსახიობებს შორის დავალების შესრულების სიადვილის მხრივ: მსახიობები გავარჯიშებულნი არიან ასეთ მოქმედებაში თავისი პროფესიონალური მუშაობის პროცესში. თეატრის გარეშე მდგომ პირებთან შედარებით მსახიობები ამ ცდების ამოცანებს უფრო ადვილად, თითქოს თამაშით, ასრულებენ. თუმცა, ვიმეორებთ, მსახიობების დიდი ნაწილი მაინც აღნიშნავს ამ უკანასკნელი სახის ცდების სიძნელეს წინა ცდებთან შედარებით.

როგორც ირკვევა პასიურ მდგომარეობაში ყოფნა წარმოდგენის განცდის დროს შეუძლებელს ხდის სათანადო განწყობის შემუშავებას.

2. უნდა ითქვას, რომ წინამდებარე თავში განხილულ ცდებშიც დადასტურდა, რომ სიძნელე არა თვით წარმოდგენის გამოწვევაში ყოფილა, არამედ ამ წარმოდგენის მიმართ გარკვეული პოზიციის დაჭერის აქტში; სწორედ ეს უკანასკნელი მოითხოვს დაძაბვას. სუბიექტი აიძულებს თავის თავს იმის შესატყვისად აიწყოს, რაც მას აქტუალურად არ ეძლევა ან რაც ეწინააღმდეგება კიდევაც მისი აქტუალური აღქმის მოცემულობას. ცდის პირების დაძაბული აქტივობა მიმართულია უმთავრესად ზემოაღწერილი (თავი მეოთხე) სპეციფიკური, რეალობისადმი მიმართების ანალოგიური დამოკიდებულების შექმნაზე წარმოდგენილის მიმართ და თვით ამ წარმოდგენის, რაც შეიძლება ღრმა, მთელი პიროვნებით განცდაზე.

როგორც წესი მსახიობი ცდის პირები ჩვენი დავალების შესრულებისას ლაპარაკობენ არა წარმოდგენის თვალსაჩინოების შე-

ლახებ. არამედ თავის თავის მზაობის შესახებ, თავისი შინაგანი „მდგომარეობის", თავის „ჩართვის" შესახებ განცდაში და ა. შ.

მსახიობები ხმარობენ ასეთ გამოთქმებს: «включилась», «выключилась» (ვ. ვ. ალექსი-მესხიშვილი) «нужно спустить нервы. ..нажать кнопку и все» (ვერიკო ანჯაფარიძე). «Вошёл в это. состояние», «вышел из состояния» (ერმილოვი). «Не то главное, чтобы представить, а отношение надо найти в себе к этим предметам» (ი. იაკუბოვსკაია).

3. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ წარმოდგენით განწყობის გამოწვევა აღარ ატარებს დაძაბული ნებელობითი აქტის ხასიათს—წარმოდგენა თითქმის ისევე თავისუფლად იწვევს განწყობას. როგორც სიტუაციის აქტუალური აღქმა, იმ შემთხვევაში, თუ კი სუბიექტი აბსოლუტურად დაჯერებულია, რომ იგი რეალობას, ე. ი. რეალურად მოცემულს წარმოიდგენს. ხოლო როდესაც სუბიექტმა არა მხოლოდ იცის, რომ წარმოდგენილი არ შეეფერება სინამდვილეს, არამედ აქტუალურად აღქვამს კიდევაც. იმავე დროს, წარმოდგენილის საწინააღმდეგო შინაარსს—როდესაც წარმოსახულს პირდაპირ ეწინააღმდეგება იმავე დროს აქტუალურად აღქმული, მაშინ წარმოსახვის შესატყვისი განწყობის შემუშავება ნებელობითს აქტს მოითხოვს, პიროვნების დაძაბვას მოითხოვს სათანადო დამოკიდებულების შესაქმნელად წარმოდგენილის მიმართ, რის გარეშეც მისი შესატყვისი განწყობა ვერ აღმოცენდება.

7. დასკვნები

ამრიგად. როგორც ზემოთ მოყვანილი ცდების შედეგების განხილვიდან გამოირკვა, გარდასახვის უნარის მქონე და თეატრის გარეშე მდგომ პირთა შორის სხვაობა წარმოსახვით განწყობის შემუშავების მხრივ. როდი აღმოჩნდა ერთნაირი ყველა ტიპის ცდაში:

1. განსაკუთრებით მკვეთრი სხვაობა გამომჟღავნდა იმ ცდებში, სადაც წარმოსახვით განწყობის შემუშავება ხდება წარმოსახული შინაარსის საწინააღმდეგო აქტუალური აღქმის პირობებში. ეს გარემოება კი უეჭველად ჩვენი ძირითადი დებულების სასარგებლოდ ლაპარაკობს: იმისათვის, რომ მსახიობმა სცენაზე გარდასახვას მიაღწიოს, მას უხდება აქტუალურად აღქმული სიტუაციისაგან (კულისები, კოლეგები...) სრულიად განსხვავებული წარმოსახული სიტუაციის („სასცენო სინამდვილის") შესატყვისი განწყობის შემუშავება.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ მსახიობები ამ მიმართულებით გა-ვარჯიშებულნი არიან.

ც. პირების ორ ძირითად კატეგორიათა დიფერენციაციის ხა-რისხის თვალსაზრისით პირველ ადგილზე მაინც დგას წარმო-დგენით გამოწვეული ფიქსირებული განწყობის მოქმედების ს ი ძ ლ ი ე რ ი ს შემმოწმებელი ცდები (ცდა № 4).

დიდ დიფერენციაციას იძლევა აგრეთვე შ ა რ პ ა ნ ტ ი ე ს ი ლ უ ზ ი ი ს დარღვევის ცდა (მე-3 ცდა). მაგრამ, რადგან საფიქ-რებელია, რომ ჩვენი ფსიქოლოგი ც. პირები ამ ცდის მიმართ საგანგებო პირობებში იმყოფებიან, ამიტომ გადაჭრით თქმას ამ ცდის შედეგების შესახებ ვერ ვბედავთ.

2. ჩვენ აქ ვერ შევჩერდებით ცალკე თითოეული ჩვენი ცდისპირი-მსახიობის და თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტის სას-ცენო შემოქმედებითი უნარის დახასიათებაზე. იძულებული ვართ მხოლოდ ზოგადად აღვნიშნოთ რამდენად ემთხვევა ჩვენი ცდების შედეგები ამ ც. პ-თა სასცენო ნიჭის თავისებურებას.

ორიოდე სიტყვა ჯერ იმ ცდის პირებზე, დამსახურებული მსახიობებისა და ნიჭიერ სტუდენტთა რიცხვიდან, ვინც ჩვენს ცდებში წარმოდგენით ფიქსირებულ განწყობას ვერ იმუშავებს.

1) ჩვენი შედეგების არც ერთ ცხრილში არ გვაქვს შეტანი-ლი ცნობილი კომიკის, მსახიობი NN-ის, მონაცემები. იგი ვერც ე რ თ ც დ ა შ ი წარმოდგენის საფუძველზე განწყობას ვერ იმუ-შავებს. როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ეს მსახიობი ჩვენ ავიყვანეთ ცდის პირად, რ ო გ ო რ ც გ ა რ დ ა ს ა ხ ვ ი ს უ ნ ა რ მ ო კ ლ ე ბ უ ლ ი პ ი რ ი. მას ახასიათებს უკიდურესი „კომიკობა“ («комикование») სცენაზე.

2) ორი ცდის პირი, — ნიჭიერი სტუდენტი B და დამსახუ-რებული მსახიობი A, რომლებმაც წარმოდგენის საფუძველზე მხოლოდ ორ ცდაში (№№ 5 და 6) შეიმუშავეს ფიქსირებ-ული განწყობა, ნიჭიერი მსახიობები არიან. მაგრამ ორივე ე. წ. ინტელექტუალური ტიპის მსახიობია. ორივე კომიკია. ორი-ვეს ახასიათებს „კომიკობის“ ტენდენცია. აღსანიშნავია, რომ ორივე ეს მსახიობი ცდების დროს არ აღნიშნავს წარმოდგე-ნის გამოწვევის, ან მისი განცდის სიძნელეს; შესაძლებელია, რომ ეს ცდის პირები ცდაშიც, როგორც სცენაზე, მხოლოდ „თამაშობენ“ და არ ცდილობენ წარმოდგენილს „განცდას“, ე. ი. რეალობისადმი დამოკიდებულების ანალოგიური მდგომა-რეობის შექმნას და ამიტომ კრიტიკულ ცდაში ილუზიასაც

ვერ ღებულობენ, ხოლო მე-5 და მე-6 ცდაში, სადაც დიდი ძალისხმევაა საჭირო, ამოცანას სხვანაირად ეკიდებიან—რეალურ აღქმას ებრძვიან და ამ პროცესში სათანადო განწყობას ”ეიმუშავებენ.

საგულისხმოა, რომ ახალგაზრდა მსახიობებს შორისაც ძალიან სუსტ ილუზიას, და ისიც მხოლოდ ზოგიერთ ცდაში, იძლევა ისევ კომიკური როლების შემსრულებელი მსახიობი Cl.

ამრიგად, ჩვენ სულ 4 კომიკზე გვქონდა დაყენებული ცდები და ოთხივე ამ ადამიანს არ გამოამჟღავნდა უნარი წარმოდგენით ფიქსირებული განწყობის შექმნისა ან, ყოველ შემთხვევაში, ეს უნარი მეტად სუსტი სახით გამომჟღავნდა. ბუნებრივად დგება საკითხი: ხომ არ არის ეს გარემოება საზოგადოდ, კომიკისათვის დამახასიათებელი? ხომ არ გამორიცხავს საზოგადოდ, კომიკური როლი ნამდვილ შინაგან გარდასახვას; ხომ არ გულისხმობს ეს როლი საზოგადოდ პერსონაჟის მიმართ დამოკიდებულების თამაშს, მის ჩვენებას მაყურებლისათვის და არა შინაგან გარდასახვას? იმ ჯერჯერობით მცირე მასალების საფუძველზე, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია, ამ საკითხის მხოლოდ დასმა შეიძლება.

3) „ინტელექტუალური ტიპის“, კომიკური როლების შემსრულებელ მსახიობთა გარდა, ნიჭიერი სტუდენტების და დამსახურებული მსახიობების ჯგუფიდან მხოლოდ ერთი ცდის პირი (ნიჭიერი სტუდენტი ქალი—L) ცდების უმრავლესობაში (გარდა მესამე, მეხუთე და მეექვსე ცდისა) ვერ იმუშავებს ფიქსირებულ განწყობას წარმოდგენის საფუძველზე. ეს ც. პირი „განცდის ტიპის“ მსახიობია, იგი უეჭველად დაჯილდოებულია სასცენო ტალანტით. ეს არის ერთადერთი ცდის პირი, რომლის სასცენო მონაცემები ეწინააღმდეგებიან ჩვენი ცდების მონაცემებს. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ ცდის პირმა ცდების დროს გამოამჟღავნა ფიქსირებული განწყობის სხვა თავისებურებები, სახელდობრ, განწყობის მეტად მაღალი აგზნებადობა და სრულიად განსაკუთრებულად ძლიერი ირადიაცია.

4) რაც შეეხება სასცენო ნიჭით დაჯილდოებულ იმ სტუდენტებს, ვინც ყველა ჩვენს ცდაში იმუშავებს ფიქსირებულ განწყობას წარმოდგენის საფუძველზე, აღმოჩნდა, რომ განსაკუთრებით ადვილად და განსაკუთრებით ძლიერ ფიქსირებულ განწყობას წარმოდგენის საფუძველზე იმუშავებს სამი სტუდენტი—J, K და S. ამ სამივე სტუდენტის სასცენო ნიჭს ყველა მათი მასწავლებელი-რეჟისორი ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს. ამ შეფა-

ების დამთხვევა ცდების შედეგებთან თავს იჩენს დეტალებშიც (განწყობის დიდი აგზნებადობა თუ სიმტკიცე და სხვა თვისებები ემთხვევიან ამ პირების შემოქმედების ზოგ თავისებურებას), რომელზედაც ახლ ვერ შევჩერდებით.

აღსანიშნავია, რომ ცდის პირების ამ ჯგუფიდან აღმოჩნდა მხოლოდ ერთი, რომლის ექსპერიმენტული მონაცემები არა საესებით ემთხვევა სასცენო მონაცემებს. ეს არის ინსტიტუტის უნიკიერესი სტუდენტი—G. ფიქსირებული განწყობა წარმოდგენის საფუძველზე მან ყველა ცდაში შეიმუშავა, მაგრამ ძალიან სუსტი, გაცილებით უფრო სუსტი, ვიდრე ამ ჯგუფის ყველა სხვა სტუდენტისათვისაა დამახასიათებელი. თუმცა უნდა ითქვას, რომ შემდეგში, როგორც თეატრის მსახიობმა ამ პირმა მაინცდამაინც დიდი გარდასახვის უნარი ვერ გამოამჟღავნა.

5) რას წარმოადგენს დამსახურებული მსახიობების ჯგუფიდან ის ცხრა ცდის პირი, რომელნიც ჩვენს ცდებში ჩვეულებრივ ადვილად იწვევს ფიქსირებულ განწყობას წარმოდგენის საფუძველზე?

ვფიქრობთ, რომ მათი შემოქმედების დახასიათების ნაცვლად, მათი გვარების დასახელება სჯობია, რადგანაც ყველა ეს მსახიობი ფართოდ ცნობილია. ეს 9 მსახიობი შემდეგი არის: ალექსეევა-მესხიევა ვ. ვ. (გრიბოედოვის თეატრი); ვერიკო ანჯაფარიძე; ბრაგინი (გრიბოედოვის თეატრი); ვიაზემსკი (გრიბოედოვის თეატრი); გოძიაშვილი ვ.; ერმილოვი (მეორე „მხატის“ ყოფილი მსახიობი, ამჟამად რეჟისორი); თაყაიშვილი ს.; იაკუბოვსკაია ო. („მხატის“ ყოფილი სახასიათო მსახიობი).

ამ მსახიობებიდან ერთი ილუზიას არ იძლევა მე-3. მე-4 და მე-7 ცდაში, დანარჩენი (8) ყველა ჩვენს ცდაში გამოკვეთილ ილუზიას იძლევა. ის ერთი, ვინც ამ სამ ცდაში ილუზიას არ იძლევა (ვიაზემსკი), მეტად კრიტიკულად უდგება ცდის ობიექტების შეფასებას და ყველა შემთხვევაში ილუზიას ძალიან მალე აღკვეთს—ყველა ცდაში სუსტ ილუზიას იძლევა (აღქმის საფუძველზედაც).

სრულიად განსაკუთრებით მტკიცეს, დაუბოლოვებელ ილუზიას იძლევა ჩამოთვლილი მსახიობებიდან სამი: ვ. გოძიაშვილი, გ. ერმილოვი და ს. თაყაიშვილი.

ძალიან მტკიცეს, მაგრამ მაინც ნაკლები სიმტკიცის ილუზიას იძლევიან ბრაგინი და იაკუბოვსკაია.

განსაკუთრებით დიდი აგზნებადობა წარმოდგენით გამოწვეული ფიქსირებული განწყობისა ახასიათებს ვ. ანჯაფარიძეს (მას

იმავე დროს განწყობის სისუსტე ახასიათებს). ვ. გოძიაშვილს, ერმილოვს, ს. თაყაიშვილს. ეს ცდის პირები სრულიად იოლად, შესამჩნევი დაძაბვის გარეშე იწვევენ საჭირო წარმოდგენას თვით აქტუალური აღქმა წინაღმდეგობის შემთხვევაშიც (ცდა მე-6 და მე-7).

განწყობის განსაკუთრებით დიდი ირადიაცია ახასიათებს ვ. გოძიაშვილს, ერმილოვს, თაყაიშვილს, ბრაგინს და ო. იაკუბოვსკაიას.

3. ამრიგად, მიღებული შედეგები გვარწმუნებს, რომ სასცენო გარდასახვის უნარი უეჭველად დაკავშირებულია წარმოდგენით ფიქსირებული განწყობის შემუშავების უნართან, მაგრამ ცხადია, ჩვენ ერთი წუთითაც არ ვფიქრობთ, რომ სასცენო ნიჭი ამით ამოიწურებოდეს. ფიქსირებული განწყობის წარმოდგენით გამოწვევის უნარი გარდასახვის ერთ-ერთი ძირითად ფაქტორთაგანი— ერთ-ერთი საფუძველთაგანია მხოლოდ, მაგრამ იმისათვის, რომ ადამიანმა შესძლოს სცენაზე მხატვრული ხატის განსახიერება, მას, ცხადია, უნდა ჰქონდეს სხვა ფსიქოფიზიკურ მონაცემთა მთელი რიგი. მაგრამ ეს საკითხი მსახიობის ნიჭიერების შესახებ საზოგადოდ, ამ ჩვენი ნაშრომის საკითხის ფარგლებს სცილდება.

8. დამატებითი ცდები—აქტუალური აღქმით გამოწვეული ფიქსირებული განწყობის აგზნებადობა და ირადიაცია

თუ სასცენო გარდასახვა, ძირითადში, სათანადო განწყობის შემუშავებას ეყრდნობა, მოსალოდნელია რომ სასცენო გარდასახვის უნარის მქონე პირებს საზოგადოდ ფიქსირებული განწყობის დიდი აგზნებადობა და დიდი ირადიაცია უნდა ახასიათებდეს.

ამ ჰიპოთეზური მოსაზრების შესამოწმებლად ჩვენს ცდის პირებზე დამატებით დავაყენეთ ცდები აქტუალური აღქმით გამოწვეული ფიქსირებული განწყობის აგზნებადობისა და მისი ირადიაციის (ილუზიის ტრანსპოზიციის) შესამოწმებლად. გამოვიყენეთ ჩვეულებრივი მეთოდი.

ა გ ზ ნ ე ბ ა დ ო ბ ი ს შესამოწმებლად ცდები დავაყენეთ ჰაპტურ არეში ორი საგანწყობო ექსპოზიციით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ცდის პირების უმრავლესობაზე ცდა წარმოებდა ზემოთ განხილული ცდების დაყენების პერიოდში. ამიტომ, შესაძლებელია, რომ ცდის პირების უმრავლესობაზე ამ გარემოებამ მოახდინა გავლენა, სახელდობრ, შესაძლებელია წი-

ნა ცდების გავლენით განსხვავებული მოცულობის ბურთების მიწართ აგზნებადობა მათ ზომატებული ჰქონდათ, თუმცა რა თქმა უნდა, საგანწყობო ცდებს წინ უსწრებდა ტოლი ბურთების მიწოდება აღქმის ადეკვატობის შესამოწმებლად. გარდა ამისა—ცდის პირები წინა ცდების გავლენის შესაძლებლობის მხრივ, ობიექტურად ერთნაირ პირობებში იმყოფებოდნენ.

ტრანსპოზიციის ცდები დაყენებული იყო შემდეგნაირად: საგანწყობო ცდაში ბურთები ჰაპტურად იყო მიწოდებული. ხოლო კრიტიკულ ცდაში ტოლი ბურთები ცდის პირებს ოპტიკურად ეძლეოდა. მხოლოდ 2 მსახიობზე და 5 სტუდენტზე კრიტიკული ცდა ამას გარდა ეპიდიასკოპურადაც და კიდევ სამ სტუდენტზე და ერთ მსახიობზე ტაქისტოსკოპურადაც იყო დაყენებული.

ამ ცდების ყველა შედეგს წინამდებარე შრომაში ვერ ვიხილავთ. მოვიყვანთ მხოლოდ ორი ცდის რიცხობრივი მონაცემების ცხრილებს (ცხრილი 25 და 26) და აღვნიშნავთ მხოლოდ ძირითად შედეგებს:

1) განწყობის აგზნებადობის მხრივ ცდის პირების ორივე ძირითად კატეგორიას შორის მცირე განსხვავება დადასტურდა, სახელდობრ, სასცენო ნიჭით დაჯილდოებული ცდის პირების ფიქსირებული განწყობის ა გ ზ ნ ე ბ ა დ ო ბ ა ცოტათი მეტი აღმოჩნდა.

2) განწყობის ი რ ა დ ი რ ე ბ უ ლ ო ბ ი ს მ ხ რ ი ვ. სასცენო ნიჭით დაჯილდოებულებისა და თეატრის გარეშე მდგომ პირთა შორის მეტად დიდი განსხვავება აღმოჩნდა. სახელდობრ, დამსახურებულ მსახიობთა და ნიჭიერი სტუდენტების 80% იძლევა ილუზიის ტრასპოზიციას ხელიდან თვალზე, ახალგაზრდა მსახიობების 42,8%, ხოლო თეატრის გარეშე მდგომი პირების მხოლოდ 19%; აქედან საშუალო კვალიფიკაციის მოსამსახურეების—12.5% და ფსიქოლოგების კი 27,1%; თეატრალური ინსტიტუტის შეუფერებელ სტუდენტებთან ტრანსპოზიციის არც ერთი შემთხვევა არ დადასტურდა. სასცენო შემოქმედებასთან დაკავშირებული პირებიდან ტრანსპოზიციის მცირე პროცენტი მხოლოდ საშუალო ნიჭიერების სტუდენტებთან დადასტურდა (14,3%).

როგორც ჩანს, განწყობის ირადირებული ხასიათი განსაკუთრებით დამახასიათებელია სასცენო გარდასახვის უნარის მქონე პირებისათვის.

3) არ შეიძლება არ აღინიშნოს შემდეგი გარემოება. ნიჭიერმა სტუდენტმა ქალმა L, რომელიც ჩვენს ძირითად ცდებში ილუზიას

ან იძლეოდა, ამ დამატებით ცდებში ძლიერი ირადიაცია და განწყობის დიდი აგზნებადობა გამოავლინა; ტრანსპოზიციის ცდებში დაუბოლოებელი კონტრასტული ილუზია მოგვცა, როგორც ბურთების ოპტიკური მიწოდების, ისე წრეების ეპიდიასკოპური ექსპოზიციის შემთხვევაში. აგზნებადობის ცდებში კი, ბურთების ორი საგანწყობო მიწოდების შემდეგ, ამ ცდის პირმა ძლიერი (32) სიმტკიცის ილუზია გამოავლინა.

ცხრილი 25

განწყობის ირადიაცია (ტრანსპოზიცია ხელიდან თვალზე)

	ცდის პირ. რაოდენობა	ადეკვ. ილუზია (%)	ადეკვ. (%)	ილუზია	კონტრასტ. ილუზია			
					სუფ.	საშ.	ძლიერი	დაუს.
საშ. კვალიფ. მოსამსახურ.	8	87,5	—	12,5	100	—	—	—
ფსიქოლოგ. მეენ. მუშ.	13	53.8	23,1	23,1	—	67	33	—
სულ თეატრის გარეშე პირ.	21	67	14.2	19	25	50	25	—
დამსახურებული მსახიობ.	10	10	10	80	37,5	—	12,5	50
ახალგაზრდა მსახიობები	7	42.8	14,3	42,8	66.6	—	33.3	—
თეატრ. ი-ის ნიჭ. სტუდ.	10	20	—	80	25	25	37.5	12,5
სულ მსახ. და ნიჭიერი სტუდ.	27	22,2	7,4	70,4	36,8	10,5	26,3	26,3
თეატრ. ინ-ის საშ. ნიჭ. სტ.	7	57.1	28.5	14,3	100	—	—	—
სულ მსახ. და თ. ინ-ის სტ.	34	29.4	11,8	58,8	40	10	25	25
თეატრ. ი-ის შეუფერებ. სტ.	4	100	—	—	—	—	—	—

ცხრილი 26

განწყობის აგზნებადობა ჰაპტურ სფეროში (2 საგანწყ. ექსპოზიციით)

	ცდის პირების რაოდენობა	ადეკვ. ილუზია (%)	ილუზია (%)	კონტრასტული ილუზია			
				სუფ.	საშუალო	ძლიერი	დაუსრ.
საშ. კვალიფიკ. მოსამს.	8	37,5	62,5	80	20	—	—
ფსიქოლოგ. მეენ. მუშაკ.	13	23,1	76.9	70	20	10	—
სულ თეატრ. გარეშე პირ.	21	28.6	71.4	73.4	20	6,6	—
დაცსახ. მსახიობები	10	—	100	20	50	30	—
ახალგაზრდა მსახიობები	7	28,5	71,5	20	60	20	—
თ. ი-ის ნიჭ. სტუდენტები	10	10	90	11.1	44.4	44.4	—
სულ მსახ. და ნიჭიერი სტ.	27	11,1	88,9	16.7	49.9	33,3	—
თ. ი-ის ნიჭიერ. სტუდენტ.	7	14.3	85.7	83.3	16,7	—	—
სულ მსახ. და თ. ი-ის სტუ-დენტები (შეუფერ. გარდა)	34	11,8	88,2	30	43,3	26,6	—
თ. ი-ის შეუფერებელი სტ.	4	75	25	100	—	—	—

თავი მეშვიდე

წარმოსახვის განმაწყობელი მოქმედების ვარჯიშებადობისათვის

1. საკითხი

1. ზემოთ ჩვენ რამდენიმეჯერ ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ წარმოსახული სიტუაციის მიხედვით მოქმედების უნარი ადამიანის ერთ-ერთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან სპეციფიკურობას შეადგენს, ეს უნარი, უნდა ვიგულისხმოთ, შრომის პროცესში განვითარდა. წარმოსახვის საფუძველზე განწყობის შემუშავების უნარი სპეციფიკურად ადამიანური უნარია და, მაშასადამე, ყოველი ნორმალური ადამიანისათვის დამახასიათებელი თვისებაა.

მაგრამ, მეორე მხრივ, რვა წლის მანძილზე[1] წარმოებულ ექსპერიმენტულ კვლევაში ჩვენ არც ერთხელ არ გვქონია შემთხვევა, რომ რომელსამე ცდაში ყველა ცდის პირს გამოემჟღავნებინა ეს უნარი, თუ არ ჩავთვლით სასცენო გარდასახვის უნარს მქონე მსახიობთა და იმავე უნარის მქონე თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტთა ჯგუფებს. მართალია, იმ ც. პ-ბის პროცენტი, ვინც წარმოდგენით ფიქსირებული განწყობის შემუშავების უნარს ამჟღავნებდა, ჩვენს ცდებში წლიდან წლამდე მატულობდა. ასე მაგალითად, 1939 წ. პირველი კურსის სტუდენტებზე ჩატარებულ ცდებში ეს უნარი დადასტურდა ც. პ-ების მხოლოდ მესამედზე, ხოლო 1946-47 წწ. ჩატარებულ ცდებში ც. პ-ების ოთხ მეხუთედზე (80%), მაგრამ მისი გავრცელება ნორმალურ ც. პ-ებში ჩვენი ცდების პირობებში ას პროცენტს მაინც ვერ აღწევდა.

---

[1] პირველი ასეთი გამოკვლევა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჩატარებული გვქონდა 1939 წ. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტებზე (ფსიქოლოგია, ტ. I) შემდეგი გამოკვლევები, რომელიც ეხებოდა წარმოსახვით განწყობის შემუშავების სხვადასხვა საკითხს, დაბეჭდილია ფსიქოლოგიის III, V და VII ტომში.

ცხადია, ეს ფაქტი სავსებით ეწინააღმდეგება დებულებას წარმოსახვის საფუძველზე განწყობის შემუშავების უნარის სპეციფიკურად ადამიანური ბუნების შესახებ. ამ წინააღმდეგობიდან უნდა დავასკვნათ, რომ ჩვენი ცდების ექსპერიმენტული სიტუაცია ადეკვატურად ვერ ავლენს საძიებელ უნარს ან, ყოველ შემთხვევაში, ამ უნარის საყოველთაოდ გავრცელებულ ფორმას. შესაძლებელია ჩვენი ცდის სიტუაცია (დავალება ბურთების მოცულობის წარმოსახვისა ან სიმძიმის წარმოსახვისა და წარმოსახულის ურთიერთშედარება) არ განიცდება ზოგი ც. პ-ის მიერ საკმაოდ „სერიოზულად". როგორც ზემოთ დავინახეთ, ზოგი ც. პ. არ ჩაერთვის ხოლმე დავალებულ მოქმედებაში იმ მთლიანი შინაგანი აქტივობით, რომელიც საჭიროა წარმოდგენის გზით სათანადო განწყობის აღმოცენებისათვის; ცდის ხელმძღვანელისაგან მიღებული დავალება, ასე ვთქვათ, არ ჩაერთვის ც. პ-ის მოთხოვნილებათა სისტემაში და ა. შ.

ყოველ შემთხვევაში უდავოა, რომ ჩვენი ცდების პირობებში ც. პ-ების უმრავლესობას უჭირს დავალებული მოქმედების შესატყვისი ფიქსირებული განწყობის შემუშავება, ხოლო ც. პ-ების საგრძნობი ნაწილი მას სულაც ვერ იმუშავებს. ც. პ-ების ეს ნაწილი ვერ ახერხებს ცდის ხელმძღვანელის დავალების მიხედვით ცდის პირობებში წარმოსახული სიტუაციის (მაგალითად, დიდი და პატარა ბურთის წარმოდგენაში შედარების) შესატყვისი ფიქსირებული განწყობის შემუშავებას, ხოლო ც. პ-ების უმრავლესობა ასეთი განწყობის შემუშავებას მხოლოდ დიდი დაძაბვის შედეგად აღწევს.

ისმის კითხვა, ხომ არ შეიძლება ამ უნარის გავარჯიშება? დავალებული ამოცანის შესრულების მრავალი ცდის შედეგად ხომ არ გაუადვილდებათ ჩვენს ც. პ-ებს ცდის პირობებში წარმოსახვის საფუძველზე სათანადო ფიქსირებული განწყობის შემუშავება?

ამ საკითხის დასმა მით უფრო დასაბუთებულად მიგვაჩნია, რომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წარმოებული ცდების შედეგების თანახმად, ერთსა და იმავე ცდის პირთან ცდების სხვადასხვა დროს გამეორების შედეგად, წარმოსახვით ფიქსირებული განწყობის შემუშავების უნარი ცდიდან ცდამდე მატულობს; ყოველ შემთხვევაში ერთსა და იმავე ც. პ-ს ყოველ მომდევნო ცდაში უფრო ადვილად უმუშავდება სათანადო განწყობა და, რაც მთავარია, მისი გამოვლინება განწყობისეული ილუზიის სახით სულ უფრო და უფრო მტკიცე ხასიათს იღებს.

2. მაგრამ რას ნიშნავს უნარის გავარჯიშება? ჩვენ ამ შემთხ-ვევაში ვიღებთ ვარჯიშის ცნებას არა იმ ვიწრო მნიშვნელობით, რომელიც გარკვეული თეორიის თანახმად, გულისხმობს მხოლოდ განმეორებათა შედეგად, ყოველი მოქმედების „სუმაციის" გზით, ეფექტის გაზრდას, არამედ უფრო ფართო მნიშვნელობით, რომელიც გულისხმობს რომელიმე უნარის, მაგალითად, რაიმე „ფუნქციის" (ვთქვათ, მეხსიერების ან ყურადღების) გაძლიერებას, ან, უფრო ზოგადად, რომელიმე მოქმედების შესრულების უნარის მომატებას სათანადო მოქმედებაში ვარჯიშის შედეგად. ვ ა რ ჯ ი შ ე ბ ა დ ო ბ ა ა მ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი თ ა ვ ს ი ჩ ე ნ ს ა ნ ა მ მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს შ ე ს რ უ ლ ე ბ ი ს გ ა უ მ ჯ ო ბ ე ს ე-ბ ა შ ი (სიადვილეში და ეფექტის მომატებაში), ა ნ დ ა პ ი რ ვ ე-ლ ა დ დ ა ს ა უ ფ ლ ებ ე ლ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს მ რ ა ვ ა ლ ი ც დ ი ს შ ე დ ე გ ა დ დ ა უ ფ ლ ებ ა შ ი: ვარჯიშის შედეგად ადამიანი ეუფლება მოქმედებას, რომელსაც მანამდე ვერ ასრულებდა, რომლის შესრულების უნარი. ბაშასადაგე. მას მანამდე არ ჰქონია.

ერთი სიტყვით, ამ ფართო გაგებით გავარჯიშება გულისხმობს გარკვეულ მოქმედებაში მიღწევის ზრდას ამ მოქმედების მრავალჯერი მიზანდასახული ნებისმიერი გამეორების, ე. ი. ვ ა რ ჯ ი შ ი ს შედეგად.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ გვაინტერესებს, კერძოდ, წარმოსახვის საფუძველზე სათანადო ფიქსირებული განწყობის შემუშავების უნარის ზრდის შესაძლებლობა სათანადო მოქმედების გამეორების შედეგად.

უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ჩვენ გვაინტერესებს ჩ ვ ე ნ ი ც დ ე ბ ი ს ე ქ ს პ ე რ ი მ ე ნ ტ უ ლ ი ს ი ტ უ ა ც ი ი ს პ ი რ ო ბ ებ შ ი წ ა რ მ ო ა ა ხ ვ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე ფ ი ქ-ს ი რ ებ უ ლ ი გ ა ნ წ ყ ო ბ ი ს შ ე მ უ შ ა ვ ებ ი ს უ ნ ა რ ი ს გ ა ვ ა რ ჯ ი შ ებ ი ს შ ე ს ა ძ ლ ებ ლ ო ბ ა ა მ ც დ ე ბ ი ს გ ა-მ ე ო რ ებ ი ს შ ე დ ე გ ა დ: სათანადო ამოცანის (ცდის ხელმძღვანელის დავალების) შესრულების გამეორების შედეგად თუ ეანუვითარდებათ წარმოსახვის საფუძველზე ფიქსირებული განწყობის შემუშავების უნარი იმ ც.პ-ებს, რომლებიც პ ი რ ვ ე ლ ც დ ებ შ ი ა მ ა ს ვ ე რ ა ხ ე რ ხ ებ დ ნ ე ნ და ამიტომ ამ უნარმოკლებულთა კატეგორიისათვის გვყავდა მიკუთვნებული, და, მეორე, მიაღწევენ თუ არა ვარჯიშის შედეგად მეტს ეფექტურობას და მეტს სიადვილეს წარმოსახვითი ფიქსირებული განწყო-

ბის შემუშავებაში ის ც. პ-ები, რომელნიც ისედაც ამ ჟღავნებ-ლნენ ამ უნარს პირველი ცდებიდანვე.

საძიებელი უნარის ვარჯიშებადობა თეორიულად მით უფრო დასაშვებია, რომ ეს უნარი (წარმოსახვით ფიქსირებული განწყობის შემუშავებისა) სპეციფიკურად ადამიანურია, ე. ი. კაცობრიობის საზოგადოებრივ ისტორიული განვითარების პროცესში შეძენილი უნარია, ხოლო, როგორც წესი უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთი შეძენილი უნარი ვარჯიშებადია.

2. ცდები იმ პირებზე ვინც წარმოსახვის საფუძველზე ფიქსირებულ განწყობას ვერ იმუშავებდა

1. პირველად განვიხილავთ იმ ც. პ-ების მასალას, რომელნიც რამდენიმე წლის მანძილზე ცდების ორი-სამი დაყენებისას არავითარ შედეგს არ იძლეოდნენ, ე. ი. ვერავითარ ილუზიას წარმოსახვის საფუძველზე ვერ იღებდნენ და, ამის გამო, აღნიშნულ ცდებში მიეკუთვნებოდნენ ც. პ-თა იმ კატეგორიას, რომელიც წარმოსახვის საფუძველზე ფიქსირებულ განწყობას ვერ იმუშავებს.

ამ ც. პ-ბზე ვაყენებდით ცდებს ყოველდღიურად, რამდენიმე დღის განმავლობაში, დღეში სამჯერ ან ოთხჯერ ზედიზედ. ცდები ტარდებოდა უმთავრესად მოცულობის წარმოსახვაზე. ცდა ტარდებოდა ზუსტად იმავე მეთოდით, როგორც წინა წლებში. ეს მეთოდი ზემოთ დეტალურად გვაქვს აღწერილი და ამიტომ აქ აღარ ავწერთ მას. ცდას ვიმეორებთ მანამდე, სანამ ც. პ-ებისაგან რამდენჯერმე არ მივიღებთ გარკვეულ, სავსებით გამოკვეთილ განწყობისეულ ილუზიას წარმოსახვის საფუძველზე. არც ერთ ც. პ-ზე ცდის გამეორება 6 დღეზე მეტად აუცილებლობას აღარ წარმოადგენდა, რადგანაც ამ ხნის განმავლობაში უკვე გამომჟღავნდებოდა ხოლმე, ამა თუ იმ სახით, ფიქსირებული განწყობის ილუზია. მხოლოდ ორ ც. პ-ზე ცდა განვაგრძეთ მეშვიდე დღესაც უფრო მკაფიო ეფექტის მისაღებად.

შედეგები მიღებული მოცულობის ჰაპტური წარმოდგენის საფუძველზე მოცემულია 27-ე ცხრილში.

ამრიგად, როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველა ის 21 ც. პ., რომელნიც ჩვენი ძველი ცდების მიხედვით უძლურად ითვლებოდნენ წარმოსახვის საფუძველზე განწყობის შემუშავებაში და ამიტომ შემდეგ ცდებში აღარ მონაწილეობდნენ, ცდების 3—4 დღის მანძილზე სისტემატური დაყენების შედეგად უკვე ახერხებენ

წარმოდგენაში საგანწყობო ობიექტთა ისეთს განცდას, რომ ამ გზით მათ უმუშავდებათ საშუალო ინტენსივობის ფიქსირებული განწყობა: ორი, ოთხი ან ხუთი კონტრასტული ილუზია მათთვის ჩვეულებრივი ხდება. წარმოდგენის საფუძველზე მიღებული კონტრასტული ილუზიის სწორედ ეს რაოდენობა ახასიათებს იმ ჩვენს ც. პ-ებს, რომლებსაც სხვა ცდებში ილუზიის საშუალო ინტენსივობის კატეგორიას ვაკუთვნებთ. როგორც ცხრილიდან ჩანს, 21 ც. პ-ს შორის მხოლოდ 3 აღმოჩნდა ისეთი, რომელიც გავარჯიშების ცდებში საბოლოოდ აღწევს ასიმილაციურ ილუზიას, (საკმაოდ ძლიერს: 4—6 ილუზია ზედიზედ). დანარჩენები საბოლოოდ იძლევიან კონტრასტულ ილუზიებს. ასიმილაციური ილუზიის ეს გავრცელება (3/21-თან) სავსებით ნორმალურია ამ ტიპის ცდებისათვის. ამის გარდა, უნდა ითქვას, რომ ერთი ამ სამი ც. პ-დან ცდების დროს პასიურობს, არ იჩენს არავითარ ხალისს, მას არ ემჩნევა დაძაბულობა დავალებული ამოცანის შესრულებისას.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ 17 ც. პ. ამ 21-დან აყვანილი იყო ცდის პირად ყოველგვარი სპეციალური შერჩევის გარეშე, გარდა იმ ნიშნისა, რომ მათ წარმოდგენის საფუძველზე ფიქსირებული განწყობა ჩვენს ცდებში არ უმუშავდებოდათ. ეს ის ც. პ-ებია, რომელთა ოქმები გასული წლების ცდების ოქმებში ეოინახა და რომლებზედაც ხელი მიგვიწვდებოდა ცდების განმეორებითი ჩატარებისათვის.

რაც შეეხება დანარჩენ 4 ც. პ-ს. ორი მათ შორის ფსიქოლოგი მეცნიერი მუშაკია (ბ. ხ. და გ. კ.), ერთი—სტუდენტი ფსიქოლოგი (გ. მჭ.) და ერთი—ლიტერატურის დოცენტი (ი. ტ.). ეს 4 ც. პ., მართლაც, საგანგებოდ შერჩეული იყო, როგორც განსაკუთრებით „უნარმოკლებული" წარმოდგენით განწყობის შემუშავებაში: ამ 4 ც. პ-ზე სხვადასხვა დროს ბევრჯერ იყო ჩატარებული ცდები და შედეგი მუდამ სრულიად უარყოფითი იყო. ც. პ. ი. ტ. ძალიან ადვილად და, მისი განცხადებით, ძალიან თვალსაჩინოდ წარმოიდგენდა ხოლმე დავალებულ შინაარსებს, მაგრამ ილუზიას არასდროს არ იძლეოდა. ც. პ. გ. მჭ. არა მარტო წარმოდგენით არავითარ ილუზიას არ იძლეოდა, არამედ აქტუალური აღქმით ჩატარებულ ცდებშიც ჰაპტურ არეში მხოლოდ 1—2 კონტრასტულ ილუზიას გვიჩვენებდა ხოლმე. ც. პ. ფსიქოლოგი გ. კ. საკმაოდ ადვილად და თვალსაჩინოდ წარმოიდგენდა ხოლმე (მისი განცხადებით) დავალებულ შინაარსებს, მაგრამ, მიუხედავად მრავალი ცდისა, ფიქსირებული განწყობა მასაც ცდის არც ერთ ვარიანტში

ცდის პირები	1944 წ.		1945 წ.		1946 წ.		1947 წ.		I ცდა
	უძრ.	მოძრ.	უძრ.	მოძრ.	უძრ.	მოძრ.			
1. ორჩ. ხ.	o	o	o	o	—	—	—		უძრ. 0 მოძრ. 2 კ.
2. გვ. ლ.	o	o	o	o	—	—	—		უძრ. 0 მოძრ. 4 კ.
3. ზედგ. კვ.	o	o	o	o	—	—	—		უძრ. 0 მოძრ. 2 კ.
4. გეჯ. ვალ.	o	o	o	o	—	—	—		უძრ.— მოძრ.—
5. ბაჭრ. თ.	o	o	o	o	—	—	—		უძრ. 1 კ. მოძო, 9 კ.
6.—N	o	o	o	o	o	o	—		უძრ. ბ. ას. მოძრ. ნას.
7. აგ. თ.	—		o	o	o	o	—		უძრ. 0 მოძრ. ნას.
8. არუთ.	—		o	o	o	o	—		უძრ. 0 მოძრ. 4 კ.
9. ჩერნოუს.	—		o	o	o	o	—		უძრ. 1 ას. მოძრ. 5 კ.
10. გობრიჩ.	—		o	o	o	o	—		უძრ. 0 მოძრ. 4 კ.
11. ჯო.	—		o	o	o	o	—		უძრ. 0 მოძრ. ნას.
12. ლაპ.	—		o	o	o	o	—		უძრ. 4 ას. მოძრ.4 ას.
13. თავ.	—		o	o	o	o	—		უძრ. 1 კ. მოძრ. 3 კ.
14. ჯიღ.	—		—		o	o	o	o	უძრ. 1 ას. მოძრ. 4 კ.
15. ტატ. ი.	—		—		o	o	o	o	0
16. ამაშ. ნ.	—		—		o	o	o	o	0 0
17. კოტ.	—		—		o	o	o	o	უძრ. 0 მოძრ. 5 კ.
18. შენგ. ხ.	—		—		o	o	o	o	0
19. მეედლ. გ.	—		—		o	o	o	o	უძრ. 0 მოძრ. 7 კ.
20. ხაჭ. ბ. (ფსიკ.)	o o		o o		o	o	—		უძრ. 0 მოძრ. 0
21. ეფხ. გ. (ფსიკ.)	—		—		—		o o		0 0

პირობითი ნიშნები: 0 ნიშნავს, რომ ილუზია სულ არ იჩენს თავს. რიცხვი ასოთი—კ. ნიშნავს კონტრასტულ ილუზიათა რაოდენობას, მაგ., 3 კ. ნიშნავს სამ კონტრასტულ ილუზიას. რიცხვი ასოებით—ას. ნიშნავს ასიმილაციურ ილუზიათა რაოდენობას. ზიგზაგის ნიშანი (∿∿) ნიშნავს რხევას პასუხების იმ სახეთა შორის, რომელნიც ამ ნიშნის წინ და მის შემდეგაა აღნიშნული,

1948 წელი					
II ცდა	III ცდა	IV ცდა	V ცდა	VI ცდა	VII ცდა
0	0	1 ას.	1 ას.	2 კ. 3 კ.	—
4 კ.	4 კ.				
0	1 ას.	3 ას.	4 კ.	4 კ.	—
6 კ.	—	—	—	—	
1 კ.	3 კ.	3 კ.	4 კ.	2 კ.	—
4 კ.	6 კ.	4 კ.	—	—	
0	0	0			
კ.〰=	3 კ.〰=	—	1 კ.	კ〰=	3 კ.
3 კ.	5 კ.				
8 კ.	10 კ.	2 კ.	4 კ.	—	—
5 ას.	1 ას.	3 ას.	5 ას.		
5 ას.	—	—	—	—	—
0	1 ას.	5 ას.	6 ას.		
—	—	—	—	—	—
0	0	2 კ.	1 კ.	4 ას.	2 კ.
—	—	—	—	—	—
2 ას.	4 ას.	2 კ.	3 კ.	5 კ.	6 კ.
0	3 ას.	2 კ.	დას. 3 კ.	2 კ.	3 ას. 4 კ.
3 კ.	3 კ.	—	—	—	
0	3 ას.				
4 ას.	5 ას.	5 ას.	0	—	—
4 ას.	4 ას.	—	—	—	—
5 ას.	2 კ.	6 კ.			
2 კ.	2 კ.	1 კ.	1 კ.		
6 კ.	—	—	—		
3 ას.	1 ას.	4 ას.			
21 კ.	—	—			
2 კ.	1 კ.	2 კ.	3 კ.	5 კ. ოპტიკ.	
0	1 ას.	7 ას.	15 კ.	8 კ. ოპტიკ.	
2 კ.	1 კ.	1 კ.	2 კ.		
6 კ.	—	—	—		
2 ას.	5 ას.	4 ას.			
0	0	0	1 ას.	4 ას.	14 კ.
22 კ.	4 ას.	3 ას.	1 კ.	3 კ.	3 ას. 6 ას.
5 ას.					
5 ას.	4 ას.	—	—	—	—
0	0	ას.〰=	4 კ.	4 კ.	3 კ.

მაგალითად: კ 〰=ნიშნავს რხევას კონტრასტულ ილუხიასა და ტოლობის აღნიშვნას შორის.

რუბრიკების თავზე ან მარცხნივ შემოკლებით აღნიშნული უძრ. და მოძრ. ნიშნავს: ცდები ჩატარებულია ხელების **უძრავად გაჩერებით** და ცდები ჩატარებულია **ხელების დამხმარე მოძრაობით**. უკანასკნელი ცდები დაყენებულია პირველის დამთავრების შემდეგ.

ორ გამოუმუშავდა. და ბოლოს, ც. პ. ფსიქოლოგი ბ. ხ. არა მარტო ვერაფერდეს ვერ იმუშავებდა ფიქსირებულ განწყობას წარმოდგენის საფუძველზე, მიუხედავად მისი გამოწვევის მრავალჯერი ცდისა, არამედ მას განსაკუთრებით ეძნელებოდა თვალსაჩინო წარმოდგენაც არარსებული ბურთებისა და მათი შედარება წარმოსახვაში. ერთი სიტყვით, ეს 4 ც. პ., როგორც ვთქვით, საგანგებოდ შერჩეულია როგორც განსაკუთრებით უუნარო წარმოდგენის საფუძველზე ფიქსირებული განწყობის გამოწვევაში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ოთხივე ეს ც. პ. რამდენიმე დღის ვარჯიშის შედეგად. (რომლის დროს ჩვენ განუწყვეტლივ მოვითხოვდით—„განიცადეთ რაც შეგიძლიათ ინტენსიურად ამ ბურთების სხვაობა; მთელი არსებით განიცადეთ"), აღწევს საშუალო სიმტკიცის ფიქსირებული განწყობის შემუშავებას, ე. ი. საკმაოდ დიდ ვარჯიშობადობას იჩენს. ჩვენთვის ეს შედეგი საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა, განსაკუთრებით 3 ც. პ-ის მიმართ, რადგანაც წინა ცდებიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ეს პირები აბსოლუტურად მოკლებულნი არიან წარმოდგენის საფუძველზე ფიქსირებული განწყობის გამოწვევის უნარს. როგორც ცხრილიდან ჩანს, ც. პ. გ. მჭ. არათუ საშუალოს, არამედ ძლიერი სიმტკიცის ფიქსირებულ განწყობასაც აღწევს წარმოდგენის საფუძველზე: იგი იძლევა 14-ს და ერთხელ მოგვცა 22 კონტრასტული ილუზია!

ამრიგად, როგორც ზემომოყვანილი რიცხობრივი მონაცემებიდან ჩანს, ყველა ის ც. პ., რომელიც წინა ცდებში წარმოსახვით ფიქსირებული განწყობის გამოწვევის უნარმოკლებულად ჩანდა, რამდენიმე დღის ვარჯიშის შედეგად ამჟღავნებს ექსპერიმენტულ სიტუაციაში წარმოდგენით ფიქსირებული განწყობის გამოწვევის საშუალო უნარს.

მაგრამ ამ უნარის ვარჯიშებადობა მჟღავნდება არა მარტო განწყობისეული ილუზიის ეფექტში, არამედ, ნაწილობრივ მაინც, იმ სიადვილეშიც, რომლითაც აღწევენ ც. პ-ები დავალებული შინაარსის განცდას. როდესაც ც. პ-ები სამჯერ, ოთხჯერ მიაღწევენ განწყობისეულ ილუზიას, ამის შემდეგ მათი უმრავლესობა აღნიშნავს ხოლმე, რომ შედარებით გაუადვილდათ დავალებული ბურთების წარმოდგენა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს გაადვილება მნიშვნელოვან ხარისხს მაინც არ აღწევს: ჯერ ერთი, სპონტანურად ც. პ-ები ამ გაადვილებას არ ამჩნევენ ხოლმე—აღნიშნავენ მას მხოლოდ ცდის ხელმძღვანელის შეკითხვის შემდეგ და, ამას გარდა, თვითონ ც. პ.-ების თქმით, ეს გაადვილება უმნიშვნელოა.

2. ამგვარად, წარმოსახვით ფიქსირებული განწყობის გამოწვევის უნარის გავარჯიშების ობიექტური მაჩვენებელი სრულიად უდავოა: ვარჯიშის შედეგად ექსპერიმენტულ პირობებში ყველა ცდის პირი ასი პროცენტით აღწევს წარმოსახვით ფიქსირებული განწყობის გამოწვევას!

ისმის კითხვა, როგორია ამ გავარჯიშების, ასე ვთქვათ, შინაგანი ბუნება? რას აღწევს ც. პ. ახალი ცდების გამეორების პროცესში? რის შედეგად უმუშავდება მას ფიქსირებული განწყობა ობიექტთა წარმოდგენის საფუძველზე?

განვიხილოთ ჯერ სხვა ექსპერიმენტული მონაცემები და შემდეგ დავუბრუნდეთ ამ საკითხს.

3. რამდენიმე წლის მანძილზე ერთსა და იმავე პირებზე ჩატარებული ცდების შედარებითი შედეგები

განვიხილოთ შედარებითი მონაცემები ანალოგიური ცდებისა, რომელიც ჩვენ ჩავატარეთ ერთსა და იმავე ც. პ-ებზე რამდენიმე წლის მანძილზე, ისიც მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც პირველივე ცდებიდან ამჟღავნებდნენ წარმოსახვის საფუძველზე ფიქსირებული განწყობის შემუშავების უნარს.

ეს მასალა მოგვეპოვება უნთავრესად იმ პირების შესახებ, რომლებიც შედარებით ადვილად იმუშავებდნენ წარმოდგენით განწყობას და ამიტომ ყოველთვის მონაწილეობდნენ სხვადასხვა ცდებში, რაც ჩვენ ჩატარებული გვქონდა უკანასკნელი წლების მანძილზე წარმოსახვით განწყობის შემუშავებისათვის.

ეს ც. პ-ები უმთავრესად სამ კატეგორიას ეკუთვნიან: 1. ფსიქოლოგი-მეცნიერი მუშაკები, 2. თეატრალური ინსტიტუტის ნიჭიერი სტუდენტები და 3. პედაგოგიური ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტი.

ც. პ-ების ამ სამივე კატეგორიის მასალა თავმოყრილია ცალ-ცალკე 28-ე, 29-ე და 30-ე ცხრილში.

სამივე კატეგორიის ც. პ-ები სრულიად ცხადად გვიჩვენებენ, რომ ცდების გამეორებასთან ერთად ცდების ეფექტიც მნიშვნელოვნად მატულობს. ზოგიერთი ც. პ. იწყებს ერთეული ილუზიებით და უკანასკნელ ცდებში დაუბოლოებელ ილუზიამდე მიდის. უმრავლესობა იწყებს ერთეული ილუზიიდან (ან სრულ უილუზიობიდან) და ამთავრებს მტკიცე ძლიერი ილუზიით (10—20 კონტრასტული ილუ-

ცხრილი 28

ცდის პირები	I ცდა	II ცდა	III ცდა	IV ცდა	V ცდა	VI ცდა	VII ცდა	VIII ცდა
1. რ. ლ.	0	0	2 ას.	15 კ.	კ. ad inf	ოპტიკური inf 8 კ.		
2. კვ. ბ.	?	2 კ.	17 კ.	10 კ.	8 კ.	24 კ.		
3. ელ. ნ.	5 კ.	4 კ.	1 კ.; 2 ას.	2 კ.	8 კ. სიადვილე	სიადვილე 6 კ.	ოპტიკური 28 კ.	
4. შ. ამ.	2 ას.	3 კ.	5 კ.	4 კ.	5 კ.	12 კ.	21 ას.	
5. კ. ავ.	2 კ.	9 კ.	6 კ.; 12 კ.	22 კ. სიადვილე	სიადვილე 12 კ.; 28 კ.			
6. აბ. ერ.	4 კ.	6 კ.	9 კ. სიადვილე					
7. კეკ. ელ.	4 კ.	6 კ.	9 კ; 6 კ.					
8. ხ. მ.	0; 4 კ.	8 კ.	12 კ.	13 კ.	12 კ.	20 კ.	16 კ.	18 კ.
9. ჭრ. ნ.	0; 0	2 ას; 2 კ.	სიადვილე 6 კ.; 9 კ.	10 კ.		სიადვილე		
10. ვ. იუ.	2 კ; 4 კ.	6 კ.	24 კ.	30 კ	კ. ad inf	კ. ad inf		
11. ვ. ერ.	5 კ.	22 კ.	სიადვილე ad inf კ.	25 კ.				
12. ბ. ს.	0	0	1 კ.	2 კ.; 3 კ	8 კ.	11 კ.	10 კ.	12 კ.
13. მ. ალ.	5 კ.; 4 კ.	6 კ.	25 კ.	ad inf კ.	სიადვილე			
14. ად. ნ.	0	2 კ.	სიადვილე 3 კ.	20 კ.	ad inf კ.			
				სიადვილე				

პირობითი ნიშნები იგივეა, რაც 27-ე ცხრილში. ამის გარდა, ad inf. გულისხმობს დაუბოლოებელ ილუზიას, ხოლო ასეთად ითვლება 30-ზე მეტი ილუზია ზედიზედ. „სიადვილე“ მიწერილია იმ ცდასთან, რომლის შემდეგ ც. პ. განსაკუთრებული სიადვილით აღწევს დავალების შესრულებას.

ზია). ეს შედეგი უეჭველად ამტკიცებს საძიებელი უნარის დიდ ვარჯიშებადობას!,

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ვარჯიშებადობის კიდევ უფრო მეტ ეფექტს იძლევიან ამ სამი კატეგორიის ც. პ-ები ფიქსირებული განწყობის შემუშავების სიადვილის მხრივ.

თუ პირველ ცდებში თეატრალური ინსტიტუტის ორი სტუდენტის გარდა, ყველას ძალიან ეძნელება ნათელი განცდა საგანწყობო ობიექტებისა და მათი შედარება წარმოდგენაში, რამდენიმე ცდის შემდეგ ამ სიძნელეს და დიდ დაძაბულობას ადგილი აღარა აქვს. ც. პ-ების უმრავლესობა საგანწყობო ობიექტებს დაუძაბავად. სრულიად ადვილად განიცდის და ამ იოლი განცდის შემდეგ ძლიერ და მტკიცე ილუზიას იძლევა. ყველა ის ც. პ.. რომელსაც ცხრილის ერთ-ერთ რუბრიკაში უწერია „სიადვილე", ამ ცდიდან განსაკუთრებულ სიადვილეს იჩენს ამოცანის შესრულებაში. ამის გარდა, ც. პ-ების უმრავლესობა (ყველა, ვისი ინიციალებიც ცხრილში ვარსკვლავით გვაქვს აღნიშნული) აღწევს უკიდურეს სიადვილეს დავალების შესრულებაში და პირდაპირ ვირტუოზულად იწვევს სათანადო წარმოდგენის ისეთ განცდას, რომლის საფუძველზე ძლიერ განწყობისეულ ილუზიას იღებს. თუ ც. პ-ების უმრავლესობას პირველ ცდებში რამდენიმე ათეული ცდა ესაჭიროებოდა სათანადო ობიექტების ნათელი წარმოდგენისათვის, რამდენიმე ცდაში მონაწილეობის მიღების შემდეგ ასეთს წარმოდგენას ეს ც. პ-ები ინსტრუქციის მიღებისთანავე აღწევენ.

4. დასკვნები

ამრიგად, ობიექტური ექსპერიმენტული მონაცემები უეჭველად მოწმობენ იმას, რომ წარმოდგენის საფუძველზე ფიქსირებული განწყობის შემუშავების უნარი სრულიად მკაფიოდ და ძლიერად ვარჯიშდება: მატულობს ობიექტური ეფექტიც და დიდად იზრდება წარმოსახვის საფუძველზე ფიქსირებული განწყობის შემუშავების სიადვილე.

ისმის კითხვა—რაში მდგომარეობს ამ გავარჯიშების ბუნება. რის ხარჯზე ახერხებს ც. პ. ადვილად იმ ეფექტის მიღწევას, რასაც წინათ დაძაბულობითაც ვერ აღწევდა?

პირველ რიგში ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ თვითონ ც. პ.-ები, როგორც წესი, ვერ ერკვევიან ამ ვარჯიშის ბუნებაში: ც. პ.-ები ცდილობენ რაც შეიძლება ნათლად განიცადონ წარმოდ-

ჭენილი ობიექტები ცდის ხელმძღვანელის ინსტრუქციის თანახმად, რაც შეიძლება „ინტენსიურად“ განიცადონ სხვაობა დიდსა და პატარა ობიექტს შორის, რაც შეიძლება „აქტიურად“ მოახდინონ წარმოდგენილი დიდი და პატარა ობიექტის შედარება და ა. შ., რასაც ცდის ხელმძღვანელი მოითხოვს, და თანდათან ამჩნევენ, რომ მართლაც სულ უფრო და უფრო იოლად აღწევენ ამ „თვალსაჩინო განცდას“.

(სტუდ

ცდის პირები	I ცდა	II ცდა	III ცდა	IV ცდა
1. ბ. ა.	3 ას. 1 კ.	1 კ. 2 ას.	3 ას. 3 კ.	10 ას. 1 კ.
2. ს. ა.	0	1 კ.	0	2 კ.
3. კ.	0	0	2 კ.	3 კ.
4. გურ.	0	0	2 კ.	3 კ.
5. გრ. გ.	0	1 კ.	0	2 კ.
6. კ.	0	3 კ.	1 კ.	3 კ.
7. ალბ.	1 კ.	1 კ.	1 კ.	9 კ.
8. ყოლბ. მ.	0	2 კ.	3 კ.	5 კ.
9. ნადირ. შ.	0	0	0	8 კ. 1 ას.
10. შ. მ.	2 კ.	4 კ.	8 კ.	12 კ.

ც. პ-ების ნაწილი (უმთავრესად ფსიქოლოგები) გავარჯიშების პროცესში თანდათან სულ უფრო და უფრო ხშირად და სისტემატურად აღნიშნავს იმ შინაგანი აქტივობის მდგომარეობას („მთლიანი შინაგანი წარმართვა“, „მთელი სხეულის დაძაბვა“, „მთელი ორგანიზმის აქტივობა“), რომელზედაც ჩვენ სპეციალურად ეჩერდებოდით ზემოთ, როგორც წარმოსახვით ფიქსირებული განწყობის შემუშავების ერთ-ერთ ძირითად პირობაზე (იხ. უმთავრესად IV თავი).

როგორც ჩანს, ვარჯიშის მთავარი ეფექტი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის ც. პ.-ები, რომლებიც ვერ იმუშავებდნენ ფიქსირებულ განწყობას წარმოსახვის საფუძველზე, ცდის გამე-

ორების პროცესში თანდათან მიაღწევენ იმ აქტიური პოზიციის დაჭერას წარმოსახულ შინაარსთა მიმართ, რაც ჩვენი ცდისსიტუაციაში პირობას წარმოადგენს ფიქსირებული განწყობის შემუშავებისათვის წარმოდგენის საფუძველზე; ხოლო ის, ვინც პირველ ხანებშივე აღწევს ფიქსირებული განწყობის შემუშავებას, ოღონდ აღწევს ამას დიდი დაძა-

ცხრილი 29

ნტები)

V ცდა	VI ცდა	VII ცდა	VIII ცდა	IX ცდა	X ცდა
17 კ.	inf კ.	inf კ.	inf კ.	inf კ.	inf კ.
5 კ.	4 კ.	8 კ.	7 კ.	inf კ.	
4 კ.	5 კ.	4 კ.			
10 კ.	20 კ.	26 კ.	inf კ.	inf კ.	inf კ.
9 კ.	10 კ.	17 კ.	18 კ.		
28 კ.	inf კ.	inf კ.	inf კ.	inf კ.	
10 კ.	17 კ.				
6 კ.	5 კ.				
1 ას. 9 კ. 13 კ.	5 კ.				

ბულობით და ენერგიის დიდი ხარჯვის შედეგად, ცდების გამეორების პროცესში ვარჯიშდება იმ მხრივ, რომ სულ უფრო და უფრო ოლად ახერხებს სულ უფრო და უფრო აქტიური და უფრო „მთლიანპიროვნული“ პოზიციის დაკავებას წარმოსახულ შინაარსთა მიმართ და ამიტომ სულ უფრო ოლად და უფრო მტკიცე ფიქსირებულ განწყობას იმუშავებს წარმოსახულის საფუძველზე. ერთგვარ როლს ამ პროცესში უეჭველად ცდის ხელმძღვანელის დაჟინებითი ინსტრუქციაც თამაშობს; გავარჯიშების ცდებში ხელმძღვანელი სისტემატურად მოითხოვს „მთელი არსებით“ დავალებული ობიექტების რაც შეიძლება „ინტენსიურ განცდას“ და ა. შ.

მეტის თქმა გავარჯიშების ბუნების შესახებ აქ წარმოდგენილი მასალების მიხედვით ძნელია. როგორ აღწევენ ც. პ-ები მრავალი

ცდის შედეგად წარმოსახული შინაარსის სათანადო აქტიურ განცდას, როგორ ხდება ამ „შინაგანი აქტივობის“ გაძლიერება ცდების გამეორების პროცესში,—ამაზე პასუხის გაცემა ჯერჯერობით შეუძლებელია, რადგანაც ბუნებრივია, რომ ვერც ერთი ც. პ. ამ მიმართულებით ვერავითარ ჩვენებას ვერ გვაძლევს. უნდა ითქვას, რომ სუბიექტის მიერ გავარჯიშების საფუძვლის ასეთი გაუცნობიერებლობა საზოგადოდ დამახასიათებელია გავარჯიშებისათვის: ჩვეუ-

ცხრილი 30.

(თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები)

ცდის პირები	I ცდა	II ცდა	III ცდა	IV ცდა	V ცდა	VI ცდა	VII ცდა
1. საყვ. ლ.	6 კ.	8 კ: 6 კ.	25 კ.	inf კ.	inf კ.	inf კ.	
2. იოს. ლ.	5 კ.	სიადვილე 5 ას. 12 კ	inf კ.	inf კ.	inf კ.	inf კ.	inf კ.
3. ქარ. შ.	2 კ.	6 ას.	16 ას.	12 კ.	inf კ.	inf კ.	inf კ.
4. ჩახ. ამ.	2 კ.	6 კ.	სიადვილე 9 კ.				
5. კვ. კ.	2 კ.	6 კ.	სიადვილე 10 კ.	9 კ.			
6. ჩხ. ზ.	4 კ.	4 კ.	სიადვილე 12 კ.	14 კ.			
7. ანდრ. ოფ.	3 კ.	8 კ.	სიადვილე 6 კ.	10 კ.	inf კ.	inf კ.	
8. ზვ. ლ.	0	0	1 კ.	2 კ.	6 კ.	5 კ.	

ლებრივ სუბიექტი ცდილობს მიაღწიოს გარკვეულ შედეგს, უკეთ შეასრულოს მოცემული ოპერაცია და ამასობაში ამჩნევს, რომ ეფექტი იზრდება ან რომ შესრულება ადვილდება (მაგალითად, უკეთ იხსომებს მასალას მეხსიერების გავარჯიშების დროს; უკეთ იკერს წონასწორობას ველოსიპედით სიარულის დროს და ა. შ.), მაგრამ, როგორ მიიღწევა ეს გაადვილება ან ეფექტის მომატება, ამას სუბიექტი, როგორც წესი, ვერ აცნობიერებს, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ ადვილად შესამჩნევ, შედარებით ტლანქ მეთოდურ-ტექნიკურ ხერხებს, რასაც ც. პ. ვარჯიშის პროცესში მიმართავს, ისიც უმთავრესად მოტორულ ჩვევათა დაუფლების პროცესში. მაგრამ გავარჯიშების თვით არსი ჩვეულებრივ გაუცნობიერებელი რჩება—ადამიანი ახერხებს სულ უკეთეს დახსომებას, მაგრამ როგორ ახერხებს, არ იცის. ახალგაზრდა სულ უფრო და უფრო ბაღლა ხტება, მაგრამ რით აღწევს ამას, ვერ გეტყვის... ჩვენი ც. პ.-ები ყოველ ცდაში ცდილობენ სულ უფრო ღრმად, უფრო მეტი შინაგანი აქტივობით განიცადონ წარმოსახულ ობიექტთა შე-

დარება და, მართლაც, ყოველ მომდევნო ცდაში სულ უფრო და უფრო იოლად ახერხებენ აქტიურ განცდას და ამიტომ ამ წარმოსახული სიტუაციის შესატყვისი ფიქსირებული განწყობა მათ სულ უფრო ადვილად და უფრო მტკიცე სახით უმუშავდებათ. მაგრამ როგორ ახერხებს ც. პ. მეტი შინაგანი აქტივობის მიღწევას, როგორ ახერხებს სულ უფრო ინტიმურ და ღრმა პიროვნულ განცდას წარმოდგენილი შესადარებელი ობიექტებისას—ამას ც. პ. ვერ იტყვის!

2. თუ ჩვენს ცდებში გავარჯიშების მიმართულება სწორადაა გაგებული, ე. ი. თუ გავარჯიშება, მართლაც წარმოსადგენი ობიექტების მიმართ გარკვეული შინაგანი აქტივობის მთლიანპიროვნული პოზიციის შემუშავებაში მდგომარეობს, მაშინ ზემოთ დასმული კითხვა იმის შესახებ, თუ რატომაა, რომ ჩვენს ცდებში ჩვეულებრივ პირობებში ყველა ც. პ. ვერ იმუშავებს ფიქსირებულ განწყობას წარმოსახვის საფუძველზე, როდესაც ამის უნარი სპეციფიკურად ადამიანურია, შემდეგ პასუხს მიიღებს:

იმისათვის, რომ წარმოსახული სიტუაციის შესატყვისი ფიქსირებული განწყობა აღმოცენდეს, სუბიექტის დამოკიდებულება ამ წარმოსახული შინაარსის მიმართ უნდა იყოს სპეციფიკური, ცდის პირს ან უნდა სწამდეს წარმოდგენილი ობიექტის რეალური მოცემულობა, ან სპეციფიკური, ღრმაპიროვნული აქტივობით უნდა განეწყოს ამ წარმოსახული სიტუაციის მიმართ, ანალოგიურად მსახიობისა როლში, ან ბავშვისა ილუზიურ თამაშში.

ცდაში მიღებული დავალება (ორი წარმოსახული ბურთის ურთიერთშედარება სიდიდის მიხედვით) იმდენად არასერიოზულია, იმდენად უმნიშვნელოა პიროვნებისეულად, რომ იგი, ასე ვთქვათ, თავისით სათანადო განწყობის ფიქსაციას ვერ იწვევს. საამისოდ საჭიროა სათანადო აქტიური დამოკიდებულების განზრახ, ნებისმიერად შექმნა ამ წარმოსახული შინაარსის მიმართ. ვისაც აქვს განვითარებული სათანადო უნარი და ჩვევა თავისი ფანტაზიის შინაარსების მიმართ სპეციფიკური აქტიურობითი დამოკიდებულების შექმნისა, ანალოგიურად ბავშვის დამოკიდებულებისა ილუზიის თამაშის სიტუაციის მიმართ, ისინი (მსახიობები, თეატრალური ინსტიტუტის ნიჭიერი სტუდენტები და სხვ.), ჩვენი ცდების პირობებში იმთავითვე ადვილად და მტკიცედ ფიქსირებულ განწყობას იქმნიან წარმოსახული სიტუაციის მიმართ ყოველგვარი დაძაბვის გარეშე: მათ, ასე ვთქვათ, თამაშის განწყობა უმუშავდებათ. უმრავლესობისაგან კი შინაგანი აქტივობის ასეთი

ნებისმიერი შექმნა წარმოსახული ბურთების შედარების მიმართ დიდ დაძაბვას მოითხოვს, ხოლო ცდების განმეორების გამო ეს ც. პ-ებიც ვარჯიშდებიან სათანადო მიმართულებით და წარმოდგენილი უმნიშვნელო სიტუაციის მიმართაც უკვე ადვილად იმუშავებენ სათანადო აქტიურ დამოკიდებულებას; ც. პ -ების მცირე ნაწილი დასაწყისში ამას სულ ვერ ახერხებს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მათ საზოგადოდ არა აქვთ უნარი ფიქსირებული განწყობის შემუშავებისა წარმოსახვის საფუძველზე, არა! ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ცდაში დავალებული ორი ბურთის წარმოსახვაში შედარება სიდიდის მიხედვით არ იწვევს მათში სათანადო განწყობას, ხოლო ნებისმიერად ამ შინაგანი აქტიური დამოკიდებულების შექმნა წარმოდგენილ ობიექტთა მიმართ მათ არ შეუძლიათ.

დავალებული შინაარსის წარმოდგენა არაა, ერთი მხრივ, იმდენად წარმტაცი და მიმზიდველი, რომ უნებურად „თამაშის განწყობა“ შექმნას, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოდგენილი შინაარსი მოკლებულია პიროვნებისეულად მნიშვნელოვან „სერიოზულობასაც“ და რეალური მნიშვნელობის მატარებლობასაც. ამიტომ იგი „სერიოზული სიტუაციის“ განწყობასაც ვერ შექმნის, ხოლო ნებისმიერად სათანადო აქტიური, გაზვიადებული დამოკიდებულების შემუშავება წარმოდგენილის მიმართ ზოგიერთ ც. პ-ს, როგორც უკვე ვთქვით, გავარჯიშების გარეშე არ შეუძლია.

საერთო დასკვნები

1

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ჩვენი ძირითადი საკითხი—წარმოსახვის განმაწყობელი მოქმედების შესახებ, დადებითად გადაწყდა: წარმოსახვის საფუძველზე ფიქსირებული განწყობის შემუშავება ექსპერიმენტულად დადგენილ უდავო ფაქტს წარმოადგენს. წარმოსახვის ქმედითი გამოვლინება ადამიანის მოქმედებაში განწყობისეული ბუნებისაა.

2

1. წარმოსახვის განმაწყობელი მოქმედება რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული. წარმოდგენა თავისთავად, რაგინდ თვალსაჩინო იყოს იგი, ვერ განაწყობს სუბიექტს, თუ მას წარმოდგენილის მიმართ სპეციფიკური აქტიური დამოკიდებულება არა აქვს: ეს ფაქტი წარმოადგენს იმ ზოგადი კანონზომიერების კერძო გამოვლინებას, რომელიც განწყობის უზნაძისეული თეორიის ძირითად დებულებაშია ასახული, რომლის თანახმად (განწყობის აღმოცენების აუცილებელ საფუძველს სუბიექტის სათანადო მოთხოვნილება შეადგენს.

2. გავრცელებული შეხედულება, რომლის თანახმად წარმოსახვის ქმედითი გამოვლენა უმთავრესად წარმოდგენის თვალსაჩინოების, მისი სინათლის, სიცხოველის ხარისხზეა დამოკიდებული, ექსპერიმენტულად არ დადასტურდა.)

წარმოდგენის თვალსაჩინოება შეიძლება შეადგენდეს ერთერთს, არა გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორთაგანს, მაგრამ

ჩვენი მრავალგვარი ექსპერიმენტების პირობებში ეს ფაქტორი (თუ-კი ასეთი არსებობს) იჩრდილება ძირითადი ხასიათის ფაქტორებით.

3. წარმოდგენილის განმაწყობელი მოქმედება არსებითად განსხვავებულია, პირველ რიგში, იმის მიხედვით დარწმუნებულია სუბიექტი წარმოდგენილის რეალურ მოცემულობაში, თუ პირიქით, არ გულისხმობს მას რეალურად.

პირველ შემთხვევაში წარმოდგენა იმთავითვე „საგანწყობო ობიექტია“: იგი განმაწყობლად მოქმედებს უკვე იმის გამო, რომ სუბიექტი მის მიმართ, როგორც რეალობის მიმართაა განწყობილი და ის ოპერაციები (ცერძოდ, ჩვენს ცდებში შედარების ოპერაცია), რომელსაც აწარმოებს სუბიექტი წარმოსახული შინაარსების მიმართ, სათანადო განწყობის აღმოცენებას გულისხმობს, ხოლო ამ ოპერაციების გამეორება ამ განწყობის ფიქსაციას ახდენს.

სულ სხვა მდგომარეობაა მეორე შემთხვევაში, როდესაც სუბიექტმა იცის წარმოსახულის არარსებობის შესახებ: იმისათვის, რომ ამ შემთხვევაშიც აღმოცენდეს წარმოდგენილის მიმართ სათანადო განწყობა, სუბიექტმა უნდა შექმნას წარმოსახულის მიმართ სპეციფიკური შინაგანი აქტიური დამოკიდებულება.

ეს აქტიური დამოკიდებულება შეიძლება ნებისმიერადაც იქმნებოდეს და უნებლიედაც: იმისათვის, რომ აღმოცენდეს სათანადო განწყობა წარმოსახულის მიმართ ან სუბიექტმა ნებისმიერად უნდა შექმნას თავისთავში აქტივობის ინტენსიური შინაგანი მდგომარეობა—წარმოსახულის მიმართ სპეციფიკური აქტიური პოზიცია დაიჭიროს, როგორც ეს ჩვენს ცდებში ხდება, ანდა ეს, აქტივობის შინაგანი მდგომარეობა უნებურად უნდა შეიქმნას, რაც იმ შემთხვევაში ხდება ხოლმე, როდესაც წარმოსახული შინაარსი დაინტერესებს, მიიზიდავს სუბიექტს, როგორც ეს ბავშვში ხდება ილუზიური თამაშისა ან ზღაპრის მოსმენის დროს ანდა ზრდადამთავრებულშიც, მაგალითად, მხატვრული ნაწარმოების კითხვისას.)

4. აღნიშნული სპეციფიკური აქტიური დამოკიდებულების ნებისმიერი შექმნა ისეთი შინაარსების მიმართ, რომლის არ არსებობის შესახებ სუბიექტმა იცის, როგორც დავინახეთ, სხვადასხვა ცდის პირებისაგან არსებითად განსხვავებულ დაძაბვას მოითხოვს. (წარმოსახულის მიმართ განწყობის შემუშავების უნარი, როგორც დავინახეთ, ინტერინდივიდუალურად დიდად განსხვავებულია.)

(აქტიურ პოზიციას წარმოსახულის მიმართ განსაკუთრებით ადვილად, ჩვენი ცდების მონაცემებით, სასცენო გარდასახვის უნარის

მქონე პირები იმუშავებენ. საზოგადოდ კი ჩვენი დაკვირვებით ეს უნარი განსაკუთრებით ახასიათებს იმ ტიპის ადამიანებს, ვის შინაგან ცხოვრებაშიც ოცნებას და საზოგადოდ ფანტაზიას დიდი ხვედრითი წონა აქვს, ვის ცხოვრებაშიც წარმოსახვა დიდ როლს ასრულებს.

ჩვენი დაკვირვებით ამ ტიპის ადამიანები ცდების დროს, ისევე როგორც, კერძოდ, სასცენო გარდასახვის უნარის მქონე ცდისპირები, ძალიან ადვილად, თითქმის შეუმჩნეველი დაძაბვით აღწევენ ძლიერი და მტკიცე განწყობის შემუშავებას წარმოსახვის საფუძველზე, მაშინაც, როდესაც წარმოსახულს არაფერი არ შეესატყვისება სინამდვილეში და მაშინაც კი, როდესაც წარმოსახულს ეწინააღმდეგება ცდის პირის მიერ აქტუალურად აღქმული.

ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ თუმცა ნებისმიერად წარმოსახვით განწყობის შემუშავება ერთგვარ დაძაბვას გულისხმობს, მაგრამ იგი მაინც, პირველ რიგში, ნებისყოფის გამოვლენას კი არ წარმოადგენს, მისი წარმატება, ასე ვთქვათ, ნებისყოფის სიძლიერეზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ სპეციფიკურ უნარზე, რომელიც პიროვნების შინაგანი სტრუქტურის თავისებურების გამოვლენას წარმოადგენს.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ ტიპის ადამიანები, ვისაც „მშრალ პრაქტიკოსებს“ უწოდებენ ხოლმე ვულგარულ ფსიქოლოგიაში, ე. ი. ადამიანები, რომელთა ცხოვრებაში ოცნება და საზოგადოდ ფანტაზიის სამყარო არ თამაშობს ოდნავად მნიშვნელოვან როლს, (რომელნიც ცხოვრებაში ანგარიშს უწევენ მხოლოდ სავსებით რეალურ სიტუაციას, ასეთ ადამიანებს წარმოსახვით განწყობას შემუშავება გაუჭირდებათ, მეტადრე თუ წარმოსახული აღქმას ეწინააღმდეგება. ასეთი ადამიანი არ აღელდება თეატრში ან რომანის კითხვისას, რადგანაც იცის, რომ სცენაზე წარმოდგენილი ან რომანში დაწერილი არაა ნამდვილი—„გამოგონილია“) და პირიქით მათი საწინააღმდეგო ტიპის ადამიანები—„ფანტაზიორებს“ რომ უწოდებენ ვულგარულ ფსიქოლოგიაში, ადამიანები, რომელთა

ცხოვრებაში დიდ როლს ფანტაზიის სამყარო თამაშობს, რომელნიც თეატრის თუ კინოფილმის მაყურებლის მდგომარეობაში ანდა რომანის კითხვისას უკიდურესად განიცდიან აღქმულს, „ღელავენ“— ასეთი ადამიანები ადვილად შეიმუშავებენ განწყობას წარმოსახვის საფუძველზე. დონკიხოტი ალბათ, უაღრესად ადვილად შეიმუშავებდა მტკიცე განწყობას წარმოსახვის საფუძველზე!

ერთი სიტყვით, ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ წარმოსახვით განწყობის შემუშავების უნარი, პირველ რიგში, მ თ ლ ი ა ნ ი პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს თ ვ ი ს ე ბ ა ს, პიროვნების თავისებურების გამოვლინებას წარმოადგენს და ა რ ა თ ვ ი თ წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ს ფ ე ნ ო მ ე ნ ო ლ ო გ ი უ რ ი თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ი ს გ ა მ ო ვ ლ ე ნ ა ს.

ეს გარემოება განსაკუთრებით თვალსაჩინოდ იჩენს თავს ბავშვის თამაშში; შემთხვევითი არ არის, რომ სტანისლავსკი ბავშვის თამაშს იდეალად უსახავს მსახიობებს: «Вот у кого надо нам учиться играть»[1], «Вот когда вы дойдете в искустве до правды и веры детей в их играх, тогда вы сможете стать великими артистами»[2].

საქმე ის არის, რომ როგორც ეს ზემოთ გვქონდა აღნიშნული (იხ. თავი მეხუთე), ე. წ. ილუზიურ თამაშში ბავშვი დიდ ენერგიას ავითარებს წარმოსახულის შესატყვისი ქცევის წარმოებისათვის— თამაშობს დაქანცვამდე, დიდ ბუნებრიობას აღწევს ამ წარმოსახული სიტუაციის შესატყვის ქცევაში და მის შესატყვის ცხოველ ემოციებს განიცდის: მისი თამაშის წარმოსახული სიტუაციის ვინმეს მიერ დარღვევა, ბავშვში სერიოზულ წყენას და ტირილს იწვევს.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბავშვს (განსაკუთრებით სამიდან ექვს წლამდე) საზოგადოდ ახასიათებს წარმოსახვის გზით განწყობის ადვილი შემუშავება.

ცხადია, რომ ბავშვს სულაც არ სჭირდება საგანგებო ნებისყოფის აქტი, არ სჭირდება დაძაბვა იმისათვის, რომ ხის ნაჭერში, რომელსაც ის ნაზად ხძინებს, პატარა ბავშვი („შვილი“) იგულისხმოს და შესატყვისად განეწყოს მის მიმართ, ან რომ ჯოხში, რომელსაც ის გადაალაჯებს, ცხენი იგულისხმოს და სათანადოდ განეწყოს — აჭამოს მას თივა, დაალევინოს წარმოსახული წყალი, გააჭენოს, დაასვენოს და ა. შ.

---

[1] К. С. Станиславский, Работа актера над собой, II изд., стр. 246.

[2] იქვე, გვ. 277.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბავშვის ასაკში წარმოსახული ძალიან ადვილად იწვევს მისი შესატყვისი განწყობის შემუშავებას[1]. ბავშვი, რომლისთვისაც უცხოა კონტანპლატურობა, რომელიც აქტიურია თავისი ბუნებით, ადვილად იპერს აქტიური დამოკიდებულების პოზიციას იმ წარმოსახული შინაარსის მიმართაც, რომელიც მას აინტერესებს. ამას ადასტურებს ის ინტენსიური განცდებიც, რომელსაც იწვევს ბავშვში თუნდაც ზღაპარი ან თოჯინების თეატრის სპექტაკლი, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვმა კარგად იცის ზღაპარში აწერილი ამბების შეუძლებლობა, იცის რომ არ არსებობს ეს დევები, ალები და ა. შ. და კარგად იცის, რომ თოჯინების თეატრში თოჯინებს აამოძრავებს ადამიანი თავისი ხელით...

უნდა ვიფიქროთ, რომ ბავშვის ეს თვისება და კერძოდ, ილუზიური თამაშის ეგოდენ ცხოველი განცდა, შედეგია არა ბავშვის ფანტაზიის, როგორც ასეთის, როგორც ფუნქციის თავისებურებისა, არამედ ეს არის პიროვნების სტრუქტურის იმ თავისებურების გამოვლენა, რომლის გამო ამ ასაკში ადამიანის ცხოვრებაში დიდი ხვედრითი წონა აქვს ოცნებას—ფანტაზიის სამყაროს, რომელსაც ბავშვი ჯერ ისევ მკვეთრად არ უპირისპირებს რეალურ სინამდვილეს, როგორც ეს დიდებისათვის არის დამახასიათებელი; საკმარისია წარმოსახული შინაარსი ბავშვისათვის საინტერესო აღმოჩნდეს, ე. ი. შეესატყვისებოდეს ბავშვის ინტერესებს, რომ მის მიმართ მაშინათვე აღმოცენდეს ის აქტიური დამოკიდებულება, რომელიც სათანადო განწყობის აღმოცენების პირობას წარმოადგენს. ბავშვს ამისათვის არავითარი დაძაბვა, არავითარი ნებისმიერი პოზიციის დაჭერა არ სჭირდება!

აქტიური შინაგანი მდგომარეობის შესაქმნელად ბავშვისათვის სულ არ არის აუცილებელი სწამდეს წარმოსახულის რეალური მოცემულობა—ამისათვის საკმარისია დაინტერესება წარმოსახული შინაარსით, ხოლო დაინტერესება წარმოსახული შინაარსით ამ ასაკში მეტად ადვილია.

5. სხვა საკითხია—თუ არის ამ გზით შექმნილი ე. წ. წარმოსახულის არ არსებობის შესახებ ცოდნის პირობებში შექმნილი გან-

---

[1] ეს საკითხი დიდი ხანია დგას ჩვენს წინაშე—მას ექსპერიმენტული შესწავლა უნდა. ოღონდ ცხადია, ბავშვზე ცდების დაყენება ამ საკითხის გამოსარკვევად სულ სხვა მეთოდებს მოითხოვს, ვიდრე ჩვენ გვქონდა გამოყენებული ზემოაღწერილ ცდებში ზრდადამთავრებულ ადამიანებთან წარმოსახვით განწყობის შემუშავების საკვლევად.

წყობა იგივე რაც რეალობის საფუძველზე აღმოცენებული განწყობა და თუ არის ამ განწყობის საფუძველზე გაშლილი ქცევა და აღმოცენებული განცდები იმავე ბუნებისა, როგორც რეალობისადმი განწყობის საფუძველზე აღმოცენებული განცდები?

ეს საკითხი, რომელიც ჩვენს წინაშე დადგა სასცენო გარდასახვის ფსიქოლოგიური საფუძვლების საკითხთან დაკავშირებით (იხ. თავი მეხუთე) ნეგატიურად უნდა გადაწყდეს.

საქმე ის არის, რომ (წარმოსახვით შექმნილი განწყობა, როგორც სასცენო გარდასახვისა, ისე ბავშვის ილუზიური თამაშის შემთხვევაში არსებითად უნდა განსხვავდებოდეს აქტუალური აღქმის ან რეალური ფაქტის წარმოდგენით შექმნილი განწყობისაგან, რამდენადაც მსახიობის სასცენო მოქმედებაც და ბავშვის მოქმედებაც ილუზიურ თამაშში, მიუხედავად თავისი „ბუნებრივობისა", მიუხედავად თავისი შესატყვისობისა წარმოსახულთან, მაინც ა რ ს ე ბ ი თ ა დ გ ა ნ ს ხ ვ ა ვ დ ე ბ ა ს ა თ ა ნ ა დ ო რ ე ა ლ უ რ ი ქ ც ე ვ ი ს ა გ ა ნ — ი გ ი მ ა ი ნ ც თ ა მ ა შ ი ს ხ ა ს ი ა თ ს ა ტ ა რ ე ბ ს: ოტელო-მსახიობი არ ახრჩობს დეზდემონა-მსახიობს; ბავშვის ცხენმა-ჯოხმა ცხენის რაიმე ნამდვილი თვისება რომ გამოამჟღავნოს, ბავშვს შეეშინდება.

უდავოა, რომ როდესაც ადამიანი ნებისყოფის დიდი დაძაბვით, თუ უშუალოდ, ყოველგვარი დაძაბვის გარეშე, განეწყობა იმ წარმოდგენის საფუძველზე, რომლის შინაარსის არარეალურობა მისთვის ცნობილია, მით უმეტეს, როდესაც ამ წარმოდგენას იმავე დროს აღქმული შინაარსი ეწინააღმდეგება, მაშინ აღმოცენებული განწყობა არაა იგივე, რაც განწყობა აღმოცენებული აქტუალური აღქმისა ან რეალურად მოცემულის წარმოდგენის მიმართ. პირველი „ვითომ არსებულის" მიმართ განწყობაა, მეორე კი „ნამდვილად არსებულის" მიმართ განწყობაა! პირველი თამაშის განწყობაა, მეორე კი სერიოზული მოქმედების განწყობაა, რომელიც რეალურად მოცემულს შეესატყვისება. პირველი სერიოზულ მოქმედებას ვერ გამოიწვევს, რადგანაც ეს არის არანამდვილის მიმართ განწყობა.

ეს გარემოება იმ გრძნობების თავისებურებაშიც ვლინდება, რომელსაც განიცდის ამ დროს სუბიექტი-მსახიობი სცენაზე და ბავშვი ილუზიურ თამაშში. მაყურებლის „ღელვა" თეატრში (ასევე მკითხველის ღელვა რომანის კითხვის დროს) ზოგჯერ ცრემლებსაც იწვევს. ეს გრძნობა იმიტომ ჩნდება, რომ წარმოსახულმა სათანადოდ განაწყო სუბიექტი, მაგრამ ეს არანამდვილის წარმოდგენით გამოწვეული გრძნობებიც არსებითად განსხვავდებიან სერიოზუ-

ლი, რეალურად მოცემული სიტუაციის შესატყვისი გრძნობებისაგან!

ამ სახის გრძნობებს უკანასკნელ ხანებში გამოყოფენ ხოლმე ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში, როგორც გრძნობათა განსაკუთრებულ კლასს,— განსაკუთრებული თვისების მატარებელ გრძნობებს. ამ გრძნობებს „არასერიოზულ გრძნობებს" (ვ. შტერნი[1]—Unernsie Gefühle), ანდა „მფრინავ გრძნობებს" (Schwebende Gefühle)[2] უწოდებენ[3]. არასერიოზულს იმ აზრით, რომ ეს გრძნობები არ თამაშობენ როლს სერიოზულ პრაქტიკულ ცხოვრებაში.

სცენაზე ნახული იაგო იწვევს ჩვენში სიძულვილს, დეზდემონა იტელოს როლის შემსრულებელ მსახიობში ეჭვიანობის გრძნობას იწვევს, მაგრამ ეს სიძულვილი და ეჭვის გრძნობა, ისევე როგორც ბავშვის მიერ თამაშში განცდილი წარმოსახული მგლის შიში, ან გოგონას სიყვარული თავისი „შვილის" (ხის ნაჭერის) მიმართ, სხვა ოოლს თამაშობს სუბიექტის პიროვნებაში და მის ცხოვრებაში, ვიდრე რეალურ ცხოვრებაში რეალური პირების მიმართ განცდილი სერიოზული სიყვარულის, შიშის, ეჭვისა და სიძულვილის გრძნობები.

(უღრმესი სასცენო ტრაგედიით ატირებულ მაყურებელს ან ამ ტრაგედიის განმცდელ მსახიობს ტრაგიკულის „არასერიოზული" გრძნობა არ უშლის მხიარულ გუნებაზე დარჩენას ფარდის ჩამოშვების შემდეგ. ამგვარი გრძნობის განცდა არ სტოვებს კვალს პიროვნებაში, იგი არაა ღრმა გრძნობა[4]. გარდა ამისა, ასეთი გრძნობა სხვადასხვარ დამოკიდებულებას გულისხმობს მისი ობიექტის მიმართ, ე. ი. წარმოსახულის, წარმოდგენილის, თუ გათამაშებულის მიმართ, ვიდრე ის დამოკიდებულება, რაც „სერიოზული" გრძნობის ობიექტის მიმართ განიცდება.

(როგორც ჩანს „არასერიოზული", მფრინავი გრძნობების საფუძველს ის წარმოსახვით შექმნილი განწყობა შეადგენს, რაც

---

[1] იხ. W. Stern, Allgemeine Psychologie auf personalistischer Grundlage, 1950, გვ. 625 და შემდ.

[2] Pfender. Psychologie der Gesinnungen, 1921.

[3] იაკობსონი. მსახიობის სასცენო გრძნობათა სპეციფიკურობას სწორედ ამ პფენდერის შრომიდან ნასესხები ცნებით—„მფრინავი გრძნობების" ცნებით გამოხატავს.—Якобсон, Психология сценических чувств актёра, 1936.

[4] ვ. შტერნი თვლის, რომ არასერიოზული გრძნობა შეიძლება ღრმაც იყოს. ამ აზრის გაზიარება ძნელია; სხვა არა იყოს რა, ღრმა გრძნობის პირველი სიმპტომია, რომ იგი კვალს ტოვებს სუბიექტში, ცვლის მას, მფრინავი გრძნობები. კი, პირიქით, არ ცვლიან პიროვნებას, ნაკლებად ტოვებენ მასში კვალს.

აღმოცენდება იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოსახულის განცდას (წარმოდგენას) თან ახლავს ცოდნა მისი არ არსებობის შესახებ; (უნდა ვიგულისხმოთ რომ ეს განწყობა განსხვავდება რეალური სიტუაციის მიმართ აღმოცენებული განწყობისაგან)

(ამ განსხვავებულ განწყობათა საფუძველზე ადამიანის ქცევაც განსხვავებულ პლანში მიმდინარეობს—უკანასკნელ შემთხვევაში სერიოზული ცხოვრების, სერიოზული მოქმედების პლანში, პირველ შემთხვევაში კი თამაშისა ან ხელოვნებითი შემოქმედების პლანში.

6. ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება არ იყოს მნიშვნელობას მოკლებული ჩვენი ექსპერიმენტის ერთ-ერთი ზემოგანხილული მონაცემი, რომელშიაც მჟღავნდება წარმოსახვის საფუძველზე ნებისმიერად შექმნილი განწყობის ერთ-ერთი სპეციფიკური გამოვლინება.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს ზოგიერთ ც. პირთან დადასტურებული შემთხვევები, როდესაც წარმოსახვის საფუძველზე აღმოცენებული ილუზიური აღქმა „არა ნამდვილის", „არარეალურის", „ჰაეროვანის" და ა. შ. შთაბეჭდილებას სტოვებს ც. პირში (იხ. ზემოთ, თავი მეორე), რაც იჩენს თავს მაშინ, როდესაც წარმოსახულს „საგანწყობო" შინაარსს რეალური საგნის აღქმა ეწინააღმდეგება. ბაგალითად, ობიექტურად ტოლი ბურთების ჰაპტური აღქმის დროს ც. პირი ნ. ად. აღნიშნავს ილუზიურად აღქმული დიდი ბურთის შესახებ—„ძირითადი ბირთვი მკვრივია—ის არ არის დიდი მაგრამ მის გარშემო რაღაცა რბილი მასაა, ჰაეროვანი". ან „თითქოს სიმსივნეა რაღაცა და თანაც არა ნამდვილია; თითქოს არა რეალურია ეს დანართი".

ხომ არ არის მიღებული ილუზიური აღქმის ეს „არანამდვილობა", არარეალურობა იმის შედეგი, რომ ეს განწყობისეული ილუზია აღმოცენდა აღქმულის საწინააღმდეგო წარმოდგენის საფუძველზე?

ხომ არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის გრძნობები რომელნიც აღმოცენდებიან მკითხველში ლიტერატურული ნაწარმოების კითხვისას, ან სპექტაკლის აღქმისას, შეთხზული, არარსებული პირებისა და ამბების მიმართ, იმიტომ არის „მფრინავი" და „არასერიოზული", რომ ეყრდნობიან „არანამდვილი" სიტუაციის განწყობას, განწყობას, რომელიც აღმოცენდა იმ სიტუაციის მიმართ, რომლის არანამდილობის შესახებ სუბიექტმა იცის?

მართალია, ილუზიური აღქმის ზემომოყვანილ სპეციფიკურ განცდას (იხ. ზემოთ ც. პ. ნ. ად. ჩვენებები) მხოლოდ რამდენიმე ც. პირი მიუთითებს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ განცდის „დაჭე-

რა" თვითდაკვირვებით არ არის ბოლი საქმე. მით უმეტეს, რომ ამ მიმართულებით ჩვენი ც. პირების ყურადღებას არავინ წარმართავდა. ადვილი შესაძლებელია ეს ფენომენი ბევრად უფროა გავრცელებული. ყოველ შემთხვევაში, ვიმეორებთ, საგულისხმოა, რომ ისინი იჩენს თავს იმ ცდებში, სადაც ც. პირს უხდებოდა წარმოსახვით განწყობის შექმნა აქტუალური აღქმის საწინააღმდეგოდ. სადაც ც. პირმა არა მხოლოდ ნამდვილად და მტკიცედ იცოდა, რომ წარმოდგენილი არ შეესატყვისება სინამდვილეს, არამედ უშუალოდ სენსორულადაც აღიქვამდა იმ რეალურ საგნებს, რომელნიც განსხვავდებიან წარმოსახული შინაარსისაგან.

7. სასცენო გარდასახვის ფსიქოლოგიური საფუძვლების საკითხთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას ჩვენი ც. პირების მიერ ისეთი ხერხებისადმი მიმართვას, რომელნიც სტანისლავსკის სისტემაში ნაგულისხმევი „ფიზიკური მოქმედების" და „შეგუების" (физическое соблюдение) ხერხის სრულ ანალოგიას წარმოადგენენ.

ჩვენი ც. პირების უმრავლესობას, როგორც ზემოთ დავინახეთ (იხ. თავი IV), უჭირდა არარსებულის ნათელი წარმოსახვა და წარმოსახულის სათანადო აქტივობით განცდა: ამ ამოცანის შესასრულებლად ეს ცდის პირები მიმართავდნენ ხოლმე იმ პატარა მოქმედებათა ან მოძრაობათა შესრულებას, რომელიც შეესატყვისება წარმოსახულის შინაარსს. მაგალითად, თუ ც. პირი ~~ეკერ~~ ახერხებს ცალ ხელში დიდის და მეორეში პატარა ბუოთის თვალსაჩინო წარმოდგენას, როდესაც სინამდვილეში ორივე ხელში ტოლი ბურთები უჭირავს, იგი თითებით ისეთ მოძრაობებს ~~ასრულებს~~. ოთქოს ~~ცალთლაც ცალ ხელს კიდებს დიდ ბურთს და მეორე ხელს~~ კი პატარას.

საგულისხმოა, რომ სტანისლავსკის სისტემაზე აღზრდილი მეორე სამხატვრო თეატრის ყოფილი მსახიობი, რეჟისორი ერმილოვი, რომელიც ხშირად მიმართავს ამგვარ ხერხებს ჩვენი ცდის დროს სპონტანურად უწოდებს ამ ხერხს „შეგუებას" («приспособление» იხ. ზემოთ, თავი მეექვსე).

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს სრული ანალოგია ჩვენი ც. პირების მიერ გამოყენებული ხერხისა, რომელსაც ისინი მიმართავენ წარმოსახვით განწყობის შესაქმნელად, სტანისლავსკის სისტემაში გამოყენებულ ხერხებთან, კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს დებულებას: სტანისლავსკის სისტემის ძირითადი ხერხების ეფექტურობა მსახიობში წარმოსახული სიტუაციის შესატყვისი ფიქსირებული განწყობის შემუშავებაში მდგომარეობს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (თავი მეხუთე) ამ ხერხების გამოყენების შედეგად სამხატვრო თეატრი ახერხებს მსოფლიო თეატრის ისტორიაში უნახავი ბუნებრივობით ისეთი ტიპის რეალისტური პიესების დადგმას, როგორც ჩეხოვის პიესებია, სადაც დიდი ხვედრითი წონა აქვს სცენაზე გაშლილ „მცირე საქმეებს", საყოფაცხოვრებო მომენტებს, ყოველდღიური ცხოვრების დეტალებს, ჩვეულებრივი ადამიანების საყოფაცხოვრებო ქცევას, რის მიმართაც განწყობის შესამუშავებლად დიდი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული ხერხების გამოყენებას („შეგუებას", „ფიზიკურ მოქმედებას" და ა. შ.).

8. სასცენო გარდასახვის ფსიქოლოგიური ბუნების საკითხთან დაკავშირებით ხაზგასასმელია ჩვენს ცდებში მრავალი გზის ექსპერიმენტულად დადგენილი შედეგი: სასცენო გარდასახვის უნარის მაღალი კორელაცია წარმოსახვით ფიქსირებული განწყობის შემუშავების უნართან, საზოგადოდ, და განსაკუთრებით კი, აქტუალური აღქმის საწინააღმდეგო შინაარსის წარმოსახვის საფუძველზე ფიქსირებული განწყობის შემუშავების უნართან.

9. რაც შეეხება საკითხს, ოცნების წარმოდგენათა არაერთნაირი განმაწყობელი მოქმედების შესახებ—საკითხს იმის შესახებ, თუ რატომაა რომ ზოგი ოცნება ქმედითია—სამოქმედოდ განაწყობს სუბიექტს, ზოგი კი პირიქით, პასიურობისაკენ უბიძგებს მას (грёзы), ზემოთ განხილული ცდების ვითარებიდან ცხადია, რომ წარმოსახვის წარმოდგენათა პიროვნებისეული მოქმედების ამ სხვაობის საფუძვლები თვით წარმოდგენის თავისებურებაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ სუბიექტის დამოკიდებულებაში წარმოსახულის მიმართ: კონტამპლატური დამოკიდებულება წარმოსახულის მიმართ—მაგალითად, ოცნების ხატთა მიმართ, არ განაწყობს ადამიანს სამოქმედოდ, პირიქით, სასურველი და სასიამოვნო შინაარსის ხატებით შინაგან კმაყოფილებას იწვევს და აქტივობის მოდუნებას, თუ კი ამ წარმოდგენებში სუბიექტის მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი შინაარსია მოცემული, როგორც ეს, „პასიური ოცნებისათვის" (грёзы) არის დამახასიათებელი. პირიქით, ოცნებაში წარმოდგენილის მიმართ როგორც შესასრულებელის მიმართ აქტიური დამოკიდებულება მოქმედების განწყობას ქმნის, სამოქმედოდ განაწყობს სუბიექტს. მით უმეტეს, თუ სუბიექტის მიერ წარმოდგენილი მომავალი სიტუაციის რეალურობა, ან რეალური

ბოცემულობა შესაძლებლობა სწამს სუბიექტს. თუ წარმოდგენილი სიტუაციის მიმართ სუბიექტი, როგორც რეალურის მიმართ არის განწყობილი. როგორც ზემოთ დავინახეთ, ასეთ შემთხვევაში წარმოსახვის განმაწყობელი მოქმედება განსაკუთრებით ეფექტურია და აარ მოითხოვს სუბიექტისაგან დამატებით აქტივობას საოანადო განწყობის შესაქმნელად.

3.

როგორც ჩვენი ცდებიდან გამოირკვა წარმოსახვით შექმნილი განწყობის გამოვლინებებს თავისებურებათა რიგი ახასიათებს. ექსპერიმენტული მონაცემების განხილვისას ჩვენ გზადაგზა გაკვრით შევეხეთ ამ თავისებურებებს. ამ მოვლენათა უმეტესობა, ცხადია, სპეციალურ კვლევას მოითხოვს. მაგრამ რამდენადაც ყველა ეს ფენომენი დადგენილია ექსპერიმენტულად, ვფიქრობთ, რომ მათი ზოგიერთი აღწერა წინამდებარე ნაშრომის დასკვნებში უნდა იყოს ასახული.

1. ილუზიის ტრანსპოზიცია (განწყობის ირადიაცია). იმ ოთხი მეთოდის აღწერისას, რომელიც გამოყენებული გვქონდა წარმოსახულის რეალურობის გულისხმობის ფაქტორის გამოსარკვევად (იხ. თავი მე-4) აღწერილი იყო, რომ თითოეული ეს ცდა ტარდებოდა ორ ვარიანტში. ს ა გ ა ნ წ ყ ო ბ ო ც დ ე ბ ი ოთხივე ტიპის ექსპერიმენტში დაყენებული იყო ო პ ტ ი კ უ რ ი წარმოდგენის გამოწვევით: ცდის პირს ოპტიკურად უნდა წარმოედგინა კოლოფებში გარკვეული სიდიდის ბურთები, მაგრამ კრიტიკული ცდები ჩვეულებრივ ორი ვარიანტით ტარდებოდა: ერთ შემთხვევაში (ძირითადი ცდა) ჰაპტურად—ცდის პირი ჩაჰყოფს ხელებს კოლოფებში და ხელის მოკიდებით ადარებს საკონტროლო ბურთებს; მეორე შემთხვევაში—ოპტიკურად: ც. პირს უცბად ვუჩვენებთ, კოლოფების თავზე აწეულს, ტოლ ბურთებს და ისევ დავმალავთ.

ამრიგად, პირველ ვარიანტში განწყობის გამოვლინება ს ხ ვ ა მ ო დ ა ლ ო ბ ა შ ი ხდებოდა, ვიდრე განწყობის შემუშავება, ე. ი. ცდის ეს ვარიანტი განწყობის ი რ ა დ ი ა ც ი ა ს და ილუზიის ტ რ ა ნ ს პ ო ზ ი ც ი ა ს გულისხმობდა.

როგორც ცნობილია, აქტუალური აღქმით გამოწვეული განწყობის შემთხვევაში ოპტიკური არიდან ილუზიის ტრანსპოზაცია ჰაპტურ არეზე არ აღწევს შემთხვევათა ნახევარსაც: ნ. ადამაშვი-

ლის სპეციალური გამოკვლევის[1] მიხედვით კონტრასტული ილუ-ზიის ტრანსპოზიცია 13%-ს ახასიათებს, ასიმილაციური—33%-ს; ხოლო, ავტორის აზრით, ილუზიის ნამდვილი (უეკველი) ტრანსპო-ზიცია შემთხვევათა 25%-ში ხდება.

სრულიად სხვა შედეგი გვაქვს მიღებული განწყობის შემუ-შავებისას ოპტიკური წარმოდგენის საფუძველზე: აქ ტრანსპოზიცია ჰაპტურ სფეროზე დადასტურდა სრული 100%-ით ყველა იმ ცდის პირზე. ვისაც საზოგადოდ შეუმუშავდა განწყობა წარმოდგენის გზით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვისთანაც წარმოდგენით შექმნილი ფიქსირებული განწყობა გამოვლინდა იმავე მოდალობაში, ყველას 100% გამოუვლინდა სხვა მოდალობაშიც. მეტიც უნდა ითქვას: ჩვენი 53 ც. პირიდან (42 არა ფსიქოლოგი და 11 ფსიქოლოგი), ვი-ნაც ოპტიკური წარმოდგენით შეიმუშავა ფიქსირებული განწყობა, ოთხ ც. პირთან ოპტიკურ სფეროში ილუზია არ გამოვლინდა, ჰაპ-ტურ არეში კი გამოვლინდა ყველა 53 ც. პირთან.

ამას გარდა, ჰაპტურ სფეროში, ე. ი. სხვა მოდალობაში გადა-ტანილი ილუზია, როგორც წესი, უფრო მტკიცე იყო ხოლმე!

როგორც ჩანს ამ შემთხვევაში ის გარემოებაც თამაშობს როლს, რომ ოპტიკურ არეში ბურთების ექსპოზიცია ხდებოდა ხელ-ით და ამიტომ ტაქისკოსკოპურ ექსპოზიციაზე უფრო ხანგრძლი-ვი იყო, მაგრამ ისიც არის მხედველობაში მისაღები, რომ ბურთების ჰაპტური მოსინჯვა და შედარება უფრო ხანგრძლივია, ვიდრე მათი ოპტიკური აღქმა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ცდის ხელმძღვანელი ბურთებს ხელით აწვდის.

ერთი სიტყვით, ჩვენთვის მთავარია ის ფაქტი, რომ წ ა რ მ ო-დ გ ე ნ ი ს საფუძველზე განწყობის შემუშავების შემთხვევაში განწყობა შ ე უ დ ა რ ე ბ ლ ა დ უ ფ რ ო ი რ ა დ ი რ ე ბ უ ლ ი ა, ვიდრე აქტუალური აღქმით შექმნის შემთხვევაში. ეს ფაქტიური მონაცემი მით უფრო სანდოდ უნდა ჩაითვალოს, რომ ასეთივე შე-დეგი ჩვენ გვქონდა მიღებული სხვა ცდებშიც. სახელდობრ, თვალ-საჩინოების ფაქტორის კვლევის მიზნით დაყენებულ ცდებში (იხ. ზემოთ, თავი მე-3).

თუმცა საგანწყობო ცდებში ც. პირები საგანწყობო ობიექტს ოპტიკურად წარმოიდგენენ, კრიტიკულ ცდებში ჰაპტურ აღქმაში ილუზიამ 80%-ის შემთხვევაში იჩინა თავი. ჩვენ დავაყენეთ საკი-თხი—ხომ არ შეადგენს ეს ფართო ირადიაცია წარმოსახვით შექ-

---

[1] ნ ა დ ა მ ა შ ვ ი ლ ი. განწყობის ილუზიის ინტერმოდალური ტრანსპოზი-ცია. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 17, 1941.

ნილი განწყობის ზოგადი სპეციფიკურობას? ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ, როგორც აღვნიშნეთ, წარმოდგენა პიროვნების მიმართ უფრო ცენტრალური და უფრო „ჩანერგილი“ ფსიქიკური პროცესია, ვიდრე აღქმა, რომელიც პიროვნების ყველაზე უფრო პერიფერიულ და „გამოყოფილ“ განცდას წარმოადგენს. ამიტომ სავსებით დასაშვებია, რომ წარმოდგენით შექმნილი განწყობაც უფრო ირიდირებულია, ნაკლებ დაკავშირებულია წარმოდგენის მოდალობასთან, ვიდრე აღქმის საფეხურზე აღმოცენებული განწყობა, აღქმის მოდალობასთანაა დაკავშირებული.

ფსიქოლოგია, რომ სასცენო გარდასახვის უნარის მქონე პირებს წარმოდგენით განწყობის შემუშავების უნართან ერთად განწყობის დიდი ირადიაციაც ახასიათებთ.

ვფიქრობთ, რომ თუ წარმოდგენით განწყობის შემუშავების ფსიქოლოგიური „მექანიზმი“ ძირითადში მართლაც სპეციფიკური დამოკიდებულების შექმნაში მდგომარეობს წარმოდგენილ ობიექტთა მიმართ, როგორც ეს ჩვენს ცდებში დადასტურდა, მაშინ ეს ფაქტიც—წარმოდგენით შექმნილი განწყობის ირადირებული ხასიათი — სავსებით ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს: განწყობა აღმოცენდა, ასე ვთქვათ, არა ოპტიკური წარმოდგენის არეში მოცემული შთაბეჭდილების საფუძველზე, არამედ მთლიან არსებაში შექმნილი მდგომარეობის—სიდიდეთა მიმართ მთელი პიროვნების აქტიური დამოკიდებულების—საფუძველზე. ამიტომ გასაგებია, რომ იგი, მეტად თუ ნაკლებად, იჩენს თავს სიდიდეთა ჰაპტური აღქმის სფეროშიც. იმ შემთხვევაში, როდესაც განწყობა აღმოცენდება სიდიდეთა აქტუალური აღქმის საფუძველზე, იგი არ გულისხმობს აუცილებლად განსაკუთრებული შინაგანი აქტიურობის შემუშავებასა და შედარებით უფრო „ლოკალურ“ ხასიათს ატარებს—უფრო ხშირად ისევ ოპტიკურ არეში ვლინდება. თუმცა, ცხადია, საბოლოო ანგარიშში განწყობა მაინც „მთლიანი პიროვნების მოდიფიკაციაა“. მაგრამ განწყობის ნებისმიერი შექმნისას წარმოდგენის საფუძველზე, როგორც დავინახეთ ამ მიმართულებით გაწრთვნილ ცპირთა ჩვენებებიდან, განსაკუთრებით დემონსტრატიულად ჩანს მისი მთლიან პიროვნული საფუძველი: აქ სუბიექტისათვის მთავარია არა ობიექტების წარმოდგენა, არამედ სათანადო შინაგანი მდგომარეობის—„მომართვის“—ინტენსიური შემუშავება; აქ სუბიექტი, როგორც დავინახეთ, მხოლოდ ოპტიკურად კი არ განიცდის წარმოდგენილ საგნებს, არამედ „მთელი ორგანიზმით“.

ზოგი ცდის პირი (იხ. ზემოთ) სპეციფიკურ დაძაბულობას განიცდის სხეულის სათანადო მხარეს, ზოგი ამბობს, რომ ამ წარმოდგენის დროს „ხელი გაექცევა“, წარმოდგენილ ობიექტთა მოსასინჯად და ა. შ. (იხ. უმთავრესად მე-4 თავი).

2. შინაგანი მზაობის განცდა. ცდის პირთა თვითდაკვირვების ზემომოყვანილი ამონაწერებიდან ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება. წარმოდგენით განწყობის შემუშავების ცდებში გამოცდილი ც. პირები (განსაკუთრებით ფსიქოლოგები და მსახიობები) თითონ ამჩნევენ ხოლმე წარმოსახულის მიმართ სათანადო შინაგანი დამოკიდებულების შექმნას, აღნიშნავენ ხოლმე ამას სხვადასხვა გამოთქმებით: „მზად ვარ“, „შევედი ამ მდგომარეობაში“, „გამოვედი მდგომარეობიდან“ (ეს უკანასკნელი აღნიშნავს აქტიური დამოკიდებულების დაკარგვას), „დაყენება“ მიღწეულია, ან „დაყენება“ დაირღვა და ა. შ. (იხ. ზემოთ, თავი მე-4).

საგულისხმოა, რომ ც. პირები ასხვავებენ ხოლმე ამ შინაგან მდგომარეობას წარმოდგენისაგან, რაც განსაკუთრებით დემონსტრაციულად ჩანს იმ შემთხვევაში, როდესაც ც. პირი მანამდის არ აძლევს ხელმძღვანელს იმის ნიშანს, რომ უკვე შესძლო დავალებულის თვალსაჩინო წარმოდგენა (თუმცა უკვე წარმოიდგენს დავალებულ შინაარსს), სანამ არ იგრძნობს, რომ „მზად არის“, რომ მიღწეულია საჭირო „მდგომარეობა“ (იხ. ზემოთ, თავი IV დაVI). მაგალითად, ც. პირი—ქ.—თეატრალური ინსტიტუტის ნიჭიერი სტუდენტი, რომელიც ფიქსირებულ განწყობას ადვილად იმუშავებს ყველა ჩვენს ცდაში, საგანწყობო ცდების დროს ხშირად ამბობს „წარმოვიდგინე, მაგრამ ჯერ ვერ განვიცდი“, ხოლო როდესაც გვატყობინებს, რომ უკვე „არის“—ეს ნიშნავს, რომ ც. პირი უკვე „განიცდის“ წარმოდგენილ ობიექტებს, რომ უკვე „მზად არის“ ცდის გაგრძელებისათვის.

როგორცა ჩანს შინაგანი აქტივობის ის მდგომარეობა, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი როგორც განწყობის შემუშავების ფაქტორზე, ფენომენოლოგიურადაც რეპრეზენტირებულია სუბიექტის ცნობიერებაში.

3. წარმოსახული ობიექტის თვისებათა ინტერმოდალური ცვლილებები. ც. პ.-ბის უმრავლესობა საგანწყობო ობიექტების, ე. ი. განსხვავებული სიდიდის ბურთების, ოპტიკური წარმოდგენისას, სიდიდის გარდა წარმოიდგენს ხოლმე ამ ბურთების ფერს, ან უფრო ზუსტად არა კონკრეტულ ელფერს, არამედ სიმუქეს მხოლოდ,

და, როგორც წესი (ორიოდე გამონაკლისის გარდა), ეს სიმუქე საწინააღმდეგო დამოკიდებულებაშია ბურთის სიდიდესთან: დიდად წარმოდგენილი ბურთი ნათელია, ხოლო პატარად წარმოდგენილი—მუქია. ეს კანონზომიერება იმდენად მტკიცეა და სუბიექტის ნების გარეშეა, რომ ც. პირებს უჭირთ მისი შეცვლა. ეს მოვლენა ყოველი ადამიანის გამოცდილებაში მიღებული მოვლენის ანალოგიის შთაბეჭდლებას სტოვებს: ერთი ფერის ელასტიკური ორი ბურთიდან ერთი რომ გაიბეროს და მეორე იგივე დარჩეს ან შეიკუმშოს, პირველის ფერი ბაცდება, მეორისა კი მასთან შედარებით მუქდება.

იმ შემთხვევაში, როდესაც ც. პირი ჰაპტურად წარმოიდგენს ორ ბურთს, მაშინ ჩვეულებრივ დიდი ბურთი ნაკლებ მკვრივის და შედარებით უფრო მჩატე მასალის შთაბეჭდილებას სტოვებს და ამავე დროს უფრო ბაცი ფერითაცაა წარმოდგენილი, ხოლო პატარა უფრო მკვრივისა და იმავე დროს უფრო მუქი ფერის შთაბეჭდილებას სტოვებს.

ანალოგიური კანონზომიერება იჩენს ხოლმე თავს განწყობისეული ილუზიის დროს: პატარად აღქმული ბურთი უფრო მუქ ფერად არის წარმოდგენილი თვალდახუჭული ც. პირის მიერ და უფრო მკვრივად განიცდება, ხოლო დიდად აღქმული უფრო ბაც ფერად და ნაკლებ მკვრივად.

ანალოგიური მოვლენები დიდი ხანია შემჩნეულია აღქმით გამოწვეული ფიქსირებული განწყობის ილუზიის აღწერისას (ბ. ხაჭაპურიძე და სხვ.).

4. ილუზიური აღქმის „არარეალური“ ხასიათი, როგორც ზემოთ სხვა კონტექსტში აღვნიშნეთ, ნებისმიერად წარმოსახვის გზით დიდი დაძაბულობით შექმნილი ფიქსირებული განწყობის საფუძველზე აღმოცენებული ილუზიური აღქმა ზოგჯერ თავისებურ ხასიათს ატარებს—რაღაცა არარეალურს „ჰაეროვანის“, „არანამდვილის“, „არამკვრივის“ შთაბეჭდილებას სტოვებს. როდესაც, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითში, ოპტიკურად აღქმული ობიექტურად ტოლი ბურთებიდან ერთ-ერთი განიცდება უფრო დიდად, შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ეს ზედმეტი სიდიდე (რაც აღემატება მეორე ბურთის სიდიდეს) არარეალურია. ჰაეროვანია და ა. შ. ანალოგიურად ჰაპტურ აღქმაშიაც ეს „ზედმეტი სიდიდე“ რაღაც „რბილის“, ბირთვის გარშემო მოცემული „სიმსივნის“ შთაბეჭდილებას სტოვებს და ისევ არარეალურად განიცდება და ა. შ. (იხ. ზემოთ, ც. პ. ნ. ად-ის ჩვენებები).

ხაზგასასმელია: რომ ეს მოვლენა თავს იჩენს მხოლოდ მაშინ, თუ ცდის პირის ცნობიერებაში საგანწყობო ცდებში მკვეთრად გამიცდებოდა წარმოსახულის არარეალურობა, თუ წარმოსახული ეწინააღმდეგებოდა აქტუალურად აღქმულს და საგანწყობო წარმოდგენა დიდი დაძაბვით მიიღწეოდა.

5. განწყობისეული ილუზიის თანდათანობითი გაძლიერება. წარმოსახვის საფუძველზე ფიქსირებული განწყობის ნებისმიერი შექმნის შემთხვევაში, განსაკუთრებით, როდესაც „საგანწყობო ობიექტის" მკაფიო წარმოდგენას ც. პირი მხოლოდ დიდი დაძაბვით ახერხებს, კრიტიკულ ცდებში პირველად იჩენს თავს მეტად სუსტი ილუზია— კრიტიკული ობიექტები უმნიშვნელოდ იცვლება (მაგალითად კრიტიკული ტოლი ბურთები ოდნავ განსხვავებულ სიდიდისად აღიქმებიან) და ეს ცვლილებაც ეპვის ელფერით განიცდება, ხოლო შემდეგ. კრიტიკული ობიექტების შემდგომი მიწოდების პროცესში, ილუზია სულ უფრო და უფრო ძლიერდება—ილუზიერი სხვაობა სულ მატულობა; მაგალითად კრიტიკული ბურთები სულ უფრო და უფრო განსხვავებული სიდიდისად ეჩვენება ც. პირს, ტოლი სიმძიმის კრიტიკული საგნები სულ უფრო მეტად განსხვავებული სიმძიმისა ეჩვენებიან და ა. შ.

ილუზიის გაძლიერების პერიოდი ინტერინდივიდუალურად მეტად განსხვავებულია; ჩვეულებრივ იგი გრძელდება მანამდის, სანამ დაიწყება განწყობისეული ილუზიის ჩაქრობის პროცესი.

6. ასიმილაციურ ილუზიათა გავრცელებულობა. ფიქსირებული განწყობის ნებისმიერი შექმნისას წარმოსახვის გზით, განსაკუთრებით აქტუალური აღქმის საწინააღმდეგო შინაარსის წარმოსახვით შექმნისას, როგორც ზემოთ დავინახეთ, კრიტიკულ ცდებში განწყობისეული ილუზია ძალიან ხშირად ასიმილაციურ ხასიათს ატარებს.

შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ც. პირი „ინერციით" განაგრძობს აღქმის იმავე მიმართულებით შეცვლას, როგორც ამას საგანწყობო ცდებში აკეთებდა (იხ. თავი მე-2).

7. განწყობისეული ილუზიის სიმტკიცე. როგორც წესი, წარმოსახვით შექმნილი ფიქსირებული განწყობა აქტუალური აღქმით გამოწვეულთან შედარებით უფრო სუსტად ვლინდება და ბევრად ნაკლებ მტკიცე ხასიათს ატარებს, თუმცა მისი სიმტკიცე დიდად განსხვავებულია სხვადასხვა ფაქტორთა მიხედვით. უპირველეს ყოვლისა იგი დაკავშირებულია სუბიექტის დამოკიდებულებასთან წარმოსახულის მიმართ: სწამს თუ არა პას

წარმოსახულის რეალური მოცემულობა, რამდენად აქტიურია იგი წარმოსახული შინაარსის მიმართ, რამდენად დაინტერესებულია მოცემული შინაარსის წარმოსახვით. რამდენად გავარჯიშებულია წარმოსახულის მიმართ სათანადო აქტიურობის გამოვლინებაში და თვით სუბიექტის პიროვნების ტიპზე. გვხვდება ისეთი ტიპის ადამიანები, რომელნიც წარმოდგენის პროცესში ძლიერი დაძაბვით განწყობის შექმნისას, ჩვენი ცდების პირობებში, იმუშავებენ დაუბოლოველელ ფიქსირებულ განწყობას—ვერ გამოდიან განწყობისეული ილუზიიდან ვერც 50 კრიტიკული ექსპოზიციის შემდეგ და ვერც ერთი თვის ინტერვალის შემდეგ (იხ. თავი მეოთხე და მეშვიდე). ამ ტიპის სუბიექტებთან დაძაბული აქტით ნებისმიერად შექმნილი განწყობა წარმოსახვის საფუძველზე უფრო მტკიცეა, ვიდრე ჩვეულებრივ ცდებში აქტუალური აღქმით შექმნილი ფიქსირებული განწყობა, რაც იმის შედეგია, რომ ამ ტიპის სუბიექტები ხელოვნურად გაზვიადებულად განიცდიან წარმოსახულ შესადარებელ ობიექტთა სხვაობას.

8. **წარმოსახვით განწყობის შემუშავების ვარჯიშებადობა.** წარმოსახვით განწყობის შემუშავების უნარი დიდად ვარჯიშებადი აღმოჩნდა. სათანადო მიმართულებით ვარჯიშის შედეგად ჩვენი ცდების პირობებში წარმოსახვით განწყობის შემუშავებას აღწევენ 100%-ით ყველა ის პირი, ვიზედაც სათანადო ცდები იყო ჩატარებული, მათ შორის ისეთი პირები, ვინც დასაწყისში წარმოსახვით განწყობას ჩვენს ცდებში ვერ იმუშავებდა, ე. ი. ვერ იმუშავებდა განწყობას პიროვნებისათვის ისეთი უმნიშვნელო სიტუაციის წარმოდგენით, როგორიცაა ჩვენი ცდების სიტუაცია.

წარმოსახვის გზით განწყობის ნებისმიერი შემუშავების უნარი ვარჯიშდება იმ პირებთანაც, ვინც თავიდანვე იჩენს ამ მიმართულებით მაღალგანვითარებულ უნარს. ასეთ პირებს ვარჯიშის შედეგად სულ უფრო უადვილდებათ განწყობის ნებისმიერი შექმნა წარმოსახვის საფუძველზე და ამ გზით აღმოცენებული განწყობა სულ უფრო მტკიცედ ვლინდება.

УСТАНОВОЧНОЕ ДЕЙСТВИЕ ВООБРАЖЕНИЯ

Резюме

В настоящей работе подводятся итоги семи исследований автора, касающихся установочного действия воображения, которые были опубликованы в период 1942—1955 гг.

I. В вводной части настоящей работы дается обзор некоторых литературных данных о действенных проявлениях представления (воображения) в стимулирующих к действию мечтах, в «идеомоторных движениях», в стимулированных представлением органических проявлениях, связанных с деятельностью вегетативной нервной системы, и в явлениях словесного внушения; затем ставится вопрос о психологической природе этих действенных проявлений воображения, в частности, о стимулирующем возникновение установки действии воображения и о факторах этого установочного действия воображения.

II. В первой главе работы излагаются результаты экспериментов, в которых устанавливается факт выработки фиксированной установки на основе:

1) представления двух окружностей (большой и маленькой) на пустом экране и

2) воображаемого охватывания руками большого и малого шара. В первом случае фиксированная установка проявляется в последующем иллюзорном восприятии объективно равных окружностей как неравных, а во втором случае— в иллюзорном гаптическом восприятии равных шаров, как неравных.

III. Во второй главе рассматриваются данные экспериментов со стимуляцией установки на основе представления при одновременном восприятии противоположного содержания; например:

1. Смотря на цилиндры Шарпантье, исп. воображает, что малый цилиндр очень тяжел, а большой—легок. В результате выработанной таким образом установки, иллюзия Шарпантье при реальном подымании цилиндров нарушается.

2. Охватывая руками равные шары, исп. воображает, что одной рукой он охватывает большой шар, а другой — маленький. Под воздействием выработанной таким образом установки последующее восприятие равных шаров иллюзорно — они воспринимаются как разные по величине.

3. При одновременном подымании за шнуры «гирь» (цилиндров) разного веса исп. воображает, что подымаемый

им объективно более тяжелый цилиндр легок, а объективно более легкий — более тяжел. Под воздействием выработанной таким образом установки последующее восприятие объективно равных по весу предметов носит иллюзорный характер.

IV. В третьей и четвертой главах рассматриваются данные многочисленных вариантов экспериментов, на основе которых утверждается, что основными факторами, обусловливающими установочное действие воображения, являются не степень яркости и наглядности представления, а специфическое активное отношение к представляемому и (в определенных условиях) уверенность в реальной данности воображаемого.

V. В пятой главе дается психологический анализ основных «методов» системы Станиславского и утверждается, что все эти методы фактически направлены на выработку в актере установки, соответствующей воображаемой сценической ситуации («если-бы», «задачи», «приспособления», «физические действия» и пр.).

VI. В шестой главе приводятся экспериментальные данные, показывающие высокую корреляцию способности к сценическому перевоплощению со способностью вырабатывать в себе установку на основе воображения.

VII. В седьмой главе излагаются эксперименты, доказывающие большую упражняемость способности вырабатывать установку на основе воображаемой ситуации: в результате систематических упражнений все 100% исп-х достигают выработки фиксированной установки в проведенных автором экспериментах.

VIII. В последней части работы излагаются в систематизированном виде основные выводы исследования относительно установочного действия воображения. В основном эти выводы могут быть резюмированы в следующих положениях:

1. Установочное (стимулирующее возникновение установки) действие воображения является экспериментально установленным фактом.

2. Установочное действие воображения зависит от ряда факторов.

Само по себе, представление, каким бы ярким оно ни было, не вызывает соответствующей установки субъекта, если только у субъекта нет специфического активного отношения к представляемому (воображаемому) содержанию.

3. Установочное действие воображения существенно различно, прежде всего, в зависимости от того, уверен ли субъект в реальной данности представляемой ситуации (resp. объекта) или, наоборот, твердо знает, что представляемое реально не

дано или даже воспринимает ситуацию, противоположную воображаемой.

В первом случае соответствующая представлению установка возникает легко и непроизвольно. Но для того, чтобы установка возникла во втором случае, у субъекта должно выработаться специфическое активное отношение к представляемому, что достигается либо произвольно, путем более или менее значительного волевого усилия, либо непроизвольно при условии большой заинтересованности представляемым содержанием (аналогично детям в игре, зрителю спектакля, читателю художественного произведения).

4. Возникновение установки на основе представляемого содержания, относительно несоответствия которого реальной данности субъекту известно, выявляет большие межиндивидуальные различия, обусловленные не особенностью самого представления, а типологическими особенностями личности и, в частности, удельным весом воображения в жизни личности.

Активную позицию в отношении к представляемому и тем самым соответствующую установку, среди взрослых людей, особенно легко вырабатывают в себе лица, способные к сценическому перевоплощению.

5. Установка, возникшая на основе воображаемого содержания, в отсутствии реальной данности которого субъект убежден, качественно отличается от установки, возникшей в отношении объекта (хотя бы воображаемого), в реальной данности которого субъект не сомневается.

В частности, чувства, возникшие на основе первой установки, отличаются «несерьезностью», «летучестью» и установочные иллюзии как оптического, так и гаптического восприятия, обусловленные этой установкой, иногда носят специфический характер: например объект иллюзорно воспринятый увеличенным нередко, в иллюзорно увеличенной части его, воспринимается «воздушным», «дымчатым», «нереальным», «нетвердым» и т. д.

6. Опираясь, с одной стороны, на психологический анализ системы Станиславского и работы над ролью, проводимой по этой системе, и с другой стороны, на сравнительные данные эксперимента, проведенного как над лицами, обладающими высоко развитой способностью сценического перевоплощения, так и над лицами, не имеющими отношения к театру, автор приходит к выводу о ведущей роли фактора установочного действия воображения в сценическом перевоплощении.

7. В проявлениях стимулированной воображением фиксированной установки экспериментально устанавливается ряд особенностей. Вот главные из них:

1) Стопроцентная иррадиация установки, т. е. транспозиция установочной иллюзии с оптического представления на гаптическое восприятие в ста процентах случаев.

2) Возникновение специфического активного отношения к воображаемым установочным объектам (к представляемому содержанию), являющееся необходимым условием для стимулирования соответствующей установки на основе воображения, обычно репрезентировано в переживании субъекта, т. е. специфически переживается субъектом. Это специфическое переживание легко подмечают испытуемые-психологи, испытуемые-актеры и студенты театрального института.

3) Для проявления стимулированной воображением фиксированной установки характерен большой процент ассимилятивных установочных иллюзий (в противоположность проявлению установки, фиксированной на основе актуального восприятия): испытуемый как бы по инерции продолжает изменять в воображении восприятие в том же направлении, как и в установочных опытах.

4) Когда возникшая на основе воображения фиксированная установка вырабатывается с большим внутренним усилием и напряжением, то в ее проявлениях нередко наблюдается следующая особенность: первые установочные иллюзии носят слабый, еле выраженный характер; а затем постепенно усиливаются (до затухания), а не ослабевают, как обычно.

5) Устойчивость установочной иллюзии при стимулированной воображением установке выявляет огромные интериндивидуальные колебания, начиная от единичных слабых иллюзий и кончая «бесконечными» (свыше 50 экспозиций), сильно выраженными иллюзиями.

6) Способность произвольно вырабатывать в себе фиксированную установку путем воображения чрезвычайно упражняема.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 3

თავი პირველი. ფაქტის დადგენა 10

1. საკითხი 10
2. მეთოდი 10
3. ცდების ზოგადი შედეგები 12
4. წარმოდგენით გამოწვეული განწყობის ძირითადი თავისებურებები 17
5. მოლოდინის განმაწყობელი მოქმედება . . . 21

თავი მეორე. აქტუალური აღქმის საწინააღმდეგო შინაარსის წარმოდგენის განმაწყობელი მოქმედება . . . 21

1. განსხვავებული სიმძიმეების წარმოდგენა ტოლი სიდიდის საგნების ოპტიკური აღქმის პროცესში 24
2. შარპანტიეს ილუზიის დარღვევა წარმოსახვით გამოწვეული ფიქსირებული განწყობის საფუძველზე . 26
3. აქტუალური აღქმის საწინააღმდეგო შინაარსის იმავე მოდალობის წარმოდგენის განმაწყობელი მოქმედება . 27
4. წარმოდგენით გამოწვეული ფიქსირებული განწყობის გამოვლინების სიძლიერე . 39

თავი მესამე. წარმოდგენის თვალსაჩინოება. როგორც განმაწყობელი ფაქტორი 42

1. საკითხი 42
2. აღქმის სინათლე და გამოკვეთილობა. როგორც განმაწყობელი ფაქტორი 44
   1) საკითხი 44
   2) მეთოდი 45
   3) შედეგები 46
   4) დასკვნა . 49
3. განწყობის შემუშავება მხოლოდ კინესთეტიკური შთაბეჭდილებით, საგნის ცნობიერობის გარეშე . 51
4. საგნის წარმოდგენის განმაწყობელი მოქმედება აქტუალური სენსორული შთაბეჭდილების გარეშე 58
   1) საკითხი 58
   2) მეთოდი 58
   3) შედეგები 59
   4) რიცხობრივი მონაცემები . 60
5. საგნის წარმოდგენისა და იმავე დროს მისი შესატყვისი აქტუალური სენსორული (კინესთეტიკური) შთაბეჭდილების განმაწყობელი მოქმედება 62

1) საკითხი 62
2) მეთოდი 63
3) შედეგები 63
6. საგანთა ოპტიკური წარმოსახვის განმაწყობელი მოქმედება 70
1). საკითხი 70
2) მეთოდი 71
3) შედეგები 72
4) რიცხობრივი მონაცემები 74
5) დასკვნები 79
თავი მეოთხე. წარმოსახვით განწყობის შემუშავების სხვა ფაქტორები 82
1) საკითხი 82
2) მეთოდი 83
3) ცდის პირები 87
4) ძირითადი შედეგები 88
5) ფსიქოლოგებზე მიღებული შედეგები 90
6) პირველი ორი ცდისა და მესამე და მეოთხე ცდის შედარებითი შედეგები 91
7) შედეგების ინტერპრეტაცია 93
8) დასკვნები 106
თავი მეხუთე. წარმოსახვის განმაწყობელი მოქმედება და სასცენო გარდასახვა 109
თავი მეექვსე. სასცენო გარდასახვისა და წარმოსახვით განწყობის შემუშავების უნართა შორის დამოკიდებულების ექსპერიმენტული კვლევა 129
1. საკითხი 129
2. ცდის პირები 130
3. მოცულობის პასტური წარმოდგენით შექმნილი განწყობა 131
4 წარმოდგენით გამოწვეული განწყობა ოპტიკურ არეში (დამატებით ცდა) 136
5. აქტუალური აღქმის საწინააღმდეგო შინაარსის წარმოდგენის განმაწყობელი მოქმედება 138
6. წარმოდგენით შექმნილი ფიქსირებული განწყობის აღქმაზე ზემოქმედების სიღრმე 158
7. დასკვნები 162
8. დამატებითი ცდები — აქტუალური აღქმით გამოწვეული ფიქსირებული განწყობის აგზნებადობა და ირადიაცია 166
თავი მეშვიდე. წარმოსახვის განმაწყობელი მოქმედების ვარჯიშებადობისათვის 169
1. საკითხი 169
2. ცდები იმ პირებზე, ვინც წარმოსახვის საფუძველზე ფიქსირებულ განწყობას ვერ იმუშავებდა 172
3. რამდენიმე წლის მანძილზე ერთსა და იმავე პირებზე ჩატარებული ცდების შედარებითი შედეგები 177
4. დასკვნები 179
თავი მერვე. საერთო დასკვნები 185
Резюме 202

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ალ. ფ რ ა ნ გ ი შ ვ ი ლ ი
გამომცემლობის რედაქტორი ნ. მ ა ი ს ურ ა ძ ე
ტექრედაქტორი ა. თ ო დ უ ა
კორექტორი რ. ფ ა რ ე ს ი შ ვ ი ლ ი

გადაეცა წარმოებას 26.4.1957; ანაწყობის ზომა 6×10; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 7.6.1958; ქაღალდის ზომა 60×92 1/16;
ქაღალდის ფურცელი 6,5; საბეჭდი ფურცელი 13,0; სააღტორო
ფურცელი 10,89; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 11,07;
შეკვეთა 806; უე 03404; ტირაჟი 1000
ფასი 8 მან. 70 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ა. წერეთლის ქ. 3/5.